ისტორია 11

მასწავლებლის წიგნი

Don't copy

Don't copy

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ 5
საგნის სწავლების მიზნები 6
მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უკეთ გასააზრებლად 14
ცნებები და მათი მკვდირი წარმოდგენები 27
ისტორიის კურიკულუმი 35
თემატური მატრიცა (თავფურცელი, კომპლექსური დავალებები) 27

თემა 1. შუა საუკუნეები 27
კომპლექსური დავალება 1. ევროპა და ახლო აღმოსავლეთი ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში 39
კომპლექსური დავალება 2. დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყაროს საზოგადოება 53
კომპლექსური დავალება 3. ჯვაროსნული ომები და მონღოლთა იმპერია 68
კომპლექსური დავალება 4. წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ევროპაში 83

თემა 2. გვიანი შუა საუკუნეები _ ადრეული ახალი დრო 92
კომპლექსური დავალება 1. რეკონკისტის დასასრული და კონსტანტინოპოლის დაცემა 100
კომპლექსური დავალება 2. ევროპა XV-XVII საუკუნეებში 112
კომპლექსური დავალება 3. რან-ოსმალეთი XV-XVII საუკუნეებში 127
კომპლექსური დავალება 4. მმართველობის ფორმები ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და ამერიკაში XVII-XVIII 135

თემა 3. „ხანგრძლივი XIX საუკუნე“ 155
კომპლექსური დავალება 1. საფრანგეთი XVIII საუკუნის 80-იან და XIX საუკუნის 30-იან წლებში 159
კომპლექსური დავალება 2. ევროპა-ამერიკა XIX საუკუნეში 175
კომპლექსური დავალება 3. ევროპა და ახლო აღმოსავლეთი 1789-1914 წლებში 188

სოლოტაქსონომია 199
განმსაზღვრელი შეფასება 211
მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა და მისი გამოყენების წესი 223
მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში 223
მეთოდიკური ორიენტირები 225
მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები 228
რეკომენდაციები სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსების შესახებ სწავლების მიზნის მიღწევის ეფექტიანობისათვის 230
მოსწავლის შეფასების პრინციპები 231
აქტივობების, ღონისძიებების, პროექტების, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები 232
ინფორმაცია მოსწავლის წიგნის/რვეულის შესახებ 233
საფეხურის გზამკვლევი 234
გამოყენებული ლიტერატურა 234
სარეკომენდაციო ლიტერატურა 236

Don't copy

Don't copy

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

XI კლასის სახელმძღვანელო „ისტორია“ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის იმ სტანდარტს, რომელიც შეიმუშავა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. ეს კონცეფცია გულისხმობს, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, მოსწავლეს განუვითაროს ზოგადი და სპეციფიკური უნარ-ჩვევები და მაღალზნეობრივი ღირებულებები. საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა პირდაპირ მიუთითებს, რომ ისტორიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰუმანურ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბებას;
- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შესწავლის მიმართ;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიული (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) პროცესების ანალიზისა და მათი თანამედროვეობასთან შედარების უნარი; ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების მრავალმხრივად შეფასების უნარი;
- დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების ერთმანეთთან/თანამედროვეობასთან შედარებაში;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარები;
- მოსწავლეს შესძინოს ისტორიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

Don't copy

საგნის სწავლების მიზნები

ისტორია (საგანი „ისტორია“)

შესავალი

სტანდარტი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის საფუძველზე უნდა მომზადდეს ორი კურსი: (1) პირველი მათგანი – **„ისტორია“** გულისხმობს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენების/პროცესების შესწავლასა და მათთან საქართველოს ისტორიის საკითხების დაკავშირებას; (2) მეორე კურსის – **„საქართველოს ისტორიის“** ფარგლებში კი აქცენტი კეთდება ქართული ისტორიოგრაფიის აქტუალური პრობლემების კვლევასა და სიღრმისეულ გააზრებაზე.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები. შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხებისა და ქვეცნებების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ. თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ისტ. საშ.1:

„ისტ.“ – მიუთითებს საგანს ისტორია;
„საშ.“ – მიუთითებს საშუალო საფეხურს;
„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

Don't copy

ისტორიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი	**შედეგები**	**სამიზნე ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ისტ.საშ.1.	ისტორიული წყაროს გამოყენება საკუთარი მოსაზრების/პოზიციის დასაბუთებისთვის; ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერებების დაკავშირება იმის გაცნობიერებასთან, რომ ახალი წყაროების/მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;	**ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)** **დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6)** **სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ. საშ.1,2,3,4,5,6)** **საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)** **ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8)** **ისტორიული მოვლენა/ პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6)**
ისტ.საშ.2	ისტორიული მოვლენების ანალიზისას ქრონოლოგიისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიულ პროცესებზე სივრცე-დროითი ასპექტების კვლევა ცვალებადობის ფენომენის გასააზრებლად;	
ისტ.საშ.3	ისტორიული მოვლენის/პროცესების კლასიფიცირება და ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ნიშნით) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და თანამედროვეობაში არსებული ტიპურად მსგავსი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულად განსახილველად;	
ისტ.საშ.4	ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის/პროცესის/ პიროვნების მოღვაწეობის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება მულტიპერსპექტიული მიდგომების უპირატესობის გასააზრებლად;	
ისტ.საშ.5	ისტორიული მოვლენებისა და პროცესების დანახვა/შეფასება, როგორც კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით, ასევე ეპოქისგან დისტანცირებით, ერთი მხრივ, ეპოქის უნიკალურობის, მეორე მხრივ კი უნივერსალურ იდეათა განვითარების კანონზომიერებების გასააზრებლად;	
ისტ.საშ.6	ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება; ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით დემოკრატიის პრინციპების (კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, თანასწორობა, სამშვიდობო პროცესები) დაკავშირება სახელმწიფოებრიობასა და პატრიოტიზმთან;	

Draft copy

სავალდებულო თემები:

„ისტორიისა“ და „საქართველოს ისტორიის“ კურსის სწავლა-სწავლება წარიმართება პარალელურად. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, რომელი სავალდებულო თემები უნდა ისწავლებოდეს ურთიერთდაკავშირებულად.

ისტორია	**საქართველოს ისტორია**
X კლასი	**X კლასი**
პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი	საქართველო ქვისა და ბრინჯაოს ხანაში
ანტიკური ხანა (ახ. წ. III საუკუნემდე)	საქართველო ანტიკურ ხანაში (ახ. წ. III საუკუნემდე)
გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები (1014 წლამდე)	საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (1014 წლამდე)
XI კლასი	**XI კლასი**
შუა საუკუნეები	განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში
გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო	საქართველო XV-XVIII საუკუნეებში
„ხანგრძლივი XIX საუკუნე“	საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში
XII კლასი	**XII კლასი**
„ხანმოკლე XX საუკუნე“	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
	საქართველო საბჭოთა კავშირში
მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე	საქართველო და თანამედროვე მსოფლიო

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლებმა უნდა დაიცვან თემების ზემოთ შემოთავაზებული თანამიმდევრობა (X კლასში შესაძლებელია, თემები განაწილდეს შემდეგნაირად: პირველ სემესტრში – ორი თემა, მეორე სემესტრში – ერთი თემა; XI კლასში: პირველ სემესტრში – ერთი თემა, მეორე სემესტრში – ორი თემა; XII კლასში: პირველ სემესტრში – „ისტორია“ – ერთი თემა, „საქართველოს ისტორია“ – ორი თემა, მეორე სემესტრში – ერთი თემა).

„ისტორიის“ XI კლასის სახელმძღვანელო ეფუძნება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის ისტორიის სტანდარტს.

Don't copy

ა. ა) ისტორია

სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები:

თითოეულ ცხრილში მოცემულია შეფასების ინდიკატორები, რომლებიც წარმოაჩენს, როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

თემა: შუა საუკუნეები
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები **წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ნუმიზმატიკური მასალა) დაყრდნობით შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება. **დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: შუა საუკუნეებთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან); მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან; ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც შუა საუკუნეებში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა. **სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: შუა საუკუნეებთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; შუა საუკუნეებისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება; შუა საუკუნეებში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა. **საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: შუა საუკუნეების პერიოდის საზოგადოების თავისებურებების (იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვის“ ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება. **ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) გაანალიზება შუა საუკუნეების საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით. **ისტორიული მოვლენა/პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: შუა საუკუნეებთან დაკავშირებულისოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან.

Don't copy

თემა: გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები

წყარო – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (მაგალითად, წერილობითი წყაროები) დაყრდნობით გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება.

დრო – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან);

მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;

ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ცვალებადობის/დროის ფენომენის ახლებურად გააზრებას განაპირობებდა.

სივრცე – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;

გვიან შუა საუკუნეებისა და ადრეულ ახალი დროისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;

გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა.

საზოგადოება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის საზოგადოების თავისებურებების (იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვის“ ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება.

ძალაუფლება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) გაანალიზება გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით.

ისტორიული მოვლენა/პროცესი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან.

Don't copy

თემა: გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები (1014 წლამდე)

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები

წყარო – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება.

დრო – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან;

მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;

ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც XIX საუკუნეში (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) ცვალებადობის/დროის ფენომენის გააზრებაზე ახდენდა გავლენას.

სივრცე – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;

XIX საუკუნისთვის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;

XIX საუკუნეში (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა.

საზოგადოება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

XIX საუკუნის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საზოგადოების თავისებურებების (იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვის“ ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება.

ძალაუფლება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიანანტიკურ ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) გაანალიზება XIX საუკუნის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საქართველოსა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით.

ისტორიული მოვლენა/პროცესი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან.

Draft copy

XI კლასის სახელმძღვანელო, ისტორიის კონკრეტული პერიოდის ცოდნის გარდა, მოსწავლეს შესძენს ზოგად და საზოგადოებრივ მეცნიერებებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს.

ზოგადი უნარ-ჩვევებია:

- პრობლემის გააზრება და კავშირების დადგენა;
- ინფორმაციის მოპოვება და ამ ინფორმაციის გაანალიზება;
- კვლევა;
- კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარი;
- შემოქმედებითი უნარი.

სპეციფიკური უნარ-ჩვევებია:

- ისტორიული დროის გაგება და ეპოქის განცდა;
- ისტორიული რუკების, ვიზუალური წყაროების (პლაკატი, ფოტო, ნახატი, კარიკატურა და ა. შ.) ანალიზის უნარი;
- ქრონოლიგიური და ტიპოლოგიური დიაგრამების, ცხრილების შექმნის უნარი;
- საკუთარი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობისა და ზრუნვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. ის გადის იმ შედეგებზე, რომლებსაც ესგ-ს საშუალო საფეხურის ისტორიის სტანდარტი მოითხოვს. სახელმძღვანელოს პარაგრაფები ისეა აგებული, რომ გაკვეთილი ჩატარდეს ინტერაქტიულად. ის ითვალისწინებს მრავალფეროვან მეთოდიკურ ორიენტირებს. ცნობილია, რომ ისტორიის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით: სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას); სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარაციულს, პროცედურულსა და პირობისეულს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები. სასწავლო თემის სწავლა-სწავლება განსაზღვრულია საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. თითოეული თემის პარაგრაფები ისეა აგებული, რომ უპასუხოს საკვანძო შეკითხვებს:

ა) საიდან ვიცით, რომ წარსულში ყველაფერი მართლაც ისე ხდებოდა, როგორც ამას ისტორიკოსები გადმოგვცემენ?

Do not copy

ბ) როგორ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა სინამდვილეში, როდესაც სხვადასხვა წყარო ერთმანეთისგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის? რომელი ისტორიული წყარო იმსახურებს ნდობას?

გ) რატომ იცვლება ყველაფერი (ყოფა-ცხოვრება, ტექნოლოგიები, ტრადიციები, ღირებულება/დამოკიდებულებები) ჩვენ გარშემო?

დ) რატომ არის ცვალებადობა ისტორიის განუყოფელი ნაწილი? რატომ განსხვავდება ისტორიული ეპოქები ერთმანეთისგან?

ე) რატომ უნდა გავითვალისწინო ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შეფასებისას ისტორიული გარემო (კონტექსტი), რომელსაც ისინი უკავშირდება?

ვ) როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში (როგორი იყო მათი ყოფა, ყოველდღიური ცხოვრება, მსოფლმხედველობა)?

ზ) რატომ უნდა ვსწავლობდე საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორიას?

თ) როგორ ვისწავლო ისტორია?

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყოველ თემას ახლავს შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას. ზემოთ თქმულთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლის წიგნში შეძლებისდაგვარად განმარტებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი და სტრატეგია. ჩვენი სახელმძღვანელოს, ასევე, მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნების ძირითად კონცეპტუალურ მიმართულებად სწორედ ის მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალებას მისცემს, სწავლების დროს ჩაატაროს ინტერაქტიული გაკვეთილი და იმავდროულად, მეთოდიკის შერჩევისას თავისუფალი იყოს არჩევანში.

Don't copy

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უკეთ გასააზრებლად

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უკეთ გასააზრებლად

სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის მასწავლებელს ოთხ შეკითხვაზე სჭირდება მკაფიო პასუხი:

1. რა მიზნით ვასწავლი? (სწავლა-სწავლების მიზნები)
2. რა მასალაზე დაყრდნობით ვასწავლი? (სასწავლო საკითხები და რესურსები)
3. როგორ ვასწავლი? (სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები)
4. როგორ ვაფასებ მოსწავლეების მიღწევებს? (შეფასება)

ამ კითხვებზე პასუხისთვის, მნიშვნელოვანია, გავეცნოთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საფუძველზე ჩამოყალიბებულ სასწავლო კურიკულუმს და მასში ასახულ თემატურ მატრიცებს.

რა არის სასწავლო კურიკულუმი?

სასწავლო კურიკულუმი არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულება საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგემის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლის წიგნში მოცემულია სასწავლო კურიკულუმის ნიმუში, რომელიც დახმარებას გაუწევს პედაგოგებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სასწავლო კურიკულუმი განიხილება მთავარ საშუალებად:

- სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად;
- სასკოლო საზოგადოების ერთიან გუნდად ჩამოსაყალიბებლად;
- სასკოლო კულტურის გარდასაქმნელად;
- ტექნოლოგიების დასანერგად;

სასწავლო კურიკულუმები შედგება თემატური მატრიცებისგან. თემატური მატრიცა სახელმძღვანელოში არსებული თემების მიხედვით განაწილებულ დავალებათა ერთობლიობაა. XI კლასის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია თემები:

თემა I – შუა საუკუნეები
თემა II – გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო
თემა III – ხანგრძლივი XIX საუკუნე

ამ თემებზე მომზადებული დავალებების ერთობლიობა ქმნის თემატურ მატრიცებს, ხოლო თემების მიხედვით შექმნილი თემატური მატრიცა – სასწავლო კურიკულუმს.

Don't copy

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საფუძველზე სასწავლო კურიკულუმის ასაგებად და განსავითარებლად საჭიროა 4 ძირითადი კომპონენტის გააზრება.

1. გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე შუალედური სასწავლო მიზნების (ანუ კომპლექსური დავალების პირობის) ჩამოყალიბება;
2. კომპლექსურ დავალებაზე ორიენტირებით სწავლა-სწავლების მიღწევების შეფასება;
3. კომპლექსურ დავალებაზე ორიენტირებით სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა;
4. სასწავლო კურიკულუმის სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირება.

გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე შუალედური სასწავლო მიზნების (კომპლექსური დავალებების) ჩამოყალიბება.

კურიკულუმი თავისი ბუნებით მიზანზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამაა. შესაბამისად, მისი აგებისა და განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების იერარქიაში გარკვევას.

ა) გრძელვადიანი მიზნები;
ბ) მოკლევადიანი/ შუალედური მიზნები.

გრძელვადიანი მიზნები:

გრძელვადიან მიზნებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ოთხი კომპონენტი:

1) ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები;
2) საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები;
3) სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები;
4) ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემები.

- **ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები** – ეროვნული სასწავლო გეგემა განსაზღვრავს ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომელთა შეძენა-განვითარებასაც ემსახურება საგანი. მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც ცნებების პედაგოგიკას ეყრდნობა, ეს ზოგადი კომპონენტები გარდაქმნილია მაკროცნებებად.

- **საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები** – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგადი კომპეტენციები/მაკროცნებები არ მუშავდება საგნობრივი კონტექსტებისაგან იზოლირებულად, სწავლა-სწავლების პროცესში ყველაზე მეტად ხელშესახებ სიმიზნე ორიენტირად მოიაზრება საფეხურის საგნობრივი შედეგები და სამიზნე ცნებები

- **სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები** – ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები ზოგადი ორიენტირებია. კურიკულუმის ასაგებად მათი კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტებაა საჭირო. დაკონკრეტებისათვის გამოიყენება ორი ინსტრუ-

Don't copy

მენტი – მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც ერთმანეთთან მკაცრ თანხვედრაში უნდა იყოს.

- **მკვიდრი წარმოდგენა** – არის სტრუქტურული ერთეული, რომელიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს მოსწავლეს გაცნობიერებული ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. ისინი ფორმულირდება სათაურის ქვეშ: „მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ...“.

მაგალითი თვალსაჩინოებისთვის:

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ. საშ. 1, 2, 4, 5)**
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:
• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენ-ტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.
სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ. საშ. 1, 2, 3, 4, 5, 6)**
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:
• გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.

შეფასების კრიტერიუმები – არის სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. იგი ფორმულირდება სათაურის ქვეშ: „ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ“. მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები ზუსტად თანხვდება ერთმანეთს.

Don't copy

სამიზნე ცნება „წყარო“/ „სივრცე“ და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**კომპექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები**
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**
• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;	• რა ტიპის წყაროებზე მუშაობა დაგეხმარა განვითარებული შუა საუკუნეების შესწავლის პროცესში და რამდენად სანდო და ობიექტურია ისინი მოვლენების წარმოჩენისას? იწვევს თუ არა ეს წყაროები აზრთა სხვადასხვაობას? (**წყარო: მ.წ. 1, 2, 3 და 4)**
• წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან;	
• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის	
• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია;	
• გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;	• როგორ გამოიწვია არახელსაყრელმა გეოგრაფიულმა გარემომ, სელჩუკთა მიგრაცია და რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს? **(სივრცე: მ. წ. 1 და 3)**
• კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;	
• კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.	• რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნა (კორდობის სახალიფოს დაშლა, ბრიტანეთის ექსპანსია,ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა) და შეიძლება თუ არა, ის ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცედ ჩაითვალოს? რატომ? **(სივრცე: მ. წ. 2)**

მოკლევადიანი მიზნები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შუალედური სასწავლო მიზნის სტატუსი კომპლექსურ დავალებას აქვს მინიჭებული. კომპლექსური დავალება შემოქმედებითი პროდუქტია (მაგალითად: კომიქსი, მოთხრობა, ვიდეორგოლი, პლაკატი და სხვ.), რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც საკუთარ ცოდნას ადასტურებს საგნობრივ საკითხებთან/შესასწავლ მასალასთან მიმართებით (მაგალითად, ადასტურებს, როგორ გაიგო ტექსტის შინაარსი, ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის არსი და სხვ.).

Don't copy

რა არის საჭირო იმისთვის, რომ კომპლექსურმა დავალებამ შუალედური სასწავლო მიზნის როლი შეასრულოს?

- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული (და არა ზოგადი) საკითხი, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება;
- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მოსწავლემ კომპლექსური დავალების ფარგლებში უნდა შექმნას;
- კომპლექსურ დავალებას უნდა ახლდეს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მას სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისკენ (ანუ გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირებისკენ) მიმართავს.

ამ ნიუანსების ასახსნელად გამოვიყენებთ ცხრილს, რომელიც გზადაგზა ივსება და მაგალითების სახით წარმოაჩენს კომპლექსური დავალების პირობის შექმნის პროცესს. როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული კონკრეტული საკითხი, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება. მაგალითად, კონკრეტულ საკითხად შეგვიძლია მოვიაზროთ „ევროპა და ახლო აღმოსავლეთი ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში“.

კონკრეტული საგნობრივი საკითხი

თემა – **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება** **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება –**
საკითხი – ევროპა და ახლო აღმოსავლეთი ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში. **საკვანძო შეკითხვა** – **კომპლექსური დავალება**

თუმცა ამ ტიპის კონკრეტული საკითხების გამოყოფა მარტივი არ არის. პრაქტიკაში ტიპური 2 სახის შეცდომაა:

1) ქვეცნებებისა და საკითხის ერთმანეთში არევა;
2) ზოგადი და კონკრეტული საკითხების ერთმანეთში არევა.

Don't copy

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**	**საკითხი**
წყარო	პირველადი/ მეორადი, მინიატიურა, ფრესკა, ნარატიული წყაროები, ჰაგიოგრაფია.	ვერდენის ხელშეკრულება
		არაბული ესპანეთი
		ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა აბასიანთა სახალიფოს დაშლის შემდეგ
სივრცე	რუკა, ევროპა, აზია, ახლო აღმოსავლეთი, მიგრაციული პროცესები.	ევროპა ვერდენის ხელშეკრულების შემდეგ
		ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა აბასიანთა სახალიფოს დაშლის შემდეგ
		აბასიანთა სახალიფოს დაშლა
		თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ახლო აღმოსავლეთი

პირველ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნება, რომლის გასააქტიურებლადაც უნდა შეირჩეს საგნობრივი საკითხი. მეორე სვეტში წარმოდგენილია ქვეცნებები, რომლებიც უფრო მეტად აკონკრეტებს სამიზნე ცნებას და რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს სამიზნე ცნების აქტუალიზება (ანუ მოსწავლემ გაკვეთილზე უნდა იმსჯელოს წყაროების ტიპზე და მათში წარმოდგენილ სხვადასხვა თვალსაზრისზე და არა ზოგადად ცნება „წყაროს“ ფენომენზე). მესამე სვეტში მოცემულია ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შესაბამისი საკითხების ნიმუში, რომლებზე დაყრდნობითაც მასწავლებელმა უნდა შექმნას კომპლექსური დავალება. ეს ცხრილი მასწავლებელს იმის აღქმაში დაეხმარება, თუ საიდან გამომდინარეობს საგნობრივი საკითხი. აღსანიშნავია, რომ პირველი და მეორე სვეტები მყარი მოცემულობაა, მესამე სვეტში კი საკითხი მხოლოდ მაგალითის სახით არის დასახელებული.

ეროვნული სასწავლო გეგმის სავალდებულო მოთხოვნაა სასწავლო პროცესის დაგეგმვა თემების მიხედვით.

სავალდებულო თემა

თემა – შუა საუკუნეები **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება –** **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება –**
საკითხი – **საკვანძო შეკითხვა** – **კომპლექსური დავალება –**

Don't copy

კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლემ უნდა შექმნას კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის საშუალებითაც იგი ცხოვრებისეულ კონტექსტში ცოდნის ტრანსფერს გააკეთებს და შესასწავლ საკითხთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს. მაგალითად, ქვემოთ მოცემული კომპლექსური დავალების შემთხვევაში შემოქმედებითი პროდუქტია რუკა.

კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი

თემა – **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება –** **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება –**
საკითხი – **საკვანძო შეკითხვა** – **კომპლექსური დავალება** წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი ხარ და იკვლევ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიას განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში (XI ს.). საკითხის შესწავლის პროცესში აღმოაჩინე ისტორიული წყაროები და გადაწყვიტე, გააანალიზო ისინი, მათზე დაყრდნობით შექმნა ისტორიული რუკა, რომელსაც თან ახლავს განმარტებითი ტექსტი. მათი საშუალებით გსურს, წარმოაჩინო, როგორ ყალიბდებოდა ამ გეოგრაფიულ სივრცეში იმდროინდელი სახელმწიფოები. რუკაზე აღნიშნე მნიშვნელოვანი ქალაქები, სახელმწიფო საზღვრები, ბრძოლის ადგილები და ხალხთა გადაადგილების მარშრუტი.

კომპლექსური დავალება ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან მიზნებზე – მკაფიოდ უნდა განსაზღვროს გრძელვადიანი მიზანი, რომლის დაძლევა/გააზრებასაც მოსწავლის მხრიდან საგნობრივი საკითხის შესწავლა ემსახურება (ანუ პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას: რატომ ვასწავლით ამ საკითხის შესახებ მოსწავლეს?). ეროვნულ სასწავლო გეგმაში გრძელვადიანი მიზნები საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ჩამოყალიბებული. ცნების მკვიდრი წარმოდგენები კომპლექსურ დავალებაში ასახულია კრიტერიუმების სახით.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**

Don't copy

სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ. საშ. 1, 2, 3, 4, 5, 6) • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს. **სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ. საშ. 1, 2, 4, 5)** • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.		**რუკასა და განმარტებით ბარათებში წარმოადგინე:** • რა ტიპის წყაროებზე მუშაობა დაგეხმარა განვითარებული შუა საუკუნეების შესწავლის პროცესში და რამდენად სანდო და ობიექტურია ისინი მოვლენების წარმოჩენისას? იწვევს თუ არა ეს წყაროები აზრთა სხვადასხვაობას? **(წყარო: მ. წ. 1, 2, 3 და 4)** • როგორ გამოიწვია არახელსაყრელმა გეოგრაფიულმა გარემომ, სელჩუკთა მიგრაცია და რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს? **(სივრცე: მ. წ. 1 და 3)** • რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნა (კორდობის სახალიფოს დაშლა, ბრიტანეთის ექსპანსია,ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა) და შეიძლება თუ არა, ის ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცედ ჩაითვალოს? რატომ? **(სივრცე: მ. წ. 2)**

Don't copy

მატრიცის არსის უკეთ გასააზრებელად

თემატური მატრიცა შედგება ორი ჰორიზონტალური და სამი ვერტიკალური სვეტისგან. პირველ ჰორიზონტალურ სვეტში ვწერთ თემას, სამიზნე ცნებას, ცნების შედეგებსა და ქვეცნებებს.

- **ქვეცნება** – სამიზნე ცნების დაკონკრეტებაა თემასთან/საკითხთან მიმართებით. მაგ., მოსწავლემ უნდა იმსჯელოს შუა საუკუნეებზე და არა მხოლოდ, მაგალითად, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიდან მიღებულ ინფორმაციაზე.

თემა – შუა საუკუნეები **სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ. საშ. 1, 2, 4, 5)** **ქვეცნება** **სამიზნე ცნება – სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ. საშ. 1, 2, 3, 4, 5, 6)** **ქვეცნება –**

თემატური მატრიცის შემდეგ ჰორიზონტალურ სვეტში წარმოდგენილია საკითხი, საკვანძო შეკითხვა და კომპლექსური დავალების პირობა.

- **საგნობრივი საკითხი/საკითხები** – თემის ფარგლებში სამიზნე ცნების გასააქტიურებლად გამოიყენება;

- **ქვესაკითხი** – საკითხების დამუშავებისას მნიშვნელოვანია, დამუშავდეს ქვესაკითხებიც. ქვესაკითხები, შეგვიძლია, მოვიაზროთ ნაწილების ერთობლიობად, რომელიც ერთ რომელიმე კონკრეტულ საკითხს შეადგენს. მაგ., პირველი კომპლექსური დავალების საკითხია „ევროპა და ახლო აღმოსავლეთი ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში“, რომლის ქვესაკითხებად შეგვიძლია წარმოვადგინოთ: ევროპა ვერდენის ხელშეკრულების შემდეგ, სლავური სახელმწიფოები, აბასიანთა სახალიფოს დაშლა, თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ახლო აღმოსავლეთი. ეს საკითხები სახელმძღვანელოში განხილულია კონკრეტულ პარაგრაფებში. თითოეული ქვესაკითხი კურიკულუმის განსხვავებულად დაგეგმვის შემთხვევაში შეიძლება თავად იყოს მთავარი საკითხი.

- **საკვანძო კითხვა** – იძლევა საკითხის გააზრების შემდეგ ცოდნის შემოწმების საშუალებას. კითხვაში უნდა ჩანდეს საგნობრივი საკითხი, ცნება და საგნობრივი საკითხის დამუშავების პროცესში შექმნილი პროდუქტი.

Don't copy

საკითხი – ევროპა და ახლო აღმოსავლეთი ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში.

საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა წარმოაჩინო რუკისა და განმარტებითი ბარათების საშუალებით, თუ როგორ ყალიბდებოდა ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყიში ევროპისა და ახლო აღმოავლეთის სახელმწიფოები?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი ხარ და იკვლევ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიას განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში (XI ს.). საკითხის შესწავლის პროცესში აღმოაჩინე ისტორიული წყაროები და გადაწყვიტე, გააანალიზო ისინი, მათზე დაყრდნობით შექმნა ისტორიული რუკა, რომელსაც თან ახლავს განმარტებითი ტექსტი. მათი საშუალებით გსურს, წარმოაჩინო, როგორ ყალიბდებოდა ამ გეოგრაფიულ სივრცეში იმდროინდელი სახელმწიფოები. რუკაზე აღნიშნე მნიშვნელოვანი ქალაქები, სახელმწიფო საზღვრები, ბრძოლის ადგილები და ხალხთა გადაადგილების მარშრუტი.

მატრიცის შემდეგი ბლოკი იყოფა სამ ჰორიზონტალურ სვეტად, რომლებშიც წარმოდგენილია: სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები, ზოგადი შეფასების კრიტერიუმები, თუ რა ცოდნა შეიძინა მოსწავლემ ცნებასთან მიმართებით და როგორ ფლობს მას და ნაშრომში წარმოსაჩენი კრიტერიუმები, რომლებიც ზუსტად თანხვდება ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების რიტერიუმი**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

თემატური მატრიცის შემდეგი ნაწილი ეთმობა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას და პასუხობს შეკითხვას: რას ვაკეთებ მე, როგორც მასწავლებელი, იმისთვის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა კომპლექსური დავალება შეასრულონ. აქ გამოიყოფა ორი ეტაპი.

Don't copy

პირველი ეტაპი – მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა: იწერება აქტივობები, რომლებიც მასწავლებელმა განახორციელა ან უნდა განახორციელოს იმისთვის, რომ მოსწავლეებს გაეგოთ/გაიგონ, რა ევალებათ კომპლექსური დავალების ფარგლებში (მოსწავლემ ეს თუ მკაფიოდ ვერ გაიგო, მისი ჩართულობა სასწავლო პროცესში სათანადო ვერ იქნება).

რესურსი : სახელმძვანელო : გვ : 7-41

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები
ეტაპი I — კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „რუკა“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას რუკის, რუკის ლეგენდისა და განმარტებითი ბარათების შესახებ.

რესურსი: [როგორ შევქმნა რუკა?]

რუკის ლეგენდა რუკის თავისებური ენაა, რომლის დახმარებით რუკის შინაარსის წაკითხვაა შესაძლებელი. რუკასა და გეგმაზე სხვადასხვა ობიექტი ან მოვლენა პირობითი აღნიშვნებით გამოისახება, რომელთა მნიშვნელობა რუკის რომელიმე კუთხეში ლეგენდის სახითაა განმარტებული.

- რა არის რუკა?
- რა ტიპის რუკები არსებობს?
- რა არის რუკის ლეგენდა?
- რატომა საჭირო რუკის ლეგენდის შექმნა?
- რა ინფორმაციის მიღება შეგვიძლია რუკისა და ლეგენდის გაცნობის შემდეგ?
- როგორ უნდა შექმნა რუკა?
- რა პირობითი აღნიშვნები უნდა გააკეთო რუკაზე?
- როგორ აღნიშნავ რუკაზე მნიშვნელოვან ქალაქებს, სახელმწიფო საზღვრებს, ბრძოლის ადგილებს და ხალხთა გადაადგილების მარშრუტს?

კომპლექსური დავალება
- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

Don't copy

მეორე ეტაპი – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა: იწერება კრიტერიუმები, შეკითხვები და რესურსები, რომელბიც შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში. კომპლექსური დავალების თითოეული კრიტერიუმის დასამუშავებლად მეორე ეტაპზე მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს ცოდნის სამი კატეგორიის მიხედვით. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირების პროცესს. საკითხის გააზრებას, რის მიხედვითაც ცოდნას ასახავს შემოქმედებით პროდუქტის ფორმაში.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება – ხელშეკრებულება, დოკუმენტები, ნარატიული წყაროები, მინიატურა, გობელინი, იმპერია, სამეფო დომენი, საჰერცოგო, ფეოდი, ტერიტორიული ექსპანია

ქვესაკითხი: საღვთო რომის იმპერიის წარმოშობა; ინგლისის სამეფოს ჩამოყალებება

რესურსი: გვ 6-15

ნაბიჯი 1

- ·რა ტიპის წყაროებზე მუშაობა დაგეხმარა განვითარებული შუა საუკუნეების შესწავლის პროცესში და რამდენად სანდო და ობიექტურია ისინი მოვლენების წარმოჩენისას? იწვევს თუ არა ეს წყაროები აზრთა სხვადასხვაობას? **(წყარო: მკ 1, 2, 3 და 4)**
- რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნა (კორდობის სახალიფოს დაშლა, ბრიტანეთის ექსპანსია,ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა) და შეიძლება თუ არა, ის ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცედ ჩაითვალოს?რატომ? **(სივრცე: მკ 2)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დამუშავებისათვის მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს, გვ 6-15, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ევროპაში ვერდენის ხელშეკერულების შემდეგ განვითარებული ისტორიული პროცესების შესახებ და საღვთო რომის იმპერიის ჩამოყალიბების შესახებ. პედაგოგი ეყრდნობა სახელმძვანელოს და მოსწავლეებთან ერთად იწყებს საკითხის დამუშავებას. გვ 6-8, რომელზეც წარმოდგენილია რუკა ვერდენის ხელშკრულების შესახებ და მინიატურები, რომელებიც მოსწავლეს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებაში. აღნიშნული რუკისა დამუშავების შემდეგ სახელმძვანელოში მოცემულია საღვრთო რომის შესახებ ინფორმაცია და რომელის უფრო მეტად წარმოსაჩენად მოცემულია რუკა. აღნიშნული საკითხის სიღმისეულად გააზრებისთვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალება.

Don't copy

- რომელი ისტორიული პროცესია რუკასა და ვიზუალურ წყაროზე ასახული? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, ვინ არიან შუა საუკუნეების მინიატურაზე გამოსახული?
- რატომ ახურავთ მინიატურის მარცხენა ნაწილში დახატულ ფიგურებს გვირგვინები?
- რომელი სამეფოებია რუკაზე დატანილი?
- შენი აზრით, რომელ მათგანს ჰქონდა ხელსაყრელი მდებარეობა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით? პასუხი დაასაბუთე
- როგორ ფიქრობ, არის თუ არა საკათედრო ტაძრის ვიტრაჟი ისტორიული წყარო? რის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას?
- რატომ მიიჩნეოდნენ რომის იმპერიის მემკვიდრეებად ბიზანტიის იმპერატორები?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი ოტო I-თვის, რომ რომის პაპს ეკურთხებინა იმპერატორად?
- შენი აზრით, რა სახის პრობლემებს შეუქმნიდა ოტო I-ის ხელისუფლებას იმპერიის ეთნიკური და სოციალურ-პოლიტიკური არაერთგვაროვნება?
- შენი აზრით, რატომ ემორჩილებოდა გერმანიის მოსახლეობა საკუთარ ჰერცოგებს უფრო მეტად, ვიდრე იმპერატორებს?
- შენი აზრით, რატომ ცდილობდა ოტო I დასაყრდენი სასულიერო ფენაში ეძებნა და არა ჰერცოგებსა და გრაფებში?

მოსწავლის რვეული, დავ. 1

- როგორ უნდა წარმოადგინო საკითხის გაანალიზების შემდეგ მიღებული ცოდა რუკისა და განმარტებითი ბარათის საშუალებით?

Don't copy

ცნებები და მათი მკვდრი წარმოდგენები

სამიზნე ცნება	სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	შედეგები
ისტორიული წყარო (ისტ.საბ.1,2,4,5)	ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;	**მოსწავლეს შეუძლია:** • იმსჯელოს რა ტიპის წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის/ მოვლენის/პროცესის შესახებ; • შეაფასოს რამდენად სანდოა მოცემული წყარო / წყაროები? • გაანალიზოს რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროს ინტერპრეტაციისას.
	წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;	
	ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის.	
	წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	
დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ. საბ.1,2,3,4,5,6)	ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;	**მოსწავლეს შეუძლია:** • შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული პერიოდის მახასიათებლების გამოკვეთა და სხვა ისტორიულ ეპოქებთან/ პერიოდებთან მიმართების ჩვენება; • აღწეროს როგორ აღრიცხავდნენ დროს და იმსჯელოს, როგორ აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას შესწავლის ობიექტად შერჩეულ დროში მცხოვრები ადამიანები.
	კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;	
	სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ.	

Don't copy

სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ. საბ.1,2,3,4,5,6)	გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; კომუნიკაციის სიხშირე დიდი/ მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ.	**მოსწავლეს შეუძლია:** • მსჯელობა გეოგრაფიული გარემოსა და გეოგრაფიული ცოდნის გავლენის შესახებ ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე • დიდი და მცირე სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბების მიზეზების ანალიზი • კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული არეალების და მათი ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობის განსაზღვრ
საზოგადოება (ისტ.საბ..1,2,3, 4,5,6)	ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად; პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ.	**მოსწავლეს შეუძლია:** • გააანალიზოს, შესწავლის ობიექტად შერჩეული პერიოდის ადამიანების იდენტობის საშუალებები, საერთო ინტერესები და საზრუნავი • იმსჯელოს რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შესწავლის ობიექტად შერჩეული პერიოდის საზოგადოება • გააანალიზოს როგორი დამოკიდებულება ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებების მიმართ

Do not copy

ძალაუფლება (ისტ. საბ.3,4,5,6,7,8)	ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;	**მოსწავლეს შეუძლია:** • იმსჯელოს, როგორი იყო შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; • გაანალიზოს ვინ და როგორ / რა საშუალებებით იბრძოდა ძალაუფლებისთვის შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში.
	ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;	
	ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;	
	ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;	
	დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.	
ისტორიული მოვლენა/ პროცესი (ისტ.საბ.3,4,5,6)	ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი /შედეგები;	**მოსწავლეს შეუძლია:** • იმსჯელოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის/ პროცესის მიზეზებსა და შედეგებზე; • შეაფასოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის/ პროცესის მნიშვნელობა; • გაანალიზოს, რა გავლენა ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ მოვლენას შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე.
	ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;	
	ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;	
	ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.	

Don't copy

თემის მკვიდრი წარმოდგენები

თემა 1. შუა საუკუნეები

სამიზნე ცნება	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ
დრო	• შუა საუკუნეები მონოთეისტური რელიგიების – ქრისტიანობისა და ისლამის ერთი მხრივ დაპირისპირების, და მეორე მხრივ ურთიერთზემოქმედების პერიოდია; • განვითარებული შუა საუკუნეების ზოგადი მახასიათებლები (სოციალურ-ეკონომიკური, მსოფლმხედველობრივი..) საერთო ქრისტიანული სივრცისთვის მეტ-ნაკლებად მსგავსია, ამიტომ საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია ახლოს მიუყვება აღნიშნული ეპოქის ქრისტიანულ სამყაროში აღიარებულ ნიშნულებს; • შუა საუკუნეებში ისტორიის პერიოდიზაცია როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში რელიგიური ნიშნით იყო განსაზღვრული, როგორც კონცეპტუალურ დონეზე, ასევე სამწყსოსთვის რელიგიური დღესასწაულების გამოთვლის ფორმითაც; • შუა საუკუნეებშიც, ისევე როგორც ადრეულ პერიოდებში ბინადარი მოსახლეობის მიწაზე დამაგრებული ნაწილისთვის დღე-ღამის მონაცვლეობა მნიშვნელოვანწილად, სამეურნეო საქმიანობას უკავშირდებოდა, თუმცა დროის კონტროლი ეკლესიის ხელშია; • საათები თანამედროვე გაგებით, შუა საუკუნეებში არ არსებობდა არც ქრისტიანულ და არც მუსლიმურ სამყაროშ
სივრცე	• განვითარებულ შუასაუკუნეების პერიოდში დაქსაქსული პოლიტიკური ერთეულების გამსხვილების ტენდენციამ პოლიტიკური რუკა შეცვალა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში; • სამი დიდი ცივილიზაციური კერის – ბიზანტიის იმპერიის, მუსლიმური აღმოსავლეთისა და „ლათინური“ დასავლეთის გადაკვეთის არეალს ლევანტი წარმოადგენდა; • არაბული სახალიფოს დაშლამ საშუალება მისცა ბიზანტიას ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის მიმართულებით ტერიტორიული გაფართოება ეწარმოებინა; • ახლო აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ ევროპის სივრცე შუა საუკუნეებმა არაერთმა(თურქ-სელჩუკები, პაჭანიკები, ყივჩაღები, მონღოლები) ნომადმა ხალხებმა დაარღვიეს, რამაც საზღვრებისა და სახელმწიფოების ცვლილებები გამოწვია ამ არეალებში; • სავაჭრო-სტრატეგიული ტერიტორიების და სამიმოსვლო გზების ფლობისთვის ბიზანტიას მეტოქეები გამოუჩნდნენ, რომლებმაც ლევანტის სივრცის ნაწილობრივი კოლონიზება შეძლეს;

Don't copy

	• კავკასია არა მხოლოდ ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციური არეალების გზაჯვარედინზე, არამედ ბინადარი და მომთაბარე ხალხების შეჯახების ეპიცენტრში მდებარეობდა, რაც დასტურდება, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტაქტებით, ასევე ისტორიოგრაფიული, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული წყაროებით; • შუა საუკუნეებში „აბრეშუმის გზა“ ევროპასა და აზიას ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ დიდი სატრანზიტო ქსელის ზოგიერთი მარშრუტი და მონაკვეთი საქართველოზეც გადიოდა; განვითარებულ შუა საუკუნეებში მონღოლთა იმპერიაში არსებულმა შიდა სამიმოსვლო გზების ქსელმა და უსაფრთხოებამ შორეული მოგზაურობების ინტერესი და შანსი გააჩინა, როგორც ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროში, ასევე სხვაგან, რასაც რუკებისა და გეოგრაფიული ცოდნის გაუმჯობესება გამოიწვია.
წყარო	• განვითარებულ შუა საუკუნეებში, წყაროთა ძირითადი ტიპები – წერილობითი (საკანონმდებლო, ქრონიკები, ანალები, ეპოსები, ეპისტოლეები, ბიოგრაფიული...) ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური წყაროები(როგორც დასავლეტში, ისე აღმოსავლეთში (?!)), თუმცა ქრისტიანული სამყაროსთვის ადრე შუასაუკუნეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საეკლესიო მწერლობას და ჰაგიოგრაფიის კვალდაკვალ, მეტ მნიშვნელობას ისტორიული კრებულები და საერო ხასიათის ეპოსები იძენს; • შუა საუკუნეებში განსაკუთრებულ როლს იძენს ჰერალდიკა, რომელიც მეტად ტიპურად დამახასიათებელი ევროპული სივრცისთვისაა; • შუა საუკუნეებში მონოთეისტურმა რელიგიებმა გასაზღვრა სალოცავის, სარიტუალო დანიშნულების, საცხოვრისისა და სამოსის (ყოველდღიური, სარიტუალო, საბრძოლო) ტიპი, რომლის არტეფაქტები ეპოქის კომპლექსური რეკონსტრუქციისთვის ძვირფასი მასალაა; • შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვანია ბერძნულენოვანი (ბიზანტიური სივრცის) და არაბული და სომხური წყაროები, თუმცა იქმნება ორიგინალური ქართული მატიანეების ნაშრომები და კრებულები, ასევე სამართლის ძეგლები; • შუა საუკუნეების წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი (სასულიერო დანიშნულების სივრცე, საერო ხელისუფლის კარი, უმაღლესი სასწავლებელი).

Don't copy

საზოგადოება	• შუა საუკუნეების ადამიანის მსოფლმხედველობა სამყაროს პროვიდენციალურ აღქმას ეფუძნებოდა, რამაც სრულად განსაზღვრა განათლების პრიორიტეტები – განათლების კერად მონასტრები და მედრესეები იქცა, თუმცა საქალაქო ცხოვრებამ განათლების მიღების დივერსიფიკაცია განაპირობა; • განვითარებული შუა საუკუნეებიდან იწყება დასავლეთ ევროპაში უნივერსიტეტების წარმოშობა და, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიაში, მისი გავლენის სფეროს ქვეყნებსა და არაბულ სახელმწიფოში მანამდე არსებობდა უმაღლესი სასწავლებლის ტიპი, თანამედროვე უნივერსიტეტების წინამორბედი სწორედ დასავლური ტიპის უმაღლესი სასწავლებელია; • განვითარებული შუა საუკუნეების საზოგადოება (მეტწილად ქრისტიანული სამყაროს დასავლური ნაწილი) სამწევროვანი საზოგადოებით ხასიათდება, რაც მკაცრად გამოკვეთილი სოციალური იერარქიულობას გულისხმობს; ეს მოდელი ნაკლებად მიემართება ბიზანტიურ საზოგადოებას და სრულიად არ შეესაბამება ისლამურ სამყაროს, თუმცა კასტური ჩაკეტილობის მაგალითები გვხვდება შორეულ აზიაში; • განვითარებულ შუა საუკუნეებში საბოლოოდ გაფორმდა ფეოდალიზმი – რთული სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო სისტემა(რაც მსხვილი მიწის მესაკუთრის პოლიტიკური უფლებებით აღჭურვას გულისხმობდა) რომელიც ტიპური გამოვლინებით ქრისტიანული დასავლეთ ევროპისთვისაა დამახასიათებელი. აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და შორეული აღმოსავლეთისთვის ან მხოლოდ ნაწილობრივაა ეს სისტემა დამახასიათებელი, ან სხვა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას ქმნიან (სადაც მიწის მესაკუთრე სახელმწიფო ან მის სიმბოლოდ ქცეული მმართველია); • შუა საუკუნეები რაინდების(აკრიტასების, კარგი ყმა...), ციხე-სიმაგრეებისა და ციხე-ქალაქების, საგმირო ეპოსების, ტრუბადურების ეპოქაა; მიუხედავად ქალის ლირიკული ასახვისა ლიტერატურაში, მისი სამართლებრივი სტატუსი და სოციალური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცისას ჩამოუვარდებოდა; • განვითარებული შუა საუკუნეებისთვის როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში საქალაქო ცხოვრების აღმავლობით ხასიათდება, თუმცა დასავლეთ ევროპის ქალაქების განმკარგავები/მფლობელები მოქალაქეები(ვაჭარ-ხელოსანთა ზედაფენა) იქცნენ ,მაშინ როცა ბიზანტიაში საქალაქო თვითმმართველობების როლი მინიმუმისკენ მიდის, ხოლო და ისლამურ სამყაროში ქალაქის მუნიციპალური თვითმმართველობით არ გამოირჩეოდა. • სამწევროვანი საზოგადოების მესამე „წევრი“ – ქალაქის მოსახლეობაა; წოდებებს საერთო რაც აქვთ – ეს პირადი თავისუფლებაა;

Do not copy

	• განვითარებულ შუა საუკუნეებში კლიმატ-ცვლილებამ (დათბობამ) ბინადარ ხალხებს სამიწათმოქმედო საქმიანობაში გარკვეული ნოვა-ციებისა და მიწი დიდი სავარგულების გამოყენების საშუალება მისცა; • საქალაქო ცხოვრების აღმავლობამ კარჩაკეტილი თვითკმარი მეურნეობის რღვევა, შრომის დანაწილება/სპეციალიზაცია და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის გაძლიერება გამოიწვია; • განვითარებულ შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში დასავლურ-ევროპული (მე-11-12 სს. ინტელექტუალური აღმავლობა) და ბიზანტიური კულტურული არეალები(მაკედონური რენესანსი) გამოიკვეთა რომელთა გაუცხოების სიმბოლურ გამოვლინებად დიდი სქიზმა შეიძლება მივიჩნიოთ; • განვითარებულ შუა საუკუნეებში ქრისტიანული სამყაროს იმ ნაწილში, სადაც საზოგადოება წოდებრივი იყო, წოდებრივ-შუა საუკუნეების ეკონომიკის საფუძველი მიწის კერძო მფლობელისა და მიწაზე დოვლათის შემქმნელის არათანაბარ ურთიერთობებს ეფუძნებოდა, რომლის ხასიათი ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაო გახდა, ხოლო ისლამურ სამყაროში კერძო მესაკუთრული უფლებები ბევრად პირობით ხასიათს ატარებდა; • ლათინურ დასავლეთში შუა საუკუნეების ცივილიზაცია რომაულ-რომანიზებული სეგმენტის, ასევე, გერმანიკული ელემენტისა და ქრისტიანობის სინთეზით აღინიშნა, ბიზანტიაში ბერძნულენოვანი ელინურ – ელინისტური, ისევე როგორც სლავურ-აღმოსავლური ხალხების და ქრისტიანობის სინთეზით; • თურქულ-მონღოლური მომთაბარული ელემენტის პრევალირების მიუხედავად (რამაც ახლო და შუა აღმოსავლეთის დემოგრაფიული სურატი შეცვალა) ისლამურ სივრცეში ახლო და შუა აღმოსავლეთში სპარსულმა ელემენტმა საზოგადოებრივი ცხოვრების მმართველო-ბით, ყოფითსა და კულტურულ ასპექტებში უპირატესობა მოიპოვა.
ძალაუფლება	• განვითარებული შუა საუკუნეების დასავლეთისთვის ტიპური და განმასხვავებელია ორპულისოანობა და საერო და სასულიერო ხელისუფლების დაპირისპირება ძალაუფლებისთვის, მაშინ როცა ბიზანტიაში დიარხიის პრინციპი სულ უფრო ირღვევა და ცეზაროპაპიზმის პრევალირება შეინიშნება; • განვითარებული შუა საუკუნეებში ბიზანტიის მსგავსად ბიუროკრატიული აპარატი ჩამოყალიბება-დახვეწის პროცესი დასავლე-თის სახელმწიფოებშიც მიმდინარეობს, რომელსაც ხელისუფლების ცენტრალიზებული მართვის ბერკეტად არის გამოყენებული, აღმოსავლეთში კი ნომადი ხალხების მიერ დაპყრობილი სახელმწი-ფოებში სამოხელეო აპარატის შექმნისას ის სეგმენტი წინაურდება, ვისაც სახელმწიფოებრივი განვითარების დიდი ტრადიცია აქვს;

Draft copy

	• განვითარებულ შუა საუკუნეებში ძალაუფლების გადაცემის ფორმატი მემკვიდრეობით-დინასტიური პრინციპით განისაზღვრა, თუმცა ყველგან მკაცრად გამოხატული ხასიათი არ ჰქონდა და არც მაიორატის წესი იყო საყოველთაო; • შუა საუკუნეებში ძალაუფლების ხელდასხმის ამბიციებს მზარდი სასულიერო ხელისუფლება იჩენს, რისთვისაც აქტიურად იყენებს სხვადასხვა ტიპის რესურსებს (მორალური, ეთიკური, განათლების უპირატესობა..) • განვითარებულ შუა საუკუნეებში ისლამური სივრცეში უზენაესი ძალაუფლების მატარებლის – ხალიფას ინსტიტუტი რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლებას აერთიანებდა, დაკნინდა და ძალაუფლების ფლობის ერთპიროვნულობა დაკარგა.
ისტორიული მოვლენა/ პროცესი	• დასავლეთ ევროპაში მეორე გვირგვინისა და რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე ამბიციამ საბოლოოდ გარდაუვალი გახადა ერთიანი ქრისტიანული სივრცის პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივ-რელიგიური დაშორიშორება; • შუა საუკუნეები პირინეებს და ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნული ლაშქრობებისა და დიდი აზიური იმპერიების (თურქ-სელჩუკები, მონღოლები) ეპოქაა; • ბიზანტიური 'თანამეგობრობა'/ ბიზანტიური „იდეალი" აღმოსავლეთ ქრისტიანობისა და ბიზანტინიზმის ფენომენით გამსჭვალულ ხალხებს აერთიანებდა ქრისტიანთა მეუფე – ავტოკრატორი იმპერატორის დროშის ქვეშ; • შუა საუკუნეებში კავკასიის რეგიონი ცივილიზაციათა (მომთაბარე და ბინადარი) შეჯახების გზაჯვარედინს წარმოადგენდა , საქართველოს კულტურული ნიშა ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირით განისაზღვრა, თუმცა XII საუკუნე პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით საქართველოს ძლიერების ხანაა, რამაც მას დამოუკიდებლად პოზიციონირების საშუალება მისცა; • შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სივრცისთვის დამახასიათებელია საერო და სასულიერო დაპირისპირება, რამაც ამ სივრცის პოლიტიკური განვითარების ორპულისიანი განვითარების მოდელი შეიმუშავა, რომელიც არც ბიზანტიისთვის და მითუმეტეს არც ისლამური აღმოსავლეთისთვის ტიპური არაა. • აღმოსავლეთ რომის იმპერიაში წინა ისტორიულ მონაკვეთში შექმნილი რომის სამართლის რეცეფციებმა დასავლეთ ევროპის სივრცეში საერო სახელმწიფოს იდეის აღორძინებას შეუქმნა მყარი საფუძველი.

Don't copy

ისტორიის კურიკულუმი

თემატური მატრიცა (თავფურცელი, კომპლექსური დავალებები)

კლასი: XI **თემის სახელწოდება: შუა საუკუნეები** **საათების სავარაუდო რაოდენობა** **ძირითადი რესურსი:** **სახელმძვანელო**				
სამიზნე ცნება	ევროპა და ახლო აღმოსავლეთი ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში.	დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყაროს საზოგადოება.	ჯვაროსნული ომები და მონღოლთა იმპერია	წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ევროპაში
წყარო **სივრცე**	**ქვესაკითხი** • საღვთო რომის იმპერიის წარმოშობა • აბასიანთა სახალიფოს დაშლა • ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა • თურქ-სელჩუკთა იმპერიის ჩამოყალიბება და „დიდ სელჩუკ სულთანთა ეპოქა“ **ქვეცნება** ხელშეკრებულება, დოკუმენტები, ნარატიული წყაროები, მინიატურა, მოგზაურის ჩანაწერები, გობელინი აღმოსავლეთ ევროპა, მცირე და წინა აზია, მიგრაცია, იმპერია, სამეფო დომენი, საჰერცოგო, ფეოდი, ტერიტორიული ექსპანია			

Don't copy

საზოგადოება **დრო**		**ქვესაკითხი:** • შუა საუკუნეების ევროპული ქალაქები და ბრძოლა თვითმართველობისთვის • ფეოდალიზმი და ფეოდალური ურთიერთობები • საგანმანათლებლო კერები შუა საუკუნეებში • დიდი სქიზმა • ინვესტიტურისთვის ბრძოლა **ქვეცნება:** სამწევროვანი საზოგადოება, ვასალიტეტი, მესამე წოდება, კათოლიციზმი, მართმადიდებლობა, სამეურნეო კალენდარი, ეპოქა.		

Don't copy

ისტორიული მოვლენა/ პროცეს **წყარო**			**ქვესაკითხი** • ევროპა ჯვაროსნულ ლაშქრობამდე • პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა • მეორე და მესამე ჯვაროსნული ლაშქრობები • კონსტატინოპოლის აღება ჯვაროსნების მიერ • V–VIII ჯვაროსნული ლაშქრობა • მონღოლთა იმპერიის ჩამოყალიბება **ქვეცნება:** რელიგიური ომები, ზავი, ჯვაროსნული ორდენები, ლაშქრობები, ჩანაწერები, წერილები, ისტორიული თხზულებები, ეპიგრა-ფიკა.	

Don't copy

ძალაუფლება				: • ინლისში მეფისა და ბარონების ბრძოლა ძალაუფლებისთვის (პარალმენტის შექმნა) • გენერალური შტატების მოწვევა საფრანგეთში **:** მეფე, პარალამენტი, გენერალური შტატები, კანონები, გადასახადები.
კომპლექსური დავალება	რუკისა და განმარტებითი ბარათების შექმნა შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ.	მოგზაურის ჩანაწერების შექმნა დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს საზოგადოების შესახებ	ისტორიული თხზულების მომზადება ჯვაროსნული ომებისა და მონღოლთა იმპერიის დაპყრობითი ომების შესახებ.	სტატიის დაწერა ევროპაში წოდებრივ-წარმოამდგენლობითი ორგანოების შესახებ

Don't copy

თემა – შუა საუკუნეები

სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)

ქვეცნება: ხელშეკრებულება, დოკუმენტები, ნარატიული წყაროები, მინიატურა, მოგზაურის ჩანაწერები

სამიზნე ცნება – სივრცე (გარემო,ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)

ქვეცნება – ევროპა, მცირე და წინა აზია, მიგრაცია, იმპერია, სამეფო დომენი, საჰერცოგო, ფეოდი, ტერიტორიული ექსპანია

საკითხი – ევროპა და ახლო აღმოსავლეთი ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში.

საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა წარმოაჩინო რუკისა და განმარტებითი ბარათების საშუალებით, თუ როგორ ყალიბდებოდა ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყიში ევროპისა და ახლო აღმოავლეთის სახელმწიფოები?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი ხარ და იკვლევ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიას განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში (XI ს.). საკითხის შესწავლის პროცესში აღმოაჩინე ისტორიული წყაროები და გადაწყვიტე, გააანალიზო ისინი, მათზე დაყრდნობით შექმნა ისტორიული რუკა, რომელსაც თან ახლავს განმარტებითი ტექსტი. მათი საშუალებით გსურს, წარმოაჩინო, როგორ ყალიბდებოდა ამ გეოგრაფიულ სივრცეში იმდროინდელი სახელმწიფოები. რუკაზე აღნიშნე მნიშვნელოვანი ქალაქები, სახელმწიფო საზღვრები, ბრძოლის ადგილები და ხალხთა გადაადგილების მარშრუტი.

სამიზნე ცნებასთან/ ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;	**სივრცე** • იმსჯელოს, რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის ადამიანებზე; • დაახასიათოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის/ პერიოდის ადამიანების გეოგრაფიული ცოდნა;	**რუკასა და განმარტებით ბარათებში წარმოადგინე** • რა ტიპის წყაროებზე მუშაობა დაგეხმარა განვითარებული შუა საუკუნეების შესწავლის პროცესში და რამდენად სანდო და ობიექტურია ისინი მოვლენების წარმოჩენისას? იწვევს თუ არა ეს წყაროები აზრთა სხვადასხვაობას? **(წყარო: მკ 1,2,3 და 4)**

Don't copy

• კონკრეტულ ისტორიულგეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს. **სამიზნე ცნება – ისტორიული** **წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)** • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო, -ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის. • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	• აღნიშნოს, რა სახელით აღინიშნებოდა ესა თუ ის გეოგრაფიული არელი შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ ეპოქაში; რა სოციალური/ ეკონომიკური/ სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას. • **წყარო** • იმსჯელოს რა ტიპის წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის/ მოვლენის/პროცესის შესახებ; • იმსჯელოს რამდენად სანდოა მოცემული წყარო / წყაროები? • იმსჯელოს რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროს ინტერპრეტაციისას.	• როგორ გამოიწვია არახელსაყრელმა გეოგრაფიულმა გარემომ, სელჩუკთა მიგრაცია და რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს? **(სივრცე: მკ 1 და 3)** • რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნა (კორდობის სახალიფოს დაშლა, ბრიტანეთის ექსპანსია,ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა) და შეიძლება თუ არა, ის ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცედ ჩაითვალოს?რატომ? **(სივრცე: მკ 2)**

რესურსი : სახელმძვანელო, გვ: 7-41.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „რუკა“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას რუკის, რუკის ლეგენდისა და განმარტებითი ბარათების შესახებ.

Don't copy

რესურსი: [როგორ შევქმნა რუკა?]

რუკის ლეგენდა-რუკის თავისებური ენაა, რომლის დახმარებით რუკის შინაარსის წაკითხვაა შესაძლებელი. რუკაზე აგეგმაზე სხვადასხვა ობიექტი ან მოვლენა პირობითი აღნიშვნებით გამოისახება, რომელთა მნიშვნელობა რუკის რომელიმე კუთხეში ლეგენდის სახითაა განმარტებული

- რა არის რუკა?
- რა ტიპის რუკები არსებობს?
- რა არის რუკის ლეგენდა?
- რატომა საჭირო რუკის ლეგენდის შექმნა?
- რა ინფორმაციის მიღება შეგვიძლია რუკისა და ლეგენდის გაცნობის შემდეგ?
- როგორ უნდა შექმნა რუკა?
- რა პირობითი აღნიშვნები უნდა გააკეთო რუკაზე?
- როგორ აღნიშნავ რუკაზე მნიშვნელოვან ქალაქებს, სახელმწიფო საზღვრებს, ბრძოლის ადგილებს და ხალხთა გადაადგილების მარშრუტს?

კომპლექსური დავალება

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშავოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება: ხელშეკრებულება, დოკუმენტები, ნარატიული წყაროები, მინიატურა, გობელინი, იმპერია, სამეფო დომენი, საჰერცოგო, ფეოდი, ტერიტორიული ექსპანია

ქვესაკითხი:

- საღვთო რომის იმპერიის წარმოშობა
- ინგლისის სამეფოს ჩამოყალებება

რესურსი: სახელმძვანელო, გვ 6-15.

ნაბიჯი 1

- რა ტიპის წყაროებზე მუშაობა დაგეხმარა განვითარებული შუა საუკუნეების შესწავლის პროცესში და რამდენად სანდო და ობიექტურია ისინი მოვლენების წარმოჩენისას? იწვევს თუ არა ეს წყაროები აზრთა სხვადასხვაობას? **(წყარო: მკ 1,2,3 და 4)**
- რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნა (კორდობის სახალიფოს დაშლა, ბრიტანეთის ექსპანსია, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა) და შეიძლება თუ არა, ის ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცედ ჩაითვალოს? რატომ? **(სივრცე: მკ 2)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

Don't copy

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დამუშავებისათვის მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს, გვ 6-15, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ევროპაში ვერდენის ხელშეკერულების შემდეგ განვითარებული ისტორიული პროცესების შესახებ და საღვთო რომის იმპერიის ჩამოყალიბების შესახებ. პედაგოგი ეყრდნობა სახელმძვანელოს და მოსწავლეებთან ერთად იწყებს საკითხის დამუშავებას. გვ 6-8, რომელზეც წარმოდგენილია რუკა ვერდენის ხელშკრულების შესახებ და მინიატურები, რომელებიც მოსწავლეს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებაში. აღნიშნული რუკისა დამუშავების შემდეგ სახელმძვანელოში მოცემულია საღვრთო რომის შესახებ ინფორმაცია და რომელის უფრო მეტად წარმოსაჩენად მოცემულია რუკა. აღნიშნული საკითხის სიღმისეულად გააზრებისთვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალება.

- რომელი ისტორიული პროცესია რუკასა და ვიზუალურ წყაროზე ასახული? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, ვინ არიან შუა საუკუნეების მინიატურაზე გამოსახული?
- რატომ ახურავთ მინიატურის მარცხენა ნაწილში დახატულ ფიგურებს გვირგვინები?
- რომელი სამეფოებია რუკაზე დატანილი?
- შენი აზრით, რომელ მათგანს ჰქონდა ხელსაყრელი მდებარეობა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით? პასუხი დაასაბუთე
- როგორ ფიქრობ, არის თუ არა საკათედრო ტაძრის ვიტრაჟი ისტორიული წყარო? რის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას?
- რატომ მიიჩნეოდნენ რომის იმპერიის მემკვიდრეებად ბიზანტიის იმპერატორები?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი ოტო I-თვის, რომ რომის პაპს ეკურთხებინა იმპერატორად?
- შენი აზრით, რა სახის პრობლემებს შეუქმნიდა ოტო I-ის ხელისუფლებას იმპერიის ეთნიკური და სოციალურ-პოლიტიკური არაერთგვაროვნება?
- შენი აზრით, რატომ ემორჩილებოდა გერმანიის მოსახლეობა საკუთარ ჰერცოგებს უფრო მეტად, ვიდრე იმპერატორებს?
- შენი აზრით, რატომ ცდილობდა ოტო I დასაყრდენი სასულიერო ფენაში ეძებნა და არა ჰერცოგებსა და გრაფებში?

მოსწავლის რვეული, დავ. 1

- როგორ უნდა წარმოადგინო საკითხის გაანალიზების შემდეგ მიღებული ცოდა რუკისა და განმარტებითი ბარათის საშუალებით?

კითხვებსა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეულია სახელმძვანელოზე დაყრდნობით განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს ინფორმაცია. გვ : 10-12, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ოტო I-ისა და ოტო III შესახებ და ფრანკთა იმპერიის დაშლის შემდეგ განვითარებულ მოვლნებზე, რომლის უკეთ გასათავისებლად მასწავლბელს შეულია მოსწავლეებს შესათავზოს ისტორიული წყარო, მინიატურები და რუკა. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად შეუძლია გამოიყენოს სახელმძვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

Don't copy

- შენი აზრით, რატომ აწერიათ პირველი ნახატის გამოსახულებებს თავზე გეოგრაფიული სახელები?
- რა შინაარსის მატარებელია პირველი ნახატი?
- ნახატების მიხედვით იმსჯელე იმდროინდელ ჩაცმულობაზე. რით განსხვავდება მეფის სამოსი? ტანსაცმლისა და ატრიბუტების მიხედვით იმსჯელე იმპერატორის გარემოცვაზე.
- შენი აზრით, როგორ წარმოაჩენს ოტო III-ის საიმპერატორო ხელისუფლებას სახარებაში არსებული მინიატურა? იმპერატორის ქვეშევრდომებს? რატომ?
- რომელი ქალაქები მდებარეობდა სამეფო დომენში? როგორ ფიქრობ, ექნებოდათ მათ უპირატესობა სხვა ქალაქებთან შედარებით, პასუხი დაასაბუთე?
- შენი აზრით, ფართობისა და მდებარეობის მიხედვით რომელ საგრაფოს ჰქონდა უკეთესი მდგომარეობა? რატომ?
- იმსჯელე, როგორ განსაზღვრავდა გეოგრაფიული მდებარეობა საგრაფოების პოლიტიკას როგორც მეფესთან, ისე მეზობლებთან, მაგ., რა განსხვავებულ მდგომარეობაში იქნებოდნენ საფრანგეთის აღმოსავლეთსა და დასავლეთში მდებარე პოლიტიკური ერთეულები?
- შეადარე საფრანგეთის პოლიტიკური რუკა ფიზიკურს და ჩამოთვალე, რომელ საგრაფოში იქნებოდა განვითარებული მიწათმოქმედება. გაიხსენე შუა საუკუნეების მეურნეობის ხასიათი და იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა საგრაფოსთვის სამიწათმოქმედო დარგების განვითარებას.
- რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან დასავლეთ და აღმოსავლეთფრანკულ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესები: სახელმწიფოს სათავეში ახალი მეფეებისა და სამეფო საგვარეულოების მოსვლა; მეფის ძალაუფლების ხარისხი, დიდებულებთან ურთიერთობა?
- როგორ უნდა წარმოადგინო რუკასა და განმარტებითი ბარათების სშუალებით თუ როგორ ყალიბდება საღვთო რომის იმპერია?

ამ კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ: 13-15. რომელშიც წარმოდგენილი ინფორმაცია ინგლისის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ. საკითთხის უფრო მეტი თვალასაჩინოებისთვის პედაგოგს შეუძლია მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილოს სახლემძვნელოში წარმოდგენილ ფოტო სურათებზე და ისტორიულ რუკაზე, რომლის განხილვის შემდეგაც კი მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვების გამოყენებით.

- როგორ ფიქრობ, შეგვიძლია თუ არა XI საუკუნის ნაქარგობა ისტორიულ წყაროდ მივიჩნიოთ? რა თვალსაზრისით შეიძლება იყოს ის საინტერესო ისტორიკოსისთვის?
- რუკის მიხედვით ჩამოთვალე, რომელი ტერიტორია შევიდა უილიამ დამპყრობლის სამეფოში; კიდევ რომელი მიწების შემოერთება სცადა, მაგრამ უშედეგოდ?
- იმსჯელე, რამდენად მყარი იქნებოდა მეფის ხელისუფლება ინგლისში? რატომ დაურიგა უილიამმა ნორმანდიელ ბარონებს მიწები სხვადასხვა კუთხეში და არა ერთ რომელიმე მხარეში?
- რატომ იყო ინგლისში მეფესა და ადგილობრივ მმართველებს, მიწათმფლობელებს შორის საფრანგეთისა და გერმანიისგან განსხვავებული ვითარება?

Don't copy

- როგორ ჩამოყალიბდა ინგლისელი ერი და რა ეთნოკულტურული პროცესების შედეგია ის?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეებში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ მოწყობას მეფის ხელისუფლების სიმტკიცისთვის?
- როგორ უნდა წარმოადგინო რუკასა და განმარტები ბარათების პრეზენტაციის დროს ინგლის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ მიღებული ცოდნა?

ქვეცნება: ხელშეკრებულება, დოკუმენტები, ნარატიული წყაროები, მინიატურა, გობელინი, იმპერია, სამეფო დომენი, საჰერცოგო, ფეოდი, ტერიტორიული ექსპანია

ქვესაკითხი
- აბასიანთა სახალიფოს დაშლა
- არაბული ესპანეთი

რესურსი : სახელმძვანელო. გვ 16-24

ნაბიჯი 2
- რა ტიპის წყაროებზე მუშაობა დაგეხმარა განვითარებული შუა საუკუნეების შესწავლის პროცესში და რამდენად სანდო და ობიექტურია ისინი მოვლენების წარმოჩენისას? იწვევს თუ არა ეს წყაროები აზრთა სხვადასხვაობას? (წყარო: მკ 1,2,3 და 4)
- რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნა (კორდობის სახალიფოს დაშლა, ბრიტანეთის ექსპანსია,ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა) და შეიძლება თუ არა, ის ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცედ ჩაითვალოს?რატომ? (სივრცე: მკ 2)

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დამუშავებისათვის მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს, გვ 16-24, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია აბასიანთა სახელმწიფოს დაშლისა და არაბული ესაპანეთის შესახებ. პედაგოგი პარაგრაფზე დაყრდნობით იწყებს საკითხის დამუშავებას. გვ : 16-19, რომელშიც განხილული არაბთა სახალიფოს დაშლის პოცესი, უფრო მეტი თვალასაჩინოებისთვის პედაგოგს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს სახელმძვენლოში მოცემული რუკა. საკითხის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლი გამოიყნეოს მოცემული კითხვები და დავალებები.
- იმსჯელე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ: ა) არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული სახელმწიფოების მმართველ დინასტიებსა და სამოხელეო აპარატში ზოგში ადგილობრივი, ზოგში კი არაბული ელემენტი ჭარბობდა; ბ) ახლო და შუა აღმოსავლეთში საზოგადოებრივი ცხოვრების მმართველობით, ყოფით და კულტურულ ასპექტში უპირატესობა სპარსულმა ელემენტმა მოიპოვა

Don't copy

მოსწავლის რვეული, დავ. 2

- ერთმანეთს შეადარე აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკური სივრცეები. რატომ შეიცვალა ადრეული შუა საუკუნეების შემდეგ ორივე არეალში პოლიტიკური რუკა? რა პროცესებმა განაპირობა ეს ცვლილებები? რამდენად მსგავსია ან განსხვავებული ერთმანეთისგან ევროპასა და აზიაში მიმდინარე პროცესები?
- როგორ უნდა წარმოადგინო რუკასა და განმარტებით ბარათებში არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ განვითარებული ისტორიული მოვლნები და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შედეგად წარმოქმნილი ტერიტორიული ცვლილებები?

აღნიშნული კითრხვებისა და დავალების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განგრძოს საკითხსი დამუშავება გვ : 18-24, რომელშlც წარმოდგენილია ინფორმაცია არაბული ესპანეთის შესახებ, მეტი თვალსაჩინოებისთვის პედაგოგს შეუძლია მოსწავლეებს გააცნოს პარაგრაფში წარმოდგენილი იტორიული წყაროები, მინიატურები და ისტორიული რუკა, რომლის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სახელმძვანელოში მოცემული კითხვები და დავალებები.

- რა ინფორმაციას გვაწვდის მოყვანილი წყაროები არაბულ ესპანეთზე?
- რა თვალსაზრისით ავსებს წერილობით წყაროს მოყვანილი ვიზუალური წყაროები?
- რატომ არის ეს წყაროები ეპოქის რეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვანი?

მოსწავლის რვეული, დავ. 3

- ესპანურ სამეფოებს, მათ შორის კასტილიის სამეფოსა და მუსლიმურ სამთავროებს შორის მუდმივად ომი მიმდინარეობდა, მაგრამ კასტილიის სამეფო კარზე შექმნილ კრებულში ქრისტიანი და მუსლიმი ერთად არიან ჭადრაკის თამაშის დროს გამოსახული. იმსჯელე, რატომ?
- როგორ ფიქრობ, გავრცელდებოდა თუ არა არაბული ესპანეთის მიღწევები მეზობელ ესპანურ სამეფოებში?
- რა ინფორმაციას გვაწვდის მინიატიურები ალფონსო X-ის სამეფო კარზე?
- მინიატიურაზე გადმოცემული რომელი სიმბოლოები გვიქმნის წარმოდგენას კულტურული მრავლფეროვნების შესახებ? რატომ?
- ტექსტსა და მინიატიურაზე დაყრდნობით იმსჯელე, რა დამოკიდებულება ჰქონდათ არაბებსა და ესპანელებს რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ? პასუხი დაასაბუთე.
- რა წინააღმდეგობები არსებობდა პირენეს ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხებს შორის, რაც მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას უშლიდა ხელს?
- რატომ მიმდინარეობდა რეკონკისტა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ?
- რომელმა გეოგრაფიულმა ფაქტორებმა განაპირობა სამხრეთში არაბობის გახანგრძლივება?
- რა გავლენა მოახდინა არაბობამ პირენეს ნახევარკუნძულის განვითარებაზე?
- როგორ უნდა წარმოადგინო, რუკისა და განმარტებითი ბარათის პრეზენტაციისას პირენეის ნახევარკუნძლზე მიმიდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები და მისი მნიშვნელობა?

Don't copy

მოსწავლის რვეული, დავ. 4

- საზოგადოების რომელი სოციალური ფენის, რომელი წოდებების წარმომადგენლები იყვნენ კორტესებში გაერთიანებული?
- შენი აზრით, რატომ ჩამოყალიბდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ესპანეთის ქრისტიანულ სამეფოებში და არა მუსლიმურ სამთავროებში?
- რა მნიშვნელობა ექნებოდა საზოგადოებისთვის წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნას?

მოსწავლის რვეული, დავ. 5

- რომელმა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში დასავლეთ ევროპის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცის ფორმირება?

მოსწავლის რვეული, დავ. 6

ქვეცნება: ნარატიული წყაროები, ევროპა, მცირე და წინა აზია

ქვესაკითხი

- არაბთა სახალიფოს დაშლა
- ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა

რესურსი : სახელმძვანელო გვ : 25-32

ნაბიჯი 3

- რა ტიპის წყაროებზე მუშაობა დაგეხმარა განვითარებული შუა საუკუნეების შესწავლის პროცესში და რამდენად სანდო და ობიექტურია ისინი მოვლენების წარმოჩენისას? იწვევს თუ არა ეს წყაროები აზრთა სხვადასხვაობას? (წყარო: მკ 1,2,3 და 4)
- რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნა (კორდობის სახალიფოს დაშლა, ბრიტანეთის ექსპანსია,ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა) და შეიძლება თუ არა, ის ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცედ ჩაითვალოს?რატომ? (სივრცე: მკ 2)

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დამუშავებისათვის მასწავლებელი იყენებს სახელ-მძღვანელოს, გვ 26-34, რომელშიც
წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რა პროცესები მიმდინარეობდა არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ და როგორ ცდილობდა ბიზანტია აღმოსავლეთში უპირატესობის მოპ-ოვებას. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს გააცნოს გვ: 26-29, რომელიც შეეხება

Don't copy

ბიზანტიაში მაკედონელთა დინასტიის მოღვაწეობას. საკითხის უკეთ გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია მოსწავლეების წინარე ცოდნის გააქტიურებისა და ცოდნის კონსტრუირებისთვის გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები.

- გაიხსენე, რომელი ტერიტორია დაკარგა ბიზანტიამ არაბთა ლაშქრობების შემდეგ. როგორ ფიქრობ, შეეცდებოდა თუ არა აბასიანების სახალიფოს დაშლის შემდეგ ბიზანტია მიწების დაბრუნებას?
- თავის დროზე არაბთა დაპყრობებს თან სდევდა დამორჩილებული ხალხების ისლამიზაცია და არაბიზაცია. როგორ ფიქრობ, რამდენად იქნებოდა შესაძლებელი ბიზანტიის მიერ ისეთი რეგიონის დაბრუნება, სადაც მოხდა როგორც ისლამიზაცია, ისე არაბიზაცია, მაგ., ეგვიპტის?
- რატომ იყო დაინტერესებული იმპერატორი გლეხების უფლებების დაცვით? რა მიზანს ისახავდა კანონი?
- რატომ გახდა იძულებული, იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი მსგავსი კანონი მიეღო და იმსჯელე, რამდენად ეფექტური იქნებოდა ის მიზნის მისაღწევად?
- წყაროების მიხედვით, ბიზანტიურ საზოგადოებაში რომელი სოციალური ფენა იყო იმპერატორის დასაყრდენი?
- კიდევ რას (რესურსებს/ინსტიტუციებს) ეფუძნებოდა იმპერატორის ძალაუფლება ბიზანტიაში?
- ერთმანეთს შეადარე ბიზანტიასა და ინგლისში არსებული ის მოდელები, რომლებიც მეფის, იმპერატორის ძალაუფლების განმტკიცების მიზნით შეიქმნა. იმსჯელე, მათი ეფექტურობის შესახებ. როგორ ფიქრობ, რა რისკები შეიძლება ჰქონოდა თითოეულ მოდელს?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ კავკასიის რეგიონს ბიზანტიისთვის ადრეულ შუა საუკუნეებში? მოიყვანე მაგალითები, როგორ იყენებდა მას ბიზანტია საკუთარი ინტერესებისთვის.
- რა შედეგი მოჰყვა საქართველოსთვის არაბთა სახალიფოს დასუსტებას? როგორ შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკა?
- რა როლი შეასრულა ბიზანტიამ ტაო-კლარჯეთის ჩამოყალიბებაში?
- რატომ ატარებდნენ ტაო-კლარჯეთის მთავრები ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს?
- მოიყვანე ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის ურთიერთობიდან ბიზანტიის დიპლომატიის დასახასიათებლად მაგალითები, როგორ იყენებდა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ტაოელ თუ კლარჯ ბაგრატიონებს შორის დაპირისპირებას.
- გაიხსენე, რატომ და რა პირობით გადასცა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ დავით III კურაპალატს საჩუქრად მიწები და შემდეგ რატომ მოსთხოვა უკან დაბრუნება?
- გაიხსენე, რატომ, რომელი სამფლობელოსთვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II და საქართველოს მეფე გიორგი I. რატომ იყო ეს ტერიტორია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი? რა შედეგით დასრულდა ეს დაპირისპირება და როგორ შეიცვალა როგორც საქართველოს, ისე ბიზანტიის საზღვრები?
- რომელი ტერიტორია წარმოადგენდა ბიზანტიის პოლიტიკური ინტერესის სფეროს და რა იყო ამის მიზეზი?
- როგორ უნდა წარმოადგინო რუკასა და განმარტებით ბარათებში თუ რა პროცესები მიმდინარეობდა აღმოსავლეთში არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ?

Don't copy

აღნიშნული კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ : 28-32, რომელშიც წარმოდგენილი ინფორმაცია ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის შესახებ. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის პედაგოგს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს სახელმძვანელოში წარმოდგენილი ისტორიული წყაროები და რუკები. საკითხის საფუძვლვინად გასააზრებლად კი მასწავლებს შეულია მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- რატომ უნდა ჰქონოდა ასეთი მტკიცე და დიდი გალავანი ქალაქ ანისს? რაზე მეტყველებს ანისის გალავნის ნანგრევები? გამოთქვი მოსაზრებები, რატომ შეიძლებოდა, ანისი ბიზანტიისთვის მნიშვნელოვანი მონაპოვარი გამხდარიყო?
- შენი აზრით, რატომ გადასცა სენექერიმმა ბასილს ციხესიმაგრეები?
- რატომ ჩაასახლა ბასილიმ ციხეებში თავისი მეომრები? რა წარმოადგენდა ბიზანტიის პოლიტიკური ინტერესის სფეროს და რა იყო ამის მიზეზი?
- ქვემოთ მოცემულია X საუკუნის შუა ხანების ბიზანტიის მცირეაზიული თემებისა და XI საუკუნის ბიზანტიის რუკები. შეადარე ისინი ერთმანეთს და ჩამოთვალე ის თემები, ტერიტორიები, რომლებიც დაემატა ბიზანტიას ამ ხნის განმავლობაში.
- შენი აზრით, რატომ ითვლებოდა აღმოსავლეთის თემები ბიზანტიის იმპერიის მთავარ დასაყრდენად? რა მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიისთვის ამ თემებში სტაბილურობის შენარჩუნებას?
- როგორ შეიცვალა ადრეული შუა საუკუნეებიდან ბიზანტიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მეზობელი?
- რა საფრთხეები არსებობდა ბიზანტიისთვის ჩრდილოეთის საზღვრებთან და ამ თვალსაზრისით, რა სტრატეგიულ მნიშვნელობას შეიძენდა ბულგარეთი?
- რუკის მიხედვით, მაკედონელთა მმართველობის პერიოდში რომელი ზღვები იქნებოდა ბიზანტიის გავლენის სფეროში და რატომ იყო ამ ზღვების კონტროლი მნიშვნელოვანი?
- იმსჯელე, ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაზე მაკედონელთა მმართველობის პერიოდში. როგორ ფიქრობ, მოცემულ ეტაპზე არსებობდა თუ არა რამე საფრთხე იმპერიისთვის? შენი აზრით, როგორ უნდა განვითარებულიყო იმპერიის საგარეო პოლიტიკა მომავალში და რა უნდა ყოფილიყო მისი წარმატების საწინდარი?
- გაიხსენე, როგორ ჩამოყალიბდა ადრე შუა საუკუნეებში ქრისტიანული კულტურა? რა ნიშნები ახასიათებდა მას და რატომ იყო სიახლე ანტიკურობის აღორძინება?
- როგორ უნდა წარმოადგინო რუკისა და მისი განმარტებითი ბარათების საშუალებით თუ როგორ შეიცვალა სახელმწიფოთა საზღვრები და პოლიტიკური მდგომარეობა ბიზაანტიის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურების შემდეგ?

ქვეცნება: მცირე და წინა აზია, მიგრაცია, იმპერია

ქვესაკითხი

- თურქ-სელჩუკთა იმპერიის ჩამოყალიბება და „დიდ სელჩუკ სულთანთა ეპოქა“

რესურსი: სახელმძვანელო, გვ: 33-41.

Don't copy

ნაბიჯი 4

- როგორ გამოიწვია არახელსაყრელმა გეოგრაფიულმა გარემომ, სელჩუკთა მიგრაცია და რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს? **(სივრცე: მკ 1 და 3)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დამუშავებისათვის მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს, გვ: 35-41. რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია თურქ-სელჩუკთა იმპერიისა და მათი დაპყრობითი ომების შესახებ. პედაგოგს შეუძლია საკითხის განხილვა დაიწყოს გვ: 35-37, რომელიც შეეხება თუქ-სელჩუკთა მიგრაციას, იმპერიად ჩამოყალიბებისა თორღუ ბეგის სულტნობის პერიოდს. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის პედაგოგს შეუძლია გააცნოს პარგრაფში წარმოდგენილი ისტორიული წყაროები და ფოტოები, რომელთა დამუშავებისთვისაც გამოიყენოს სახელმძვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- როგორ ფიქრობ, რა იქნებოდა ამ რეგიონში მცხოვრები ხალხის საქმიანობა? რა გავლენას მოახდენდა ეს კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო აქ მცხოვრები ხალხების ცხოვრების წესსა და საქმიანობაზე?
- გაიხსენე ისტორიიდან ხალხთა მიგრაციის მაგალითი. რა შედეგით დასრულდა ეს პროცესი?
- რა საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა ბიზანტიას, თუ პაჭანიკები თრაკიას დაიკავებდნენ?
- სად ცხოვრობდნენ ყივჩაღები და რატომ გაერთიანდნენ ისინი ბიზანტიელებთან პაჭანიკების წინააღმდეგ?

მოსწავლის რვეული, დავ. 7

- იმსჯელე, რატომ არ ჩამოაყალიბეს ოღუზებმა იმ რეგიონში სახელმწიფო, სადაც მოსახლეობდნენ და რატომ დაიწყეს მიგრაცია?
- რატომ შეეშინდა მასუდს ხორასნის დაკარგვის და რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ ოლქს ღაზნევიანთა სახელმწიფოსთვის?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა სელჩუკებისთვის ნიშაბურის, ბაღადადის დაკავებას?
- დააკვირდი თანამედროვე მხატვრის მიერ რეკონსტრუირებულ ბაღდადის გეგმას. როგორ იყო ქალაქი დაგეგმარებული? გამოთქვი ვარაუდი, რა მნიშვნელობა ექნებოდა მდინარეს ქალაქის ცხოვრებაში? რაზე მეტყველებს ქალაქის ირგვლივ დამუშავებული მიწების რაოდენობა? იმსჯელე, შეცვლიდა თუ არა ნაყოფიერი მიწებისა და სავაჭრო ქალაქების დაკავება სელჩუკების ცხოვრების წესს.
- ევროპის ისტორიიდან გაიხსენე საერო და სასულიერო ხელისუფალთა ურთიერთობის ანალოგიური მაგალითები, როცა საერო ხელისუფალმა ლეგიტიმაცია სასულიერო პირისგან მიიღო და შეადარე ეს პროცესები ერთმანეთს.

Don't copy

- როგორ ფიქრობ, არის თუ არა XIII საუკუნის ეს ირანული მინიატიურა ისტორიული წყარო? პასუხი დაასაბუთე. რის შესახებ გვაწვდის ის ინფორმაციას?
- როგორ უნდა წარმოადგინო რუკასა და განმარტებით ბარათებში თურქ-სელჩუკთა იმპერიის ჩამოყალიბების შემდეგ განვითარებული ისტორიული პროცესები მათი დაპყრობითი ომების საწყისი პერიოდი?

აღნიშნული კითხვებისა და დავალების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განაგრძოს საკითხის განხილვა გვ: 37-41, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ალფ-არსლანის სულთნობის ხანაში თუქ-სელჩუკთა დაპურომითი ომების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრრებლად პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს სახელმძვანელოში მოცემული კითხვები და დავალებები.

- აღწერე მინიატურაზე გამოსახული ამბები და ახსენი რას უნდა ნიშნავდეს წინა პლანზე არსებული გამოსახულება?
- რამდენად შეესაბამება წერილობით წყაროებში აღწერილი ამბავი ილუსტრაციაზე გამოსახულს და სანდოა თუ არა მინიატურაზე გადმოცემული ინფორმაცია?
- რა ტიპისაა მოყვანილი ისტორიული წყაროები? პირველადია თუ მეორეული? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რამდენად სანდოა მოყვანილი წყაროები?
- რით განსხვავდება ერთმანეთისგან წყაროების მონათხრობი?
- რა არის მომხდარი მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციის მიზეზი?
- რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროების ინტერპრეტაციისას?

მოსწავლის რვეული, დავ. 8

- დააკვირდი თურქ-სელჩუკთა რუკას. რა ტერიტორია დაკარგა ბიზანტიამ მანასკერტის ბრძოლის შემდეგ? რა მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიისთვის ამ რეგიონის დაკარგვას?
- გაიხსენე, აბასიანთა სახალიფოს დაშლის შემდეგ როგორი იყო წინა აზიის პოლიტიკური რუკა და როგორ შეიცვალა ის თურქ-სელჩუკთა დაპყრობების შემდეგ?
- რა გავლენას მოახდენდა საქართველოზე წინა აზიაში მომხდარი მოვლენები?
- შეაჯამე, როგორ შეცვალა წინა აზიის ეთნიკური სურათი თურქ-სელჩუკთა ლაშქრობებმა. გაიხსენე, რა შედეგები მოჰყვა ადრეულ შუა საუკუნეებში წინა აზიაში არაბთა სახალიფოს შექმნას?
- ადრეულ შუა საუკუნეებში რომელი დიდი იმპერიების შემადგენლობაში იყო მოქცეული წინა აზია ან წინა აზიის უდიდესი ნაწილი? რა თანამიმდევრობით შეცვალეს მათ ერთმანეთი და რა გავლენა მოახდინეს რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე?
- როგორ უნდა წარმოადგინო რუკასა და განმარტებით ბარათში სელჩუკთა დაპყრობითი ომები და და ბიზანტიასთან დაპისპირების შედეგეგები?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

Don't copy

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს რუკისა და განმარტებითი ბარათების მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი არის რუკა?

ახსენი, რატომ შექმენი რუკა და განმარტებითი ბარათები? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავით ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვინ და როგორ დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდით თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელით კონფლიქტის დარეგულირება?

Draft copy

- წააწყდით თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიეთ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?

- შეხვდით თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელით თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზეთ რა წესებს/კანონებს იცავდით და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? (მაგალითად, რამდენად მოახერხეთ აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავით პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში)?
- რით დაგეხმარათ მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს თქვენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

Don't copy

სამიზნე ცნება: საზოგადოება **(ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)**

ქვეცნება: სამწევროვანი საზოგადოება, ვასალიტეტი, მესამე წოდება, კათოლიკობა, მართლმადიდებლობა.

სამიზნე ცნება: დრო (ისტორიული პერიოდი) **(ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)**

ქვეცნება: სამეურნეო კალენდარი, ეპოქა

საკითხი: დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყაროს საზოგადოება.

საკვანძო შეკითხვა: როგორ უნდა წარმოადგინო მოგზაურის ჩანაწერების საშუალებით შუა საუკუნეების დასავლეთ და აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში განვითარებული ისტორიული პროცესები და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ცხოვრობ და პაპის ლეგატი ხარ, რომელსაც დიპლომატიური მისიით უწევს მოგზაურობა დასავლეთ ევროპის მიწებზე და ბიზანტიის იმპერიაში. მოგზაურობის პერიოდში ეწვიე ფეოდალთა სამფლობელოებს, თვითმმართველ ქალაქებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მომსწრე გახდი მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესებისა, რომლებმაც ევროპის საზოგადოების ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა. გადაწყვიტე, რომ ლეგატობის პერიოდში მიღებული შთაბეჭდილებები და ინფორმაცია ფართო საზოგადოებას გაუზიარო. ამისთვის კი უნდა გამოაქვეყნო მოგზაურის ჩანაწერები.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
სამიზნე ცნება – საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) • ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს საერთო ნიშნები ახასიათებდა: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; • საზოგადოება უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად იყოფა; • პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; • საზოგადოების წევრებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ მრავალფეროვნების მიმართ.	**საზოგადოება** • აღწეროს შესაბამისი პერიოდის ადამიანების იდენტობის საშუალებები; მათი საერთო ინტერესები და საზრუნავი; • აღწეროს, რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შესაბამისი პერიოდის საზოგადოება; • იმსჯელოს, ჰქონდათ თუ არა სტერეოტიპული წარმოდგენები ამ ისტორიულად არსებული საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებების მიმართ.	**ჩანაწერებში თვალნათლივ უნდა წარმოადგინო:** • რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოება და რა როლს ასრულებდა რელიგია საზოგადოებრივი ფენების კონსოლიდაციის პროცესში? **(მ. წ. 2 და 3: საზოგადოება)** • როგორი იყო შუა საუკუნეების ევროპაში არსებული სოციალური ფენების ინტერესი, საზრუნავი, ქცევის წესები და რა ურთიერთობები არსებობდა მათ შორის? **(მ. წ. 1: საზოგადოება)** • რატომ იყო სქიზმა გარდამტეხი მოვლენა და რა ცვლილებები მოხდა დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში 1054 წლის შემდეგ? **(მ. წ. 1 და 2: დრო)**

Don't copy

სამიზნე ცნება – დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6) • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა.	**დრო** • აღწეროს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული პერიოდის მახასიათებლები და მათი მიმართება სხვა ისტორიულ ეპოქებთან/ პერიოდებთან; • იმსჯელოს, როგორ აღრიცხავდნენ დროს და აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას შესწავლის ობიექტად შერჩეულ დროში მცხოვრები ადამიანები.	• როგორ და რატომ იცვლებოდა შუა საუკუნების ევროპის საზოგადოების დამოკიდებულება საუნივერსიტეტო წრეების მიმართ? **(მ. წ. 4: საზოგადოება)** • როგორ და რატომ იყო დაკავშირებული კალენდარი სამეურნეო საქმიანობასა და რელიგიურ დღესასწაულებთან შუა საუკუნეების ევროპაში? **(მ. წ. 3: დრო)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 43-82

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „პირადი ჩანაწერები“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას პირადი ჩანაწერების შესახებ.

რესურსი:

მოგზაურის ჩანაწერები – როგორც ლიტერატურული ჟანრი, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდება, განსაკუთრებულ პოპულარულობას კი XIX საუკუნის პირველ ნახევარში იძენს. „მოგზაურის ჩანაწერების“ გმირი რეალურ გეოგრაფიულ გარემოში მოგზაურობს და თავისებურად მოიაზრებს ნანახსა და განცდილს, გადმოგვცემს პირად დამოკიდებულებას აღწერილი მოვლენების მიმართ.

- როდის ყალიბდება მოგზაურობის ჩანაწერები, როგორც ლიტერატურული ჟანრი?
- რა უნდა აღწერო ჩანაწერებში?
- როგორი ტერმინოლოგია უნდა გამოიყენეო ჩანაწერების წერის დროს?
- რა განასხვავებს ჩანაწერებს დღიურისგან?
- რა სტრუქტურა უნდა გამოიყენო ჩანაწერების დროს?
- რატომ არის ისტორიის რეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვანი პირადი ჩანაწერების გაცნობა?

კომპლექსური დავალება

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ;
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

Don't copy

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება – სამწევროვანი საზოგადოება, ვასალიტეტი, მესამე წოდება, კათოლიკობა, მართლმადიდებლობა, სამეურნეო კალენდარი, ეპოქა.

ქვესაკითხი: შუა საუკუნის ქალაქები და ქალაქური ცხოვრება.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 43-72

ნაბიჯი 1

- რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოება და რა როლს ასრულებდა რელიგია საზოგადოებრივი ფენების კონსოლიდაციის პროცესში? **(მ. წ. 2 და 3: საზოგადოება)**
- როგორი იყო შუა საუკუნეების ევროპაში არსებული სოციალური ფენების ინტერესი, საზრუნავი, ქცევის წესები და რა ურთიერთობები არსებობდა მათ შორის? **(მ. წ. 1: საზოგადოება)**
- როგორ და რატომ იყო დაკავშირებული კალენდარი სამეურნეო საქმიანობასა და რელიგიურ დღესასწაულებთან შუა საუკუნეების ევროპაში? **(მ. წ. 3: დრო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
დასახელებული კრიტერიუმების დამუშავებისათვის მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს გვ. 43-59-ს, სადაც მოცემულია ინფორმაცია ევროპაში არსებული სამწევროვანი საზოგადოების შესახებ. საკითხის განხილვის პროცესში მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში არსებული კითხვები და დავალებები. პედაგოგი მოსწავლეებს გააცნობს 43-46-ე გვერდებს.

- როგორ ხსნის წყარო ა) ქალაქ ბრიუგეს დაარსების მიზეზს?
- გაიხსენე, როგორი იყო ფეოდალური მეურნეობა? როგორ ცხოვრობდნენ ფეოდალის მამულში გლეხები? რა ვალდებულებებს ასრულებდნენ? ვინ ამზადებდა მათთვის საჭირო იარაღებს? ნივთებს?
- წყარო ა)-ს მიხედვით ციხესიმაგრეების მცხოვრებლები უფრო ხარისხიანი ნივთების
- საყიდლად ციხის გარეთ, ხიდთან, ჩადიოდნენ. როგორ ფიქრობ, ციხესიმაგრესთან ბაზრის გაჩენა, შემდეგ კი იქ ვაჭრებისა და ხელოსნების დასახლება რა გავლენას მოახდენდა ციხესიმაგრის მეურნეობაზე?
- შენი აზრით, რა აიძულებდა ადამიანებს, დაეტოვებინათ ძველი საცხოვრისი და ქალაქში გადასახლებულიყვნენ?
- რა გავლენას მოახდენდა ეკონომიკის ზრდა ქალაქის მოსახლეობაზე?
- რა თანამედროვე ტერმინს გამოიყენებდი ქალაქის მოსახლეობის ზრდის აღსანიშნავად? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ პროცესს?

Don't copy

- რა პრობლემების წინაშე აღმოჩდებოდა ქალაქის მოსახლეობა იმის გამო, რომ მიწა გაბატონებული წოდებების წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ?

მოსწავლის რვეული, დავ. 9.

- როგორ და რატომ ზრუნავდნენ სახელოსნოები საკუთარი პროდუქციის ხარისხზე?
- შენი აზრით, რატომ უნდა ჰყავდეს ხელოსანს მხოლოდ ერთი უცხო შეგირდი,
- როცა ნათესავ შეგირდებზე შეზღუდვა არ აქვს დაწესებული? რას შეიძლება არეგულირებდეს ეს წესი?
- გამოთქვი ვარაუდი, რატომ უკრძალავს წესდება ოქრომჭედელს ღამე მუშაობას?
- როგორი სტრუქტურა აქვს ამქარს? რას ეფუძნება ამქარში იერარქია? რით განსხვავდება ფეოდალური იერარქიისგან?
- როგორ ზრუნავდა ამქარი თითოეული წევრის თანაბარ მდგომარეობაზზე?
- წესდებიდან გამომდინარე, შენი აზრით, რატომ იქმნებოდა ამქრები?
- როგორ უნდა წარმოადგინო პირადი ჩანაწერების გამოყენებით შუა საუკუნეების ევროპის სამწევროვანი საზოგადების არსი?

ამ კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, პარაგრაფზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 46-48-ზე წარმოდგენილია წარმოდგენილია ინფორმაცია, შუა საუკუნეების ვეროპაში წარსებული სავაჭრო ურთიერთობების შესახებ საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- შენი აზრით, რატომ არსებობდა საქონლის გაყიდვის გარკვეული განრიგი?
- რა ფაქტორები უწყობდა ხელს ბაზრების წარმოშობას?
- რატომ იყვნენ დაინტერესებული სენიორები ბაზრების მფარველობით?
- რა იყო შუა საუკუნეებში ძირითადი სავაჭრო პროდუქცია? შეადარე თანამედროვე ბაზარს. იმსჯელე, რა პრობლემების წინაშე იდგებოდნენ შუა საუკუნეების ვაჭრები?
- წყაროს მიხედვით, რა პრინციპით მოქმედებს ვაჭართა კორპორაცია და რა არის მათი
- გაერთიანების საფუძველი?
- შენი აზრით, რატომ კრძალავს ჰანზა ფლანდრიელებთან ერთად საქმიანობას?
- შენი აზრით, რა პროცესია ასახული მინიატურაზე? შეეცადეთ გააცოცხლოთ სურათი და წარმართოთ დიალოგი, რომელიც ნახატზე ასახულ სცენაზე გაიმართებოდა.
- იმსჯელე, ვაჭრების როლზე ვენეციის საზოგადოებაში. ერთმანეთს შეადარე ფეოდალური საზოგადოების ორი წევრი – ვაჭარი და ჰერცოგი.

მოსწავლის რვეული, დავ. 10.

- რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი იტალიის ტერიტორიაზე მსხვილი სავაჭრო ქალაქების წარმოშობას?
- რას გეუბნება სავაჭრო პროდუქცია ევროპის საზოგადოების მოთხოვნილებებზე?

- ევროპაში შემოტანილი პროდუქციიდან გამომდინარე იმსჯელე, როგორი იყო სავაჭრო მარშრუტები, რომელი ტერიტორიებიდან შემოჰქონდათ გასაყიდი საქონელი?

Don't copy

მოსწავლის რვეული, დავ. 11.

- როგორ უნდა წარმოადგინო პირადი ჩანაწერებში შუა საკუნეებში არსებული სავაჭრო ურთიერთობების არსი?

ქვეცნება – სამწევროვანი საზოგადოება, ვასალიტეტი, მესამე წოდება, კათოლიკობა, მართლმადიდებლობა, სამეურნეო კალენდარი, ეპოქა.

ქვესაკითხი: ფეოდალიზმი და ფეოდალური ურთიერთობები.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 49-59

ნაბიჯი 1

- რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოება და რა როლს ასრულებდა რელიგია საზოგადოებრივი ფენების კონსოლიდაციის პროცესში? **(მ. წ. 2 და 3: საზოგადოება)**
- როგორი იყო შუა საუკუნეების ევროპაში არსებული სოციალური ფენების ინტერესი, საზრუნავი, ქცევის წესები და რა ურთიერთობები არსებობდა მათ შორის? **(მ. წ. 1: საზოგადოება?**
- როგორ და რატომ იყო დაკავშირებული კალენდარი სამეურნეო საქმიანობასა და რელიგიურ დღესასწაულებთან შუა საუკუნეების ევროპაში? **(მ. წ. 3: დრო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

აღნიშნული კრიტერიუმების დამუშავებს პროცესში პედაგოგს შეუძლია დაეყრდნოს პრარაგრაფში წარმოდგენილ მასალას და მოსწავლეებს განსახილველად შესტავაზოს გვ.: 49-51, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცა ფეოდალიზმისა და სამწევროვანი საზოგადოების შესახებ, რომლის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია დაეყრდნოს პარაგრაფში მოცემულ კითხვებს და დავალებებს.

- როგორ და რატომ განსაზღვრავდა შუა საუკუნებში მიწა ადამიანის სოციალურ სტატუსს?
- შენი აზრით, რატომ იმართებოდა ცერმონიალი ვასალისათვის ფეოდის გადაცემის დროს?
- შენი აზრით, რომელი წოდების წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ „სამი წოდების თეორიის“ შემოქმედნი? რატომ ფიქრობ ასე?
- რატომ იყო „პირველი წოდება“ სასულიერო ფენა? როგორ გესმის, ეკლესიის როლი შუა საუკუნეების ევროპაში?
- რა წარმოდგენას გვიქმნის მინიატურა შუა საუკუნეებში გლეხების ყოფაზე? შეეცადე მინიატურიდან დეტალურად ამოკრიბო ყველა სახის ინფორმაცია, რასაც მინიატურა, როგორც ისტორიული წყარო გვაწვდის.
- მოყვანილი წყაროებიდან რომელი ეხება ყმა და რომელი თავისუფალ გლეხებს? პასუხი დაასაბუთე.

Draft copy

- წყარო ა)-ს მიხედვით გლეხების მიერ შესრულებული სამუშაოები დააჯგუფე ვალდებულებების მიხედვით.
- წყარო ა)-დან გამომდინარე, რის მიხედვით განისაზღვრება გლეხების ვალდებულებების თანამიმდევრობა? მაგ., რატომ უნდა მომკან პური აგვისტოში, გამართონ ბაზრობა სექტემბერში ან ჩააბარონ ქათმები შობის დღეს? რაზეა დამოკიდებული გლეხის კალენდარი?
- როგორ ფიქრობ, ასეთივე კალენდრით ისარგებლებდნენ საზოგადოების სხვა წევრებიც? პასუხი დაასაბუთე.
- როგორი მეთოდებით ცდილობდა მმართველი ფენა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებას?
- რა განასხვავებს შუა საუკუნეების თავისუფლებაშეზღუდულ გლეხს მონის მდგომარეობისგან?

მოსწავლის რვეული, დავ. 12.

- როგორ უნდა წარმოადგინო პირად ჩანაწერებში ფეოდალიზმის არსი და სამწეროვანი საზოგადეობის უფლებრივ-მოვალეობითი მდგომარეობა?

აღნიშნული კითხვებისა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია სახელმძვანელოზე დაყრდნობით განგრძოს საკითხის დამუშავება გვ.: 52-59, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ფეოდალური ურთიერთობების შესახებ. საკითხის გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესათავაზოს პარაგრაფში წარმოდგენილი კითხვები და დავალებები.

- რა იყო დასავლეთ ევროპაში ფეოდალური ურთიერთობების განვითარების მიზეზები?
- რომელი ჯგუფები გამოიყოფოდა სენიორთა ფენაში და რა მსგავსებაგანსხვავება იყო მათ შორის?
- დაუბრუნდი პარ. 5-ის ა) და ბ) წყაროს და ამჯერად, ისინი ბიზანტიაში მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესის ფონზე განიხილე.

მოსწავლის რვეული, დავ. 13.

- როგორ არის ხელნაწერში წლის განმავლობაში დრო დაყოფილი?
- რას უკავშირდება თითოეული მინიატიურა და რა ნიშნის მიხედვით შეგვიძლია მათი დაჯგუფება?
- შეგვიძლია, მინიატიურების მიხედვით ვიმსჯელოთ, როგორ აღიქვამდა ჰერცოგი დროს?
- რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლებია მინიატურაზე გამოსახული? რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატები მათ ურთიერთობებსა და ყოფაზე?
- რა ინფორმაციას გვაწვდის მინიატურები ქალისა და კაცის მდგომარეობის შესახებ?

მოსწავლის რვეული, დავ. 14.

- იმსჯელე, როგორ შეიძლება სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის განსხვავებული იყო დროის აღქმა?

Don't copy

- რატომ უკავშირებდნენ შუა საუკუნეებში დროის აღრიცხვას სამეურნეო ცხოვრებას?
- გაიხსენე, როგორ აღრიცხავდნენ დროს შუა საუკუნეებში ისტორიულ თხზულებებსა თუ საეკლესიო ლიტერატურაში.
- რაზე მეტყველებს, რომ რაინდად კურთხევის ცერემონია ქრისტიანული ტრადიციის ჩარჩოშია მოქცეული?
- რას გეუბნება კურთხევის ცერემონიალზე გამოყენებული სიმბოლიკა რაინდის ცხოვრების წესის შესახებ?
- შენი აზრით, რატომ ეკრძალებოდათ მკაცრად რაინდებს მესამე წოდების ადამიანებზე (გლეხები, ვაჭრები) თავდასხმა?
- რა საფრთხე შეიძლება შეექმნა ევროპის საზოგადოებისთვის მრავალრიცხოვან, კარგად გაწვრთნილ რაინდთა ფენას, რომელსაც მკაფიო მიზანი და სტაბილური ეკონომიკური შემოსავალი არ ჰქონდა?
- რა ინფორმაციას გვაწვდის შუა საუკუნეების ნახატები რაინდების შესახებ? როგორია რაინდთა სამოსელი და აღჭურვილობა?
- წარმოიდგინე, რომ არქეოლოგი ხარ და შუა საუკუნეების ციხესიმაგრის შესწავლის დროს გამოსახულებებიანი მოსასხამი იპოვე. რა კითხვებზე პასუხის მიღებას შეეცდები ამ არტეფაქტის დახმარებით?
- შენი აზრით, რა მნიშვნელობა და დანიშნულება ჰქონდა რაინდებისთვის ტურნირებს?
- შენი აზრით, რაინდული კოდექსი ყველა ევროპულ ქვეყანას თავისებური ჰქონდა თუ ის საერთო იყო?
- რამდენად სამართლიანად მიგაჩნია ის ფაქტი, რომ რაინდის ბედი სიუზერენის ხელში იყო? პასუხი დაასაბუთეთ

მოსწავლის რვეული, დავ.15.

- შენი აზრით, რატომ ავალდებულებს რაინდს ერთ-ერთი მუხლი, რომ თავაზიანი იყოს კეთილშობილი ქალების მიმართ და არა ზოგადად ქალების მიმართ?
- ივარაუდე, ქალის ლირიკული ასახვა ლიტერატურაში იქნებოდა თუ არა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის სოციალური როლის ცვლილების შედეგი? პასუხი დაასაბუთე.
- რატომ არის რობერ დე ბლუას ნაწარმოები საინტერესო ისტორიული წყარო?
- რას გვეუბნება წყარო ქალბატონების ქცევის წესებზე?
- რაზე მეტყველებს რობერ დე ბლუას „კარგი ტონი ქალბატონებისთვის“? წყაროს მიხედვით იმსჯელე, რამდენად თანასწორი იყვნენ კაცები და ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- პარაგრაფის მიხედვით შეადგინე ევროპის შუა საუკუნეების ძირითადი ნიშნების სქემა.
- შეადარე რობერ დე ბლუას ქალთა ქცევის წესები თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ ეტიკეტს და იმსჯლე მსგავსება-განსხვავებებზე.
- როგორ უნდა წარმოადგინო პირად ჩანაწერებში ფეოდალური ურთიერთობები და რაიდული ცხოვრების არსი?

ქვეცნება – სამწევროვანი საზოგადოება, ვასალიტეტი, მესამე წოდება, კათოლიკობა, მართლმადიდებლობა.

Don't copy

ქვესაკითხი – შუა საუკუნეების ევროპული ქალაქები და ბრძოლა თვითმმართველობისთვის, საგანმანათლებლო კერები შუა საუკუნეებში.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 60-66

ნაბიჯი 2

- როგორი იყო შუა საუკუნეების ევროპაში არსებული სოციალური ფენების ინტერესი, საზრუნავი, ქცევის წესები და რა ურთიერთობები არსებობდა მათ შორის? **(მ. წ. 1: საზოგადოება)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

კრიტერიუმების დამუშავებისათვის მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს. გვ. 60-66-ზე მოცემულია ინფორმაცია შუა საუკუნეების ევროპის ქალაქური ცხოვრების, განათლების კერებისა და სოციალური ფენების საქმიანობის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააააქტიუროს პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალებების გამოყენებით.

- რა მიზნით დაარსდა ქალაქი ფრაიბურგი და ვინ არის მისი მესაკუთრე?
- ვინ არიან ქალაქის ძირითადი მცხოვრებლები და რა ვალდებულებები აქვთ ჰერცოგის მიმართ?
- როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღებია ვაჭრებისთვის ის პირობები, რომლებსაც ჰერცოგი თავის მიწაზე სთავაზობს?
- რატომ არის ჰერცოგი თავის მიწაზე ბაზრის დაარსებით დაინტერესებული?
- შენი აზრით, ვინ არის ბაზრის 24 ნაფიცი მსაჯული და რა ფუნქციები უნდა ჰქონდეთ მათ?
- რა თანამდებობები და ინსტიტუტები გაჩნდა ქალაქში?
- რაზე მეტყველებს ახალი კანონები?
- შენი აზრით, რატომ მოიმატა კანონებში რეგულაციებმა?
- რა ცვლილებები მოხდა ქალაქის თემში დაარსებიდან 1178 წლამდე?
- როგორ ფიქრობ, რატომ ათავისუფლებენ გარდაცვლილი მოქალაქის ცოლს გადასახედებისგან?
- შენი აზრით რატომაა მნიშვნელოვანი მოქალაქის სტატუსის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის საკუთრება, რომელიც არ არის ვალდებულებით დატვირთული?
- როგორ ფიქრობ რატომ უკრძალავს კანონი სენიორის მმფარველობის გარეშე დარჩენილ მოქალაქეს ქალაქში სახლის გაყიდვასა და დაგირავებას?
- რა მნიშვნელობა აქვს საკუთრებას შუა საუკუნეების საზოგადოებაში?
- მემკვიდრეობის წესის მიხედვით რა შეგიძლია თქვა კაცისა და ქალის უფლებებზე?
- შენი აზრით, რატომ იღებენ მემკვიდრეობას ქალები დედის მხრიდან?
- რა ცვლილებები მოხდა ა) ფრაიბურგის საზოგადოებაში 1178-იდან 1200 წლამდე?
- ბ) მოქალაქეთა ვალდებულებებში? გ) ქალაქის მმართველობით სტრუქტურაში?

Don't copy

- შენი აზრით, რატომ არის გათავისუფლებული გადასახადებისგან ბერი, კლერიკი და ჰერცოგის მინისტერიალები? ვის უკმაყოფილებას შეიძლება იწვევდეს აღნიშნული კანონი და რა შედეგი შეიძლება მოყვეს მას?
- რატომ არის საჭირო მოქალაქეობის სტატუსის მისაღებად უძრავი ქონება?
- წარმოიდგინე, რომ ფრაიბურგის მცხოვრებლები ხართ. დაიყავით ჯგუფებად და
- ჩამოწერეთ ჰერცოგის სახელზე თქვენი უკმაყოფილების მიზეზები და მოთხოვნები.

მოსწავლის რვეული, დავ. 16.

- გაავლე პარალელი სტრასბურგისა და ფრაიბურგის მოხელეებსა და მმართველობის სისტემებს შორის.
- რა თვისებების მიხედვით ირჩევენ ქალაქის თვითმართველობის მოხელეებს და რა ვალდებულებები აქვთ მათ?
- რატომ იკრძალება კონსულებად ახლო ნათესავების არჩევა?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი შუა საუკუნეებში ქალაქების თვითმართველობის განვითარება?
- რით განსხვავდება ქალაქი მედებახი ფრაიბურგისგან?
- წყაროს მიხედვით, როგორ შეიცვალნენ მედებახის სინიორები? ივარაუდე, როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ქალაქის ბაზარი იმპერატორის ძალაუფლების ქვეშ, შემდეგ კი რაინდთა შორის დანაწილებულიყო.
- რაზე მეტყველებს არქიეპისკოპოსის ჩანაწერი? რატომ ჩავიდა ის თავის მომხრეებთან ერთად მედებახში? შენი აზრით, რა იყო ამ ვიზიტის მიზანი?
- როგორ ფიქრობ, სუბიექტურია თუ არა წყარო? პასუხი დაასაბუთე.
- წარმოიდგინე, რომ რაინდი ხარ და იმპერატორმა მედებახის ბაზრის ნაწილი გადმოგცა. გააკეთე ჩანაწერი არქიეპიკოპოსის საპირისპიროდ და ქალაქთან დაკავშირებით შენი პოზიცია დაასაბუთე.

მოსწავლის რვეული, დავ. 17.

- რა განსხვავებაა გ) და დ) წყაროებს შორის? რა სახის ინფორმაციას გვაწვდის თითოეული მათაგნი?
- შენი აზრით, რომელი წყარო უფრო სანდოა? რატომ?
- რატომ არის ქრონიკა კელნის პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად მნიშვნელოვანი წყარო?
- როგორ ათარიღებს წყარო მოვლენებს? წლის აღნიშვნის გარდა, კიდევ რას იყენებს
- ავტორი დროის დასაზუსტებლად? რით არის ეს განპირობებული?
- რას მოგვითხრობს წყარო კელნში დაპირისპირებაზე? ვინ და რატომ უპირისპირდება ერთმანეთს? რა როლი აქვთ ამ დაპირისპირებაში მოქალაქეებს?
- რა რესურსებს ეყრდნობიან მხარეები ერთმანეთთან დაპირისპირებისას?
- იმსჯელე, რა გავლენას მოახდენდა განვითარებული შუა საუკუნეების საზოგადოებაზე ქალაქების განვითარება? გამოყავი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგები.

Don't copy

- როგორ ფიქრობ, როგორი იქნებოდა განვითარებული შუა საუკუნეების ბიურგერების, მოქალაქეების ახალი ფენა?
- როგორ უნდა წარმოადგინო პირადი ჩანაწერების გამოყენებით თუ როგორი იყო შუა საუკუნეების ევროპის ქალაქური ცხოვრება და როგორ იბრძოდნენ ქალაქები თვითმართველობისთვის?

ქვეცნება – სამწევროვანი საზოგადოება, ვასალიტეტი, მესამე წოდება, კათოლიკობა, მართლმადიდებლობა

ქვესაკითხი – შუა საუკუნეების ევროპული ქალაქები და ბრძოლა თვითმმართველობისთვის, საგანმანათლებლო კერები შუა საუკუნეებში

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 67-72

ნაბიჯი 3

- როგორ და რატომ იცვლებოდა შუა საუკუნების ევროპის საზოგადოების დამოკიდებულება საუნივერსიტეტო წრეების მიმართ? **(მ. წ. 4: საზოგადოება)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 67-72-ზე მოცემულია ინფორმაცია შუა საუკუნების ევროპაში არსებულ საგანმანათლებლო კერების შესახებ.

- რაზე მეტყველებს რომის პაპის წერილი?
- შენი აზრით, რატომ კრძალავდა
- ადრეულ შუა საუკუნეებში ეკლესია საერო განათლებას?
- შენი აზრით, რამდენ ხანს შეძლებდა ეკლესია ასეთი შეზღუდვების შენარჩუნებას?
- შენი აზრით, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასკოლო დისციპლინის დასამყარებელი კანონები სამართლის წიგნშია შეტანილი?
- როგორ ფიქრობ, რატომ იყო შუა საუკუნეების საზოგადოებაში დამკვიდრებული ასეთი მკაცრი წესები და კანონები?
- რა საერთო აქვს შუა საუკუნეების ქრისტიანულ და მუსლიმურ სკოლებს ერთმანეთთან?
- რა განსხვავებაა შუა საუკუნებისა და თანამედროვე სკოლას შორის? შენი აზრით,
- რა იყო განათლების მიზანი შუა საუკუნეებში და რა არის ახლა?
- რატომ გახდა საჭირო ქრისტიანული მოძღვრებაში არსებული სხვადასხვა მოსაზრებათა შეთანხმება? რა პრობლემა შეიძლება გამოეწვია იდეათა წინაღმდეგობრივ გაგებას?
- სიგელის მიხედვით, რატომ გადაწყვიტა იმპერატორმა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სიგელის ბოძება?

Don't copy

- რა მნიშვნელობა აქვს მოყვანილ ისტორიულ წყაროს? რამდენად სანდოა ის, როგორც ისტორიული წყარო?
- რას ვიგებთ სიგელიდან? შენი აზრით, რატომ არის ქალაქებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიმართ უარყოფითი განწყობა?
- ფეოდალური საზოგადოების რომელ წევრებს ექნებათ უნდობლობა მოსწავლეების მიმართ?
- რა მიზნით გამოსცემს სიგელს იმპერატორი? იმსჯელე, შეიძლება თუ არა, რომ იმპერატორი ახალგაზრდებისა და მასწავლებლების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდეს ან მათი სახით ქვეშევრდომებს ეძებდეს?
- რა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში დამოუკიდებელი უნივერსიტეტების შექმნა?
- როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ხელისუფლებისა და ეკლესიის როლი უნივერსიტეტების განვითარებაში?
- რთველოში, თუმცა ისინიც, როგორც სკოლები, ეკლესია-მონასტრებთან იყო
- შექმნილი. შენი აზრით, რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ ბიზანტიაში დამოუ-კიდებელი უნივერსიტეტები არ ჩამოყალიბდა?
- როგორ ფიქრობ, რა შედეგებს მოუტანდა უნივერსიტეტების დაარსება და განვითარება ევროპას მომდევნო საუკუნეებში?
- როგორ შეიცვალა საგანმათლებლო დაწესებულებების ფუნქცია?
- რატომ ცდილობდა სასულიერო ხელისუფლება საგანმათლებლო სივრცეზე გავლენის მოპოვებას?
- რა გავლენას მოახდენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ახალი აღმოჩენები და გამო-გონებები?

მოსწავლის რვეული, დავ. 18

- როგორ უნდა წარმოადგინო ჩანაწერების გამოყენებით თუ როგორ ვითარდებოდა შუა საუკუნეების ევროპასა და ბიზანტიაში საგანმანათლებლო კრებები და რა დამოკიდებულება ჰქონდა იმდროინდელ საზოგადოებას მათ მიმართ?

ქვეცნება:
სამწევროვანი საზოგადოება, ვასალიტეტი, მესამე წოდება, კათოლიკობა, მართლმა-დიდებლობა, სამეურნეო კალენდარი, ეპოქა

ქვესაკითხი – დიდი სქიზმა, ინვესტიტურისთვის ბრძოლა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 73-82

ნაბიჯი 4

- რატომ იყო სქიზმა გარდამტეხი მოვლენა და რა ცვლილებები მოხდა დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში 1054 წლის შემდეგ პერიოდში? **(მ. წ. 1 და 2: დრო)**

Don't copy

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 73-82-ზე მოცემულია ინფორმაცია სქიზმისა და ინვესტიტურისთვის ბრძოლის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, საკითხის დამუშავება დაიწყოს გვ. 73-77-ის განხილვით, რომელიც შეეხება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქრისტიანოს შორის დაპირისპირებას. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეების გასააქტიურებლად გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- გაიხსენე: ა) რა პირობებში და როგორ ჩამოყალიბდა პაპის ოლქი? ბ) როგორ
- გახდა ქრისტიანული ეკლესია ევროპაში მსხვილი მიწათმფლობელი და რომის პაპი
- სასულიეროსთან ერთად საერო ხელისუფალიც? გ) როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდა სასულიერო და საერო ხელისუფალთა შორის?
- როგორ ფიქრობ, რა დამოკიდებულება შეიძლება ყოფილიყო რომის პაპსა და კონსტატინოპოლის პატრიარქს შორის? რატომ?
- რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ პაპის არგუმენტაცია, ქრისტიანულ სამყაროში რომის ეკლესიის უპირატესობაზე? რატომ?
- როგორ ფიქრობ, ექნებოდა თუ არა სიმფონიის პირობებში კონსტანტინოპოლის
- პატრიარქს საერო ხელისუფლებთან ურთიერთობაში ისეთივე ამბიცია, როგორიც რომის პაპს? იმსჯელე მიზეზებზე.
- რატომ ყალიბდება ბიზანტიაში სახელმწიფო-ქრისტიანული კონცეფცია და როგორ ფიქრობ, საზოგადოების რომელი ფენისთვის იქნებოდა აღნიშნული იდეოლოგია ხელსაყრელი? რატომ?
- იმსჯელე, როგორ იცვლებოდა, ერთი მხრივ, დასავლეთ და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში სასულიერო და საერო ხელისუფალთა ურთიერთობა.
- რატომ იყო რომის პაპებისთვის კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტიტულში მსოფლიო პატრიარქის წოდების დამატება მიუღებელი?
- რატომ გააპროტესტეს ბიზანტიის იმპერატორმა და პატრიარქმა ბულგარეთზე რომის იურისდიქციის გავრცელება?
- როგორ ფიქრობ, რა ადგილი ეჭირა რომის პაპისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის დაპირისპირებაში რიტუალურ მხარეს?
- პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით დაახასიათე დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყარო და იმსჯელე მათ შორის განსხვავებებზე.
- შენი აზრით, რატომ მერყეობდა ბიზანტიის იმპერატორი პატიარქის კანდიდატურასთან დაკავშირებით?
- როგორ აისახებოდა ეკლესიების ურთიერთდამოკიდებულება დასავლეთ ევროპისა და ბიზანტიის პოლიტიკურ ურთიერთობაზე? რატომ?
- წარმოიდგინე, რომ ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის წარმომადგენელი ხარ. შეადგინე წერილი რომის პაპის ან ბიზანტიის იმპერატორის სახელზე და უკმაყოფილების მიზეზები პუნქტობრივად ჩამოწერე.

Don't copy

მოსწავლის რვეული, დავ. 19

- შეაფასე ეს მოვლენა, იმსჯელე, რა შედეგებს მოუტანდა იგი ქრისტიანულ სამყაროს?
- როგორ უნდა წარმოადგინო ჩანაწერების გამოყენებით თუ რა პროცები მიმდინარეობდა ქრისტიანული რელიგიის წიაღში და რა მიზეზებმა განაპირობა რელიგიური წინააღმდეგობები?

ამ კითხვებსა და დავალებებზე მუშაობის პროცესში პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სასწავლო გაჩერებები და ყოველი ახალი საკითხის/წყაროს განხილვისას მოსწავლეები გააქტიუროს შესაბამისი კითხვები, რომლებიც ახლავს რესურსებს/წყაროებს.
კითხვებისა და დავალების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 78-82-ზე მოცემულია ინფორმაცია ინვესტიტურისთვის ბრძოლის შესახებ. საკითხის სიღრმისეულად დამუშავებისთვის მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში არსებული კითხვები.

- შენი აზრით, გრიგორის განცხადება, რომ მხოლოდ რომის ეპისკოპოსია მსოფლიო ეპისკოპოსი, ვისთვის იქნებოდა მიუღებელი?
- რაზე მეტყველებს პაპის მიღების ცერემონია?
- ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელთა წინააღმდეგ გაილაშქრებდა იმპერატორი?
- რა საშიშროებას უქადდა ჰაინრიხ IV-ს ეკლესიიდან განკვეთა?
- შენი აზრით, როგორ იმოქმედებდა საზოგადოებაზე ეკლესიის მიერ ჰაინრიხ IV-ის განკვეთა? ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი მომხრე და ვინ – მოწინააღმდეგე?
- მოიყვანე არგუმენტები, რომლებსაც ჰაინრიხ IV თავის მომხრეებს მოუყვანდა და კანოსის ციხესიმაგრეში ჩასვლის აუცილებლობას დაასაბუთებდა.
- ერთმანეთთან დაპირისპირების დროს საზოგადოების რომელ ნაწილს ეყრდნობოდნენ და რა ხერხებს იყენებდნენ მხარეები?
- რა ვალდებულებას აკისრებს პაპი იმპერატორს და როგორ აისახება ამ ვალდებულებების შესრულება/არშესრულება იმპერატორის ხელისუფლებაზე?
- როგორ იყენებს პაპი რელიგიურ ბერკეტებს საერო ხელისუფლებაზე გავლენის მოსაპოვებლად?
- როგორ ფიქრობ, რატომ გავრცელდა პაპის გავლენა ბურგუნდიასა და იტალიაზე და იმპერატორის – გერმანიაზე?
- დროის ხაზზე დაიტანე დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები. დავალების შესრულებამდე გაიხსენე ადრე ნასწავლი მასალაც და ათვლის წერტილად დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა აიღე. გამოყავი ადრეული შუა საუკუნეებისა და განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდები და აღსანიშნავი მოვლენები დროის ხაზზე ამ პერიოდების მიხედვით დაიტანე.
- როგორ უნდა წარმოადგინო პირად ჩანაწერებში ინვესტიტურისთვის ბრძოლის საკითხი?

Don't copy

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს პირადი ჩანაწერების მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი პირადი ჩანაწერებია?

ახსენი, რატომ შექმენი პირადი ჩანაწერები? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?

Don't copy

- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

საკითხი – ჯვაროსნული ომები და მონღოლთა იმპერია
სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6)

ქვეცნება – რელიგიური ომები, ზავი, ჯვაროსნული ორდენები, ლაშქრობები
სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)

ქვეცნება – ჩანაწერები, წერილები, ისტორიული თხზულებები, ეპიგრაფიკა

საკითხი – ჯვაროსნული ომები და მონღოლთა იმპერია

საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიული თხზულების საშუალებით ჯვაროსნული ომების გამომწვევი მიზეზები, შედეგები და მონღოლთა იმპერიის დაპყრობითი ომები?

კომპლექსური დავალება. წარმოიდგინე, რომ არაბი ისტორიკოსი ხარ და ქალაქ ბაღდადში ცხოვრობ XIII საუკუნეში. მონღოლების მიერ ბაღდადის აღების მერე ეგვიპტეს შეაფარე თავი. ჯვაროსნული ომების დასრულების შემდეგ პალესტინის ტერიტორიებს ეგვიპტის სულთანი დაეუფლა. გადაწყვიტე, რომ შექმნა ისტორიული თხზულება, რომელშიც აღწერ ჯვაროსნულ ლაშქრობებთან და მონღოლებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
სტორიული მოვლენა/პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6 • ყველა ისტორიულ მოვლენას თავის მიზეზი/მიზეზები და შედეგი/შედეგები აქვს; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებსა და შედეგებზე; • ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით დაჯგუფდეს.	**ისტორიული მოვლენა/პროცესი** • შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა; • რა გავლენა ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ მოვლენას შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე.	**სტორიულ თხზულებაში თვალნათლივ წარმოადგინე:** • რა იყო ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზები და რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მათი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შესახებ? **(მ. წ. 1, 2 და 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)** • როგორ წამოიშვა მონღოლთა სახელმწიფო და როგორ აისახა მათი გამოჩენა აზიისა დაევროპის ხალხების ცხოვრებაზე? **(მ. წ. 3: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**

Don't copy

სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5) • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	**წყარო** • იმსჯელოს, რა ტიპის წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის/მოვლენის/პროცესის შესახებ • იმსჯელოს, რამდენად სანდოა მოცემული წყარო / წყაროები? • იმსჯელოს რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროს ინტერპრეტაციისას.	**ი**რა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით აღწერ ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და მონღოლთა დაპყრობების შედეგად განვითარებულ ისტორიულ პროცესებს? (მ. წ. 1 და 2: წყარო) • როგორ და რატომ აღწერენ შენი დამოწმებული ავტორები ფაქტებსა და მოვლენებს და რამდენად სანდოა შენ მიერ გამოყენებული წყაროები? **(მ. წ. 3 და 4: წყარო)**

რესურსი: სახელმძღვანელო: გვ. 83-134

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ისტორიული თხზულება“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას ისტორიული თხზულების შესახებ.

რესურს: ისტორიული თხზულება
- რა არის ისტორიული თხზულება?
- რა განასხვავებს ისტორიულ თხზულებას მხატვრული თხზულებისგან?
- როგორი სტრუქტურა აქვს ისტორიულ თხზულებას?
- როგორი ტერმინოლოგია უნდა გამოიყენო ისტორიული თხზულების დროს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიული თხზულების წერისას სხვადასხვა წყაროს გამოყენება?
- როგორ უნდა დაწერო ისტორიული თხზულება?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგა ისტორიული თხზულების წერის დროს?

Don't copy

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება – რელიგიური ომები, ზავი, ჯვაროსნული ორდენები, ლაშქრობები, ჩანაწერები, წერილები, ისტორიული თხზულებები, ეპიგრაფიკა

ქვესაკითხი – ევროპა ჯვაროსნულ ლაშქრობამდე, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 83-95

ნაბიჯი 1

- რა იყო ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზები და რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მათი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შესახებ? **(მ. წ. 1, 2 და 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**
- რა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით აღწერ ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და მონღოლთა დაპყრობების შედეგად განვითარებულ ისტორიულ პროცესებს? **(მ. წ. 1 და 2: წყარო)**
- როგორ და რატომ აღწერენ შენი დამოწმებული ავტორები ფაქტებსა და მოვლენებს და რამდენად სანდოა შენ მიერ გამოყენებული წყაროები? **(მ. წ. 3 და 4: წყარო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 83-95-ზე მოცემულია ინფორმაცია ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებამდე არსებული ისტორიული პროცესებისა და პირველი ჯვაროსნული დაპირისპირების შესახებ. საკითხის დამუშავებისას პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში არსებული კითხვები და გააააქტიუროს მოსწავლეები.

- რა ტიპის ისტორიული წყაროა ა) წყარო?
- რა თვალსაზრისით არის ის მნიშვნელოვანი? რაზე გვაწვდის ინფორმაციას?
- რატომ მიმართავს ალექსი I კომნენოსი ფლანდრიის გრაფს და სხვა ევროპელ მმართველებს?
- ვინ იგულისხმება „ლათინ“ და „ბერძენ ქრისტიანებში“?
- წყაროდან გამომდინარე, რატომ არის ბიზანტია ამ ვითარებაში ჩავარდნილი? შეიძლება თუ არა ვენდოთ ალექსი კომნენოსის სიტყვებს? გაიხსენე და ისტორიიდან მოიყვანე სელჩუკების მიერ ბიზანტიის შევიწროების მაგალითები.
- ისტორიკოსების ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს ალექსი კომნენოსის წერილის ნამდვილობას და დავობენ, სად შეიძლებოდა შექმნილიყო ეს დოკუმენტი: კონსტანტინოპოლში თუ

Don't copy

ევროპაში. წერილის შინაარსიდან გამომდინარე იმსჯელე, რატომ შეიძლება ეჭვქვეშ აყენებდნენ ისტორიკოსები მის ნამდვილობას? განსაკუთრებით, რომელი ადგილი შეიძლება მივიჩნიოთ საეჭვოდ? რატომ?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს ინფორმაცია ჯვაროსნული ლაშქრობების საწყისი პერიოდის შესახებ. საკითხის განხილვისას პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- შეადარე მოყვანილი წყაროები ერთმანეთს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?
- რატომ არის მოყვანილი წყაროები I ჯვაროსნული ლაშქრობის შესასწავლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი? რაში გვეხმარება ის, რომ ერთსა და იმავე მოვლენაზე ორი წყარო გვაქვს?
- შენი აზრით, რა შეიძლება იყოს წყაროებს შორის განსხვავების მიზეზი?
- როგორ ხსნის რომის პაპი იერუსალიმში ლაშქრობის აუცილებლობას?
- მოცემული წყაროების მიხედვით აღწერე XI საუკუნის მიწურულის ევროპა.
- ისტორიკოსებს მიიჩნიათ, რომ ბიზანტიის იმპერატორის თხოვნა ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყებად მხოლოდ საბაბია. მოძებნე ორივე წყაროში ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების მიზეზები.

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს ისტორიული წყაროები და ისტორიული რუკა, რომელთა უკეთ გასააზრებლად შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები.

- დააკვირდი რუკას. რომელი სახელმწიფოებიდან დაიწყო ევროპელი რაინდების მსვლელობა? რუკის მიხედვით აღწერე მათი მარშრუტი.
- დაახასიათე ჯვაროსნები ანა კომნენოსის მონათხრობის მიხედვით. მისი აზრით, რა მიზნები ამოძრავებდათ ჯვაროსნებს?
- შენი აზრით, რით შეიძლება იყოს განპირობებული ანა კომნენოსის მიკერძოება? რა არის ხოლმე ზოგადად მიკერძოების მიზეზები?
- დაახასიათე ჯვაროსნებისა და ბიზანტიის იმპერატორის ურთიერთდამოკიდებულება.
- შეადარე ერთმანეთს დასავლური და ბიზანტიური ეტიკეტი. იმსჯელე, რით განსხვავდებოდა ეს ორი სამყარო ერთმანეთისგან? როგორი დამოკიდებულება არსებობს მმართველსა და მის ქვეშევრდომებს შორის ბიზანიტიაში, ევროპაში? რით არის განპირობებული ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება ხელისუფალსა და დიდებულებს შორის?
- შენი აზრით, რატომ დაიფიცეს ჯვაროსანმა რაინდებმა ბიზანტიის იმპერატორის ერთგულებაზე?
- შენი აზრით, რატომ აძლევდა ალექსი კომნენოსი ჯვაროსნებს სამხედრო რჩევებს? ეთანხმები თუ არა ავტორს, რომ ეს ინფორმაცია ევროპელი რაინდებისთვის სასარგებლო იყო?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 82-87-ზე მოცემულია ინფორმაცია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ. საკითხის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია, კითხვების გამოყენებით გააქტიუროს მოსწავლეები.

Draft copy

- რა ინფორმაციას გვაწვდის მინიატიურა ქალაქ ანტიოქიაზე? კიდევ რა ინფორმაციის მიღება შეგვიძლია წყაროდან? დააკვირდი მინიატიურის შექმნის თარიღს და იმსჯელე, რამდენად ფასეულია ჩვენ მიერ ამოკრებილი ინფორმაცია ანტიოქიის აღების თაობაზე. შენი აზრით, რას ინფორმაციას დაეფუძნებოდა მხატვარი ხელნაწერის გაფორმებისას?
- როგორ აფასებენ იერუსალიმის აღებას მოყვანილი წყაროები? მიკერძოებულია თუ არა ისინი?
- წყაროების მიხედვით, როგორ მოექცნენ ჯვაროსნები ქალაქის მუსლიმ მოსახლეობას? როგორ ახსნი ჯვაროსნების ქცევას?
- რა პოზიციას გამოხატავს მომხდართან დაკავშირებით თითოეული მათგანი და რატომ?
- რომელი წყაროს სანდოობის ხარისხია უფრო მაღალი? რატომ?
- დაასახელე თითოეული წყაროს დადებითი მხარე როგორ შეიცვალა I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ საერთაშორისო ვითარება ახლო აღმოსავლეთში? როგორ შეიცვალა ძალთა ბალანსი ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის? თავად ქრისტიანულ სამყაროში?
- გაიხსენე, რა შედეგი მოჰყვა თურქ-სელჩუკების გამოჩენას საქართველოში და იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებას საქართველოსთვის რა გამოწვევების წინაშე დადგნენ ჯვაროსნები იერუსალიმის აღების შემდეგ?
- შენი აზრით, რა იყო იერუსალიმის მმართველებისთვის ყველაზე შესაფერისი ტიტული?
- შენი აზრით, რა შესაძლებლობები გაჩნდა ევროპისა და აზიის ურთიერთობებში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ჯვაროსნების მიერ ლათინური სამეფოს დაარსების შემდეგ?
- რაზე მეტყველებს წყაროში ქართველების მოხსენიება? გამოთქვი ვარაუდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ისინი და რატომ შეიძლებოდა ეცხოვრათ იერუსალიმში?
- შენი აზრით, წყაროში მოხსენიებული იაკობიტების გარდა, კიდევ რომელი ქრისტიანული მიმდინარეობის წარმომადგენელები იქნებოდნენ იერუსალიმში?
- ვინ იგულისხმება სამეფოს უზენაეს სენიორში?
- შენთვის ნაცნობი რომელი რიტუალია წყარო ზ)-ში აღწერილი?
- რას გეუბნება წყარო ქალისა და კაცის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ? წყაროს მიხედვით, რა პრინციპით განაწილდა დაპყრობილი მიწები ჯვაროსნებს შორის? რაზე მეტყველებს იერუსალიმში დადგენილი წესები? რას დაეფუძნა ქალაქის მართვა და ქვეშევრდომებთან ურთიერთობა?
- კიდევ რით არის საინტერესო „იერუსალიმის ასიზებიდან“ მოყვანილი ნაწყვეტი?

მოსწავლის რვეული, დავ. 20

- დააკვირდი რუკას. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, რომელ სამეფოსამთავროს უფრო მყარი პოზიციები ჰქონდა ტერიტორიების შესანარჩუნებლად? პასუხი დაასაბუთე როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებისა და პირველი ჯვაროსნული დაპირისპირების შესახებ განსხვევბული ისტორიული წყაროებიდან მიღებული ინფორმცია?

Don't copy

აღნიშნულ კითხვებდა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 96-102-ზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც შეეხება პირველი ჯვაროსნული დაპირისპირების შემდეგ ჩამოყალიბებულ რაინდულ ორდენებს, საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლას მასწავლებელს შეუძლია დაეყრდნოს პარაგრაფში მოცემულ კითხვებსა და დავალებებს.

- წყაროს მიხედვით, რა მიზნით შექმნეს რაინდებმა ორდენი?
- შენი აზრით, რატომ ეხმარებიან იერუსალიმის მეფე და სხვა საერო პირები რაინდებს?
- რა პრინციპითაა რაინდთა ორდენი აგებული?
- რატომ დაინტერესდა რომის პაპი რაინდთა ორდენის ჩამოყალიბებით?
- შენი აზრით, რა ხდიდა ტამპლიერთა ორდენს მიმზიდველს რიგითი თუ სახელმოხვეჭილი ადამიანებისთვის?
- დააკვირდი ნახატს ტამპლიერთა სამლოცველოდან. რა ინფორმაციას გვაწვდის ის ტამპლიერ რაინდზე? როგორია მისი ჩაცმულობა და აღჭურვილობა?
- რა არის ნახატის დედააზრი და რატომ იყო ის სამლოცველოს კედელზე გამოსახული?
- შენი აზრით, რატომ შეარჩიეს ტამპლიერებმა ორდენის ბეჭდისთვის ეს გამოსახულებები?
- ტამპლიერები, სავარაუდოდ, თვლიდნენ, რომ ეს ორი გამოსახულება ყველაზე უკეთ გადმოსცემდა ორდენის არსს, ამიტომაც დაიტანეს ბეჭედზე. ახსენი მათი სიმბოლური მნიშვნელობა: რატომ იყო მათი კონტექსტი ტამპლიერისთვის საამაყო?
- შენი აზრით, რატომ გაჩნდა წინააღმდეგობა ჯვაროსანთა ორდენების წესდებასა და ცხოვრების რეალურ წესს შორის?
- შეადარე ერთმანეთს ტამპლიერთა და ჰოსპიტალიერთა ორდენის წესდებები. რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის?
- მოცემული წესები მორწმუნეთა ცხოვრების რომელ ასპექტებს განსაზღვრავდა? შენი აზრით, რომელი მათგანი უფრო მკაცრია საკუთარი წევრების მიმართ? პასუხი დაასაბუთე.

მოსწავლის რვეული, დავ. 21

- შენი აზრით, რა სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული ასეთი ციხესიმგრის მშენებლობა?
- რა წარმოდგენას გვიქმნის ციხესიმაგრე ჰოსპიტალიერთა ორდენზე?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ციხესიმაგრის კედელზე წარწერის აღმოჩენას? როგორ ახასიათებს ის ჰოსპიტალიერებს?
- გაიხსენე, რომელი დიციპლინა შეისწავლის ამ ტიპის წყაროებს?
- რა ინფორმაციას გაწვდის ჯვაროსნული სამთავროების მონეტები და ბეჭედი?
- გაიხსენე, რომელი დისციპლინა შეისწავლის მონეტებს?
- წარმოიდგინე, რომ არქეოლოგი ხარ და საქართველოში ერთ-ერთი ციხესიმაგრის გათხრის დროს ჯვაროსანთა მონეტები აღმოაჩინე. რა ვარაუდებს გამოთქვამ ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით?
- რაზე მეტყველებს, რომ რაინდ ქალზე ლეგენდა შეიქმნა?
- შეიძლება თუ არა ლეგენდა ფლორინა ბურგუნდიელზე ისტორიულ წყაროდ ჩავთვალოთ? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

- რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს ლეგენდის ისტორიულ წყაროდ გამოყენებას?

მოსწავლის რვეული, დავ. 22

- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში თუ როგორ აღწერენ ისტორიკოსები პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ განვითარებულ პროცესებს და როგორ აფასებენ რაინდული ორდენების საქმიანობას?

ქვეცნება – რელიგიური ომები, ზავი, ჯვაროსნული ორდენები, ლაშქრობები, ჩანაწერები, წერილები, ისტორიული თხზულებები, ეპიგრაფიკა

ქვესაკითხი – მეორე და მესამე ჯვაროსნული ლაშქრობები

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 103-109

ნაბიჯი 2

- რა იყო ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზები და რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მათი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შესახებ? **(მ. წ. 1, 2 და 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**
- რა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით აღწერ ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და მონღოლთა დაპყრობების შედეგად განვითარებულ ისტორიულ პროცესებს? **(მ. წ. 1 და 2: წყარო)**
- როგორ და რატომ აღწერენ შენი დამოწმებული ავტორები ფაქტებსა და მოვლენებს და რამდენად სანდოა შენ მიერ გამოყენებული წყაროები? **(მ. წ. 3 და 4: წყარო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 103-109-ზე მოცემულია ინფორმაცია მესამე და მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ. პედაგოგს შეუძლია, საკითხის უკეთ გასააზრებლად მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში წარმოდგენილი კითხვები და დავალება.

- დააკვირდი რუკაზე ედესის სამთავროს მდებარეობას. რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას დანარჩენი სამეფო-სამთავროებისთვის?
- რატომ დამარცხდა II ჯვაროსნული ლაშქრობა?
- რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჯვაროსნული სამეფო-სამთავროებისთვის ედესის დაკარგვას?
- მონახე წყაროში ადგილები, სადაც ჩანს, რომ ავტორი ევროპელი ქრისტიანია.
- ქრისტიანული სამეფო-სამთავროების დასუსტების რა მიზეზებს ასახელებს გიიომ ტვიროსელი?

Don't copy

- როგორ ახასიათებს ისლამურ სამყაროში შექმნილ ვითარებას ავტორი? იმსჯელე, რამდენად მართებულად გადმოსცემს ამ პროცესს.

მოსწავლის რვეული, დავ. 23

- როგორ ახასიათებს არაბი ავტორი ფრანკებს, ანუ ევროპელებს?
- წყაროში რომელი ადგილები მიუთითებს, რომ წყაროს ავტორი მუსლიმია?
- არაბი ავტორის მიხედვით, როგორი განწყობაა ევროპულ საზოგადოებაში სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ?
- წარმოიდგინე, რომ იმ პერიოდის ევროპელი ავტორი ხარ. გადმოეცი იგივე ამბავი ამ თვალთახედვით.
- რუკის მიხედვით, რომელი ევროპული სახელმწიფოებიდან დაიძრნენ ჯვაროსნები „წმინდა მიწის“ მიმართულებით?
- როგორ ფიქრობ, „წმინდა მიწაზე“ მისაღწევად რატომ ამჯობინა ჯვაროსანთა უმეტესობამ საზღვაო გზა?
- ხმელთაშუა ზღვაში არსებული რომელი კუნძული შეიძლებოდა ყოფილიყო ჯვაროსანთა დასაყრდენი „წმინდა მიწაზე“ შეტევისთვის?
- რას ადასტურებს გ) და დ) წყაროები? რატომ არის მნიშვნელოვანი რიჩარდ ლომგულის დასახასიათებლად ეს წყაროები? როგორ ფიქრობ, დროთა განმავლობაში შეიძლება თუ არა შეიცვალოს დამოკიდებულება ისტორიული პირის მიმართ? იმსჯელე, რა შეიძლება გახდეს ამის მიზეზი.

მოსწავლის რვეული, დავ. 24

- წყაროს მიხედვით, რა არჩევანის წინაშე დააყენა ეგვიპტის სულთანმა იერუსალიმის ქრისტიანი მცხოვრებნი?
- რა წარმოდგენას გიქმნის სალაჰ-ად დინზე ბალიან დე იბელინისთან ურთიერთობის ეპიზოდები?
- როგორ მოექცა ეგვიპტის სულთანი იერუსალიმის ქრისტიანულ მოსახლეობას? შეადარე 1099 წელს ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღებს ფაქტს.
- როგორ ფიქრობ, რა იყო სალაჰ-ად დინის მთავარი მიზანი ქალაქის აღების დროს?
- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში მეორე და მესამე ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზები/შედეგები და ისტორიკოსთა შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით?

კითხვებსა და დავალებებზე მუშაობის პროცესში პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სასწავლო გაჩერებები და ყოველი ახალი საკითხის/წყაროს განხილვის დროს მოსწავლეები გააააქტიუროს შესაბამისი კითხვებით. ეს კითხვები თან ახლავს რესურსებს/წყაროებს. ორგანიზების ფორმად შეიძლება გამოყენებული იყოს ჯგუფური ან წყვილებში მუშაობა.

ქვეცნება – რელიგიური ომები, ზავი, ჯვაროსნული ორდენები, ლაშქრობები, ჩანაწერები, წერილები, ისტორიული თხზულებები, ეპიგრაფიკა

Don't copy

ქვესაკითხი – კონსტატინოპოლის აღება ჯვაროსნების მიერ, ევროპა ჯვაროსნულ ლაშქრობამდე, V-VIII ჯვაროსნული ლაშქრობები
რელიგიური ომები, ზავი, ჯვაროსნული ორდენები, ლაშქრობები, ჩანაწერები, წერილები, ისტორიული თხზულებები, ეპიგრაფიკა
რელიგიური ომები, ზავი, ჯვაროსნული ორდენები, ლაშქრობები, ჩანაწერები, წერილები, ისტორიული თხზულებები, ეპიგრაფიკა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 110-122

ნაბიჯი 3

- რა იყო ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზები და რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მათი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შესახებ? **(მ. წ. 1, 2 და 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**
- რა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით აღწერ ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და მონღოლთა დაპყრობების შედეგად განვითარებულ ისტორიულ პროცესებს? **(მ. წ. 1 და 2: წყარო)**
- როგორ და რატომ აღწერენ შენი დამოწმებული ავტორები ფაქტებსა და მოვლენებს და რამდენად სანდოა შენ მიერ გამოყენებული წყაროები? **(მ. წ. 3 და 4: წყარო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 110-117-ზე წარმოდგენილია მასალა მეოთხე-მერვე ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ. საკითხის გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- როგორ გესმის წყაროდან ადგილი: „როდესაც უნგრეთის მეფემ ჯვარი აიღო, ამით, ჩვეულებისამებრ, საკუთარი თავი და სამფლობელო უმაღლესი პონტიფიკის მფარველობას მიანდო“?
- რა დაბრკოლებების წინაშე იდგნენ ეგვიპტეში სალაშქროდ გამზადებული ჯვაროსნები?
- რატომ წააქეზეს ვენეციელებმა ჯვაროსნები ზადარის ასაღებად?
- რატომ იყვნენ ჯვაროსნები გულდამძიმებული?
- რამდენად მიკერძოებულია წყარო? როგორია ავტორის პოზიცია მომხდართან დაკავშირებით?
- როგორ ფიქრობ, რა შეიძლება იყოს მიკერძოების მიზეზი?
- რატომ დანგრიეს ვენეციელებმა ზადარი?
- წყაროდან გამომდინარე იმსჯელე, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ვენეციელებისა და ჯვაროსანი რაინდების ინტერესები.
- შენი აზრით, რატომ აქეზებს ვენეციის დოჟი ჯვაროსნებს კონსტანტინოპოლის ასაღებად? რა მიზანი შეიძლება ამოძრავებდეს მას?
- რა ინფორმაციას გვაწვდის წყარო ბიზანტიის საშინაო ვითარების შესახებ?

Don't copy

- რა გავიგეთ რობერ დე კლარის მონათხრობიდან ჯვაროსნების, ვენეციის, ბიზანტიის შესახებ?
- როგორ შეაფასებ ჯვაროსნების ჩარევას ბიზანტიის საშინაო საქმეებში?
- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მიზეზები და ისტორიკოსთა მოსაზრებები ამ საკითხზე?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის განხილვა. გვ. 104-107-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ბიზანტიაში შიდა პოლიტიკური კრიზისის შესახებ და ისტორიული რუკა, რომელიც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, სიღრმისეულად აღიქვან საკითხი. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვების საშუალებით.

- რუკის მიხედვით, რომელი ქალაქიდან დაიძრა ძირითადი ძალები IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს?
- რუკის მიხედვით იმსჯელე, რამდენად ხელსაყრელი მდებარეობა აქვს კონსტანტინოპოლს სავაჭრო თვალსაზრისით. ხომ არ ფიქრობ, რომ ჯვაროსანთა მიერ მისი აღების მიზეზი შეიძლებოდა ესეც ყოფილიყო?
- რუკის მიხედვით, გააგრძელა თუ არა ვენეციიდან დაძრულმა ყველა ჯვაროსანმა ლაშქრობა კონსტანტინოპოლისკენ? როგორ ფიქრობ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი?
- ბიზანტიელი ისტორიკოსის წყაროზე დაყრდნობით, რა იყო ჯვაროსნების ნამდვილი ინტერესები?
- როგორ ასაბუთებს გიუნთერ პერისელი კონსტანტინოპოლში დატრიალებული ამბების „კანონზომიერებას“?
- კონსტანტინოპოლის დაცემას მოყვანილი სამივე წყარო სხვადასხვა თვალსაზრისით აგვიწერს. ახსენი, რით არის თითოეულის თვალსაზრისი განპირობებული?
- სუბიექტურობის მიუხედავად, რამდენად სანდოა კონსტანტინოპოლის დაცემაზე მოყვანილი წყაროები? პასუხი დაასაბუთე.
- გ) წყაროს მიხედვით, როგორ აირჩიეს კონსტანტინოპოლში იმპერატორი? შენი აზრით, რამდენად ეფუძნება ხელისუფლის არჩევა ადგილობრივ ტრადიციებს? იმსჯელე და პარალელი გაავლე ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის სამეფოს ორგანიზებასთან.
- იმსჯელე, როგორ შეცვლიდა ჯვაროსნული ლაშქრობების კონცეფციას – საღვთო ომის იდეას – ევროპელების მიერ კონსტანტინოპოლის აღება.
- რა გავლენას მოახდენდა IV ჯვაროსნული ლაშქრობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა ურთიერთობაზე?

მოსწავლის რვეული დავ. 25-26

- შეაფასე ბიზანტიის პოლიტიკა ჯვაროსნულ ეპოქაში და იმსჯელე, რამდენად ლოგიკური იყო მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს განვითარებული მოვლენები?
- არსებობდა თუ არა მოვლენათა განვითარების ალტერნატიული გზა? პასუხი დაასაბუთე.
- გაავლე დროის ხაზი და დაიტანე მასზე განვითარებულ შუა საუკუნეებში ბიზანტიის ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთები.

Don't copy

- საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი I და IV ჯვაროსნული ლაშქრობები იყო. იმსჯელე საქართველოსთვის თითოეული მათგანის მნიშვნელობაზე.
- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში IV ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგები და მნიშვნელობა?

კითხვებისა და დავალებებზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს შესათავაზოს გვ. 117-122-ზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის დამუშავებეისთვისაც შეუძლია გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები.

- ჯვაროსნული ლაშქრობების რა დადებით და უარყოფით მხარეებს გამოყოფენ თანამედროვე ისტორიკოსები? რით განსხვავდება თანამედროვე ისტორიკოსების შეფასებები შუა საუკუნეების ისტორიკოსთა შეფასებებისგან? რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში საზოგადოების ცნობიერებაში?
- შეაფასე ჯვაროსნული ლაშქრობების მნიშვნელობა და მოიყვანე არგუმენტები შენი პოზიციის გასამტკიცებლად
- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში V-VIII ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგები და მნიშვნელობა?

ქვეცნება – რელიგიური ომები, ზავი, ჯვაროსნული ორდენები, ლაშქრობები, ჩანაწერები, წერილები, ისტორიული თხზულებები, ეპიგრაფიკა

ქვესაკითხი – მონღოლთა იმპერიის ჩამოყალიბება
რელიგიური ომები, ზავი, ჯვაროსნული ორდენები, ლაშქრობები, ჩანაწერები, წერილები, ისტორიული თხზულებები, ეპიგრაფიკა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 123-134

ნაბიჯი 4

- როგორ წამოიშვა მონღოლთა სახელმწიფო და როგორ აისახა მათი გამოჩენა აზიისა და ევროპის ხალხების ცხოვრებაზე? **(მ. წ. 3: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**
- რა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით აღწერ ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და მონღოლთა დაპყრობების შედეგად განვითარებულ ისტორიულ პროცესებს? **(მ. წ. 1 და 2: წყარო)**
- როგორ და რატომ აღწერენ შენი დამოწმებული ავტორები ფაქტებსა და მოვლენებს და რამდენად სანდოა შენ მიერ გამოყენებული წყაროები? **(მ. წ. 3 და 4: წყარო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა გვ. 123-134-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია მონღოლთა იმპერიის ჩამოყალიბებისა და მათი დაპყრობითი ომების შესახებ. პედაგოგს შეუძლია, საკითხის დამუშავება დაიწყოს გვ. 123-127-ზე არსებული ინფორმაციის გაც-

Don't copy

ნობით, რომლის განხილვის პროცესში შეუძლია, პარაგრაფში არსებული კითხვებისა და დავალებების გამოყენებით გააააქტიუროს მოსწავლეები. კითხვები და დავალებები ერთვის სასწავლო მასალასა და წყაროებს.

- შენი აზრით, რატომ მიმდინარეობდა საზოგადოების განვითარების პროცესი მონღოლურ ტომებში ასეთი ნელი ტემპით? რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზები?

მოსწავლის რვეული დავ.27

- რა მნიშვნელობა ჰქონდა პლანო კარპინის თხზულებას მაშინ ევროპლებისთვის და ახლა თანამედროვე ისტორიკოსებისთვის.

მოსწავლის რვეული დავ.27

- რა მნიშვნელობა ჰქონდა პლანო კარპინის თხზულებას მაშინ ევროპლებისთვის და ახლა თანამედროვე ისტორიკოსებისთვის.
- პლანო კარპინის წყაროსა და თანამედროვე მხატვრის შესრულებული ნამუშევრის მიხედვით იმსჯელე მონღოლების ცხოვრების წესსა და საქმიანობაზე.
- შენი აზრით, რა როლი მიუძღვის მონღოლების წარმატებულ ომებში მკაცრ სამხედრო დისციპლინას?
- როგორ ფიქრობ, რატომ დაყვეს მონღოლებმა ლაშქარი დუმნებად?
- შენი აზრით, რატომ ნიშნავდნენ ხშირად დუმან-ნოინებად უფლისწულებს?
- რა ინფორმაციას გვაწვდის წყარო მონღოლებზე? რას ნიშნავს, რომ მათ „მართვის
- არანაირი სისტემა“ ან „არანაირი დოკუმენტი“ არ გააჩნიათ?
- ბ) წყაროს მიხედვით დაახასიათე ჩინეთი.
- რა თვალსაზრისითაა საინტერესო ჩინელი ავტორის თხზულება? როგორ გადმოსცემს მონღოლებისა და ჩინეთის ურთიერთობას?
- რა თვალსაზრისით ავსებს მენ-და ბეი-ლუს თხზულებას პლანო კარპინის მონათხრობი?

მოსწავლის რვეული, დავ. 28

- შენი აზრით, რა როლი შეასრულა ჩინგიზ-ყაენის მიერ შემუშავებულმა კანონებმა მონღოლთა საყაენოს ჩამოყალიბებაში?
- რა მეთოდებს იყენებდა ყაენი ძალაუფლების განსამტკიცებლად? რატომ?
- რა საფრთხეს უქმნიდა ერთპიროვნულ ძალაუფლებას მონღოლებში არსებული მემკვიდრეობის წესი? რატომ?
- წყაროს მიხედვით შეაფასე ქალის როლი მონღოლურ საზოგადოებაში.
- ალადინ ათა მალიქ ჯუვეინი და ალ-მაკრიზი ჩინგიზ-ყაენის მიერ კანონთა კრებულის – იასის მიღებასა და იასის მუხლებზე გავწვდიან ინფორმაციას. დაახასიათე საზოგადოება, სადაც ეს კანონები იქნებოდა ძალაში. გ) წყაროში მოყვანილი მუხლების მიხედვით იმსჯელე ამ საზოგადოების თავისებურებებზე.
- შეადარე მონღოლური საზოგადოებას შენთვის ნაცნობ, მაგ., ევროპულ, საზოგადოებას. ჩამოთვალე ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები.

Don't copy

- შეავსე სქემა. წყარო გ)-ს მიხედვით, რომელ სფეროებს (სოციალურს, რელიგიურს, პოლიტიკურსა და ეკონომიკურს) არეგულირებს იასის პუნქტები?
- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში მონღოლთა იმპერიის ჩამოყალიბებისა და მათი დაპყრობითი ომების შესახებ მიღებული ცოდნა?

კითხვებისა და დავალებებზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ.: 128-134-ზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც შეეხება ჩინგის ყაენის შემდეგ მონღოლთა იპერიაში განვითარებულ ისტორიუ პროცესებს. საკითხის გასააზრრებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს პარაგრაფში წარმოდგენილი კითხვები და დავლებები.

- იმსჯელე, რამდენად განაპირობებდა „მონღოლურ სამყაროში“ არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირები მონღოლთა ტოლერანტულ რელიგიურ პოლიტიკას.
- შენ რომელ მოვლენას შეადარებდი ბაღდადის აღებას? რატომ?
- საკუთრივ მონღოლთა ჯარის მრავალრიცხოვნებისა და დისციპლინის გარდა, მათი წარმატების კიდევ რა მიზეზებს დაასახელებდი?
- რამდენად იყო შესაძლებელი მონღოლთა ქრისტიანობაზე მოქცევა და მათი შემდგომ ჯვაროსნულ ლაშქრობებში მოკავშირეებად ქცევა?
- როგორ გგონია, რელიგიის არჩევის შემთხვევაში, ულუსების მიხედვით, რა ფაქტორები შეიძლებოდა გაეთვალისწინებინათ მონღოლებს?
- რა ღონისძიებები გაატარა ყაზან-ყაენმა და შენი აზრით, რამდენად შეუწყობდა ეს ხელს საყაენოს ცენტრალიზებას?
- შენი აზრით, რატომ დადგნენ მონღოლები მომთაბარე ცხოვრების სტილის შეცვლის აუცილებლობის წინაშე?
- შენი აზრით, როგორ აისახებოდა ყაზან-ყაენის გადაწყვეტილება რელიგიის შეცვლის შესახებ დაპყრობილი ხალხების მდგომარეობაზე?
- რატომ სურდა ყაზან-ყაენს მონღოლური და ირანული არისტოკრატიის დაახლოება და რა შედეგი შეიძლებოდა მოეტანა ამას საყაენოსთვის?
- რაზე მეტყველებს„მარკო პოლოს მოგზაურობაში“ საქართველოს მეფის დავით VII ნახატის არსებობა?
- შენი აზრით, რატომ იჩენდნენ დიდ ყურადღებას მონღოლები სავაჭრო გზების მიმართ და რატომ არის მნიშვნელოვანი ვაჭრობის განვითარება ქვეყნებისთვის?
- „მარკო პოლოს მოგზაურობა“ დღეს ისტორიკოსებისთვის ძვირფასი ისტორიული წყაროა, მაგრამ რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ წიგნს შუა საუკუნეების ევროპელი მკითხველისთვის? შესაბამისად რაბან ბარ საუმას წიგნს ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები მკითხველისთვის?

მოსწავლის რვეული: დავ. 29

- შეადარე ერთმანეთს არაბების, თურქ-სელჩუკთა და მონღოლების დაპყრობების ისტორია: გამომწვევი მიზეზები და შედეგები. იმსჯელე, რით ჰგავს და რით განსხვავდება ეს პროცესები. რომელ მათგანს მეტი მსგავსება აქვს ერთმანეთთან და რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

Don't copy

- გაიხსენე, რა წვლილი შეიტანა არაბულმა კულტურამ ევროპულ ცივილიზაციაში და გამოთქვი მოსაზრება, მოახდენდნენ თუ არა გავლენას ევროპაზე მონღოლები? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში მონღოლოთა იმპერიის გაფართოებისა და დაპყრობითი ომების შესახებ მიღებული ცოდნა? რაზე უნდა გაამახვილო ყურადღება?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს ისტორიული თხზულების მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ისტორიული თხზულებაა?

ახსენი, რატომ შექმენი ისტორიული თხზულება? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

Don't copy

- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

სამიზნე ცნება – ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8)

ქვეცნება – გენერალური შტატები, კანონები, გადასახადები, მეფე, პარლამენტი

საკითხი – წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ევროპაში
საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა წარმოადგინო სტატიის საშუალებით შუა საუკუნეების ევროპაში წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საკითხი?

კომპლექსური დავალება
წარმოიდგინე, რომ ისტორიის მკვლევარი ხარ და წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების ისტორიას იკვლევ. გადაწყვიტე, დაწერო სტატია, რომელშიც განიხილავ ინგლისისა და საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოების წარმოშობის საკითხს, გამოკვეთ მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს და იმსჯელებ, რა პოლიტიკურმა პროცესებმა შეუწყო ხელი მეფეთა ერთპიროვნული ძალაუფლების შეზღუდვას.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:**	**შეფასების კრიტერიუმი** **მოსწავლეს შეუძლია:**	**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**
ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8) • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსების, ადამიანური რესურსების) ფლობა, სიმბოლოები, იდეოლოგია; • ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის; • დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.	• გაანალიზოს, როგორი იყო შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; • იმსჯელოს, ვინ და როგორ/რა საშუალებებით იბრძოდა ძალაუფლებისთვის შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში.	• როგორ და რა მეთოდებით იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის ინგლისსა და საფრანგეთში, რა რესურსებსა და იდეოლოგიას იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები მიზნის მისაღწევად? **(მ. წ. 1 და 3)** • როგორ და რატომ ჩაერთო დასავლეთ ევროპაში მესამე წოდება პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლაში? **(მ. წ. 5)** • როგორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და რომელი სოციალური ფენის ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა ისინი? **(მ. წ. 2 და 4)**

Don't copy

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 135-150

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „სტატია“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას სტატიის შესახებ.

რესურსი:

სტატია – კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები.

სტატიის სტრუქტურა:

1) სათაური – სტატიას სჭირდება სათაური. სათაურის ფუნქციაა, ინტერესი იმდენად გააღვივოს, რომ მკითხველს სტატიის წაკითხვა მოუნდეს. 2) შესავალი – სტატიის პირველი აბზაცი შესავალია. შესავალი მკითხველისათვის ინტერესის აღმძვრელი უნდა იყოს და მასში ასახული უნდა იყოს საკითხის მნიშვნელობა. 3) ენა და სტილი – სიტყვების არასწორი დაწერილობა მკითხველისთვის გამაღიზიანებელია. როცა ადამიანი შეცდომით დაწერილ სიტყვას ხედავს, მას კონცენტრაცია ეკარგება. სტატიისთვის საბოლოო ფორმის მიცემა გულისხმობს მის ყურადღებით გადაკითხვას სიტყვებისა და გრამატიკული წყობის სისწორის შესამოწმებლად, ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად და სტილისტურად გასამართავად.

- რა არის სტატია?
- რატომ ვწერთ სტატიას?
- როგორ უნდა დავწეროთ სტატია?
- რას აქცევთ ყურადღებას სტატიის კითხვის დროს და რატომ?
- როგორ უნდა აიგოს სტატია, რომ მკითხველისთვის საინტერესო იყოს?
- როგორ უნდა დაწერო კარგი სტატია?
- რა უნდა გაითვალისწინო სტატიის წერის დროს?

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება – მეფე, პარლამენტი, კანონები, გადასახადები

Don't copy

ქვესაკითხი – მეფისა და ბარონების ბრძოლა ძალაუფლებისთვის ინგლისში (პარალმენტის შექმნა)

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 135-142

ნაბიჯი 1

- როგორ და რა მეთოდებით იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის ინგლისსა და საფრანგეთში, რა რესურსებსა და იდეოლოგიას იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები მიზნის მისაღწევად? **(მ. წ. 1 და 3)**
- როგორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და რომელი სოციალური ფენის ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა ისინი? **(მ. წ. 2 და 4)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია„ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 135-136-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ინგლისში ჰენრი II-ეს მმართველობის შესახებ. საკითხის დამუშავებისას პედაგოგს შეუძლია„ გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალება და გააააქტიუროს მოსწავლეები.

- შენი აზრთ, რატომ არეგულირებდა შუა საუკუნეების საზოგადოებაში სენიორსა და ვასალებს შორის არსებულ ურთიერთობებს ადათობრივი სამართალი?
- რას გვეუბნება მეფის ძალაუფლების შესახებ ის ფაქტი, რომ მონარქს ვასალებისგან შემდგარი სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილებების გათავლისწინების ვალდებულება არ ჰქონდა?
- რა მიზანს ისახავდა ჰენრი II-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკა?
- შენი აზრით, რა გამოწვევების წინაშე დააყენებდა პლანტაგენეტების დინასტიას დასავლეთ ევროპის კონტინენტურ ნაწილსა და კუნძულებზე განთავსებული ვრცელი სამფლობელოების ფლობა?
- შენი აზრით, რატომ იყო დაინტერესებული ჰენრი II პლანტაგენეტი ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებით და წოდებრივი სასამართლოების გაუქმებით?
- როგორ ფიქრობ, რატომ ჩაანაცვლა ჰენრი II პლანტაგენეტმა ვასალებისაგან გამოყვანილი ფეოდლაური ჯარი თავისუფალი მოსახლეობისაგან შედგენილი საყოველთაო როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ინგლისში ჰენრი II-ეს მმართველობის პერიოდი და მის მიერ მიღებული შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილებები? სახალხო ლაშქარით და მოქირავნეებით?

აღნიშნული კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს ინფორმცაი ინგლისში, ჯონ უმიწაწაყლოს მმართველობის შესახებ გვ. 136-142. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული ისტორიული წყაროები, რომელთა

Draft copy

გასააზრებლად მოსწავლეებს შესთავაზოს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კითხვები და დავალებები.

- რა ღონისძიებების გატარებით ცდილობს ჯონ უმიწაწყლო ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას? უწყობს თუ არა ეს ღონისძიებები ხელს მისი ძალაუფლების განმტკიცებას? პასუხი დაასაბუთე.
- რა იყო ინგლისის მეფისა და რომის პაპის დაპირისპირების მიზეზი?
- რა ბერკეტებს იყენებს რომის პაპი საკუთარი ძალაუფლების დასამტკიცებლად?
- შენი აზრით, რა გავლენას მოახდენს რომის პაპის გადაწყვეტილება ბარონების ქმედებაზე და როგორ აისახება ეს ჯონ უმიწაწყლოს ძალაუფლებაზე?
- რამდენად მართებულად მიგაჩნია ჯონის გადაწყვეტილება საღვთო რომის იმპერატორთან და ფლანდრიის გრაფთან მოკავშირეობის შესახებ? რატომ?
- შეაფასე ჯონ უმიწაწყლოს გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობა.

მოსწავლის რვეული – დავ. 30

- „თავისუფლების დიდი ქარტიის“ თანახმად, რატომ იკრიბება საბჭო?
- „თავისუფლების დიდი ქარტიის“ თანახმად, რატომ იკრიბება საბჭო?
- რა განსხვავებული ფუნქცია შეიძინა საბჭომ „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მიღების შემდეგ?
- რა შეიცვალა საბჭოს დაკომპლექტების წესში და როგორ ხდება მისი მოწვევა?
- ვინ არიან საბჭოს წევრები და რა როლს ასრულებენ საბჭოს მუშაობაში?
- მოსახლეობის რომელი სოციალური ფენების ინტერესებს იცავს ქარტია და რომლისას არა?
- როგორი ურთიერთობა მყარდებოდა ეკლესიასა და მეფეს შორის? რატომ იყო მნიშვნელოვანი ეს გადაწყვეტილება?
- როგორ ფიქრობ, რატომ განსხვავდება პარლამენტში წარმომადგენლების მოწვევის წესი?
- შეავსე სქემა. „თავისუფლების დიდი ქარტიიდან“ გამოყავი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომლებიც ზღუდავს მეფის ხელისუფლებას და აძლიერებს ბარონებს. პასუხი დაასაბუთე.
- რატომ ეწოდება პარლამენტს წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა?
- რით განსხვავდება შუა საუკუნეების პარლამენტი თანამედროვე პარლამენტისგან?

მოსწავლის რვეული – დავ. 32-33

- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ჯონ უმიწაწყლოს მეფობის პერიოდში განვითარებული მოვლენები და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური გამოწვევები?

ქვეცნება – გენერალური შტატები, კანონები, გადასახადები

ქვესაკითხი – გენერალური შტატების მოწვევა საფრანგეთში

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 143-150.

Don't copy

ნაბიჯი 2

- როგორ და რა მეთოდებით იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის ინგლისსა და საფრანგეთში, რა რესურსებსა და იდეოლოგიას იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები მიზნის მისაღწევად? **(მ. წ. 1 და 3)**
- როგორ და რატომ ჩაერთო დასავლეთ ევროპაში მესამე წოდება პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლაში? **(მ. წ. 5)**
- როგორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და რომელი სოციალური ფენის ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა ისინი? **(მ. წ. 2 და 4**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია„ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 143-145-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია საფრანგეთში ფილიპე II-ის მეფობის პერიოდის შესახებ. საკითხის დამუშავებისას პედაგოგს შეუძლია„ გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და გააააქტიუროს მოსწავლეები.

- გაიხსენე, როგორი იყო სამეფო დომენი სხვა საგრაფოებთან და საჰერცოგოებთან შედარებით? როგორი იყო მეფისა და ფეოდალების ურთიერთობა? რატომ არ ემორჩილებოდნენ ისინი მეფეს?
- რაზე მეტყველებს საფრანგეთში მოქმედი ფეოდალურ-ვასალური ურთიერთობების ფორმა: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის“? ანუ ვინ ემორჩილება და ვინ არ ემორჩილება მეფეს?
- როგორ ფიქრობ, მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისთვის რატომ იყო მნიშვნელოვანი ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპი?
- დააკვირდი მოცემულ რუკებს, როგორ შეიცვალა 1180 წლიდან 1223 წლამდე პერიოდში ფილიპ II-ის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები?
- შენი აზრით, რაზე მიუთითებს სამეფო დომენის გაფართოება?
- შენი აზრით, რატომ იყო ფილიპ II-თვის მნიშვნელოვანი ზღვაზე გასასვლელის მოპოვება?
- რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ფლანდრიის გრაფი ჯონ უმიწაწყლოს მიემხრო?
- რას გულისხმობდა ქალაქისთვის მეფის ქვეშევრდომობა? რა უპირატესობას აძლევდა ეს ქალაქის მცხოვრებლებს?
- რატომ აირჩია მეფემ საკუთარ დასაყრდენად ქალაქები?
- ვისი პოზიციები დასუსტდებოდა მეფის ძალაუფლებაში ქალაქების გადასვლით?
- ა) წყაროს მიხედვით, ვინ არიან ქალაქში მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები?
- იმსჯელე, ქალაქებში მეფის ხელისუფლების წარმომადგენლების გაჩენა გამოიწვევდა თუ არა დროთა განმავლობაში მეფის ბიუროკრატიული აპარატის გაზრდას.
- მეფის ხელისუფლების განმტკიცებისთვის რატომ იყო მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ მას დასახმარებლად ფლანდრიის გრაფის ვასალებმა მიმართეს?

Don't copy

- საფრანგეთში დამკვიდრებულ რომელ ვასალურ-ფეოდალურ ურთიერთობას ასუსტებდა ეს პრეცედენტი?
- საზოგადოების რომელ ფენებს ეყრდნობოდა ფილიპე II თავისი პოლიტიკის გატარებისას?
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში საფრანგეთში ფილიპე II-ის მმართველობის პერიოდი და მეთოდები, რომლებსაც ის ძალაუფლების შენარჩუნების პროცესში იყენებდა?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია„ განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაცია ლუი IX-ის მმართველობის პერიოდის შესახებ (გვ. 145-146). საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალება.

- რა მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლო რეფორმას მეფის ხელისუფლების განმტკიცებისთვის და რა შესაძლებლობას აძლევდა ეს მეფეს?
- იმსჯელე, რატომ შეუწყობდა ხელს „მეფის ორმოცი დღე“ და ერთიანი სამონეტო სისტემის შემოღება მეფის გაძლიერებას?
- წარმოიდგინე, რომ არქეოლოგი ხარ; არაფერი იცი ლუი IX-ზე და ხელთ მხოლოდ ეს მონეტა გაქვს. იმსჯელე, რის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს მონეტაზე გამოსახული სიმბოლოები?

მოსწავლის რვეული – დავ. 34

- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში საფრანგეთში ლუი IX-ის მეფობა?

დავალებასა და კითხვებზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, მოსწავლეებს გააცნოს გვ. 147-150, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ფილიპე IV ლამაზის მეფობისა და გენერალური შტატების მოწვევის შესახებ. საკითხის გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია„ გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები და დავალებები.

- როგორ გადმოსცემს XVI საუკუნის მხატვარი პაპის რომში დაბრუნებას?
- აქედან გამომდინარე იმსჯელე, როგორი იქნებოდა მისი დამოკიდებულება „ავინიონის
- ტყვეობისადმი“?
- შენი აზრით, რატომ ვერ შეძლო რომის პაპმა საფრანგეთის საშინაო პოლიტიკაში ჩარევა?
- შენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა ტამპლიერთა ორდენის განადგურება?

მოსწავლის რვეული – დავ. 35

- შეადარე ერთმანეთს სასულიერო და საერო ხელისუფალთა ურთიერთობიდან ორი ამბავი: საღვთო რომის იმპერატორის, ჰაინრიხ IV-ის „კანოსაში შასვლა“ და ფილიპე IV-ის რომის პაპზე გამარჯვება. რატომ დამარცხდა, შენი აზრით, რომის პაპი საფრანგეთის მეფესთან დაპირისპირებაში?

Don't copy

- რომანეთს შეადარე სასულიერო და საერო ხელისუფალთა ურთიერთობიდან ორი ამბავი: საღვთო რომის იმპერატორის, ჰაინრიხ IV-ის „კანოსაში შასვლა“ და ფილიპ IVის რომის პაპზე გამარჯვება. რატომ დამარცხდა, შენი აზრით, რომის პაპი საფრანგეთის მეფესთან დაპირისპირებაში?
- ერთმანეთს შეადარე საფრანგეთსა და ინგლისში წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების მოწვევის მიზეზები და მათი შედეგები. საზოგადოების რა ნაწილისთვის, რომელი სოციალური ფენისთვის იქნებოდა მისაღები წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს მოწვევა როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში?
- რაში გამოიხატებოდა გენერალური შტატების მიერ მეფის ხელისუფლების შეზღუდვა?
- რით განსხვავდება საფრანგეთში ჩამოყალიბებული სახელმწიფო მმართველობის სისტემა ინგლისისგან?
- რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლები არ შედიოდნენ გენერალური შტატების შემადგენლობაში?

მოსწავლის რვეული – დავ. 36

- წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები მხოლოდ ევროპაში ჩამოყალიბდა. იმსჯელე, რა იყო ამის მიზეზი და რატომ არ ჩამოყალიბებულა ისინი ბიზანტიაში ან აღმოსავლეთის რომელიმე სახელმწიფოში, მაგ., თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში?
- იმსჯელე წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე იმდროინდელი და თანამედროვე თვალთახედვით.
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში საფრანგეთში განვითარებული ისტორიული პროცესი, ფილიპე IV ლამაზის მეფობის პერიოდი და მის მიერ გენარალური შტატების მოწვევის საკითხი?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს სტატიის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?

Don't copy

- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ისტორიული სტატიაა?

ახსენი, რატომ შექმენი სტატია? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?

- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).

Do not copy

- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

თემა 2. გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

სამიზნე ცნება	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ
დრო	• გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში საკუთრივ ქრისტიანული ცივილიზაციისა და დანარჩენ სამყაროსთან მიმართებითაც დასავლეთ ევროპის რეგიონი გამოიკვეთა როგორც სიმძიმის ცენტრი პროგრესული განვითარების მიმართულებით; • გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის ზოგადი მახასიათებლები (სოციალურ-ეკონომიკური, ღირებულებითი, მსოფლმხედველობრივი..) ძირითადად დასავლეთ ევროპასა და ზოგადად დასავლური სამყაროს მახასიათებლებად ჩამოყალიბდა, ბიზანტიის დაცემის შემდეგ საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია ასცდა ეპოქის ქრისტიანულ სამყაროში აღიარებულ ნიშნულებს; • გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ისტორიის პერიოდიზაცია დასავლეთში კონცეპტუალურ დონეზე ჩამოშორდა რელიგიური ნიშნით განსაზღვრას, პერიოდიზაციის ახლებური მოდელი ჰუმანისტების სახელს დაუკავშირდა; • საათები თანამედროვე გაგებით, შესაბამისად, დროის მეტად რაციონალური გაგება გვიანი შუა საუკუნეებიდან, რენესანსის ეპოქიდან იღებს სათავეს. • შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდის გამოკვეთა დასავლური პერსპექტივიდან ბიზანტიის დაცემის, ევროპაში რეფორმაციის დაწყებისა და ახალი კონტინენტის აღმოჩენით თარიღდება, რომელიც მეტნაკლებად გამოკვეთილი ნიშნულებია ქრისტიანული სამყაროსთვის, თუმცა მის პირობითობასა და რომელიმეს უპირატესობაზე მეცნიერებს შორის დავა არ წყდება. • ქრისტიანულ სამყაროში მორიგი კალენდარული რეფორმის შედეგად, გრიგორიანულმა კალენდარმა უპირატესობა მოიპოვა, როგორც უფრო ზუსტმა, თუმცა აღმოსავლურ ქრისტიანული სამყარო იულიუსის კალენდრის მიმდევარი დარჩა უმნიშვნელოვანესი რელიგიური დღესასწაულების გამოანგარიშებისას.
სივრცე	• გვიან შუა საუკუნეებისა და ადრეულ ახალ დროში დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში ცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა, რამაც გერმანიისა და იტალიური სივრცის გაერთიანების გარდა, ევროპაში ერთიანი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი განაპირობა, რაც ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი საზღვრების ცვლილებებით გამოიხატა; • ოსმალო თურქების მიერ ბიზანტიის დამხობამ ოსმალური სახელმწიფოს ჯერ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის მიმართულებით ექსპანსიის, შემდეგ კი სამ კონტინენტზე განფენის პერსპექტივები გააჩინა;

Don't copy

	• ოსმალების მიერ ახლო აღმოსავლეთსა, კავკასიისა და ევროპის ნაწილში გაბატონებამ წინა პერიოდის აბრეშუმის გზისა და ხმელთაშუაზღვის, როგორც უმთავრესი სავაჭრო საკომუნიკაციო სივრცის ეტაპობრივი დეკადენსი გამოიწვია; • დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ახალი კონტინენტების/ სუბკონტინენტების და საზღვაო-საოკეანო გზების ათვისება განაპირობა, რასაც უდიდესი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა; • გვიანი შუა საუკუნეებიდან კავკასია, რომელიც ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციური არეალების გზაჯვარედინზე მდებარეობდა, ყველა მხრიდან მუსლიმურ სახელმწიფოთა რკალში მოექცა და როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო საკომუნიკაციო საშუალებები უკიდურესად შეეზღუდა დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობისთვის; • ადრეულ ახალ პერიოდში „აბრეშუმის გზის“ როლის შესუსტებამ და სავაჭრო-საკომუნიკაციო სივრცეების, ასევე კულტურული მიზიდულობის ცენტრის მოშლამ ბიზანტიის სახით საქართველო სატრანზიტო ქსელისა და ახალი გეოგრაფიული ცოდნით მოპოვებული სიკეთეების მიღმა დატოვა. • გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში მოგზაურების, კონკისტადორებისა და მისიონერების მოღვაწეობამ მანამდე არნახულ მასშტაბს მიაღწია.
წყარო	• გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ეპიგრაფიკულ, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ წყაროების პირველი დამუშავების მცდელობები გვხვდება, რაც რენესანსის მოღვაწეებს უკავშირდება; • წერილობითი წყაროები გამრავალფეროვნდა და წინა პერიოდის ტიპებს მოგზაურობები, სავაჭრო, საზღვაო და დიპლომატიური მისიების რეპორტები, პოლიტიკური პამფლეტებიც დაემატა, რამაც როგორც შიდა პროცესების წვდომის , ასევე სხვადასხვა ხალხებსა და გეოგრაფიულ არეალებზე არსებული წარმოდგენები შეცვალა; • ჰუმანისტების მიერ შემოტანილ იქნა სხვადასხვა ისტორიული დარგებისა და დისციპლინების შესწავლის საფუძველი, რამაც წყაროთა ტიპის მრავალფეროვნებასთან ერთად დამუშავების მექანიზმებიც შემოგვთავაზა და შესაძლებელი გახადა საკვლევი ეპოქის უფრო მეტად კომპლექსური რეკონსტურიურება; • გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისთვის არსებითია ევროპული (ელჩების მოგზაურების თუ მისიონერებისა და ნუნციების) და აღმოსავლური(ოსმალური, ირანული) წყაროები, რადგან ამ ეპოქის ავთენტური ქართული წყაროები ერთეული გამონაკლისის გარდა, თითქმის არ მოიპოვება;

Don't copy

	• გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი, თუმცა წინა ეპოქისგან განსხვავებით სულ უფრო მეტად პრევალირებს იძენს საერო ხასიათის მოცემულობა; • იოჰან გუტენბეგრის გამოგონებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ნარატიულ წყაროთა მრავალფეროვნების ზრდა და ასევე მათზე ხელმისაწვდომობა, ხოლო ჰუმანისტებმა მნიშვნელოვნად განავითარეს წყაროს დამუშავების მეთოდოლოგია.
საზოგადოება	• გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ეპიგრაფიკულ, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ წყაროების პირველი დამუშავების მცდელობები გვხვდება, რაც რენესანსის მოღვაწეებს უკავშირდება; • წერილობითი წყაროები გამრავალფეროვნდა და წინა პერიოდის ტიპებს მოგზაურობები, სავაჭრო, საზღვაო და დიპლომატიური მისიების რეპორტები, პოლიტიკური პამფლეტებიც დაემატა, რამაც როგორც შიდა პროცესების წვდომის , ასევე სხვადასხვა ხალხებსა და გეოგრაფიულ არეალებზე არსებული წარმოდგენები შეცვალა; • ჰუმანისტების მიერ შემოტანილ იქნა სხვადასხვა ისტორიული დარგებისა და დისციპლინების შესწავლის საფუძველი, რამაც წყაროთა ტიპის მრავალფეროვნებასთან ერთად დამუშავების მექანიზმებიც შემოგვთავაზა და შესაძლებელი გახადა საკვლევი ეპოქის უფრო მეტად კომპლექსური რეკონსტურიურება; • გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისთვის არსებითია ევროპული (ელჩების მოგზაურების თუ მისიონერებისა და ნუნციების) და აღმოსავლური(ოსმალური, ირანული) წყაროები, რადგან ამ ეპოქის ავთენტური ქართული წყაროები ერთეული გამონაკლისის გარდა, თითქმის არ მოიპოვება; • გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი, თუმცა წინა ეპოქისგან განსხვავებით სულ უფრო მეტად პრევალირებს იძენს საერო ხასიათის მოცემულობა; • იოჰან გუტენბეგრის გამოგონებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ნარატიულ წყაროთა მრავალფეროვნების ზრდა და ასევე მათზე ხელმისაწვდომობა, ხოლო ჰუმანისტებმა მნიშვნელოვნად განავითარეს წყაროს დამუშავების მეთოდოლოგია.
ძალაუფლება	• გვიან შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპისთვის ტიპური ორპულისიანობა მეტწილად საერო ხელისუფლების სასარგებლოდ იცვლება და სასულიერო წრეების გავლენის მიუხედავად, ძალაუფლების კონცენტრაციას საერო მმართველის ირგვლივ ხდება;

Do not copy

	• გვიან შუასაუკუნეებში აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ცენტრის – ბიზანტიის დეკადენსი გარდაუვალი იყო, რადგან გაფლანგული იყო ყველა ის შიდა მექანიზმი (სამოხელეო და სამხედრო ელიტების თანამშრომლობის უზრუნველყოფა, თემის სისტემა, სამრეწველო ცენტრები, საშუამავლო ვაჭრობა...), რომელიც მას საშუალებას მისცემდა ან დასავლეთ ევროპისთვის ან ოსმალეთისთვის წინააღმდეგობა გაეწია; • გვიან შუა საუკუნეებიდან კათოლიკური სამყაროს წიაღში კრიტიკა ძალაუფლების გადანაწილების კუთხით რადგან უპასუხოდ დარჩა, ის გარდაისახა დიდ სულიერ რევოლუციად – რეფორმაციად, რომელმაც მკაფიო ლიდერები წამოსწია და სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მსოფლმხედველობასა და ცვლილებები განაპირობა საზოგადოებაში; • გვიან შუა საუკუნეებში მხოლოდ ინგლისურმა პარლამენტმა შეძლო წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოებიდან ქმედით საკანონმდებლო ორგანოდ ქცეულიყო, რომელიც მონარქთან ხელისუფლების განაწილებას ახერხებდა; ადრეული ახალი დროიდან კი ცენტრალიზებულმა სახელმწიფოებმა და სამთავროებმა ბიუროკრატიულ და სამხედრო სფეროზე კონტროლის მექანიზმით მიზიდულობის ცენტრად ქცევა მოახერხეს და წოდებების ჩართულობის ხარისხი სახელმწიფოებრივ საქმეებში ეტაპობრივად მინიმალური გახადეს; • გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში ბიუროკრატიული აპარატის დახვეწა-განვითარებამ, ერთიანი ჯარის ჩამოყალიბებამ, სამოხელეო აპარატის ზრდამ და ფეოდალური ელიტის დაკნინებამ საშუალება მისცა მონარქებს მმართველებს ძალაუფლების კონცენტრაცია თავის ხელში მოექციათ; • გვიანი შუა საუკუნეებიდან ძალაუფლების ფლობის ორგვარი მოდელი გამოიკვეთა ევროპაში-მონარქიული და იმპერიული, რომელმაც ვერ აიცილა დაპირისპირება ერთმანეთთან; • გვიან შუა საუკუნეებში და ადრეულ ახალ პერიოდში ძალაუფლების გადაცემის ფორმატი მემკვიდრეობით-დინასტიური პრინციპით გაგრძელდა, მან საყოველთაო ხასიათი მიიღო არა მხოლოდ დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, არამედ ბიზანტიასა და ოსმალეთ-ირანშიც კი;
	• ადრეულ ახალ დროში სასულიერო ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ხელდასხმის ამბიციები შეიკვეცა რადგან მის ხელთ ადრე არსებული უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორებს (მორალური, ეთიკური, განათლების უპირატესობა..) საერო ხელისუფლებამ მას ეტაპობრივად ჩამოაცილა და სახელმწიფოს სახელით მის ხელთ მეტი რესურსები აღმოჩნდა(ფინანსები, სამოხელეო აპარატი, იდეოლოგია, ჯარი, საზოგადოებრივი ფართო მხარდაჭერა, ხელისუფლის ღვთივკურთეულობის იდეა...);

Do not copy

	• გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ისლამური დიდი სახელმწიფოები ძალაუფლების კონცენტრაციისას რელიგიურსა და სამხედრო ფაქტორს ეყრდნობოდნენ, თუმცა მომთაბარულ ელემენტთან გამკლავება ოსმალებს ბიზანტიური მმართველობითი ტრადიციების გაზიარებითა და იანიჩართა კორპუსის შექმნით შეძლეს, ხოლო სეფიანებმა სპარსული მმართველობით ტრადიციებისა და ღულამთა კორპუსისა და ამ კორპუსში ქართველებისა და კავკასიელების ჩართვით. ადრეული ახალი დროიდან მოყოლებული ევროპულ სახელმწიფოთა უმეტესობაში მმართველობა სულ უფრო აბსოლიტური ფორმებს იღებს, თუმცა ევროპის კონტინენტურსა და კუნძულოვან ნაწილში ამ პროცესმა განსხვავებული ტიპის აბსოლუტიზმის მოდელები შექმნა., რომელთაც ძალაუფლების ფლობის ბერკეტები და სოციალური საყრდენი განსხვავებული ჰქონდათ.
ისტორიული მოვლენა/ პროცესი	• ჯვაროსნული ლაშქრობების, ბიზანტიის დეკადენსისა და მონღოლების ბატონობის შემდეგ ლევანტმა ეკონომიკური და კულტურული მეწინავეობა დათმო და განვითარების ვექტორმა გამოკვეთილად დასავლეთისკენ გადაიწია; • რენესანსმა, რეფორმაციამ, კონტრრეფორმაციამ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა რადიკალურად შეცვალეს ევროპის მენტალური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და ის სამყაროს ყველაზე მოწინავე რეგიონად აქციეს; • დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ევროპისთვის ახალ კონტინენტებსა და აზიის შორეულ რეგიონებში ეკონომიკური პოტენციალის ათვისებას და კოლონიური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი; • ევროპის მოწინავე რეგიონად ქცევამ ევროპული ღირებულებების, მიღწევების და გავლენების გავრცელება გამოიწვია როგორც აზიის ისე, ახლადაღმოჩენილ კონტინენტებზე , უმეტესად ეს გავლენა იძულებითი იყო; • გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდი ცენტრალიზაციის (როგორც სახელმწიფო, ისე სამთავრო დონეზე) პროცესით აღინიშნა, რამაც ევროპის კონტინენტზე ერთიანი, ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესს ჩაუყარა საფუძველი, აზიაში კი ცენტრალიზაციის პროცესმა ე.წ. დენთის იმპერიების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი;

Do not copy

	• ერთიანი ნაციონალური სახელმწიფოების მშენებლობა ცენტრალიზებული სახელმწიფო ინსტიტუტების, ჯარის, რეფორმირებული საეკლესიო ინსტიტუტების, ერთიანი შიდა ბაზრისა და ეროვნული ენების განვითარებამ განაპირობა; • ბიზანტიის დაცემამ და ოსმალთა სახელმწიფოს მზარდმა ტერიტორიულმა ექსპანსიამ დროებით ააღორძინა „ჯვაროსნული იდეა“ თუმცა ეკლესიას აღარ შესწევდა ძალა საერო სახელმწიფოთა განსხვავებული ინტერესებზე ზემოქმედება მოეხდინა და საერთო ფრონტი უზრუნველეყო, თუმცა საუკუნეების მანძილზე ანტიოსმალური კოალიციები მთავარ საერთაშორისო საკითხად რჩებოდა; • ბიზანტიის დაცემამ არ გააქრო ‘მარადიული რომის’ იდეა და ადრეულ ახალ დროშიც ხდება ამ იდეის პოლიტიკური განხორციელების მცდელობები; • დენთისა, ცეცხლსასროლი იარაღის ევოლუციამ და მასიურმა გამოყენებამ რადიკალურად შეცვალა არა მხოლოდ ომის წარმოების, არამედ ქალაქის და საცხოვრებლის ტიპები და გარკვეული სოციალური ფენის გაქრობა-ტრანსფორმაცია განაპირობა; • რეფორმაციის ფართო გავრცელებას კათოლიკური სამყაროს მხრიდან ახალი სასულიერო ორდენების დაარსება მოჰყვა, რომელთა საქმიანობა თვისობრივად განახლებულ განათლების სისტემასა და ფართომასშტაბიან მისიონერულ პოლიტიკას ითვალისწინებდა, რაც საქართველოსაც შეეხო; • აბსოლუტიზმის განვითარებამ ევროპაში ორი ხედვა შექმნა – 1. ‘სახელმწიფო ეს მე ვარ’ Vშ 2. ‘მეფე ემორჩილება ღმერთსა და კანონს’, ამ უკანასკნელის პოლიტიკურმა ინსტრუმენტალიზაციამ პროცესი კონსტიტუციური მონარქიის შექმნამდე მიიყვანა, აბსოლუტიზმისადმი წინააღმდეგობამ კი ახალ მიწაზე ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნას დაუდო საფუძველი; • სავაჭრო-საკომუნიკაციო გზების ოკეანეებზე გადატანამ და მისგან გამოწვეულმა კომპლექსურმა ცვლილებებმა საქართველოს გვერდი აუარა და ამ პერიოდიდან მისი ჩამორჩენა განაპირობა რაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პირობებში, მძიმედ აისახა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებზე.

Don't copy

კლასი: XI **თემის სახელწოდება: გვიანი შუა საუკუნეები – ადრეული ახალი დრო** **საათების სავარაუდო რაოდენობა** **ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო**				
სამიზნე ცნება	**რეკონკისტის დასასრული და კონსტანტინოპოლის დაცემა**	**ევროპა XV-XVII საუკუნეებში**	**ირან-ოსმალეთი XV-XVII საუკუნეებში**	**მმართველობის ფორმები ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და ამერიკაში XVII-XVIII საუკუნეებში**
ისტორიული მოვლენა/ პროცესი	**ქვესაკითხები:** • ოსამლეთის სახელმწიფოს წარმოშობა; • თემურლენგის ლაშქრობები; • ანტიოსმალური კოალიცია; • კონსტანტინოპოლის დაცემა • რეკონკისტის დასასრული. **ქვეცნება:** რეკონკისტა, საეკლესიო კრება, ტერიტორიული ექსპანსია, უნია, კოალიცია.			
წყარო		**ქვესაკითხი:** • დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები; • ჰუმანიზმი და რენესანსი; • რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია. **ქვეცნება:** გრიგორიანული კალენდარი, ძველი და ახალი სტილი, ლუთერანიზმი, კალვინიზმი, ანგლიკანიზმი, წერილები, დღიურები.		

Don't copy

საზოგადოება **დრო** **სივრცე**			**ქვესაკითხი:** • სეფიანთა ირანის შექმნა; • სულეიმან I მმართველობა; • შაჰ-აბასი და XVI საუკუნის ბოლოს ირან-ოსმალეთის დაპირისპირება; • ირან-ოსმალეთის ზავები. **ქვეცნება:** კავკასია, გურჯისტანის ვილაიეთი, აღმოსავლეთი ევროპა, სავაჭრო გეზები	
ძალაუფლება				**ქვესაკითხი:** • კარდინალების ხანა; • ლუი XIII; • ინგლისი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში; • სამოქალაქო ომი ინგლისში; • მოსკოვის სამთავროდან – რუსეთის იმპერიამდე; • განმანათლებლობა; • ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია; • ინგლისური კოლონიური სისტემა, ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა. **ქვეცნება:** აბსოლუტიზმი, გადასახები, რეფორმები, პროტექციონიზმი, კანონი, რევოლუცია, პარლამენტი, უზურპაცია, „სტრელცები“, „ოპრიჩნიკები“, ბოიარები, „რანგების ტაბელი“, ლიბერალიზმი, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, სახელისუფლებო შტოები, მეტროპოლია, კოლონია, დეკლარაცია.
კომპლექსური დავალება	მოგზაურის ჩანაწერების მომზადება რეკონკისტისა და კონსტანტინოპოლის დაცემის შესახებ.	ისტორიული თხზულების დაწერა XV-XVII საუკუნის ევროპის შესახებ.	მოხსენების დაწერა ირან-ოსმალეთის დაპირისპირების შესახებ.	სტატიის დაწერა ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და ამერიკაში XVII-XVIII საუკუნეებში მმართველობის ფორმების შესახებ.

Don't copy

სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6)

ქვეცნება – რეკონკისტა, საეკლესიო კრება, ტერიტორიული ექსპანსია, უნია, კოალიცია

საკითხი – რეკონკისტის დასასრული და კონსტანტინოპოლის დაცემა

საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა აღწერო მოგზაურის ჩანაწერებში, რა მიზეზებმა განაპირობა კონსტანტინოპოლისა და გრანადის დაცემა და რა პროცესები განვითარდა ამ ქალაქების დაცემის შემდეგ?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ არაბულ ესპანეთში, გრანადაში, მცხოვრები არაბი ვაჭარი ხარ. მე-15 საუკუნის მიწურულს, ესპანელების მიერ ქალაქის აღების შემდეგ, იძულებული გახდი, ჩრდილოეთ აფრიკაში გადსულიყავი, მოგვიანებით კი ოსმალთა სამფლობელოში – ეგვიპტეში დასახლდი. საქმიანობის გამო ბევრი მოგზაურობა გიწევს ოსმალეთის იმპერიაში, მათ შორის ეწვიე დედაქალაქს – კონსტანტინოპოლს. შენი მოგზაურობის ამბები აღწერე ჩანაწერების სახით.

სამიზნე ცნებასთან/ ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
ისტორიული მოვლენა/პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6) • ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი/მიზეზები და შედეგი/შედეგები; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებსა და შედეგებზე; • ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით დაჯგუფდეს.	**ისტორიული მოვლენა/პროცესი** • გააანალიზოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა; • იმსჯელოს, რა გავლენა ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ მოვლენას შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე.	• რა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული შედეგები მოჰყვა არაბული გრანადის დაცემას და რეკონკისტის დასრულებას? **(მ. წ. 4)** • რა წინაპირობებმა შეუწყო ხელი ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და გაძლიერებას და რა იყო მისი გაფართოების ხელის შემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები? **(მ. წ. 1)** • როგორ აღწერდნენ და აფასებდნენ კონსტანტინოპოლის დაცემას მოვლენის თანამედროვეები? **(მ. წ. 2)** • რა მნიშვნელობა ჰქონდა კონსტანტინოპოლის დაცემას საერთაშორისო საზოგადოებისთვის? საქართველოსთვის? **(მ. წ. 3)**

Don't copy

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 152-183

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „მოგზაურის ჩანაწერები".მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით აცნობს მათ ინფორმაციას მოგზაურის ჩანაწერების შესახებ.

რესურსი.
მოგზაურის ჩანაწერები – მოგზაურის ჩანაწერები, როგორც ლიტერატურული ჟანრი, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ყალიბდება, განსაკუთრებულ პოპულარულობას კი XIX საუკუნის პირველ ნახევარში იძენს. „მოგზაურის ჩანაწერების" გმირი რეალურ გეოგრაფიულ გარემოში მოგზაურობს და თავისებურად მოიაზრებს ნანახსა და განცდილს, გადმოგვცემს პირად დამოკიდებულებას აღწერილი მოვლენის მიმართ.

- როდის ყალიბდება ლიტერატურული ჟანრი „მოგზაურის ჩანაწერები"?
- როგორ ფიქრობ, რა განასხვავებს მოგზაურის ჩანაწერებს პირადი დღიურისგან?
- რატომ შეიძლება მოგზაურის ჩანაწერები საინტერესო იყოს მკითხველისთვის?
- როგორი ტერმინოლოგია შეიძლება გამოიყენოთ მოგზაურის ჩანაწერების წერისას?
- როგორ უნდა დაწერო მოგზაურის ჩანაწერები?
- როგორ უნდა გადმოსცე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგზაურის ჩანაწერების წერის დროს?
- თხრობის როგორ სტილს გამოიყენებ მოგზაურის ჩანაწერების წერის დროს და რატომ?

კომპლექსური დავალება
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება – საეკლესიო კრება, ტერიტორიული ექსპანსია, უნია, კოალიცია

ქვესაკითხი – ოსამლეთის სახელმწიფოს წარმოშობა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 152-176

ნაბიჯი 1
- რა წინაპირობებმა შეუწყო ხელი ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და გაძლიერებას და რა იყო მისი გაფართოების ხელის შემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები? **(მ. წ. 1)**

Don't copy

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია„ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 152-158-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებისა და მისი გაფართოების საწყისი პერიოდის შესახებ. პედაგოგს შეუძლია საკითხის უკეთ გასააზრებლად მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- შენი აზრით, რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალებისათვის ბიზანტიის მცირეაზიურ შავიზღვისპირა ტერიტორიებს? რა საფრთხის შემცველი იყო საქართველოსთვის ოსმალების სამხედრო პოლიტიკა?
- ა) წყაროს მიხედვით რა ფაქტორებს ეფუძნება ოსმალეთის სახელმწიფოს სიძლიერე?
- როგორია თურქი მეომრების აღჭურვილობა მინიატურის მიხედვით? გაიხსენე როგორი იყო ევროპელი რაინდების აღჭურვილობა და იმსჯელე, რა დადებითი და უარყოფითი მხარე ჰქონდა ამ თვალსაზრისით თურქებს?
- რა მიზეზებმა განაპირობა მმართველობის სისტემის ცვლილება? ხომ ვერ გაიხსენებდი ისტორიიდან ფაქტებს, როდესაც ხელისუფალი მმართველობის სისტემის გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დადგა? შეადარე ეს ფაქტები ერთმანეთს.
- რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატი თურქ-ოსმალთა საზოგადოებაზე? ჩაცმულობაზე? საქორწილო რიტუალზე?
- რატომ იწვევდა ევროპელებში გაოცებას სულთნისა და მოხელეების ურთიერთობა? გაიხსენე, მმართველობის როგორი სისტემა იყო ევროპაში უკვე განვითარებული შუა
- საუკუნეებიდან? შეადარე ამ ორი სამყაროს მმართველობის ფორმები და ძალაუფლების განაწილების ხარისხი.
- რით განსხვავდებოდა ოსმალური საზოგადოება ევროპულისგან?
- იმსჯელე, რატომ ამჯობინებდნენ ოსმალები, ელიტური სამხედრო ნაწილები და სახელმწიფო მოხელეთა პოზიციები გატაცებული ქრისტიანი ბავშვებით შეევსოთ. შენი მოსაზრებები დაასაბუთე.

მოსწავლის რევული – დავ. 37

- რა ინფორმაციას გაწვდის წყარო კოსოვოს ბრძოლის შედეგების შესახებ?
- როგორია ბოსნიის მეფის განწყობა კოსოვოს ბრძოლის შემდეგ და როგორ ფიქრობ, რამდენად შეიძლება ჰქონდეს სიმშვიდისა და სიხარულის მიზეზი? პასუხი დაასაბუთე.
- გამართეთ კლასში დისკუსია კოსოვოს ბრძოლის შედეგების შესახებ. იმსჯელეთ, რა შეფასება შეიძლებოდა ჰქონოდათ თურქებს.
- შენი აზრით, რატომ მიაჩნდა ოსმანს რელიგია მტკიცე სახელმწიფოს აუცილებელ პირობად?
- რა მიმართულებით ფართოვდებოდა ოსმალეთის სახელმწიფო? შენი აზრით, ევროპის რომელ სახელმწიფოებს უქმნიდა საფრთხეს ოსმალეთის გაფართოება? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

- რომელი ქალაქები და მხარე დაიპყრო მურად I-მა?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალებისთვის მარიცის ველზე გამარჯვებას? კოსოვოს ბრძოლას?
- თურქ-ოსმალთა დაპყრობების შედეგად ბიზანტია არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. დააკვირდი რუკას და იმსჯელე, რატომ?
- შენი აზრით, შეეძლოთ თუ არა ბალკანეთის ქვეყნებს ოსმალების წინააღმდეგ ეფექტიანი წინააღმდეგობის ორგანიზება? რა შეიძლებოდა ყოფილიყო ოსმალების წინააღმდეგ ბალკანელების გაერთიანების საფუძველი?
- იმსჯელე, რა საფრთხის წინაშე იდგა ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ცენტრები XIV საუკუნის ბოლოს და ივარაუდე, როგორ შეიძლებოდა გაზრდილიყო ეს საფრთხე ოსმალეთის სამხრეთით გაფართოებასთან ერთად.
- როგორ უნდა წარმოადგინო მოგზაურის ჩანაწერებში ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებისა და მისი გაფართოების საწყისი პერიოდის შესახებ მიღებული ინფორმაცია?

კითხვებზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია„ პარაგრაფზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 156-158-ზე მოცემულია ინფორმაცია მურად I-ის მმართველობის შესახებ. საკითხის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია„ გამოიყენოს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ისტორიული რუკა, კითხვები და დავალებები.

- რა მიმართულებით ფართოვდებოდა ოსმალეთის სახელმწიფო? შენი აზრით, ევროპის რომელ სახელმწიფოებს უქმნიდა საფრთხეს ოსმალეთის გაფართოება? პასუხი დაასაბუთე.
- რომელი ქალაქები და მხარე დაიპყრო მურად I-მა?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალებისთვის მარიცის ველზე გამარჯვებას?
- თურქ-ოსმალთა დაპყრობების შედეგად ბიზანტია არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. დააკვირდი რუკას და იმსჯელე, რატომ?
- შენი აზრით, შეეძლოთ თუ არა ბალკანეთის ქვეყნებს ოსმალების წინააღმდეგ ეფექტიანი წინააღმდეგობის ორგანიზება? რა შეიძლებოდა ყოფილიყო ოსმალების წინააღმდეგ ბალკანელების გაერთიანების საფუძველი?
- იმსჯელე, რა საფრთხის წინაშე იდგა ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ცენტრები XIV საუკუნის ბოლოს და ივარაუდე, როგორ შეიძლებოდა გაზრდილიყო ეს საფრთხე ოსმალეთის სამხრეთით გაფართოებასთან ერთად.
- როგორ უნდა ასახო მოგზაურის ჩანაწერებში ოსმალეთის დაპყრობითი ომები და მურად I-ის მმართველობის პერიოდი?

ქვეცნება – საეკლესიო კრება, ტერიტორიული ექსპანსია, უნია, კოალიცია

ქვესაკითხი – თემურლენგის ლაშქრობები, ანტიოსმალური კოალიცია, კონსტანტინოპოლის დაცემა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 159-167

Don't copy

ნაბიჯი 2

- რა წინაპირობებმა შეუწყო ხელი ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და გაძლიერებას და რა იყო მისი გაფართოების ხელის შემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები? **(მ. წ. 1)**
- როგორ აღწერდნენ და აფასებდნენ კონსტანტინოპოლის დაცემას მოვლენის თანამედროვეები? **(მ. წ. 2)**
- რა მნიშვნელობა ჰქონდა კონსტანტინოპოლის დაცემას საერთაშორისო საზოგადოებისთვის? საქართველოსთვის? **(მ. წ. 3)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია„ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 159-163-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ბიზანტიაში პალეოლოგების მმართველობის პერიოდისა და ნიკოპოლისის ბრძოლის შესახებ. საკითხების დამუშავებისას პედაგოგს შეუძლია„ დაეყრდნოს პარაგრაფში მოცემულ დავალებებსა და კითხვებს.

მოსწავლის რვეული – დავ. 38

- გეგმის მიხედვით გადმოეცი საბრძოლო მოქმედებები: ბრძოლის მოცემულ ეტაპზე რომელი ნაწილები არ არიან საბრძოლო მოქმდებებში ჩართული? რა განსხვავებაა ოსმალებისა და ჯვაროსნების განლაგებაში? რატომ მიაშურეს ევროპელმა რაინდებმა მდინარე დუნაის? იმსჯელე, ჩანს თუ არა გეგმაზე, რომ ჯვაროსნები შეუთანხმებლად მოქმედებდნენ? გეგმის მიხედვით, ჯვაროსნებმა ოსმალებზე ერთი შეტევაც კი ვერ მიიტანეს. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი?
- შუა საუკუნეების ევროპის მთავარი სამხედრო ძალა ოსმალებთან სასტიკად დამარცხდა. რა იყო ამის მიზეზი? იმსჯელე, რატომ გაუჭირდათ ევროპელ რაინდებს ოსმალების გამკლავება?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ნიკოპოლის ბრძოლას როგორც ერთი, ისე მეორე მხარისთვის?
- რა გამოწვევების წინაშე დადგებოდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ბალკანეთში ოსმალეთის სამხედრო წარმატებებისა და ნიკოპოლის მარცხის შემდეგ?
- XV საუკუნის ორივე მინიატიურა: ფრანგული და ოსმალური, ნიკოპოლის ბრძოლის ამბავს გადმოგვცემს. დააკვირდი მათ, რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატები გვიანდელი შუა საუკუნეების ბოლოს სამხედრო საქმისა და ტექნოლოგიის განვითარებაზე?
- იმსჯელე, დროთა განმავლობაში რა გავლენას მოახდენდა არტილერიის განვითარება სამხედრო საქმეზე, საომარი მოქმედებების წარმართვაზე?
- შენი აზრით, დარჩებოდა თუ არა რაინდობა ევროპული სახელმწიფოების მთავარ სამხედრო ძალად ახალ დროშიც? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ უნდა წარმოადგინო მოგზაურის ჩანაწერებში ბიზანტიაში პალეოლოგების მმართველობის პერიოდი და ოსმალების დაპყრობითი ომების შედეგები?

Don't copy

დავალებისა და კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 163-167-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია თემურლენგის ლაშქრობებისა და ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია„ მოსწავლეებს შესთავაზოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები და დავალებები.

- როგორ ფიქრობ, რამდენად საკმარისი იქნებოდა კონსტანტინოპოლის დასაცავად გალერების ის რაოდენობა, რომელსაც პაპი აგზავნიდა?
- წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი ხარ და ამ ნახატზე გამოსახული ხომალდით დაინტერესდი. რომელი ისტორიული დისციპლინის დახმარებით და როგორ გაარკვევ ხომალდის წარმომავლობას?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ანგორის ბრძოლას როგორც ბიზანტიის, ისე ოსმალეთისთვის?
- ესპანეთის მეფე თემურ ლენგის ვასალი არ ყოფილა, ამის მიუხედავად, მას როგორც ქვეშევრდომს, ისე უგზავნის მოკითხვას აზიელი მმართველი. წყაროს მიხედვით, შეეცადე დაახასიათო თემურ ლენგისა და ესპანეთის მეფის ურთიერთდამოკიდებულება.
- რატომ გამოხატეს ევროპის კათოლიკურმა სახელმწიფოებმა სიხარული თემურლენგის სამხედრო წარმატების მიმართ? შენი აზრით, აქვს თუ არა რელიგიურ ერთიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობებში? პასუხი დაასაბუთე.
- წარმოიდგინე, რომ იმდროინდელი ისტორიკოსი ხარ. გააკეთე მოკლე ჩანაწერი ანგორის ბრძოლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ: ა) როგორც ბიზანტიელმა ისტორიკოსმა, ბ) როგორც თურქმა ისტორიკოსმა. შეეცადე, შენს ჩანაწერში ეპოქისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობა და რელიგიურობა აისახოს და მომხდარი მოვლენაც ამ თვალთახედვით შეაფასე.
- თესალონიკის მდებარეობის მიხედვით იმსჯელე, რა ფუნქცია ექნებოდა ქალაქს?
- თესალონიკი მისმა მმართველმა ეკონომიკური გაჭირვების გამო გაყიდა. მაშინ რატომ გადაიხადეს ვენეციელებმა მასში დიდი თანხა? იმსჯელე, თუ ბიზანტიელები ვერ ახერხებდნენ ქალაქის შენახვას, როგორ მოახერხებდნენ ამას ვენეციელები?
- რა პროცესები მიმდინარეობს ბიზანტიის საიმპერატორო კარზე და როგორ აისახება შიდა პოლიტიკური უთანხმოება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე?
- შენი აზრით, რატომ არ დაუშვა მურად II-მ, რომ თესალონიკი ვენეციელებს დარჩენოდათ?
- შენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ პალეოლოგოსების აღორძინების მოღვაწეები ბერძნული კულტურის წარმომადგენლებად დარჩნენ იმ დროს, როცა იტალიელმა ჰუმანისტებმა კულტურის ისტორიაში მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინეს?
- როგორ ფიქრობ, რამდენად ეფექტიანი შეიძლებოდა ყოფილიყო „ფლორენციის უნიის“ პირობები მისი შესრულების შემთხვევაში? პასუხი დაასაბუთე.
- რატომ ჰქონდა ბიზანტიის მოსახლეობას რომის პაპის მიმართ ასეთი უარყოფითი განწყობა?
- როგორ ფიქრობ, ჰქონდა თუ არა ბიზანტიის იმპერიას დილომატიური არჩევანი? გარდა რომის პაპისა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი საგარეო პოლიტიკური მოკავშირე? რატომ?
- რატომ იყო რთულ მდგომარეობაში ბიზანტიის ეკონომიკა? შესწევდა თუ არა ძალა უნიას, გამოესწორებინა ეკონომიკური ვითარება? რატომ?

Don't copy

მოსწავლის რვეული – დავ. 39

- წარმოიდგინეთ, რომ კონსტანტინოპოლის მცხოვრებლები ხართ და ფლორენციიდან დაბრუნებულ იმპერატორსა და პატრიარქს ხვდებით. დაინაწილეთ როლები: იმპერატორი და მისი ამალა და „ფლორენციის უნიის“ საწინააღმდეგოდ განწყობილი ბიზანტიელები. გამოხატეთ თქვენი პოზიციები და მოიყვანეთ არგუმენტები მათ დასაცავად.
- როგორ წარმოაჩენ მოგზაურის დღიურში თემურლენგის ლაშქრობის შედეგებსა და ფერა-ფლორენიციის კრების მნიშვნელობას?

კითხვებისა და დავალების განხილვის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია„ განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 168-176-ზე წარმოდგენილი ინფორმაცია კონსტანტინოპოლის აღების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული ბრძოლის სქემა, კითხვები და დავალებები.

- ეპოქის, იმდროინდელი საზოგადოების რა მახასიათებლებზე შეიძლება მოგვითხრობდეს ნახატი, როგორც ისტორიული წყარო?
- რატომ არის ეს რუკა XV საუკუნის კონსტანტინოპოლის მკვლევრისთვის ძვირფასი ისტორიული წყარო? რა ინფორმაციას გვაწვდის რუკა და როგორ შეგვიძლია მისი გამოყენება კონსტანტინოპოლის ისტორიის შესასწავლად?
- რა სახის წყაროები შეიძლება დაგვეხმაროს რუკაზე მოცემული ინფორმაციის დაზუსტებაში?
- რით გამოირჩევა ფლორენციელი კარტოგრაფის შედგენილი რუკა თანამედროვე რუკებისგან?
- რატომ არის ეს რუკა XV საუკუნის კონსტანტინოპოლის მკვლევრისთვის ძვირფასი ისტორიული წყარო? რა ინფორმაციას გვაწვდის რუკა და როგორ შეგვიძლია მისი გამოყენება კონსტანტინოპოლის ისტორიის შესასწავლად?
- რომელი ბუნებრივი საზღვრები ჰქონდა კონსტანტინოპოლს?
- შენი აზრით, რატომ განსხვავდება ქალაქის თავდაცვითი სისტემა სხვადასხვა მხარეს?
- ქალაქის რომელი მხარე ჰქონდათ უფრო გამაგრებული ქალაქის დამცველებს? შენი აზრით, რატომ?
- რა გზას მიმართეს კონსტანტინოპოლის მცხოვრებლებმა ოქროს რქის ყურის დასაცავად?
- გეგმის მიხედვით აღწერე ძალთა განლაგება: სად იყო თავმოყრილი ქალაქის დამცველთა ძირითადი ძალები და რატომ?
- რა გზას მიმართეს ოსმალების ხომალდებმა ოქროს რქის ყურეში შესასვლელად?
- რატომ არ სცადეს ოსმალებმა მარმარილოს ზღვის მხრიდან ქალაქზე იერიშის მიტანა?
- შენი აზრით, რა როლი შეასრულა ფლოტმა კონსტანტინოპოლის ალყაში?
- შენი აზრით, თავდაცვითი სისტემის რომელ მონაკვეთში გამოიყენებდა მეჰმედ II ზარბაზნებს? პასუხი დაასაბუთე.
- რა უპირატესობა წაართვა ქალაქის დამცველებს ბრძოლაში არტილერიის გამოყენებამ? შეიძლებოდა თუ არა, რომ მოვლენები განსხვავებულად განვითარებულიყო?

მოსწავლის რვეული დავ. 40

- როგორ უნდა წარმოადგინო მოგზაურის დღიურში კონსტანტინოპოლისთვის ბრძოლა და მისი აღების შედეგად განვითარებული ისტორიული პროცესები?

Don't copy

კითხვებსა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია„ განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს ისტორიკოსთა შეფასებები კონსტანტინოპოლის აღების მნიშვნელობის შესახებ. საკითხის გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია, დაეყრდნოს პარაგრაფში მოცემულ კითხვებსა და დავალებებს.

- რა საერთო ინფორმაციას გვაწვდის წყაროები?
- რატომაა მნიშვნელოვანი ერთსა და იმავე მოვლენაზე სხვადასხვა წყაროს არსებობა?
- წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით დაახასიათე მეჰმედ II.
- შენი აზრით, რატომ აუკრძალა მან საკუთარ მეომრებს ქალაქის კედლებისა და შენობების დანგრევა, ეს ხომ „ურწმუნოთა ქალაქი“ იყო?
- რატომ დაუთმო მეჰმედ II-მ ტყვეები და განძეულობა ჯარს?
- რა მიზნებს ემსახურებოდა მეჰმედ II-ის მიერ ქალაქის აღებიდან მესამე დღეს გამოცემული ბრძანებები?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა თურქებისთვის კონსტანტინოპოლის აღებას?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანული სამყაროსთვის კონსტანტინოპოლის დაცემას?
- როგორ ფიქრობ, მოახდენდა თუ არა გავლენას კონსტანტინოპოლის დაცემა საქართველოს ისტორიაზე?
- რა ტიპის ისტორიული წყაროა? ისტორიული თხზულებებისა და მატიანეების გარდა, კიდევ რა ტიპის ისტორიული წერილობითი წყაროები არსებობს?
- როგორ ფიქრობ, რამდენად სანდოა ამ ტიპის წყარო? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს მას, როგორც ისტორიულ წყაროს?
- რა ინფორმაციას გვაწვდის მომხდარზე ანჯელო ლომელინოს წერილი?
- კონსტანტინოპოლის დაცემის რა მიზეზებს ასახლებს ანჯელინო ლომელინო?
- შენი აზრით, რატომ მიაჩნია წყაროს ავტორს კონსტანტინოპოლის დაცემა „[ქრისტიანული] სამყაროს დაცემის დასაწყისად“?

მოსწავლის რვეული – დავ. 41

- კარლ დილის შეფასებიდან პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნიშნით გამოყავი ბიზანტიის დაცემის მიზეზები. რატომ განსხვავდება ისინი XV საუკუნის ავტორის მიერ დასახელებული მიზეზებისგან? რა შეიძლება იყოს ამ განსხვავებულობის მიზეზი?
- იმსჯელე, შეიძლებოდა თუ არა ამ მიზეზების აღმოფხვრა და არსებობდა თუ არა ისტორიის ალტერნატიული განვითარების გზა.
- რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდნენ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპის სავაჭრო ქალაქ-სახელმწიფოები?

მოსწავლის რვეული – დავ. 42

- შენი აზრით, რატომ ადარებს კონსტანტინოპოლის დაცემას დეივიდ ნიკოლი „ჰომეროსისა და პლატონის მეორედ გარდაცვალებას“?

მოსწავლის რვეული – დავ. 43

Don't copy

- გაიხსენე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი რომელი სავაჭრო გზა გადიოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სირია-პალესტინის ტერიტორიაზე და რა როლი ჰქონდა მას საერთაშორისო ვაჭრობაში? იმსჯელე, რა შედეგი მოჰყვებოდა დასავლეთ ევროპის ეკონომიკისთვის ამ სახმელეთო და საზღვაო სავაჭრო გზების ოსმალების ხელში გადასვლას.
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის დაცემას მართლმადიდებლური სამყაროსთვის? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ უნდა წარმოადგინო მოგზაურის ჩანაწერებში კონსტანტინოპოლის დაცემის შესახებ ისტორიკოსთა შეფასებები?

ქვეცნება – რეკონკისტა

ქვესაკითხი – რეკონკისტის დასასრული

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 177-183

ნაბიჯი 3

- რა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული შედეგები მოჰყვა არაბული გრანადის დაცემას და რეკონკისტის დასრულებას? (მ. წ. 4)

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 177-180-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია რეკონსკისტის საწყისი პერიოდის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, საკითხის უკეთ გასაგებად მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში წარმოდგენილი ისტორიული რუკა, დავალებები და კითხვები.

- დააკვირდი რუკას, რომელი გეოგრაფიული მიმართულებებით მიმდინარეობდა კასტილიისა და არაგონის სამეფოების რეკონკისტა? რით იყო ეს განპირობებული?
- რუკისა და გაკვეთილში მოცემული ინფორმაციის მიხედვით იმსჯელე, რამდენად თანამიმდევრული იყო რეკონკისტის პროცესი.
- XI საუკუნიდან დაწყებული ჯვაროსნული ომების დროს ევროპელთა სამიზნე არაბული ესპანეთი არ ყოფილა. შენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?
- რას გეუბნება წყარო ქალაქის ეკონომიკური ცხოვრების შესახებ? რატომ მოცურავდნენ სევილიაში ხომალდები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან?
- სევილიის გეოგრაფიული მდებარეობა შეადარე კონსტანტინოპოლის, გენუისა და ვენეციის მდებარეობას და იმსჯელე, ექნებოდა თუ არა სევილიას იგივე სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია, რაც ხმელთაშუა ზღვის ჩამოთვლილ ცენტრებს.
- შენი აზრით, მოახდენდა თუ არა კონსტანტინოპოლის დაცემა სევილიის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გავლენას?

Don't copy

- როგორ უნდა წარმოადგინო მოგზაურის ჩანაწერებში ესპანეთში განვითარებული ისტორიული პროცესები და რეკონკისტის საწყისი პერიოდი?

კითხვებზე მუშაობის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 180-183-ზე მოცემულია არაბებისგან ესპანეთის გათავისუფლებისა და რეკონკისტის შესახებ ინფორმაცია. საკითხის დამუშავების პროცესში პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- იმსჯელე, ექნებოდა თუ არა ტრანსსაჰარულ სავაჭრო გზას დასავლეთ ევროპისთვის იგივე მნიშვნელობა, რაც აბრეშუმის გზას ჰქონდა.
- წყაროს მიხედვით, როგორ ქალაქად წარმოგვიდგება გრანადა? წყაროდან რა ინფორმაცია მიანიშნებს, რომ ის: ა) პოლიტიკური, ბ) ეკონომიკური, გ) კულტურული ცენტრია?
- რა მნიშვნელობა აქვს ბ) წყაროს გრანადის ისტორიის შესასწავლად და რამდენად სანდოა ის?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქისთვის სავაჭრო გზებზე მდებარეობას?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი ქრისტიანული სამეფოებისთვის გრანადის დაპყრობა?
- ალჰამბრის ფოტოსა და აღწერილობის მიხედვით იმსჯელე გრანადის მმართველი დინასტიის ძალაუფლების შესახებ.
- როგორ შეიცვალა გრანადის მცხოვრებათა უფლებრივი მდგომარეობა ესპანელების მიერ ქალაქის აღების შემდეგ?
- გამოთქვი მოსაზრება, გრანადის საამიროს დაცემის შემდეგ შეინარჩუნებდა თუ არა ესპანეთი სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ჩრდილოეთ აფრიკასთან? შენი მოსაზრება დაასაბუთე.
- რატომ შეიძლებოდა გადასახლებულიყვნენ მუსლიმები ჩრდილოეთ აფრიკაში და ჰქონდათ თუ არა იმავე არჩევანის საშუალება თავდაპირველად იუდეველებს? პასუხი დაასაბუთე.
- იმსჯელე, როგორ შეიცვალა წყაროების მიხედვით იუდეველების მიმართ დამოკიდებულება და რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

მოსწავლის რვეული – დავ. 44

- გრანადის კაპიტულაციის დოკუმენტში რომელი მუხლი მიგაჩნია მუსლიმებისთვის უმნიშვნელოვანესად და რატომ?
- შენი აზრით, რომელი პორტები იგულისხმება კაპიტულაციის დოკუმენტის „ბარბაროსულ პორტებში“? რატომ იხსენიებს წყარო მათ ამ ფორმით? გაიხსენე ისტორიიდან, როდის, ვის მიმართ და რა კონტექსტში იხსენიებოდა „ბარბაროსი“. იმავე დამოკიდებულებას გამოხატავს თუ არა, შენი აზრით, ესპანელთა მხრიდან წყარო?
- შეაჯამე: რა შედეგი მოჰყვა გრანადის დაცემას; რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ
- მოვლენას გრანადაში მცხოვრები მუსლიმებისთვის, ებრაელებისთვის, ესპანელებისთვის, ქრისტიანული და მუსლიმური სამყაროსთვის.
- შეადარე გრანადისა და კონსტანტინოპოლის დაცემის მნიშვნელობა ერთმანეთს.
- რა მსგავსება-განსხვავებაა ამ მოვლენებს შორის?
- რომელ რელიგიურ კონფესიებს დევნიდა კათოლიკური ესპანეთის ხელისუფლება
- და რატომ?

Don't copy

- როგორ უნდა წარმოადგინო მოგზაურის ჩანაწერებში, რა მნიშვნელობა ჰქონდა რეკონკისტას და რა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული შედეგები მოჰყვა მას?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- გრანადის კაპიტულაციის დოკუმენტში რომელი მუხლი მიგაჩნია მუსლიმებისთვის უმნიშვნელოვანესად და რატომ?
- შენი აზრით, რომელი პორტები იგულისხმება კაპიტულაციის დოკუმენტის „ბარბაროსულ პორტებში“? რატომ იხსენიებს წყარო მათ ამ ფორმით? გაიხსენე ისტორიიდან, როდის, ვის მიმართ და რა კონტექსტში იხსენიებოდა „ბარბაროსი“. იმავე დამოკიდებულებას გამოხატავს თუ არა, შენი აზრით, ესპანელთა მხრიდან წყარო?
- შეაჯამე: რა შედეგი მოჰყვა გრანადის დაცემას; რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოვლენას გრანადაში მცხოვრები მუსლიმებისთვის, ებრაელებისთვის, ესპანელებისთვის, ქრისტიანული და მუსლიმური სამყაროსთვის.
- შეადარე გრანადისა და კონსტანტინოპოლის დაცემის მნიშვნელობა ერთმანეთს. რა მსგავსება-განსხვავებაა ამ მოვლენებს შორის?
- რომელ რელიგიურ კონფესიებს დევნიდა კათოლიკური ესპანეთის ხელისუფლება და რატომ?
- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს მოგზაურის ჩანაწერების მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი მოგზაურის ჩანაწერებია?

ახსენი, რატომ შექმენი მოგზაურის ჩანაწერები? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?

Don't copy

- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Do not copy

სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)
ქვეცნება: წერილები, დღიურები

სამიზნე ცნება – საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)
ქვეცნება: ლუთერანიზმი, კალვინიზმი, ანგლიკანიზმი

ამიზნე ცნება – დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6)
ქვეცნება: გრიგორიანული კალენდარი, ძველი და ახალი სტილი

საკითხი – ევროპა XV-XVII საუკუნეებში
საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა წარმოადგინო თხზულებაში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების, ჰუმანიზმის, რენესანსისა და რეფორმაციის გამოწვევი მიზეზები/შედეგები და ცვლილებები, რომლებიც ამ ისტორიულ პროცესებს მოჰყვა?

კომპლექსური დავალება
რეფორმაციის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში პროტესტანტების დევნა დაიწყო, რის გამოც არაერთმა მათგანმა დატოვა ევროპა და ახლად აღმოჩენილ, აუთვისებელ მიწებს მიაშურა. წარმოიდგინე, რომ XVII საუკუნის დამდეგს ცხოვრობ და რელიგიური დევნის გამო შენს თანამოაზრეებთან ერთად ჩრდილოეთ ამერიკისათვის თავის შეფარება მოგიხდა. ახალ კონტინენტზე ცხოვრებისას საინტერესო ინფორმაცია ამერიკის კოლონიზაციის შესახებ შეაგროვე. გადაწყვიტე, დაწერო თხზულება, რომელშიც აღწერ იმ მოვლენებს, რომელთა თვითმხილველიც ხარ (რეფორმაცია, პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნები).
თხზულებაში გააანალიზებ წინაპირობებს და მიზეზებს (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ჰუმანიზმი, რენესანსი), რომლებმაც ევროპასა და მსოფლიოში დიდ ცვლილებებს ჩაუყარა საფუძველი.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ. საშ.1,2,4,5) • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან;	**წყარო** • იმსჯელოს, რა ტიპის წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის/მოვლენის/პროცესის შესახებ; • იმსჯელოს, რამდენად სანდოა მოცემული წყარო/წყაროები; • იმსჯელოს, რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროს ინტერპრეტაციისას.	• რა სახის წყაროები არსებობს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ და რამდენად მრავალფეროვან და სანდო ცნობებს გვაწვდის ისინი? **(მ. წ. 1, 2, 3 წყარო)**

Don't copy

• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია. **სამიზნე ცნება – საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)** • ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს საერთო ნიშნები ახასიათებდა: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; • საზოგადოება უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად იყოფა; • პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;	**საზოგადოება** • აღწეროს შესაბამისი პერიოდის ადამიანების იდენტობის საშუალებები; მათი საერთო ინტერესები და საზრუნავი; • აღწეროს, რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შესაბამისი პერიოდის საზოგადოება; • იმსჯელოს, ჰქონდათ თუ არა სტერეოტიპული წარმოდგენები ამ ისტორიულად არსებული საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებების მიმართ. **დრო** • აღწეროს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული პერიოდის მახასიათებლები და მათი მიმართება სხვა ისტორიულ ეპოქებთან/პერიოდებთან;	• როგორ იცვლებოდა ევროპული მსოფლმხედველობა და კულტურა XIV-XVI საუკუნეებში, ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქაში და რატომ გაჩნდა განსხვავებული დამოკიდებულება ანტიკური კულტურის მიმართ? **(მ. წ. 1, 2 დრო და 4 საზოგადოება)** • რატომ და როგორ შეიცვალა იულიუსის კალენდარი პაპ გრიგორი XIII-ის გადაწყვეტილებით? **(მ. წ. 3 დრო)** • როგორ და რატომ გაჩნდა ევროპაში ახალი სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური ჯგუფები, რა იყო მათი ინტერესი და საზრუნავი და რა დამოკიდებულება ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიას მათ მიმართ? **(მ. წ. 1 და 2 საზოგადოება)**
• საზოგადოების წევრებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ მრავალფეროვნების მიმართ. **სამიზნე ცნება – დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ. საშ. 1,2,3,4,5,6)** • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა.	• იმსჯელოს, როგორ აღრიცხავდნენ დროს და აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას შესწავლის ობიექტად შერჩეულ დროში მცხოვრები ადამიანები.	• რა დამოკიდებულება ჰქონდათ ევროპელ მონარქებს პროტესტანტიზმის მიმდევრების სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის მიმართ და რა პოლიტიკას მიმართავდნენ ისინი ამისთვის? **(მ. წ. 3 საზოგადოება)**

Don't copy

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 184-213

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ისტორიული თხზულება“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით აცნობს მათ ინფორმაციას ისტორიული თხზულების შესახებ.

რესურსი: **ისტორიული თხზულება** https://www.youtube.com/watch?v=X25-eYLvSuI

- რა არის ისტორიული თხზულება?
- რა განასხვავებს ისტორიულ თხზულებას მხატვრული თხზულებისგან?
- როგორი სტრუქტურა აქვს ისტორიულ თხზულებას?
- როგორი ტერმინოლოგია უნდა გამოიყენო ისტორიული თხზულების წერის დროს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიული თხზულების წერისას სხვადასხვა წყაროს გამოყენება?
- როგორ უნდა დაწერო ისტორიული თხზულება?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგა ისტორიული თხზულების წერის დროს?

კომპლექსური დავალება

შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.

მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება: წერილები, დღიურები

ქვესაკითხი:

- დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 184-194

ნაბიჯი 1

- რა სახის წყაროები არსებობს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ და რამდენად მრავალფეროვან და სანდო ცნობებს გვაწვდის ისინი? **(მ. წ. 1, 2, 3 წყარო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

Don't copy

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 184-187-ზე მოცემულია ინფორმაცია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყების მიზეზებთან და ესპანეთისა და პორტუგალიის შორის დადებული ტორდესილის ზავის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები პარაგრაფში არსებული კითხვებითა და დავალებებით გააააქტიუროს.

- იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩამოთვლილ აღმოჩენებსა და მოგზაურობებს გეოგრაფიული კვლევა-ძიების შემდგომი გაფართოებისთვის? რა დასკვნის გაკეთება შეეძლოთ თანამედროვეებს თითოეულ მათგანზე დაფუძნებით: ა) აფრიკის უკიდურესი დასავლეთი წერტილის, ბ) „კეთილი იმედის კონცხის“ აღმოჩენას, გ) კოლუმბისა და დ) მაგელანის მოგზაურობებს?
- ქვემოთ მოცემულია ორი რუკა: 1490 და 1570 წელს შედგენილი. იმსჯელე, რა ინფორმაცია მოგვაწოდა თითოეულმა მათგანმა, როგორც ისტორიულმა წყარომ? როგორ შეიცვალა გეოგრაფიული ცოდნა ამ დროის განმავლობაში? რით განსხვავდება 1570 წელს შედგენილი რუკა თანამედროვე რუკისგან? სამყაროს რა ნაწილი არ არის მასზე ჯერ კიდევ ასახული?
- რა მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიოსთვის დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონებისთვის? რა შედეგების მომტანი იქნებოდა ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ცენტრებისთვის, მაგ., ვენეციისა და გენუისთვის? დარჩებოდა თუ არა იგივე ფუნქცია დიდ აბრეშუმის გზას? როგორ ფიქრობ, რა გავლენა შეიძლებოდა ჰქონოდა საქართველოსა და მასზე გამავალ სავაჭრო გზებზე?
- რატომ მიმართეს მხარეებმა რომის პაპს?
- ჩაატარე პატარა გამოკვლევა. პორტუგალიური და ესპანური კოლონიების რუკაზე დააკვირდი სამხრეთ ამერიკის კონტინენტს და შეადარე თანამედროვე რუკას. დაადგინე, დღეს რომელი სახელმწიფოები მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში ყოფილი ესპანური და პორტუგალიური კოლონიების ადგილზე. დააჯგუფე ისინი ამ ნიშნის მიხედვით. ინტერნეტით მოიძიე ინფორმაცია ამ ქვეყნებში სახელმწიფო ენების შესახებ. შეაჯამე და დასკვნის სახით ჩაწერე: როგორ შეიძლება გამოიწვიოს ისტორიულმა მოვლენამ კულტურულ-გეოგრაფიული სივრცის ფორმირება. ისტორიიდან მოიყვანე ანალოგიური მაგალითები.
- „დასავლეთში მოხდა ის ერთადერთი, მნიშვნელოვანი და მთელი მსოფლიოსთვის არსებითი გარღვევა, რომლის შედეგებმაც დღემდე მოგვიყვანა და რომლის საბოლოო მნიშვნელობა ჯერ ბოლომდე არ გამოვლენილა“ – წერდა ერთ-ერთი ისტორიკოსი და ამ გარღვევაში უდიდეს როლს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს აკუთვნებდა. იმსჯელე, რატომ ანიჭებენ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ასეთ დიდ მნიშვნელობას?

მოსწავლის რვეული – დავ. 45

- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში, რა მიზეზებმა განაპირობა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყება და როგორ აფასებენ ამ ისტორიულ პროცესებს ისტორიკოსები?

Don't copy

კითხვებისა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 188-194-ზე მოცემულია ინფორმაცია ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციის შესახებ. საკითხის გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში წარმოდგენილი კითხვები და დავალებები.

- წყაროში მონახე ადგილები, რომლებიც ამერიკის კონტინენტის ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.
- საზოგადოების განვითარების ისტორიიდან რომელ პერიოდთან გაავლებდი პარალელს და რატომ?
- შენი აზრით, რამ განაპირობა მოცემული საზოგადოების განვითარების ნელი ტემპი?
- მოყვანილ ნაწყვეტებში მონახე ადგილები, რომლებიც: ა) გადმოგვცემს ადგილობრივი მოსახლეობის ევროპელებისადმი დამოკიდებულებას; ბ) გადმოგვცემს ევროპელების ადგილობრივი მოსახლეობისადმი დამოკიდებულებას. რა არის ორივე მხრიდან ამ დამოკიდებულების მიზეზი?
- რაზე მეტყველებს ანტონიო პიგაფეტას იმედი, რომ ადგილობრივი მოსახლეობის გაქრისტიანება იოლია? რატომ შეიძლებოდა ჰქონოდათ ევროპელებს ადგილობრივების გაქრისტიანების სურვილი?

მოსწავლის რვეული – დავ. 46

- რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატები აცტეკების კოდექსიდან? როგორია მათი მეომრების ჩაცმულობა და აღჭურვილობა? რით განსხვავდებიან ისინი ევროპელი მეომრებისგან?
- რის გადმოცემა სურს მე-2 ნახატით ავტორს? რატომ არიან აცტეკები კონკისტადორების ლაშქარში?
- ნახატის მიხედვით, შეეცადე, აღწერო აცტეკების თვალით დანახული ევროპელები.
- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში სხვადასხვა ტიპის წყაროების გაანალიზების შემდეგ მიღებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციას?
- წარმოიდგინე, რომ ესპანელი კონკისტადორი ხარ. აცტეკისა და ინკის მსგავსად, შენც მოჰყევი იმავე ამბავს. შეეცადე, შენი მონათხრობი რეალურ ამბებსა და ესპანელი კონკისტადორის პოზიციას დაეფუძნოს.

მოსწავლის რვეული – დავ. 47

- დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ევროპა მოწინავე რეგიონად გადაიქცა. როგორც ახლად აღმოჩენილი მიწები, ისე აზიის უდიდესი ნაწილი ეკონომიკურად ევროპაზე დამოკიდებული გახდა. როგორ ფიქრობ, რა გავლენას მოახდენდა ევროპული ცივილიზაცია მათზე? გაავრცელებდნენ თუ არა ევროპელები საკუთარ ღირებულებებსა და მიღწევებს და რამდენად ნებაყოფლობითი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს გავლენა?

Don't copy

- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში ინკებისა და აცტეკების ცივილიზაციის შესახებ მიღებული ინფორმაცია?

ქვეცნება – გრიგორიანული კალენდარი, ძველი და ახალი სტილი, ლუთერანიზმი, კალვინიზმი, ანგლიკანიზმი

ქვესაკითხი – ჰუმანიზმი და რენესანსი

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 195-208

ნაბიჯი 2

- როგორ იცვლებოდა ევროპული მსოფლმხედველობა და კულტურა XIV-XVI საუკუნეებში, ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქაში და რატომ გაჩნდა განსხვავებული დამოკიდებულება ანტიკური კულტურის მიმართ? **(მ. წ. 1, 2 დრო და 4 საზოგადოება)**
- რატომ და როგორ შეიცვალა იულიუსის კალენდარი პაპ გრიგორი XIII-ის გადაწყვეტილებით? **(მ. წ. 3 დრო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 195-200-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ჰუმანიზმისა და ევროპული საზოგადოების ყოფაში მომხდარი ცვლელების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები და დავალება.

- გაიხსენე: რა იყო ადამიანის მთავარი სიმდიდრე ადრეულ შუა საუკუნეებში და როგორ განაპირობებდა ეს სიმდიდრე მის ადგილს საზოგადოებაში? როგორი იყო მეურნეობის ხასიათი, ეკონომიკური ურთიერთობები? საზოგადოების რა ნაწილს ეკუთვნოდნენ ხელოსნები და ვაჭრები?
- შენი აზრით, რატომ ვეღარ თავსდება ქალაქების განვითარების შემდეგ ჩამოყალიბებული ახალი მეწარმეთა ფენა ფეოდალურ-წოდებრივ იერარქიაში? რით განსხვავდებიან ისინი შუა საუკუნეების წოდებებისგან?
- შენი აზრით, რამ გამოწვია XIV-XV საუკუნეების ქალაქებში დროისადმი დამოკიდებულების შეცვლა? რატომ გაჩნდა საათები ქალაქის რატუშაზე და არა, მაგალითად, ფეოდალის ციხესიმაგრეზე ან რომელიმე ჰერცოგისა თუ გრაფის სასახლეზე?
- შენი აზრით, რატომ არ მიიღო ყველა ქრისტიანულმა ქვეყანამ ერთდროულად გრიგორიანული კალენდარი?
- რაზე მეტყველებს, რომ საქართველოში საეკლესიო დღესასწაულები „ძველი სტილით“ აღინიშნება?
- გაიხსენე, როგორ აღირიცხებოდა უძველესი დროიდან დრო და იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი წელთაღრიცხვის სისტემების შემოღებას? როგორ ფიქრობ, რა-

Don't copy

ტომ არ მოხერხდა დროის აღრიცხვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელსაც დაზუსტება არ დასჭირდებოდა?

- შენი აზრით, რატომ სვამს მარსილიო ფიჩინო საკითხს ამგვარად: „ნება მიეცით ადამიანს, თაყვანი სცეს საკუთარ თავს, როგორც ღმერთის ხატებას. ნება მიეცით მას, კვლავ ამაღლდეს ღმერთამდე“? რით განსხვავდება ადამიანის მიმართ ეს დამოკიდებულება შუა საუკუნეებში არსებული წარმოდგენისგან?
- რას იტყოდა ადამიანისა და ღმერთის ურთიერთდამოკიდებულებაზე შუა საუკუნეების ბერი? შეცვალე შუა საუკუნეების ეპოქის შესაბამისად იტალიელი ჰუმანისტის ნათქვამი და დაასრულე წინადადება: ნება მიეცით ადამიანს...
- პეტრარკას მიხედვით, რა დამოკიდებულება აქვთ ჰუმანისტებს ქრისტიანობის მიმართ? შეიძლება თუ არა ჰუმანიზმი განვიხილოთ ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულ ფილოსოფიურ მიმდინარეობად?
- როგორ ცდილობს პეტრარკა ქრისტიანობისა და ანტიკური შეხედულებების გაერთიანებას?
- წყარო გ)-ს მიხედვით, რატომ ელოდება ნიკოლო მაკიაველი ყოველდღე ანტიკურობის გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრას? წარმოიდგინე თავი მის ადგილას. შენ რა კითხვებს დაუსვამდი მათ?
- მოიფიქრე ან მოყვანილი წყაროებიდან აირჩიე ფრაზა, რომელიც მოკლედ გამოხატავს აღორძინების ეპოქის არსს.
- რატომ იყო შუა საუკუნეების ევროპაში ანტიკური ავტორები მივიწყებული და რატომ შეიცვალა მათ მიმართ დამოკიდებულება ჰუმანიზმის ეპოქაში?
- რა ინფორმაციას გვაწვდის მოყვანილი წყაროები გვიანი შუა საუკუნეების შესახებ? რით განსხვავდება ისინი ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების წყაროებისგან? რა ტიპის წყაროებს იყენებდი შუა საუკუნეების ისტორიის, სხვადასხვა სფეროს, ყოველდღიურობის შესასწავლად?
- იმსჯელე, მსოფლმხედველობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად როგორ და რატომ გამრავალფეროვნდა წყაროები.

- როგორ ფიქრობ, წიგნის ბეჭდვა მხოლოდ ჰუმანიზმის იდეების გავრცელებას შეუწყობდა ხელს? კიდევ რა სახის ლიტერატურაზე შეიძლებოდა ყოფილიყო მოთხოვნა საზოგადოებაში?

მოსწავლის რვეული – დავ. 48

- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში, თუ როგორ შეცვალა ევროპული მსოფლმხედველობა და კულტურა XIV-XVI საუკუნეებში ჰუმანიზმმა?

დავალებისა და კითხვების განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 210-208-ზე მოცემულია ინფორმაცია რენესანსის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესასწავლი საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში არსებული კითხვებისა და დავალებების საშუალებით.

- გაიხსენე, როგორი იყო ადრე შუა საუკუნეების მწერლობა? რა მიზნებსა და იდეალებს ემსახურებოდა?

Don't copy

- იმსჯელე, რატომ ვერ იქნებოდა ადრე შუა საუკუნეების მწერლობა რეალისტური, ჰუმანისტურუ და კრიტიკული?
- დააკვირდი ნახატებს. რით განსხვავდება რენესანსის ეპოქის ნახატები შუა საუკუნეების მხატვრობისგან?
- რით განსხვავდება აღორძინების ხანაში დამკვიდრებული ღირებულებები წინა ეპოქის ღირებულებებისგან?
- ხშირად რენესანსს თანამედროვე ეპოქის დასაწყისთან აიგივებენ. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რა დანიშნულება აქვს ადამიანს თანამედროვე სამყაროში? შენი მოსაზრება შეადარე აღორძინების ეპოქის ავტორთა ნააზრევს.
- როგორი იყო შუა საუკუნეების განმავლობაში ისტორიოგრაფია და რა ცვლილება მოხდა XIV-XV საუკუნეებში? რით განსხვავდება რენესანსის ეპოქის მოაზროვნეების დამოკიდებულება ისტორიული პროცესისადმი?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიოგრაფიისთვის ტექსტის კრიტიკის მეთოდის დანერგვას?
- წყაროს ე)-ს მიხედვით, რას ასახელებს ლეონარდო ბრუნი რომის იმპერიის დაცემის მიზეზად?
- შენი აზრით, რომის იმპერიის დაცემის რა მიზეზს დაასახელებდა ადრეულ შუა საუკუნეებში მოღვაწე ისტორიკოსი? რატომ?
- ეთანხმები თუ არა მაკიაველის მოსაზრებებს სახელმწიფოს შესახებ? შენი აზრით, რა არის სახელმწიფო? მაკიაველთან აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრის მიუხედავად, იმსჯელე, რატომ იყო მისი შეხედულებები იმ დროისთვის პროგრესული.
- შენი აზრით, ანტიკური წარსულისა და სიძველეებისადმი ინტერესის გაზრდას, არქეოლოგიის გარდა, კიდევ რა დისციპლინების ჩამოყალიბება შეიძლებოდა მოჰყოლოდა?

მოსწავლის რვეული – დავ. 49

- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში, თუ როგორ შეცვალა ევროპული მსოფლმხედველობა და კულტურა XIV-XVI საუკუნეებში რენესანსმა?

ქვეცნება – ლუთერანიზმი, კალვინიზმი, ანგლიკანიზმი

ქვესაკითხი – რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 209-217

ნაბიჯი 3

- როგორ და რატომ გაჩნდა ევროპაში ახალი სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური ჯგუფები, რა იყო მათი ინტერესი და საზრუნავი და რა დამოკიდებულება ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიას მათ მიმართ? **(მ. წ. 1 და 2 საზოგადოება)**

Don't copy

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 209-213-ზე მოცემულია ინფორმაცია XVI საუკუნის საღვთო რომის იმპერიისა და XV-XVI საუკუნეების კათოლიკური ეკლესიის შესახებ. საკითხის გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში არსებული კითხვები.

- რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თითქმის საუკუნის განმავლობაში პაპები ავინიონის ტყვეობაში იმყოფებოდნენ?
- დააკვირდი ნახატს. როგორ შეიძლება გავიგოთ, ვინ არიან, რომელი მხარის დიდებულები კურფიურსტები? რომელი ისტორიული დისციპლინა დაგეხმარება კურფიურსტების ვინაობის დადგენაში?
- რატომ ჰქონდათ პაპის მორჩილებაში მყოფ სასულიერო პირებს დიდი პოლიტიკური ძალაუფლება?
- გაიხსენე, კიდევ რომელ სახელმწიფოებში არსებობდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები და რომელი წოდებები იყვნენ მასში გაერთიანებული? გამოთქვი ვარაუდი რაიხსტაგის შემადგენლობის შესახებაც.
- როგორ იმართებოდა გერმანული ქალაქები და რატომ იბრძოდნენ საშუალო და წვრილი მოქალაქეები თვითმმართველობისთვის? რა უფლება-მოვალეობები ჰქონდათ გლეხებს?
- იმსჯელე, ავტორს მხოლოდ ასახული აქვს ინდულგენციებით ვაჭრობა თუ საკუთარ პოზიციასაც გადმოგვცემს ინდულგენციებით ვაჭრობის ფორმასთან დაკავშირებით?
- შენი აზრით, რამდენად ეთანხმებოდა კათოლიკური ეკლესიის მიერ ინდულგენციების შესახებ დადგენილი წესი ქრისტიანული მოძღვრების პრინციპებს?
- შენი აზრით, რატომ იყიდებოდა უფრო მეტად ინდულგენციები გლეხებში და რატომ იჯერებდნენ ისინი ადვილად ცოდვების გამოსყიდვის შესაძლებლობას?
- შენი აზრით, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო საზოგადოებაში ინდულგენციების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი? პასუხი დაასაბუთე.
- რაზე მეტყველებს ხალხური თქმულება ტეცელის შესახებ?
- როგორ უნდა წარმოადგინო XVI საუკუნის საღვთო რომის იმპერიისა და XV-XVI საუკუნეების კათოლიკური ეკლესიის შესახებ მიღებული ცოდნა ისტორიულ თხზულებაში?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს შესასწავლ საკითხზე მუშაობა. გვ. 213-217-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია რეფორმაციისა და მარტინ ლუთერის შესახებ. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესასწავლი საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალებების გამოყენებით.

- შენი აზრით, რატომ დაუჭირა მხარი კარლ V-მ რომის პაპს?
- რა იყო მარტინ ლუთერის დებულებების მთავარი პრინციპები?
- შენი აზრით, რატომ შეიფარა მთავარმა ლუთერი? რატომ გახდა მისი მოძღვრება გერმანიაში ასე პოპულარული?

Draft copy

- რა მნიშვნელობა ჰქონდა გერმანელი ხალხისთვის ბიბლიის მშობლიურ ენაზე თარგმნას?
- როგორ ფიქრობ, გერმანიაში კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას, რელიგიურის გარდა, სხვა მიზეზებიც ჰქონდა თუ არა?
- როგორ ფიქრობ, რა რეაქცია ექნებოდა ამ იდეას საზოგადოების მხრიდან?
- რამდენად მართებულად მიგაჩნია ლუთერის ეს იდეა? პასუხი დაასაბუთე.
- ეთანხმები თუ არა ამ შეფასებას? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რა მიზეზებმა განაპირობა გლეხთა ომის დაწყება და რატომ ვერ მიაღწიეს მათ წარმატებას?
- შენი აზრით, გერმანელ ბიურგერებსა და რაინდებს ექნებოდათ თუ არა ერთნაირი მოთხოვნები?
- მიუნცერის მოთხოვნებს სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს. შენი აზრით, რატომ?
- წარმოიდგინე, რომ არ იცი ვის ეკუთვნის ნახატი, როდისაა შესრულებული, ვინ არიან მასზე გამოსახული. ჩამოწერე კითხვები, რომლებიც ნახატის დახმარებით ამ საკითხების გამორკვევაში დაგეხმარება.
- რა იყო მარტინ ლუთერის წამოწყებული ბრძოლისა და რეფორმაციის საბოლოოდ გამარჯვების მიზეზი?
- მოიყვანე არგუმენტები რომის პაპის მიერ ტრენტის საბჭოზე გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ.
- რა გავლენას მოახდენდა რეფორმაცია საზოგადოებაზე? სახელმწიფოზე? შეასუსტებდა თუ არა იმპერატორის ძალაუფლება?
- როგორ ფიქრობ, რა გავლენას მოახდენდა რეგორმაციაზე აღორძინების ხანის იდეები?
- დიდი ხნის განმავლობაში ისტორიკოსთა შორის კარლ V-ის შეფასებისას ეროვნული მოტივები ჭარბობდა. გერმანელი ისტორიკოსების აზრით, ჰაბსბურგთა საგვარეულოს გაყოფისას კარლ V გერმანიის ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ხოლო ესპანელი ისტორიკოსები მის ქმედებაში ესპანეთისა და კათოლიკური ეკლესიის ერთიანობისთვის ზრუნვას ხედავდნენ. ისტორიკოსები იმავდროულად აღიარებდნენ, რომ, აუგსბურგის ზავით რაც მისაღები იყო გერმანიისთვის, მიუღებელი იქნებოდა ესპანეთისთვის. კლასში იმსჯელეთ, რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო აუგსბურგის ზავი გერმანიისა და ესპანეთისთვის განსხვავებული მნიშვნელობის? მოაწყვეთ დისკუსია და შეაფასეთ კარლ V-ის გადაწყვეტილება ორივე პოზიციის თვალსაზრისით, მოიყვანეთ არგუმენტები.

მოსწავლის რვეული – დავ. 50

- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში რეფორმაციის არსი, მნიშვნელობა და ის ცვლილებები, რომლებიც ამ პროცესს მოჰყვა?

ქვეცნება – ლუთერანიზმი, კალვინიზმი, ანგლიკანიზმი

ქვესაკითხი – რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია

Dont copy

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 218-231

ნაბიჯი 4

- როგორ და რატომ გაჩნდა ევროპაში ახალი სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური ჯგუფები, რა იყო მათი ინტერესი და საზრუნავი და რა დამოკიდებულება ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიას მათ მიმართ? **(მ. წ. 1 და 2 საზოგადოება)**
- რა დამოკიდებულება ჰქონდათ ევროპელ მონარქებს პროტესტანტიზმის მიმდევრების სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის მიმართ და რა პოლიტიკას მიმართავდნენ ისინი ამისთვის? **(მ. წ. 3 საზოგადოება)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 218-221-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია კალვინისტური და ანგლიკანური ეკლესიების შესახებ. პედაგოგს შეუძლია, საკითხის სიღრმისეულად აღსაქმელად გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- რა ფაქტორების გამო იყო რეფორმაცია მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპის სახელმწიფოების მომავალი განვითარებისათვის?
- რატომ იყო დამკვიდრებული ევროპის სახელმწიფოებში და მოსახლეობაში კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი? რა უწყობდა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის შენარჩუნებას ხელს?
- რა განასხვავებს ერთმანეთისგან ლუთერისა და კალვინის მოძღვრებას?

მოსწავლის რვეული – დავ. 51

- შენი აზრით, რატომ იყენებდნენ კალვინისტები რადიკალურ მეთოდებს თავიანთი იდეურ მოწინააღმდეგეთა მიმართ?
- სურათის გაცნობის შემდეგ იმსჯელე რა დამოკიდებულება ჰქონდათ კალვინისტებს ეკლესიების მიმართ და რა დეტალებმა მიიქცია შენი ყურადღება? რატომ?
- ჰენრი VIII-ის მიერ რომის პაპის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას დიდებულებმაც დაუჭირეს მხარი. შენი აზრით, რატომ?
- პროტესტანტული მიმდინარეობა – ანგლიკანიზმი – ძირითადად დიდ ბრიტანეთშია გავრცელებული. იმსჯელე, რატომ?

კითხვებისა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება გვ. 221-226, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ევროპაში რელიგიური ომების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოუყინოს პარაგრაფში წარმოდგენილი კითხვები და დავალებები.

- როგორ ფიქრობ, არის თუ არა ნახატი „ბართლომეს ღამე“ ისტორიული წყარო? გამოთქვი ვარაუდები, ვინ შეიძლება იყოს მხატვარი აღმსარებლობით: ჰუგენოტი თუ

Don't copy

კათოლიკე? ორივე შემთხვევის განხილვისას იმსჯელე, რის თქმა უნდოდა ავტორს?

- ნანტის ედიქტის ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელი გეჩვენება ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ჰუგენოტებისათვის?
- შენი აზრით, რატომ გახდა საჭირო ნანტის ედიქტში XVIII მუხლში მოცემული დებულების შეტანა?
- თავისუფალი აღმსარებლობის უფლების მიცემის მიუხედავად, შენი აზრით, რატომ უკრძალავს ედიქტი ჰუგენოტებს თავიანთი მრწამსის წარმოჩენას სამსახურში, ჯარში, საჯარო სასწავლებლებსა და საფრანგეთის სამფლობელოებში? რატომ არ უკრძალავს იმავეს კათოლიკეებს?
- როგორ ფიქრობ, მოაგვარებდა თუ არა ედიქტი კათოლიკეებისა და ჰუგენოტების დაპირისპირებას?

მოსწავლის რვეული – დავ. 52

- წარმოიდგინე, რომ ხელთ ჩაგივარდა ანრი IV-ის მიერ თავისი ჰუგენოტი მეგობრისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის ნანტის ედიქტის შესახებ წერს. იმსჯელე, რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს ასეთ წერილს, როგორც ისტორიულ წყაროს?
- რა დადებითი და უარყოფითი აქვს ნანტის ედიქტს, როგორც ისტორიულ დოკუმენტს? რა ინფორმაციას გვაწვდის და რას არა ისტორიული დოკუმენტი?
- კიდევ რა ტიპის ისტორიული წყაროები შეიძლება დაგეხმაროს მოცემული საკითხის (ანრი IV-ის მიერ ნანტის ედიქტის გამოცემა) შესასწავლად? გაითვალისწინებ თუ არა ნახატიდან მიღებულ ინფორმაციასაც?
- იმსჯელე, რა ფაქტორების გამო იყო რეფორმაცია მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპის სახელმწიფოების მომავალი განვითარებისათვის?
- რუკის მიხედვით, რომელ სახელმწიფოებში გავრცელდა პროტესტანტიზმი და რომელში დარჩა კათოლიკობა?
- შეეცადე, ახსნა, რატომ გავრცელდა პროტესტანტიზმი უფრო ჩრდილოეთის ქვეყნებში?
- იმსჯელე, რატომ არ გავრცელებულა პროტესტანტიზმი ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში.
- რუკის მიხედვით, რელიგიური თვალსაზრისით რა ვითარებაა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში?
- რატომ არ გავრცელებულა პროტესტანტიზმი, შენი აზრით, მართლმადიდებლურ სამყაროში?
- რა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა ევროპის რუკის ამგვარ რელიგიურ სივრცეებად დაყოფა?
- იმსჯელე, რამდენად მართებული იყო იეზუიტთა არჩეული სამოქმედო სტრატეგია და ივარაუდე, მოხერხდებოდა თუ არა იეზუიტთა ორდენის დახმარებით კათოლიკობასა და პროტესტანტიზმს შორის ურთიერთობის მოგვარება?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი მათი მოღვაწეობა ევროპის ფარგლებს გარეთ? შენი აზრით, სად უფრო შედეგიანი იქნებოდა კათოლიკობის ქადაგება: ახლად აღმოჩენილ მიწებზე თუ აღმოსავლეთ აზიაში? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

- რა ინფორმაციას გვაწვდის მიხეილ ბოიმის ჩანახატები? რით განსხვავდება ის სხვა ისტორიული წყაროებისგან და რა საკითხის შესასწავლად გამოადგებათ მკვლევრებს?

მოსწავლის რვეული – დავ. 53

- რა ისეთი სახის ინფორმაციას შეიცავს კასტელის ჩანახატები, რასაც ისტორიულ წყაროებში ვერ შევხვდებით? რა თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, როგორც ისტორიული წყარო?
- კიდევ რა ტიპის და სადაური ისტორიული წყაროები შეიძლება დაგვეხმაროს XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლაში, როცა ამ პერიოდის ქართული ისტორიული წყაროები, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის არ მოიპოვება?
- აღნიშნული კითხვებისა დადაველებების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განგლძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ : 227-232, რომელშიც წარმოდგენილია ინფრომაცია ევროპაში ოცდაათწლიანი ომის შესახებ. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს პარაგფში მოცემული კითხვებისა და დავალებების გამოყენებით.
- შენი აზრით, რა ფაქტორები უწყობდა ხელს ნიდერლანდებში პროტესტანტიზმის გავრცელებას? როგორ აისახებოდა ეს ფაქტი ნიდერლანდების და ესპანური საზოგადოების ურთიერთობაზე?.
- რამდენად მართებულად მიგაჩნია ფილიპე მეორის პოზიცია, რომ კათოლიკური რელიგიის მხარდაჭერით იმპერიის სიმტკიცის შენარჩუნება იქნებოდა შესაძლებელი?
- რას გეუბნებათ 1566 წელს ნიდარლანდების აჯანყების მონაწილეთა სოციალური სიჭრელე ადგილობრივი მოსახლეობის განწყობის შესახებ?
- რატომ იყო აჯანყებულ ნიდერლანდელთა სამიზნე ეკლესია-მონასტრები”?
- შენი აზრით, რა შედეგს მოუტანდა ესპანეთის სამეფო ხელისუფლებას ნიდერლანდების პროტესტანტულის საზოგადოების მიმართ შეუწყნარებელი და სასტიკი პოლიტიკა?
- როგორ ხსნის ჰერცოგ ალბას წერილი „არეულობის საქმეთა საბჭოს“ მიმართ მის უნდობლობას?
- რა იყო ესპანეთის მონარქისათვის ნიდერლანდებში სამხედრო წარმატებაში ხელისშემშლელი ფაქტორები?
- რა უპირატესობა ჰქონდა ჩრდილოეთ ნიდერლანდს, სამხრეთთან შედარებით, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში?
- რა საერთო ინტერესი იქნებოდათ ინგლისის და ნიდერლანდების საზოგადოებას ესპანელების წინააღმდეგ ბრძოლაში?
- შენი აზრით, რა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვებოდა ევროპაში ესპანეთის მარცხს და ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქვეყნების დაწინაურებას?
- იმსჯელეთ ფაქტორებზე, რომლებმაც ევროპის ადრეული კოლონიური იმპერიის სამხედრო და ეკონომიკურ რეგრესს შეუწყო ხელი.
- რატომ ხედავდა საფრთხეს, ჩეხეთში დაწყებულ ჰუსიტურ მოძრაობაში, საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი?
- შენი აზრით, რატომ ვერ მოაგვარა აუგსბურგის რელიგიურმა ზავმა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის ურთიერთიერთობა?

Don't copy

- რატომ მოქმედებდა საფრანგეთის კათოლიკური ხელისუფლება ოცდაათწლიან ომში საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის წინააღმდეგ?
- იმსჯელე, რელიგიური ერთმორწმუნეობის მნიშვნელობაზე სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობებში.
- როგორ უნდა წარმოადგინო ისტორიულ თხზულებაში რელიგიური ომების საკითხი?
- პედაგოგს საკითხის სიღმისეულად გასააზრებლად მოსწავლეებს გააცნოს ისტორიული წყაროები და რუკა, რომელთა დამუშავებისთვის გამოიყენოს შემდეგი კითხვები რა უფლებები მიენიჭათ პროტესტანტებს ვესტფალიის ზავით?
- რუკის მიხედვით, რომელი რელიგიური მიმდინარეობა წარმოადგენდა უმრავლესობას და რომელი – უმცირესობას საღვთო რომის იმპერიაში 1648 წლის შემდეგ?
- გეოგრაფიულად როგორ განაწილდა რელიგიური მიმდინარეობები საღვთო რომის იმპერიაში? შენი აზრით, რა იყო ასეთი განაწილების მიზეზი?
- ერთმანეთს შეადარე ნანტის ედიქტსა და ვესტფალიის საზავო ხელშეკრულებაში მოტანილი დებულებები.
- ერთმანეთს შეადარე საფრანგეთსა და გერმანიაში მომხდარი რელიგიური ომები და იმსჯელე, რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანი იყო ევროპის შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის?
- დაასახელე, რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ახალი ეპოქის ევროპას დაახასიათებდა.

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს თხზულების მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი თხზულებაა?

ახსენი, რატომ შექმენი თხზულება? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?

Don't copy

- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

სამიზნე ცნება – სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)
ქვეცნება: კავკასია, გურჯისტანის ვილაიეთი, აღმოსავლეთი ევროპა, სავაჭრო გეზები.
საკითხი – ირან-ოსმალეთი XV-XVII საუკუნეებში

საკვანძო შეკითხვა –
როგორ უნდა წარმოადგინო მოხსენებაში სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირების საკითხი და ამ დაპირისპირების შედეგად განვითარებული ისტორიული მოვლენები?

კომპლექსური დავალება
წარმოიდგინე, რომ ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრობ XVII საუკუნის შუახანებში და სულთნის კარის მრჩეველი ხარ. სულთნის კარმა დაგავალა, მოამზადო მოხსენება, რომელიც ოსმალეთის ხელისუფლებას დაეხმარება სახელმწიფოს წინაშე არსებული საგარეო პოლიტიკური გამოწვევების გადაჭრაში და ირანისაგან მოსალოდნელი საფრთხეების შეფასებასა და თავიდან არიდებაში.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.	**სივრცე** • იმსჯელოს, რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის ადამიანებზე; • დაახასიათოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის/პერიოდის ადამიანების გეოგრაფიული ცოდნა; • აღნიშნოს, რა სახელით აღინიშნებოდა ესა თუ ის გეოგრაფიული არეალი შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ ეპოქაში; რა სოციალური/ეკონომიკური/სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას.	• როგორ ჩამოყალიბდა სეფიანთა ირანი და რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ერთ სივრცეში გაერთიანებას? **(მ. წ. 1)** • რომელი გეოგრაფიული სივრცე წარმოადგენდა ოსმალეთისა და ირანის გავლენის სფეროს და როგორ შეიცვალა მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ხალხების ცხოვრება? (რელიგია, ეკონომიკა, კულტურა) **(მ. წ. 2)** • რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ირან-ოსმალეთის დაპირისპირების პროცესში კავკასიას? **(მ. წ. 3)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 233-245

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „მოხსენება“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას მოხსენების შესახებ.

Don't copy

მოხსენება – 1. ვინმესთვის რაიმეს თქმა, ანგარიშის ჩაბარება (მომახსენე, რა გეგმები გაქვს); 2. აუდიტორიის წინაშე წარმოთქმული წინასწარ მომზადებული სიტყვა (მოხსენება წაიკითხა, მოხსენებით წარდგა).

მოხსენების წარდგენის დროს უნდა გაითვალისწინოთ:

• დაფიქრდი, რატომ არის შენ მიერ განსახილველი საკითხი მსმენელისთვის მნიშვნელოვანი და რა მიზნის მიღწევა გსურს;
• შეარჩიე თემა. თუ თემა მოცემული გაქვს, გააანალიზე;
• მოძებნე საინტერესო და პრაქტიკული მასალა;
• გამოყავი მთავარი აზრები;
• მასალა ლოგიკურად განალაგე, მხოლოდ საუკეთესო აზრები დატოვე;
• მოამზადე დასკვნა, რომელიც მსმენელს სამოქმედოდ აღძრავს;
• შეამოწმე მასალა.
• რა არის მოხსენება?
• რატომ იწერება მოხსენება?
• როგორ უნდა დავწერო მოხსენება?
• რა უნდა გავითვალისწინო მოხსენების წერის დროს?
• რატომ უნდა დავიცვა მოხსენების წერის დროს გეგმა?

კომპლექსური დავალება

შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვესაკითხი – სეფიანთა ირანის შექმნა, სულეიმან I-ის მმართველობა
ქვეცნება: კავკასია, გურჯისტანის ვილაიეთი, აღმოსავლეთი ევროპა, სავაჭრო გზები.
• შაჰ-აბასი და XVI საუკუნის ბოლოს ირან-ოსმალეთის დაპირისპირება
• ირან-ოსმალეთის ზავები

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 233-245

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „მოხსენება“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას მოხსენების შესახებ.

Don't copy

მოხსენება – 1. ვინმესთვის რაიმეს თქმა, ანგარიშის ჩაბარება (მომახსენე, რა გეგმები გაქვს); 2. აუდიტორიის წინაშე წარმოთქმული წინასწარ მომზადებული სიტყვა (მოხსენება წაიკითხა, მოხსენებით წარდგა).

მოხსენების წარდგენის დროს უნდა გაითვალისწინოთ:

• დაფიქრდი, რატომ არის შენ მიერ განსახილველი საკითხი მსმენელისთვის მნიშვნელოვანი და რა მიზნის მიღწევა გსურს;
• შეარჩიე თემა. თუ თემა მოცემული გაქვს, გააანალიზე;
• მოძებნე საინტერესო და პრაქტიკული მასალა;
• გამოყავი მთავარი აზრები;
• მასალა ლოგიკურად განალაგე, მხოლოდ საუკეთესო აზრები დატოვე;
• მოამზადე დასკვნა, რომელიც მსმენელს სამოქმედოდ აღძრავს;
• შეამოწმე მასალა.
• რა არის მოხსენება?
• რატომ იწერება მოხსენება?
• როგორ უნდა დავწერო მოხსენება?
• რა უნდა გავითვალისწინო მოხსენების წერის დროს?
• რატომ უნდა დავიცვა მოხსენების წერის დროს გეგმა?

კომპლექსური დავალება

შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვესაკითხი – სეფიანთა ირანის შექმნა, სულეიმან I-ის მმართველობა
ქვეცნება: კავკასია, გურჯისტანის ვილაიეთი, აღმოსავლეთი ევროპა, სავაჭრო გზები.
• შაჰ-აბასი და XVI საუკუნის ბოლოს ირან-ოსმალეთის დაპირისპირება
• ირან-ოსმალეთის ზავები

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 233-239

ნაბიჯი 1

• როგორ ჩამოყალიბდა სეფიანთა ირანი და რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ერთ სივრცეში გაერთიანებას? **(მ. წ. 1)**
• რომელი გეოგრაფიული სივრცე წარმოადგენდა ოსმალეთისა და ირანის გავლენის სფეროს და როგორ შეიცვალა მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ხალხების ცხოვრება? (რელიგია, ეკონომიკა, კულტურა) **(მ. წ. 2)**
• რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ირან-ოსმალეთის დაპირისპირების პროცესში კავკასიას? **(მ. წ. 3)**

Don't copy

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 233-235-ზე მოცემულია ინფორმაცია სეფიანთა ირანის ჩამოყალიბების, სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირების საწყისი ეტაპისა და ამასიის ზავის შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული ისტორიული რუკა, კითხვები და დავალებები.

- როგორ შეუწყო ხელი კონსტანტინოპოლის აღებამ ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკურ განვითარებას?
- შენი აზრით, როგორ აისახებოდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგები ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკურ მდგომარეობაზე?
- შენი აზრით, რომელი სახელმწიფოებისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო სეფიანთა ირანის შექმნა დადებითი შედეგის მომტანი? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, რა ურთიერთობა ექნებოდა ახლად შექმნილ სეფიანთა ირანს ოსმალეთის იმპერიასთან? რატომ?
- დააკვირდი რუკას და იმსჯელე, არსებული საერთაშორისო ვითარების ფონზე, ეკონომიკური თვალსაზრისით, რამდენად ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა ირანს? ოსმალეთს?
- შენი აზრით, რა ინტერესები ჰქონდათ ირანსა და ოსმალეთს სამხრეთ კავკასიაში?
- იმსჯელე, რით იყო განპირობებული საქართველოს ამგვარი განაწილება?
- შენი აზრით, რატომ მიიღეს მხარეებმა ყარსის ოლქის გაუკაცრიელებისა და ციხეს-იმაგრის მიწასთან გასწორების გადაწყვეტილება?

მოსწავლის რვეული – დავ. 54

- როგორ ფიქრობ, ამასიის ზავის თანახმად, ქართული სამეფო-სამთავროებიდან რომელი ჩავარდა უფრო მძიმე მდგომარეობაში? პასუხი დაასაბუთე.

- ოსმალეთის ხელში გადავიდა სირია, ეგვიპტე, მექა და მედინა. როგორ ფიქრობ, რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერიტორიებს?
- გაიხსენე, რომელი სავაჭრო გზის მონაკვეთი გადიოდა არაბეთის ნახევარკუნძულზე და როგორ შეიძლებოდა ეს გზა გამოეყენებინა ოსმალეთს/ირანს?

მოსწავლის რვეული – დავ. 55

- როგორ უნდა წარმოადგინო მოხსენებაში სეფიანთა ირანის ჩამოყალიბებისა და ირან-ოსმალეთის დაპირისპირების საკითხი და ამ დაპირისპირების შედეგად წარმოქმნილი ახალი პოლიტიკური რეალობა?

Don't copy

კითხვებსა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 236-239-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია სულეიმან I-ის მმართველობის შესახებ. საკითხის უკეთ აღსაქმელად მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- ტიციანი ვენეციის რესპუბლიკის პირველი მხატვრის თანამდებობა ეჭირა. ოსმალეთისა და ვენეციის ურთიერთობის მიუხედავად, შენი აზრით, როგორ და რატომ იყო შესაძლებელი ამ ტიპის კომუნიკაცია?
- იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა ევროპაში ოსმალეთის შემდგომი გაფართოებისთვის სულეიმან I-ის სამხედრო მიღწევებს, მაგ., რა კონკრეტული მნიშვნელობა ექნებოდა: ა) ბელგრადის, ბ) კუნძულ როდოსის აღებას, გ) მოჰაჩთან გამარჯვებას, დ) სანაოსნო მდინარე დუნაიზე ბუდის დაკავებას?
- რომელ სახელმწიფოებს უქმნიდა საფრთხეს ოსმალეთის გაფართოება?
- შენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა დაპყრობილი ხალხის ცხოვრება ევროპის იმ ნაწილში, რომელიც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა?
- უნგრეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთმა ხელში ჩაიგდო მდინარე დუნაიზე გასასვლელი. როგორ ფიქრობ, რატომ არის დუნაი ეკონომიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი? რომელი ქვეყნები შედიოდა იმ დროისთვის დუნაის აუზში?
- რუკის მიხედვით განსაზღვრე, კუნძულ როდოსის გარდა, კიდევ რომელი კუნძულების ფლობაა მნიშვნელოვანი ხმელთაშუა ზღვის აუზში უპირატესობის მოსაპოვებლად?
- შენი აზრით, რამ განაპირობა ოსმალთა იმპერიის წარმატებული დაპყრობები და რატომ ვერ ერთიანდებოდნენ ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთის წინააღმდეგ?
- რატომ იყო „მშვიდობის, მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ“ ხელშეკრულება მნიშვნელოვანი თითოეული მხარისთვის?
- რა შედეგები მოუტანა საფრანგეთ-ოსმალეთის მოკავშირეობამ ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებს?
- როგორ ფიქრობ, რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო არახელსაყრელი ირანისთვის საფრანგეთ-ოსმალეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება?

მოსწავლის რვეული – დავ. 56

- როგორ უნდა წარმოადგინო მოხსენებაში სულეიმან I-ის მმართველობის პერიოდი და ირან-ოსმალეთის დაპირისპირების საკითხი?

ქვეცნება: კავკასია, გურჯისტანის ვილაიეთი, აღმოსავლეთი ევროპა, სავაჭრო გზები
ქვესაკითხი – შაჰ-აბასი და XVI საუკუნის ბოლოს ირან-ოსმალეთის დაპირისპირება, ირან-ოსმალეთის ზავები.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 240-245

Don't copy

ნაბიჯი 2

- როგორ ჩამოყალიბდა სეფიანთა ირანი და რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ერთ სივრცეში გაერთიანებას? **(მ. წ. 1)**
- რომელი გეოგრაფიული სივრცე წარმოადგენდა ოსმალეთისა და ირანის გავლენის სფეროს და როგორ შეიცვალა მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ხალხების ცხოვრება? (რელიგია, ეკონომიკა, კულტურა) **(მ. წ. 2)**
- რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ირან-ოსმალეთის დაპირისპირების პროცესში კავკასიას? **(მ. წ. 3)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე – XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში ირან-ოსმალეთის დაპირისპირება. მისი განხილვისას პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები. ეს მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, სიღრმისეულად გაიაზრონ საკითხი.

- რა ეკონომიკურ და სტრატეგიულ უპირატესობას აძლევდა სამხრეთ კავკასიაში მიღწეული წარმატება ოსმალეთს ირანთან დაპირისპირების პროცესში?
- შენი აზრით, როგორ აისახებოდა ოსმალების მიერ შემოღებული მიწისმფლობელობის წესი გურჯისტანის ვილაიეთში მცხოვრებ მოსახლეობაზე და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ პროცესს?
- ერთი შეხედვით ირანის საზოგადოება იმავე სოციალური ფენებისგან შედგება, რომლებისგანაც ევროპული, მაგრამ საზოგადოებებს შორის დიდი განსხვავებაა. შეადარე ირანული და ევროპული ფეოდალური საზოგადოება და გამოყავი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები.
- რა გავლენა მოახდინა ევროპის სახელმწიფოებთან კონტაქტმა ირანის შემდგომ განვითარებაზე? რატომ?
- როგორ აისახა ირანის გავლენა მის მიერ დაპყრობილი ხალხების ყოფა-ცხოვრებაზე?
- შენი აზრით, რატომ გაუჩნდათ ევროპულ სახელმწიფოებს ირანის მიმართ ინტერესი და რამდენად ხელსაყრელია ეს ურთიერთობა ოსმალეთისთვის?
- რით განსხვავდებოდა 1612 წელს დადებული ზავი ამასიის ზავისგან?
- როგორ ხსნის წყაროს ავტორი ახალციხის ოსმალეთისთვის გადაცემას?
- იმსჯელე, რა გავლენას მოახდენდა ქართულ სამეფო-სამთავროებზე ზუჰაბის ზავი? რა შედეგი მოჰყვებოდა ხანგრძლივად ოსმალურ და ირანულ გავლენაში ყოფნას?

მოსწავლის რვეული – დავ. 57

Don't copy

- როგორ უნდა წარმოადგინო მოხსენებაში XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში ირან-ოსმალეთის დაპირისპირების საკითხი და ამ დაპირისპირების შედეგად განვითარებული მოვლენები და ტერიტორიული ცვლილებები?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს მოხსენების მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი მოხსენებაა?

ახსენი, რატომ შექმენი მოხსენება? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?

Don't copy

- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

სამიზნე ცნება – ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7)

ქვეცნება:

აბსოლუტიზმი, გადასახადები, რეფორმები, პროტექციონიზმი, კანონი, რევოლუცია, პარლამენტი, უზურპაცია, „სტრელცები“, „ოპრიჩნიკები“, ბოიარები, „რანგების ტაბელი“, ლიბერალიზმი, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, სახელისუფლებო შტოები, მეტროპოლია, კოლონია, დეკლარაცია

საკითხი – მმართველობის ფორმები ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და ამერიკაში XVII-XVIII საუკუნეებში.

საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და ამერიკაში XVII-XVIII საუკუნეებში განვითარებული ისტორიული პროცესები და ამ პროცესების შემდეგ ჩამოყალიბებული მმართველობის ფორმები?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ მკვლევარი ხარ, რომელიც მმართველობის საკითხებითაა დაინტერესებული. გადაწყვიტე, რომ შეისწავლო XVII-XVIII საუკუნეებში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში (საფრანგეთში, ინგლისში, რუსეთში, აშშ-ში) მმართველობის ისტორიული გამოცდილება და შექმნა სტატია ბლოგისთვის, რომლითაც შენს ნამუშევარს ფართო საზოგადოებას გააცნობ.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8) • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსების, ადამიანური რესურსების) ფლობა, სიმბოლოები, იდეოლოგია; • ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის; • დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.	• გააანალიზოს, როგორი იყო შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; • იმსჯელოს, ვინ და როგორ/რა საშუალებებით იბრძოდა ძალაუფლებისთვის შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში.	• როგორ ჩამოყალიბდა ფრანგული აბსოლუტიზმი და რა რესურსებსა და იდეოლოგიას ეყრდნობოდა ის? **(მ. წ. 3)** • **რ**ოგორ იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის მეფე და პარლამენტი ინგლისში, რომელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს ეყრდნობოდნენ ისინი? **(მ. წ. 2)** • რატომ და როგორ უპირისპირდებოდნენ რუსეთის მონარქები (XVII-XVII სს.) გავლენიან დიდებულებს და რა საშინაო და საგარეო სირთულეებს აწყდებოდნენ ძალაუფლების განმტკიცების პროცესში? **(მ. წ. 1)** • როგორ აისახა განმანათლებელთა იდეებში ხელისუფლების დანაწილების თეორია და როგორ ეყრდნობოდნენ ამ იდეებს აშშ-ის „დამფუძნებელი მამები“ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის პროცესში? **(მ. წ. 4 და 5)**

Don't copy

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 246-313

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I — კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „სტატია". მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას სტატიის შესახებ.

რესურსი.
სტატია – კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები.

სტატიის სტრუქტურა: 1) სათაური – სტატიას სჭირდება სათაური. სათაურის ფუნქციაა, ინტერესი იმდენად გააღვივოს, რომ მკითხველს სტატიის წაკითხვა მოუნდეს. 2) შესავალი – სტატიის პირველი აბზაცი შესავალია. შესავალი უნდა იყოს მკითხველისათვის ინტერესის აღმძვრელი და მასში ასახული უნდა იყოს საკითხის მნიშვნელობა. 3) ენა და სტილი – სიტყვების არასწორი დაწერილობა მკითხველისთვის გამაღიზიანებელია. როცა ადამიანი შეცდომით დაწერილ სიტყვას ხედავს, მას კონცენტრაცია ეკარგება. სტატიისთვის საბოლოო ფორმის მიცემა გულისხმობს მის ყურადღებით გადაკითხვას სიტყვებისა და გრამატიკული წყობის სისწორის შესამოწმებლად, ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად და სტილისტურად გასამართავად.

- რა არის სტატია?
- რატომ ვწერთ სტატიას?
- როგორ უნდა დავწეროთ სტატია?
- რას აქცევთ ყურადღებას სტატიის კითხვის დროს და რატომ?
- როგორ უნდა აიგოს სტატია, რომ მკითხველისთვის საინტერესო იყოს?
- როგორ უნდა დაწერო კარგი სტატია?
- რა უნდა გაითვალისწინო სტატიის წერის დროს?

კომპლექსური დავალება
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

Don't copy

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება: აბსოლუტიზმი, გადასახადები, რეფორმები, პროტექციონიზმი, კანონი.
ქვესაკითხი – კარდინალების ხანა. ლუი XIII

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 246-259

ნაბიჯი 1

- როგორ ჩამოყალიბდა ფრანგული აბსოლუტიზმი და რა რესურსებსა და იდეოლოგიას ეყრდნობოდა ის? **(მ. წ. 3)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 246-249-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია კარდინალი რიშელიეს მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და მისი მმართველობის საწყისი პერიოდის შესახებ. აღნიშნული საკითხის გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში წარმოდგენილი კითხვები და დავალებები.

- განვლილი მასალიდან გაიხსენე, რომელი ინსტიტუტი ზღუდავდა შუა საუკუნეების საფრანგეთში მეფის ერთპიროვნულ ძალაუფლებას? როგორ?
- როგორ შეაფასებ იმ ფაქტს, რომ მეფემ სასულიერო პირს – კარდინალს ჩააბარა მაღალი პოლიტიკური თანამდებობა? როგორი იქნებოდა სახელმწიფოში კათოლიკური ეკლესიის როლი?
- რიშელიეს მიხედვით, რა იყო მეფის ხელისუფლებისთვის ძირითადი პრობლემა?
- როგორ ფიქრობ, სუბიექტურია თუ არა კარდინალი მოვლენების შეფასებისას? პასუხი დაასაბუთე.
- რა კონტრარგუმენტები შეიძლება მოიყვანოს რიშელიეს შეფასების წინააღმდეგ იმ დროს საფრანგეთში მცხოვრებმა დიდებულმა ან ჰუგენოტმა?
- შენი აზრით, რატომ დახატა მხატვარმა რიშელიეს პორტრეტი ამგვარად? რა შინაარსის მატარებელია სამმაგი პორტრეტი?
- შენი აზრით, რატომ შეუნარჩუნა კარდინალმა ჰუგენოტებს თავისუფალი აღმსარებლობის უფლება?
- როგორ ფიქრობ, რატომ ეხმარებოდა კარდინალი რიშელიე ოცდაათწლიან ომში პროტესტანტულ ქვეყნებს?
- კარდინალის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, რა მიაჩნდა მას ქვეყნის შიგნით ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ?

მოსწავლის რვეული – დავ. 58

Don't copy

- როგორ ფიქრობ, კარდინალის პოლიტიკა, სახელმწიფოს სამსახურში ჩაეყენებინა ხელოვნება და კულტურა, რა გავლენას მოახდენდა მათ განვითარებაზე?
- შენი აზრით, რატომ იყო კარდინალ რიშელიესათვის უფრო მნიშვნელოვანი „მეფის სიდიადე“, ვიდრე „სახელმწიფოს ძლიერება“?
- შენი აზრით, რომელი მიღწევა შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის ძლიერების დასაწყისად? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ შეაფასებ კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობას საფრანგეთისთვის? როგორი მემკვიდრეობა დაუტოვა მან საფრანგეთის სამეფო ხელისუფლებას? რა არის შენი შეფასების მთავარი კრიტერიუმი? ახსენი შენი პოზიცია.
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში კარდინალ რიშელიეს მმართველობის საწყისი პერიოდი და მის მიერ გატრებული ღონისძიებების მნიშვნელობა?

კითხვებისა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 249-ზე წარმოდგენილია მასალა კარდინალ მაზარინის მოღვაწეობის შესახებ. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალების გამოყენებით.

- როგორ შეაფასებ იმ ფაქტს, რომ მსხვილმა ვაჭარ-ხელოსნებმა ავჯანყების გზით სცადეს თავიანთი უფლებების დაცვა?
- მაზარინისა და სამეფო ხელისუფლების ფრონდაზე გამარჯვება ტრიუმფად ითვლება. შენი აზრით, რატომ?
- შენი აზრით, როგორი დამოკიდებულება ექნებოდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენას მაზარინისადმი და რატომ?

მოსწავლის რვეული – დავ. 59

- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში საფრანგეთში კარდინალების მმართველობა და მათი მიღწევები ძალაუფლების განმტკიცების პროცესში?

კითხვებისა და დავალების განხილვის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის შესწავლა და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 250-253, სადაც მოცემულია ინფორმაცია საფრანგეთში ლუი XIV-ის მმართველობის შესახებ. საკითხის გააზრებას ხელს შეუწყობს პარაგრაფში მოცემული ისტორიული წყაროები და რუკა, რომლის განხილვის შემდეგაც პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააქტიუროს პარაგრაფში არსებული კითხვებითა და დავალებით.

- შენი აზრით, რატომ არ აირჩია ლუი XIV-მ მისი წინამორბედების გზა – პირველი მინისტრის ხელით ემართა სახელმწიფო?
- რა შედეგები მოჰყვებოდა პროვინციებში სასამართლო მოხელეების ძალაუფლების გაზრდას? რა მიზანი ჰქონდა ამ რეფორმას? დაასახელე მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

Don't copy

- როგორ გესმის ცენტრალიზებული მმართველობა? რა კავშირი არსებობს მეფის სრულ – აბსოლუტურ – ძალაუფლებასა და ცენტრალიზებულ მმართველობას შორის?
- როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა დღეს ცენტრალიზებული მმართველობა პროგრესულად მივიჩნიოთ? პასუხი დაასაბუთე.
- ლუი XIV-ის სიტყვებიდან გამომდინარე, იმსჯელე, რა ნიშნით, როგორ შეარჩევდა მინისტრებსა და მრჩევლებს? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლებოდა ჰქონოდა მეფის ამგვარ დამოკიდებულებას სამეფო საქმისადმი?
- როგორ შეაფასებ ლუი XIV-ის მოსაზრებას, რომ კარგი კადრების მიუხედავად, სახელმწიფოს წარმატება მაინც მონარქიაზეა დამოკიდებული?
- როგორ შეაფასებ ლუი XIV-ის მოსაზრებას, რომ კარგი კადრების მიუხედავად, სახელმწიფოს წარმატება მაინც მონარქზეა დამოკიდებული?
- შენი აზრით, რა მიზანი ჰქონდა სახელმწიფო მმართველობის რეფორმასა და ბიუროკრატიული აპარატის გაზრდას?
- შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო კარზე არსებულ რომელ ინსტიტუტს შეადარებდი სამეფო საბჭოებს? რა მსგავსება-განსხვავებებს ხედავ?
- მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ, რაც მეტს მუშაობს ადამიანი და მეტ დოვლათს ქმნის, მით ნაკლებად უნდა დაიბეგროს იგი, ხოლო ზარმაცი და უმუშევარი, პირიქით, უფრო მაღალი განაკვეთით უნდა იყოს დაბეგრილი. ეთანხმები თუ არა ამ პრინციპს? შენი აზრით, რამდენად ქმედითი იქნებოდა ის დღევანდელი ეკონომიკის პირობებში? პასუხი დაასაბუთე.
- რა როლს ასრულებდა სახელმწიფო და მისი კოლონიური სისტემა მერკანტილისტურ სისტემაში?
- რამდენად უწყობდა ხელს მერკანტილისტური პოლიტიკა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას? რატომ?
- რა ეკონომიკური შედეგი ექნებოდა შიდა საბაჟოების გაუქმებასა და უცხოურ საქონელზე მაღალი საბაჟო ტარიფების შემოღებას?

მოსწავლის რვეული – დავ. 60

- რუკის მიხედვით დაახასიათე ლუი XIV-ის დროინდელი საფრანგეთის ეკონომიკა.
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ლუი XIV-ის მმართველობის პერიოდი და მის მიერ გატრებული ღონისძიებების მნიშვნელობა?
-

დავალებისა და კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს პარაგრაფის გვერდები 253-259, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ლუი XIV-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და აბსოლუტიზმის ხანის ხელოვნების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და გააქტიუროს მოსწავლეები.

- შენი აზრით, როგორ აისახებოდა ფრანგულ ეკონომიკაზე ჰუგენოტების დევნა? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

- იმსჯელე, მეფის ხელისუფლებისთვის რა დადებით და უარყოფით შედეგს მოიტანდა ნანტის ედიქტის გაუქმება.

მოსწავლის რვეული – დავ. 61.

- იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თავად საფრანგეთისთვის ნანტის ედიქტის ძალაში დატოვება.
- ივარაუდე, როგორი იქნებოდა საზოგადოების სხვადასხვა წევრის დამოკიდებულება საფრანგეთში მიმდინარე პროცესებისადმი.
- როგორ ფიქრობ, რა იყო მეფე ლუი XIV-ის მოტივაცია, როცა ასეთ გრანდიოზულ და მდიდრულ სასახლეს აგებდა? ახსენი, რა პრაქტიკული თუ სიმბოლური დანიშნულება ექნებოდა ვერსალს.
- რა დამოკიდებულება ექნებოდათ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს სამეფო კარის არნახული ფუფუნების მიმართ? პასუხი დაასაბუთე.

მოსწავლის რვეული – დავ. 62 და 63

- რა შედეგი მოუტანა კოლბერისა და მეფის ეკონომიკურმა პოლიტიკამ საფრანგეთს? განიხილე როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები.
- როგორ ფიქრობ, რამდენად შეუწყო ხელი ლუი XIV-ის რელიგიურმა პოლიტიკამ საფრანგეთის დიდების დასრულებას?
- გამოიკვლიე, ვინ მართავს დღეს ესპანეთის სამეფო ტახტს? რა მოუვიდა ვერსალის სასახლეს ლუი XIV-ის სიკვდილის შემდეგ და რას წარმოადგენს იგი დღეს?
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ლუი XIV-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა?

კითხვებისა და დავალების განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს შესთავაზოს გვ. 258-259, სადაც წარმოდგენილია ლუი XIV-ის მოღვაწეობის სხვადასხვა შეფასება. მოსწავლეების გასააქტიურებლად მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები.

- შენი აზრით, რატომ მიიჩნევს ვოლტერი კოლბერის ეკონომიკურ პოლიტიკას „ვაჭრობის დაკნინებად“?
- რა მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ წყარო 1751 წლითაა დათარიღებული?
- როგორია ვოლტერის მიერ მეფის შეფასება? ეთანხმები თუ არა მას?
- შენი აზრით, რას თვლის ვოლტერი ლუი XIV-ის მეფობის მთავარ „სიკეთედ“?
- გააანალიზე ნახატი. როგორ ფიქრობ, რატომ უნდა ჩამოეგდოთ მეფის ქანდაკება პარიზის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე?
- რამდენად ეთანხმები თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსის შეფასებას? პასუხი დაასაბუთე.
- რა კრიტერიუმებით აფასებს ამერიკელი მკვლევარი ლუი XIV-ს? რამდენად ეთანხმები მის შეფასებას?

Don't copy

- რაში ეთანხმები ან არ ეთანხმები მოყვანილ შეფასებებს? ჩამოაყალიბე შენი პოზიცია.
- გაიხსენე, საფრანგეთში განვითარებული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული როგორ იცვლებოდა მეფის ძალაუფლების ხარისხი, რა იყო ამის მიზეზი, რა ფაქტორები განაპირობებდა სხვადასხვა დროს მეფის ძალაუფლების ხარისხს?
- როგორ წარმოადგენ სტატიაში ლუი XIV-ის მეფობას და მის მეფობასთან დაკავშირებული შეფასებების შედეგად მიღებულ ინფორმაციას?

ქვეცნება: კანონი, რევოლუცია, პარლამენტი, უზურპაცია.

ქვესაკითხი – ინგლისი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში, სამოქალაქო ომი ინგლისში

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 260-275

ნაბიჯი 2

- როგორ იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის მეფე და პარლამენტი ინგლისში, რომელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს ეყრდნობოდნენ ისინი? **(მ. წ. 2)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 260-265-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ელისაბედ I-ისა და ჯეიმს I-ის მმართველობის შესახებ. საკითხის გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- რა მიზეზებმა განაპირობა ინგლისის ეკონომიკური თუ პოლიტიკური აღმავლობა?
- შენი აზრით, რა მიზანს ისახავდა ინგლისის პროტესტანტი დედოფლის რელიგიური შემწყნარებლობის პოლიტიკა?
- როგორ და რატომ შეიცვალა ინგლისში სხვადასხვა სოციალური ფენის ეკონომიკური ურთიერთობების ფორმა?
- შენი აზრით, რა პრობლემების წინაშე დააყენებდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას ძველი ფეოდალური სისტემის არსებობა?
- იმსჯელე, რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა საზოგადოებაში სოციალურ ცვლილებებს?

Don't copy

მოსწავლის რვეული – დავ. 64

- რატომ მიიჩნევს ჯონ რაშვორტი პარლამენტს ინგლისის თავისუფლების ძირითად დასაყრდენად?
- რა არის მეფის სიტყვის მთავარი აზრი?
- იმსჯელე, რამდენად პასუხობს მეფის დამოკიდებულება პარლამენტის საპროტესტო განცხადებას.
- რა არგუმენტები მოჰყავს მეფეს საკუთარი ძლიერების საჩვენებლად?

მოსწავლის რვეული – დავ. 65

- რა დამატებით ინფორმაციას გვაწვდის წყარო? როგორ წარმოაჩენს მეფისა და პარლამენტის ურთიერთობას?
- შენი აზრით, რატომ უკავშირებს ჰერცოგი ბუკინგემი პარლამენტის ძლიერებას სამეფო ხელისუფლების სიმტკიცეს?
-
- რა მნიშვნელობა აქვს ამ წყაროს ისტორიკოსისათვის, რომელიც ამ პერიოდის ინგლისის ისტორიას სწავლობს?
- შენ რომ ჰერცოგი ბუკინგემი იყო, რა პასუხს გასცემდი მეფეს?
- ისტორიკოსებს მეფის შეფასებისას განსხვავებული არგუმენტები მოჰყავთ. გამოყავი ყველა არგუმენტი. მეფის რომელ შეფასებას ემხრობი? რატომ?
- რა არის მიჩნეული ორივე ისტორიკოსის შეფასებაში ჯეიმს I-ის გამეფების მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად?
- როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა დავადანაშაულოთ მეფე სამოქალაქო ომში, რომელიც მისი სიკვდილიდან წლების შემდეგ დაიწყო? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში საკითხები ინგლისში ელისაბედ I-ისა და ჯეიმს I-ის მმართველობის შესახებ?

დავალებებისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 266-268-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ჩარლზ I-ის მმართველობისა და მეფისა და პარლამენტის დაპირისპირების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- რატომ იწვევდა ინგლისის საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთებას ის ფაქტი, რომ მეფე საკუთარი გადაწყვეტილებით აწესებდა გადასახადებს და ურჩი გადამხდელების მიმართ სამართლებრივ ზომებს იღებდა?
- პარლამენტის პეტიცია შეადარე ჯეიმს I-ის სიტყვებს. რამდენად მისაღები იქნებოდა პეტიცია ინგლისის მეფისათვის?
- წყაროს მიხედვით, ჩამოთვალე, რა და რა სახით იღებდა შემოსავალს მეფე მოსახლეობისაგან.

Don't copy

- წყაროს მიხედვით, ჩამოთვალე, რა ღონისძიებებს მიმართავდნენ მეფის მოხელეები გადასახადებზე უარის თქმის შემთხვევაში.
- განსაზღვრე, რა შემადგენლობისაა პარლამენტი და როგორია მისი პოზიცია?
- როგორ ახასიათებს პეტიცია ინგლისის პარლამენტსა და საზოგადოებას? მეფეს? შენი აზრით, ჰქონდა თუ არა ალტერნატივა მეფეს, რომ პარლამენტზე ფინანსური დამოკიდებულებისათვის დაეღწია თავი? დაასაბუთე შენი მოსაზრება.
- რას უნდა გამოხატავდეს, შენი აზრით, ფლამანდიელი მხატვრის, ვან დეიკის პორტრეტი – მეფის სამი სახე?
- რა განაპირობებდა „კავალრებისა“ და „მრგვალთავიანების“ განსხავავებულ დამოკიდებულებას სამეფოში არსებული წესრიგის მიმართ?
- რა უპირატესობას აძლევდა საკანონმდებლო ორგანოს კანონი, რომლის მიხედვით პარლამენტის მოწვევა მხოლოდ მისივე პრეროგატივა იყო?
- შენი აზრით, რა ფაქტორებმა უბიძგა მეფეს, რომ ძალისმიერი გზით ეცადა პარლამენტთან უთანხმოების გადაჭრა?
- შენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მხატვარმა ამ სცენის უკვდავყოფა? რით არის ის გამორჩეული?
- შეაფასე სპიკერის პასუხი. ივარაუდე, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო სპიკერის პასუხი სხვა დროსა და ვითარებაში, თუნდაც ჯეიმს I-ის დროს?

მოსწავლის რვეული – დავ. 66

- როგორ წარმოადგენ სტატიაში ჩარლზ I-ის მეფობის პერიოდს და მეფესა და პარლამენტს შორის არსებულ კონფლიქტს?

კითხვებისა და დავალებების განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 269-275-ზე მოცემულია ინფორმაცია ინგლისში სამოქალაქო ომის, ოლივერ კრომველის მმართველობის, სტიურატების რესტავრაციისა და „უსისხლო რევოლუციის“ შესახებ. საკითხის გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- როგორ ფიქრობ, გარდაუვალი იყო თუ არა ინგლისში სამოქალაქო ომის დაწყება? პასუხი დაასაბუთე.
- ივარაუდე, რომელ ბანაკში აღმოჩნდებოდა სხვადასხვა სოციალური ფენა? მაგ., თავადაზნაურობა? ბურჟუაზია? პასუხი დაასაბუთე.
- რა ინფორმაციას გაწვდის რუკა ომის საწყისი ეტაპის შესახებ?
- რა როლი ითამაშა პურიტანიზმმა პარლამენტის არმიის სამხედრო წარმატებაში? ვის ხელში იყო სამოქალაქო ომის დროს ეკონომიკური უპირატესობა? რატომ? რა მნიშვნელობა ჰქონდა მას?
- ინგლისელი ისტორიკოსის აზრით, როგორ იყენებდნენ მხარეები კონფლიქტის დროს ეთნიკურობის საკითხს?
- რა გავლენა მოახდინა შოტლანდიისა და ირლანდიის ჯარების გამოყენებამ სამოქალაქო ომში?

Don't copy

- ინგლისელი ისტორიკოსის აზრით, როიალისტები იდეოლოგიურად დამარცხდნენ. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? მოიყვანე ამ პოზიციის როგორც განმამტკიცებელი, ისე საწინააღმდეგო არგუმენტი.

მოსწავლის რვეული – დავ. 67

- რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დატყვევებული ჩარლზ I სასამართლოს გადასცეს?
- რის გამო დასაჯეს სიკვდილით ჩარლზ I?
- იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა მეფის გასამართლებასა და სიკვდილით დასჯას ინგლისის ისტორიისთვის.
- იმსჯელე, რით არის ორივე თვალთახედვა განპირობებული. მოიყვანე არგუმენტები როგორც ერთი, ისე მეორე პოზიციის დასაცავად.
- როგორ შეიცვალა ინგლისში მმართველობის ფორმა რევოლუციის შემდეგ?
- შენი აზრით, რომელი ფენის ინტერესებს გამოხატავდა ყველზე აქტიურად კრომველის საგარეო პოლიტიკური კურსი?
- როგორ ფიქრობ, ინგლისში ოლივერ კრომველის დიქტატურის დამყარება იმოქმედებდა თუ არა მის მომხრეებზე? როგორ შეიძლებოდა გაემართლებინათ მათ საკუთარი ლიდერი?

მოსწავლის რვეული – დავ. 68

საკითხის დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს როლური თამაში და მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცეს, ამ ისტორიული პროცესის მონაწილეებად წარმოიდგინონ თავი.

- კლასში დაინაწილეთ ინგლისური საზოგადოებიდან როლები: როიალისტი, ოლივერ კრომველის მომხრე, პარლამენტის წევრი, ანგლიკანი, პურიტანი, შეგიძლიათ დაამატოთ საზოგადოების სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელი, ასევე ინგლისელი, ირლანდიელი, შოტლანდიელი – გამართეთ შეკრება და საკუთარი პოზიციებიდან განიხილეთ ინგლისში განვითარებული მოვლენები.

ამ აქტივობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეების გასააქტიურებლად გამოიყენოს კითხვები და დავალებები.

- ბევრი ისტორიკოსი იზიარებს მოსაზრებას, რომ „პროტექტორი ისეთივე დესპოტური იყო, როგორიც ნებისმიერი ტიუდორი თუ სტიუარტი მეფე“. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთე.
- იმსჯელე, რატომ აირჩია ოლივერ კრომველმა ასეთი გზა?
- დააკვირდი ოლივერ კრომველის მონუმენტის ფოტოს. დააკვირდი წარწერას, სად დგას ეს მონუმენტი და გამოთქვი მოსაზრება, რატომ შეარჩიეს ქანდაკებისთვის ეს ადგილი?

Don't copy

მოსწავლის რვეული – დავ. 69

- რა იყო ხავერდოვანი რევოლუციის მთავარი მონაპოვარი?
- როგორ ფიქრობ, ხავერდოვანი რევოლუცია უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თუ ინგლისის სამოქალაქო ომი? პასუხი დაასაბუთე.
- მმართველობის რომელი ფორმა ჩამოყალიბდა ინგლისში „უსისხლო რევოლუციის“ შემდეგ?

მოსწავლის რვეული – დავ. 70

- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ინგლისის სამოქალაქო ომის პერიპეტიები, ოლივერ კრომველის მმართველობა, სტიუარტების რესტავრაცია და „უსისხლო რევოლუცია“?

ქვეცნება: რეფორმები, კანონი, „სტრელცები“, ოპრიჩნიკები, ბოიარები, „რანგების ცხრილი“.

ქვესაკითხი – მოსკოვის სამთავროდან – რუსეთის იმპერიამდე

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 276-285

ნაბიჯი 3

- რატომ და როგორ უპირისპირდებოდნენ რუსეთის მონარქები (XVII-XVII სს.) გავლენიან დიდებულებს და რა საშინაო და საგარეო სირთულეებს აწყდებოდნენ ძალაუფლების განმტკიცების პროცესში? **(მ. წ. 1)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 276-279-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ივანე III და ივანე IV მმართველობის შესახებ. საკითხის დამუშავებისას პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი სასამართლო-ადმინისტრაციული სისტემის შექმნას? რა წინაპირობას ქმნიდა ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება?
- შენი აზრით, რაზე მიუთითებს ივანე III-ის ტიტულატურა? რა იდეოლოგიური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას?

Don't copy

- მოკლედ ჩამოაყალიბე, რას ეფუძნებოდა: ა) ახალი რუსული სახელმწიფოს იდეოლოგია, ბ) „მესამე რომის“ კონცეფცია.
- დიდი ხანია, რომის იმპერია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ „მარადიული რომის“ იდეა არსებობას აგრძელებდა. შენი აზრით, რატომ მიისწრაფოდნენ სახელმწიფოები რომის იმპერიის მემკვიდრეობისკენ?
- გაიხსენე, კიდევ რომელ სახელმწიფოს ჰქონდა პრეტენზია რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე? როგორ აისახა ეს პრეტენზია სახელწოდებასა თუ სიმბოლიკაზე?
- ორთავიანი არწივი თავდაპირველად ივანე III-ის ბეჭედზე გაჩნდა, ვასილი III-ისგან მოყოლებული კი ჰერალდიკის ცენტრალურ სიმბოლოდ იქცა. რაზე მეტყველებდა ამ სიმბოლოს გაჩენა რუსულ ჰერალდიკაში?
- შენი აზრით, როგორ შეიძლება ავხსნათ, რომ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის გერბი 1993 წლიდან კვლავ ორთავიანი არწივია?
- როგორ ფიქრობ, რატომ იყო მოსკოვის მიერ ნებისმიერი ახალი მიწის დაპყრობა „ღვთის ნებით“ გამართლებული?
- შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მოპოვება?
- შენი აზრით, რისთვის დასჭირდა ივანე IV-ს „ოპრიჩნინის“ შემოღება? რა შედეგები მოჰყვებოდა ამას?
- რა მიზანს ემსახურებოდა ივანე IV-ის რეფორმები?
- შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობების შექმნას?
- რატომ იყო მეთოფეთა მუდმივი ჯარის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი?
- მმართველობის როგორი ფორმაა რუსეთში? შეადარე იმდროინდელი ინგლისის მმართველობის ფორმას. რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის?
- დაახასიათე ივანე IV-ის საგარეო პოლიტიკა. რა მიმართულებით წარიმართა დაპყრობითი ომები და რა მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ მიმართულებას?
- შენი აზრით, რატომ ცდილობს ივანე IV ციმბირში რუსი ვაჭრების პოზიციის გამყარებას? რა მეთოდებს იყენებს ის ამისთვის?
- შენი აზრით, რატომ ეყრდნობოდა ივანე IV ციმბირის ათვისებისას ძირითადად კაზაკთა რაზმებს?

მოსწავლის რვეული – დავ. 71

- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ივანე III-ისა და ივანე IV-ის მეფობის პერიოდი და მათ მიერ განხორციელებული რეფორმების მნიშვნელობა?

კითხვებსა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 279-285-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია პეტრე I-ის მმართველობის პერიოდისა და მის მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. საკითხის დამუშავებისას პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები.

Draft copy

- როგორ დაახასიათებ რუსეთის სახელმწიფო მმართველობის ფორმას?
- რა რეფორმები გაატარა პეტრე I-მა ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად? რით განსხვადება ის ივანე IV-ის რეფორმებისგან?
- რას ისახავდა მიზნად საპატრიარქოს გაუქმება და სასულიერო კოლეგიის დაარსება?
- შენი აზრით, რა შედეგი მოჰყვებოდა რუსეთის პროვინციებში ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რეფორმას?
- როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღები იქნებოდა პეტრე I-ის რეფორმები საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენისთვის? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა პეტრე I-ის მიერ შემუშავებულ „რანგების ცხრილს“?
- როგორ ფიქრობ, რატომ შემოიღო პეტრე I-მა სულადობრივი გადასახადი?
- შენი აზრით, რატომ ცდილობდა პეტრე I რუსეთის მოსახლეობის ცხოვრების წესის გარდაქმნას?
- რა ინფორმაციას გვაწვდის XVII საუკუნის რუსული მინიატიურა სამეფო წვეულებაზე? როგორ ატარებდნენ დროს იმ დროს რუსეთის სამეფო კარზე?
- რა ინფორმაციას გვაწვდის მხატვარი სტანისლავ ხლებოვსკი პეტრე I-ის სამეფო კარზე გამართულ ასამბლეაზე?
- როგორ ცდილობდა პეტრე I ეკონომიკის გაძლიერებას?
-
- იმსჯელე პეტრე I-ის მიერ საგანმანათლებლო და საქალაქო ცხოვრებაში გატარებული რეფორმებსა და მათ მნიშვნელობაზე.
- შეადარე პეტრე I-ის ეკონომიკური რეფორმები აბსოლუტიზმის ხანის საფრანგეთის ეკონომიკურ პოლიტიკას. იმსჯელე: ა) მათ შორის მსგავსებაზე; ბ) რუსეთისთვის ამ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგზე.
- შეადარე ერთმანეთს პეტრე I-ისა და ივანე IV-ის საგარეო პოლიტიკა. იმსჯელე, რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთისთვის ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვება
- დააკვირდი რუკას და იმსჯელე პეტრე I-ის ეკონომიკური პოლიტიკისა და წარმოებული ომების შედეგებზე

მოსწავლის რვეული – დავ. 72

- როგორ წარმოადგენ სტატიაში, რა საშინაო და საგარეო პოლიტიკური გამოწვევების წინაშე იდგა პეტრე I თავისი მეფობის პერიოდში და როგორ მოახერხა მან ძალაუფლების მოპოვება და განმტკიცება?

ქვეცნება: ლიბერალიზმი, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, სახელისუფლებო შტოები.

ქვესაკითხი – განმანათლებლობა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 286-292

Don't copy

ნაბიჯი 4

- როგორ აისახა განმანათლებელთა იდეებში ხელისუფლების დანაწილების თეორია და როგორ ეყრდნობოდნენ ამ იდეებს აშშ-ის „დამფუძნებელი მამები“ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის პროცესში? **(მ. წ. 4 და 5)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 286-289-ზე წარმოდგენილი ინფორმაცია განმანათლებლობის არსის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააააქტიუროს პარაგრაფში მოცემული კითხვების გამოყენებით.

- რატომ ითვლება ჯონ ლოკი „ლიბერალიზმის მამად“? მისი შეხედულებებიდან მოიყვანე ამის დამადასტურებელი ადგილები.
- რით განსხვავდება ჯონ ლოკის ნააზრევი საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს შესახებ იმ დროს არსებული შეხედულებებისგან?
- ლოკის აზრით, რატომ ემორჩილებიან ადამიანები სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ წესებსა და კანონებს?
- შენი აზრით, თუ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული კანონი არ იარსებებს, რა დაარეგულირებს ადამიანებს შორის ურთიერთობას?
- გამოთქვი მოსაზრება, რამდენად პოპულარული შეიძლებოდა გამხდარიყო ჯონ ლოკის მოსაზრებები იმდროინდელ ინგლისში? საზოგადოების რომელი ნაწილისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო მისაღები და რომლისთვის მიუღებელი მისი შეხედულებები?
- ჯონ ლოკის აზრებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობ, რა დამოკიდებულება ექნებოდა მას ინგლისის მეფე ჩარლზ I-ის, ოლივერ კრომველის ან ინგლისის რევოლუციის მიმართ?
- გაიაზრე განმანათლებლობის მთავარი დებულებები და იმსჯელე: ა) როგორ გესმის: ყველა ადამიანური და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრაში გონების ჩართვა? გაიხსენე, როგორი იყო შუა საუკუნეებში მსოფლმხედველობა, რას ეფუძნებოდა საზოგადოების მოწყობის შესახებ შეხედულებები და დაუპირისპირე განმანათლებლობის მოყვანილ დებულებას; ბ) რას გულისხმობს თავისუფალი აზროვნება და ანტიდოგმატიზმი? გ) რას ნიშნავს ანტიკლერიკანიზმი? როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღები შეიძლებოდა გამხდარიყო ის საზოგადოებისთვის?
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში განმანათლებლობის არსი და ჯონ ლოკის ხედვა პოლიტიკური პროცესების განხორციელების შესახებ?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 290-292-ზე მოცემულია ინფორმაცია მონტესკიესა და ვოლტერის პოლიტი-

Don't copy

კური მოწყობის იდეების შესახებ. მასწავლებელს შეუძლია, საკითხის სიღრმისეულად დამუშავებისთვის გამოიყენოს პარაგრაფში არსებული კითხვები და დავალებები.

- გაიხსენე, როგორ იყო შუა საუკუნეებში ძალაუფლება განაწილებული? ვის ან ხელისუფლების რომელი ორგანოს ხელში იყო თავმოყრილი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება?
- რით განსხვავდება მონტესკიეს მმართველობის მოდელი შუა საუკუნეებში გავრცელებული სახელმწიფო მმართველობის ფორმებისგან?
- როგორ გესმის გამოთქმა, რომ ძალაუფლების წყაროა ხალხი?
- შენი აზრით, რატომ უნდა იყოს დაცული სახელისუფლებო შტოებს შორის შემოწმებისა და შეკავების პრინციპი? დღეს რა ბერკეტი არსებობს ამ პრინციპის დასაცავად?
- შეადარე ერთმანეთს მონტესკიეესა და ლოკის პოლიტიკური ნააზრევი და იმსჯელე, რა წვლილი მიუძღვით მათ სახელმწიფოს მმართველობის სისტემის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში?
- რატომ იყო შეუძლებელი ფეოდალურ საზოგადოებაში დემოკრატიული მოდელის არსებობა? ჩამოთვალე, რა ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობდა.
- იმსჯელე, რატომ მიაჩნია ვოლტერს უკეთესი საზოგადოების შესაქმნელად აუცილებელ პირობად რელიგიური აღმსარებლობისა და სიტყვის თავისუფლება?
- რა საერთო აქვს განმანათლებელთა შეხედულებებს?
- საზოგადოებრივი წყობილების მანკიერებებს განმანათლებლები ადამიანების უვიცობით, საკუთარი ბუნების უცოდინარობით ხსნიდნენ. მათი აზრით, უკეთესი საზოგადოების ასაშენებლად აუცილებელი იყო განათლების ამაღლება და გავრცელება. იმსჯელე, რა კავშირშია ერთმანეთთან განათლება და საზოგადოებრივი კეთილდღეობა.

მოსწავლის რვეული – დავ. 73 და 74

- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში, რა შეხედულებები ჰქონდათ მონტესკიეესა და ვოლტერს პოლიტიკური მოწყობის შესახებ?

ქვეცნება:

რეფორმები, კანონი, ლიბერალიზმი, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, სახელისუფლებო შტოები, მეტროპოლია, კოლონია, დეკლარაცია.

ქვესაკითხი – ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია, ინგლისური კოლონიური სისტემა, ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 293-313

Don't copy

ნაბიჯი 5

- როგორ აისახა განმანათლებელთა იდეებში ხელისუფლების დანაწილების თეორია და როგორ ეყრდნობოდნენ ამ იდეებს აშშ-ის „დამფუძნებელი მამები“ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის პროცესში? **(მ. წ. 4 და 5)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 293-307-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ამერიკის კოლონიზაციისა და ინგლისური კოლონიური სისტემის შესახებ. საკითხის დამუშავებისას პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები და დავალებები.

- როგორ ფიქრობ, რამდენად სამართლიანი იყო კოლონიებში არსებული წინააღმდეგობრივი მოძრაობის მოთხოვნები და გადაწყვეტილები? პასუხი დაასაბუთე.
- რა მეთოდებს იყენებდა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება საკუთარი კოლონიური ინტერესების დასაკმაყოფილებლად?
- როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა პირველი კონტინენტური კონგრესის შეკრებას?
- პროტესტის როგორი ფორმა აირჩია პირველმა კონტინტურმა კონგრესმა და შენი აზრით, რატომ?
- რამდენად სწორად მიგაჩნიათ ბრიტანეთის ხელისუფლების ნაბიჯი, უარი ეთქვა კონტინენტურ კონგრესთან მოლაპარაკებაზე?
- შენი აზრით, შეეძლო თუ არა ბრიტანეთს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება?
- როგორი იყო დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ამერიკული კოლონიებისადმი?
- რა არის პამფლეტის მთავარი იდეა?
- შენი აზრით, რატომ იყო პამფლეტი ანონიმური?
- როგორ ფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ გამოქვეყნებიდან სულ რაღაც სამ დღეში პამფლეტის 100 000 ეგზემპლარი გაიყიდა?
- როგორ ფიქრობ, რა ფაქტორებმა შეიძლება შეუწყოს ხელი კოლონიების დამოუკიდებლად განვითარებას? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რატომ შეიძლება მეორე კონტინეტური კონგრესის გადაწყვეტილება ლეგიტიმურად ჩაითვალოს?
- გაიხსნე ჯონ ლოკის პოლიტიკური შეხედულებები და შეადარე ისინი ჯეფერსონის ნააზრევს, რა საერთო და განსხვავებულია მათ შორის?

Don't copy

- „დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან“ გამომდინარე, რა იყო დამოუკიდებლობის გამოცხადების მთავარი მიზეზი?
- თომას პეინის „საღი აზრი“ წინ უსწრებს ამ დოკუმენტს, რომელიც იმავე წელსაა შექმნილი. როგორ ფიქრობ, იქონია თუ არა გავლენა პეინის პამფლეტმა დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე? პასუხი დაასაბუთე.
- შეადარე ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: „მეიფლაუერის ხელშეკრულება“ და „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“. რა საერთო იდეა აქვს ამ ორ დოკუმენტს?
- დასავლეთის ისტორიკოსები ამერიკაში მომხდარ ამ მოვლენას ამერიკის რევოლუციის დასაწყისს უწოდებენ, ისტორიკოსების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს რევოლუცია არ იყო, რადგან რევოლუცია ქვეყნის შიდა მოვლენებში არსებულ ცვლილებებს ასახავს. შენ რომელ აზრს ემხრობი?
- როგორ გესმის „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ სიტყვები: „თუ გამგებლობის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება, შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა“? რა გზით შეუძლია მას ეს?
- რით განსხვავდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი მმართველობის სისტემა სხვა სახელმწიფოებში მანამდე არსებული მმართველობის სისტემისგან?
- შეიძლება თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს ახალი ტიპის სახელმწიფო ვუწოდოთ? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის დაპირისპირების პროცესი და დაპირისპირების დასრულების შემდეგ სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის შესახებ დებატები?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის განხილვა. გვ. 307-313-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების შექმნისა და მისი პოლიტიკური მოწყობის შესახებ. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალებების გამოყენებით.

- შენი აზრით, რა საფრთხეებს შეიცავდა მმართველობის ასეთი მოდელი? დაასაბუთე შენი მოსაზრება.
- კონფედერაციის მუხლები დებატებისა და მწვავე დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა. შენი აზრით, ვის სასარგებლოდ დასრულდა დებატები: ცენტრალიზებული ხელისუფლების მომხრეების თუ მოწინააღმდეგეების?
- ბრიტანეთთან ომი 1783 წელს დასრულდა. საჭირო იყო შტატების მიერ საერთო გადაწყვეტილებების მიღება. როგორ ფიქრობ, ამ ვითარებაში რამდენად რეალური იყო: ა) საერთო ეროვნული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება? ბ) ომით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად საერთო ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება?
- კონსტიტუციის მიხედვით, როგორ მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიხედვით ძალაუფლების განაწილება? რა ფუნქციები დარჩა შტატებს და რა გადაეცა ფედერალურ ხელისუფლებას?

Draft copy

- შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დიდი კომპრომისი? შეაფასე ეს ფაქტი.
- იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანია კომპრომისების ხელოვნება დღეს.
- რამდენად ეთანხმები იმ აზრს, რომ ამერიკის კონსტიტუცია სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩვევების, ტრადიციებისა და პოლიტიკური ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების ორგანული ერთობა?
- როგორ ფიქრობ, რატომ თანხმდებოდნენ შტატების წარმომადგენლები, რომ საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლება ძლიერი აღმასრულებელი ინსტიტუტით?

მოსწავლის რვეული – დავ. 76

- როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო კონსტიტუციის შესწორებები – უფლებათა ბილი?
- რას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ ამერიკის კონსტიტუცია თავისი შესწორებებით დღესაც მოქმედებს?
- უფლებათა ბილის ერთ-ერთი მუხლი დღეს მწვავე დებატების საგანია. როგორ ფიქრობ, რომელი მუხლი შეიძლება იყოს აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი?
- როგორ ამოწმებს საკანონმდებლო ხელისუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებას?
- როგორ შეუძლია სასამართლო შტოს საკანონმდებლო ხელისუფლების შემოწმება?
- როგორ შეუძლია აღმასრულებელ ხელისუფლებას, შეამოწმოს სასამართლო ხელისუფლება?
- როგორ შეუძლია სასამართლო ხელისუფლებას, შეამოწმოს აღმასრულებელი ხელისუფლება?
- საჭიროა თუ არა ხელისუფლების სამივე შტოს ერთად მუშაობა? რატომ კი ან რატომ არა? პასუხი დაასაბუთე.

მოსწავლის რვეული – დავ. 76

- ჯორჯ ვაშინგტონის სიტყვები ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს შენობაზე: „ჭეშმარიტი მართლმსაჯულება კარგი მთავრობის ყველაზე მყარი საყრდენია“. იმსჯელე ამ სიტყვებზე.
- დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ცნება იცვლებოდა და მასთან ერთად იცვლებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები, მმართველობის ფორმები,
- კანონები. საბოლოოდ, სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა ტრანსფორმაცია განიცადა და ჩამოყალიბდა სამართლებრივ სახელმწიფოდ, სადაც უმაღლეს სოციალურ ღირებულებად ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებებია მიჩნეული.
- გაიხსენე, განვითარებული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული რა იყო სახელმწიფოს მთავარი იდეა და რა ღირებულებებს ემსახურებოდა ის.
- პუნქტებად ჩამოწერე ის ისტორიული მოვლენები, რომლებმაც, შენი აზრით, დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო მმართველობის ფორმის ტრანსფორმაციაში. შენი არჩევანი დაასაბუთე.

Don't copy

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს სტატიის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სტატიაა?

ახსენი, რატომ შექმენი სტატია? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?

Don't copy

- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

მესამე თემა – „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე“ (ახალი დრო)

სამიზნე ცნება	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ
დრო	• ახალი დრო დასავლური ცივილიზაციის (ღირებულებითი სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა) დანარჩენ მსოფლიოზე პრევალირების პერიოდია; • ახალი დრო რელიგიურ შეხედულებებზე რაციონალიზმის პრევალირების, სოციალური ტურბულენტობისა, უფლებების და თავისუფლებების ახლებური გააზრების პერიოდია; • ახალი დრო პოლიტიკური მმართველობის ახალი სისტემებისა და ახალი ტიპის სახელმწიფოების ჩამოყალიბების პერიოდია, როდესაც ბიუროკრატიული აპარატი სრულად ექცევა მმართველის ხელისუფლების კონტროლქვეშ და სახელმწიფოს მაქსიმალურ ცენტრალიზაციას ემსახურება; • ახალ დროში ევროპის კონტინენტზე კალენდრის მორიგი რეფორმის მცდელობა სახელმწიფოს რადიკალურ ტრანსფორმაციას დაუკავშირდა, თუმცა მისი დაკანონება ვერ მოხდა; • ახალი დროის ქვედა და ზედა ნიშნულები, ისევე როგორც წინა პერიოდში მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია თუმცა მის პირობითობასა და რომელიმეს უპირატესობაზე მეცნიერებს შორის დავა არ წყდება.
სივრცე	• ახალ დროში ახალი კონტინენტების, ახალი კოლონიებისა და ახალი სივრცეების ათვისების პერიოდია; • ახალ დროში საზღვაო – საოკეანო გზებმა საბოლოოდ მოიპოვა უპირატესობა ტვირთბრუნვის უკეთესი მობილობისა და დროის დაზოგვის გამო სახმელეთო გზებზე; • საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ სარკინიგზო ქსელის ჩამოყალიბება განაპირობა, რამაც არა მხოლოდ თითოეული ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის, არამედ სხვადასხვა რეგიონების ერთმანეთთან დაკავშირება უზრუნველყო; • საკომუნიკაციო და სატრანპორტო საშუალებების დახვეწამ, ასევე სავაჭრო – საკომუნიკაციო ქსელის გაფართოებამ სამყაროს „დაპატარავება“ გამოიწვია და დასავლური ცივილიზაციის წარმომადგენლებს საშუალება მისცა ყველა კონტინენტი აეთვისებინა. • სივრცობრივად სხვადასხვა კონტინენტის მოსახლეობის დაკავშირებას ხელი შეუწყო ფოსტა-ტელეგრაფის განვითარებამაც.

Don't copy

წყარო	• ახალი დროში წერილობითი წყაროები გამრავალფეროვნდა, რადგან ისტორია როგორც დისციპლინა, მისი მეცნიერული აპარატი და მეთოდოლოგია მყარი სამეცნიერო საფუძვლებით გამყარდა. • სხვადასხვა ისტორიული დარგებისა და დისციპლინების დივერსიფიკაციამ რამაც წყაროთა ტიპის მრავალფეროვნებასთან ერთად დამუშავების მექანიზმებიც შემოგვთავაზა, შესაძლებელი გახადა საკვლევი ეპოქის უფრო მეტად კომპლექსური რეკონსტურიურება; • ახალი პერიოდის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვანია უცხოელ (როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური) მოგზაურთა, მკვლევართა და თვითმხილველთა ცნობები, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქის ავთენტური ქართული წყაროებიც მოიპოვება ; • დროის წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი, თუმცა წინა ეპოქისგან განსხვავებით სულ უფრო მეტად პრევალირებს იძენს საერო ხასიათის მოცემულობა; • ახალ დროში ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად განაპირობა ნარატიულ წყაროთა მრავალფეროვნების(პერიოდიკა, ფოტო-ფონო მასალა...) ზრდა და ასევე მათზე ხელმისაწვდომობა, ხოლო ისტორიულმა სკოლებმა მნიშვნელოვნად განავითარეს წყაროს დამუშავების მეთოდოლოგია.
საზოგადოება	• ახალ დროში ბურჟუაზიამ მოიპოვა სრული ეკონომიკური უპირატესობა სხვა სოციალურ ჯგუფებზე და დაიწყო ბრძოლა პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად; • ახალი დროის მოაზროვნეებმა და ფილოსოფოსებმა ადამიანისა და პიროვნების თავისუფლებების, უფლება-მოვალეობების, რელიგიური იდეების რადიკალური გადააზრებით არსებული მმართველობისა თუ სახელმწიფო მოწყობის ფორმების ცვლილებები დააყენეს დღის წესრიგში, რაც საზოგადოებრივ პროცესებში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ჩართვას განაპირობებდა; • ფეოდალური ურთიერთობები და ფეოდალური სოციალური სისტემა ბრიტანეთში ევოლუციური ცვლილებების გზით ტრანსფორმირდებოდა, კონტინენტურ ევროპაში კი რადიკალური რევოლუციური ეტაპები დასჭირდა სოციალური სტრუქტურის ცვლილებას; • „ინდუსტრიულმა რევოლუციამ“ და სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა შეცვალა დასავლური საზოგადოებრივი ცხოვრება და რადიკალური ცვლილებები კოლონიების მოსახლეობასაც;

Don't copy

	• ახალი დრო სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ბუნების იდეოლოგიების (ნაციონალიზმი, რომანტიზმი, სოციალიზმი, კაპიტალიზმი, აბოლიცონიზმი, ფემინიზმი...) და მასთან შესაბამისი აქტივიზმის აღზევების პერიოდია, რაც სოციალურ პროცესებს განსაკუთრებულ სიმძაფრეს სძენდა; • ტექნოლოგიურმა პროგრესმა და თანამდევმა რადიკალურმა სოციალურმა, და მსოფლმხედველობრივმა ცვლილებებმა ე.წ. „მომხმარებელი საზოგადოების“ (კონსუმერიზმი) ფორმირება განაპირობა.
ძალაუფლება	• ახალ დროში დასავლური ცივილიზაციის არეალში საერო ხელისუფლებამ სრულად ჩამოაშორა სასულიერო ხელისუფლება სახელმწიფო მართვის ბერკეტებს; • ახალი დროში ბიუროკრატიული აპარატზე, ჯარსა და შეიარაღებაზე, განათლებასა და იდეოლოგიაზე სახელმწიფო მეთაურის კონტროლი აბსოლუტისტური რეჟიმების გაბატონებას განაპირობებდა; • ახალი დრო დიდი რევოლუციების ეპოქაა, აბსოლუტური ხელისუფლება კრიზისს განიცდის და ძალაუფლება ნაწილდება ახალ საზოგადოებრივ ფენებს შორის. • ახალ დროში ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მექანიზმებში ეკონომიკურ ფაქტორებმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა; • ახალ დროში ძალაუფლებისთვის ბრძოლა ცდება კონკრეტული ქვეყნის შიგნით პოზიციების მოპოვებად და ბევრად გლობალურ მასშტაბს იღებს.
ისტორიული მოვლენა/პროცესი	• ნაპოლეონის ომებისა და ვენის კონგრესის შედეგად ევროპის პოლიტიკური რუკა შეიცვალა; • ახალი პერიოდში ნაციონალიზმი დასავლური სახელმწიფოების დომინანტურ პოლიტიკურ დოქტრინად იქცა და ნაცია-სახელმწიფოებისა და ცენტრალიზაციის პროცესმა გერმანიისა და იტალიის გაერთიანებაც გამოიწვია; • ახალი დროში დასავლურმა კოლონიურმა იმპერიებმა და კოლონიალიზმის სისტემამ განსაზღვრა დასავლური ცივილიზაციის დომიმანტური როლი; • ახალი დრო რევოლუციებით სახელმწიფოებრივი გარდაქმნების, ერად ფორმირების და ნაცია-სახელმწიფოების დასრულების პერიოდია; • ახალ პერიოდში მსოფლიო გადანაწილების არსებულმა მოდელით უკმაყოფილებამ სახელმწიფოების დაპირისპირებულ ბანაკებად გადაჯგუფება გამოიწვია.

Don't copy

კლასი: XI **თემის სახელწოდება: „ხანგრძლივი XIX საუკუნე“** **საათების სავარაუდო რაოდენობა** **ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო**			
სამიზნე ცნება	**საფრანგეთი XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის 30-იან წლებში**	**ევროპა-ამერიკა XIX საუკუნეში**	**ევროპა და ახლო აღმოსავლეთი 1789-1914 წლებში.**
დრო **ძალაუფლება**	**ქვესაკითხი** • პირველი რესპუბლიკა; • იაკობინელთა დიქტატურა; • ნაპოლეონის ომები; • იმპერიის პერიოდი; • ვენის კონგრესი; • ბურბონთა რესტავრაცია; • ივლისის რევოლუცია. **ქვეცნება** მონარქია, რევოლუცია, წოდებები, რესპუბლიკა, დიქტატურა, იმპერია კალენდარი, ეპოქა, ომი, ზავი, კონგრესი.		
წყარო **საზოგადოება**		**ქვესაკითხი** • ინდუსტრიალიზაცია; • სოციალური მოძრაობები; • ახალი პოლიტიკური იდეოლოგიები; • ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომი. **ქვეცნება** სახელმწიფო დოკუმენტები, წერილობითი დოკუმენტები, გაზეთები, კინო-, ფოტო- და ფონო(აუდიო)დოკუმენტები, პამფლეტი, პეტიცია, ადამიანის უფლებები, იდეოლოგიები, საზოგადოებრივი გამოსვლები, გაფიცვები, აბოლიციონიზმი, კონფედერაცია, პროკლამაცია, აშშ-ის კონსტიტუციის მე-13 შესწორება.	
სივრცე ისტორიული მოვლენა/ პროცესი			ომი, ზავი, კონგრესი, სამეფო-სამთავროები, რეფორმა. ერი-სახელმწიფო, აპენენის ნახევრაკუნძული, კოლონიები, ნაციონალიზმი, პლებისციტი, ანტისამთავრობო გამოსვლები, ბესარაბია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ნეიტრალიტეტი, ზღვები, პროტექტორატი, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, ანტანტა“, სამთა კავშირი“.
კომპლექსური დავალება	ინტერვიუს მომზადება XVIII საუკუნის 80-იან და XIX საუკუნის 30-იან წლებში საფრანგეთში განვითარებული ისტორიული პროცესების შესახებ.	ესეს მომზადება ევროპასა და ამერიკაში XIX საუკუნეში განვითარებული ისტორიული მოვლენების შესახებ, რომლებმაც შეცვალა იმდროინდელი საზოგადოების ყოფა-ცხოვრება.	რეფერატის დაწერა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში 1789-1914 წლებში განვითარებული ისტორიული მოვლენების შესახებ.

Don't copy

სამიზნე ცნება – დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)

ქვეცნება: კალენდარი, ეპოქა.

სამიზნე ცნება – ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8)

ქვეცნება:
მონარქია, რევოლუცია, წოდებები, რესპუბლიკა, დიქტატურა, იმპერია, ომი, ზავი, კონგრესი.

საკითხი – საფრანგეთი XVIII საუკუნის 80-იან და XIX საუკუნის 30-იან წლებში

საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა ჩაწერო ინტერვიუ, რომელიც დაგეხმარება, გადმოსცე XVIII საუკუნის 80-იან და XIX საუკუნის 30-იან წლებში საფრანგეთში განვითარებული ისტორიული პროცესები და ამ პროცესების შემდეგ მომხდარი პოლიტიკური, სოციალური და მმართველობითი ცვლილებები?

კომპლექსური დავალება
წარმოიდგინე, რომ XIX საუკუნის შუახანებში ცხოვრობ საფრანგეთში და ქვეყანაში განვითარებული ისტორიული პროცესების (საფრანგეთის დიდი რევოლუციის, ნაპოლეონის ომების, ბურბონთა რესტავრაციისა და 1830 წლის ივლისის რევოლუციის) მომსწრე ხარ (მაგ., მარკიზ დე ლაფაიეტი). ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტმა გადაწყვიტა, თქვენთან ინტერვიუ ჩაწეროს. ინტერვიუს მსვლელობისას უნდა გაიხსენოთ და შეაფასოთ მომხდარი და მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.
განმარტება: მარკიზ დე ლაფაიეტი (1757-1834) ფრანგი არისტოკრატი, სამხედრო მოღვაწე. ის იყო სამი რევოლუციის მონაწილე. ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, დიდი ფრანგული რევოლუციის და 1830 წლის ივლისის რევოლუციის.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
სამიზნე ცნება – დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6) • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა.	**დრო** • აღწეროს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული პერიოდის მახასიათებლები და მათი მიმართება სხვა ისტორიულ ეპოქებთან/ პერიოდებთან; • იმსჯელოს, როგორ აღრიცხავდნენ დროს და აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას შესწავლის ობიექტად შერჩეულ დროში მცხოვრები ადამიანები.	• როგორ იცვლებოდა საფრანგეთის მმართველობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ბურჟუაზიული რევოლუციიდან 1830 წლის ივლისის რევოლუციამდე? **(მ. წ. 1 დრო, 1 და 2 ძალაუფლება)** • რა ეპოქებს გამოყოფდით მმართველობის ფორმის მიხედვით საფრანგეთში და ვინ ფლობდა ხელისუფლებას სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე? **(მ. წ. 2 დრო და 3 ძალაუფლება)**

Don't copy

ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8) • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსების, ადამიანური რესურსების) ფლობა, სიმბოლოები, იდეოლოგია; • ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის; • დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.	**ძალაუფლება:** • გაანალიზოს, როგორი იყო შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; • იმსჯელოს, ვინ და როგორ/ რა საშუალებებით იბრძოდა ძალაუფლებისთვის შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში.	• რას ემყარებოდა საფრანგეთში მმართველთა ძალაუფლება და რა რესურსებს, მეთოდებსა და იდეოლოგიას იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში? **(მ. წ. 3 და 5 ძალაუფლება)** • როგორ და რატომ შემოიღეს რევოლუციურ საფრანგეთში დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემა? **(მ. წ. 3 დრო)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 315-353

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ინტერვიუ“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას ინტერვიუს შესახებ.

რესურსი:
ინტერვიუ – ამა თუ იმ პიროვნებასთან ჟურნალისტის საუბარი, რომელიც გამიზნულია გამოსაქვეყნებლად.

Don't copy

ინტერვიუს პროცესში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შემდეგი ეტაპები: 1) მოსამზადებელი სამუშაო; 2) კითხვების ჩამოყალიბება; 3) ინტერვიუს პროცესი; 4) მასალის დამუშავება და ანალიზი; 5) ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის ნაშრომის სახით ჩამოყალიბება.

ინტერვიუს ჩაწერის პროცესში დაგვეხმარება შემდეგი რჩევები:

- წინასწარ მოვიძიოთ ინფორმაცია და მასალა ინტერვიუს პროცესში განსახილველი საკითხის შესახებ;
- წინასწარ მოვიძიოთ ინფორმაცია იმ ადამიანის შესახებ, ვისთვისაც გვინდა ინტერვიუს ჩამორთმევა;
- შევარჩიოთ კითხვები ისე, რომ პირდაპირ არ ვუბიძგოთ რესპონდენტს პასუხებისკენ;
- ინტერვიუ დავიწყოთ მარტივი კითხვებით;
- კითხვები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ რესპონდენტს საკითხი სიღრმისეულად განხილვა შეეძლოს.
- რა არის ინტერვიუ?
- ვინ არის ინტერვიუერი? რესპონდენტი?
- რატომ არის საჭირო, წინასწარ შევიმუშაოთ ინტერვიუს გეგმა?
- როგორი უნდა იყოს კარგი ინტერვიუ?
- როგორი კითხვები უნდა დასვას ინტერვიუერმა, რომ რესპონდენტისგან სიღრმისეული პასუხი მიიღოს?
- რას აქცევთ ყურადღებას ინტერვიუს კითხვის დროს და რატომ?
- როგორ უნდა აიგოს ინტერვიუ, რომ მკითხველისთვის საინტერესო იყოს?
- რა უნდა გაითვალისწინო ინტერვიუს ჩაწერის დროს?

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება

მონარქია, რევოლუცია, წოდებები, რესპუბლიკა, დიქტატურა, კალენდარი, ეპოქა.

ქვესაკითხი

- პირველი რესპუბლიკა;
- იაკობინელთა დიქტატურა.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 315-329

Don't copy

ნაბიჯი 1

- როგორ იცვლებოდა საფრანგეთის მმართველობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ბურჟუაზიული რევოლუციიდან 1830 წლის ივლისის რევოლუციამდე? **(მ. წ. 1 დრო, 1 და 2 ძალაუფლება)**
- რა ეპოქებს გამოყოფდით მმართველობის ფორმის მიხედვით საფრანგეთში და ვინ ფლობდა ხელისუფლებას სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე? **(მ. წ. 2 დრო და 3 ძალაუფლება)**
- რას ემყარებოდა საფრანგეთში მმართველთა ძალაუფლება და რა რესურსებს, მეთოდებსა და იდეოლოგიას იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში? **(მ. წ. 3 და 5 ძალაუფლება)**
- როგორ და რატომ შემოიღეს რევოლუციურ საფრანგეთში დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემა? **(მ. წ. 3 დრო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 315-318-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია საფრანგეთის რევოლუციის საწყისი პერიოდისა და ბასტილიის აღების შესახებ. პედაგოგს შეუძლია, საკითხის სიღრმისეულად განსახილველად გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული ფოტორესურსები, კითხვები და დავალებები.

- კარიკატურის მიხედვით იმსჯელე მესამე წოდების მდგომარეობაზე.
- როგორ ფიქრობ, რატომ თვლის ტექსტის ავტორი, რომ მესამე წოდება მთელი ერია?
- შენი აზრით, რატომ თვლის ა) წყაროს ავტორი, რომ ეს წოდება რევოლუციამდე არაფერს წარმოადგენდა?
- რამდენად გასაზიარებელია მისი შეხედულებები მესამე წოდებაზე?
- გაიხსენე, რა ფუნქციები და უფლებები ჰქონდა შუა საუკუნეებში გენერალურ შტატებს?
- რამდენად შეიძლებოდა, მისი მოწვევა გამოსავალი ყოფილიყო მეფისთვის?
- რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მეფემ პრივილეგირებული წოდებისგან დაფინანსება ვერ მიიღო?
- შენი აზრით, რატომ მოიყარეს მუხლი მეფის წინაშე პირველი და მეორე წოდების წარმომადგენლებმა და არ მოიყარეს მესამე წოდების წარმომადგენლებმა? რას ნიშნავდა მათი მხრიდან ეს ნაბიჯი?
- რატომ სურდა მეფეს, გენერალური შტატების მოწვევისას გადაწყვეტილება წოდებათა მიხედვით ყოფილიყო მიღებული და არა საერთო კენჭისყრით?
- როგორ ფიქრობ, რა განწყობა ექნებოდათ სხვადასხვა წოდების წარმომადგენელებს და სოციალურ ფენებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის მიმართ?

Do not copy

- შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი მესამე წოდებისთვის დამფუძნებელი კრების მოწვევა?
- რა მეთოდებს იყენებს მეფე ხელისუფლების შენარჩუნებისთვის? შეაფასე მეფის გადაწყვეტილება.
- რას შეიძლება ნიშნავდეს, რომ პოლიტიკურად დაძაბულ და რთულ პერიოდში მეფე ან მხოლოდ ნადირობაზე ჰყვება, ან წერს, რომ არაფერი მომხდარა?
- რა განწყობები ჩანს ამ დოკუმენტში?
- შენი აზრით, რატომ იბრძოდნენ პარიზის მოქალაქეები ასეთი ენთუზიაზმით?
- შენ რა პოზიციას დაიკავებდი მათ ადგილას?
- როგორ უნდა წარმოადგინო ინტერვიუში საფრანგეთის რევოლუციის საწყისი პერიოდი, წოდებათა უფლებრივი მდგომარეობა და განვითარებული პროცესები?

კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს სახელმძღვანელოზე დაყრდნობით საკითხის განხილვა და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 318-324, სადაც მოცემულია ინფორმაცია რევოლუციის შემდეგ მიმდინარე ისტორიული პროცესების შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს პარაგრაფში არსებული კითხვებისა და დავალებების დახმარებით გააზრებინოს შესასწავლი საკითხი.

- რამ გამოიწვია საფრანგეთში ძველი ხელისუფლების კრიზისი?
- შენი აზრით, განმუხტავდა თუ არა პოლიტიკურ კრიზისს „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“?
- დეკლარაციის თანახმად, ვინ არის ძალაუფლების წყარო? რატომ არის მნიშვნელოვანი ეს უფლება?
- როგორ შეცვლიდა ფრანგულ საზოგადოებას „დეკლარაცია“? რა შედეგი მოჰყვებოდა მის ამოქმედებას?
- შენი აზრით, რას გულისხმობს ყველა ადამიანის თავისუფლება რწმენაში? იმსჯელე, ასეთ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო ან პრივილეგირებული სარწმუნოება? რა შედეგი მოჰყვებოდა ამ მუხლის ამოქმედებას?
- გაიხსენე წინა პარაგრაფებში შესწავლილი მასალა. რომელ პოლიტიკურ დოკუმენტს შეადარებდი „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას“ და რატომ?
- რომელ იდეებს დაეფუძნა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“?

მოსწავლის რვეული – დავ. 77

- შენი აზრით, რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება მდიდარი მოქალაქეების დაცვას?
- შენი აზრით, რა გამოსავალი უნდა მოეფიქრებინა მეფეს ასეთი კრიზისული სიტუაციის დროს?
- როგორ ფიქრობ, რატომ არ მისცეს მეფეს საშუალება, დაეტოვებინა საფრანგეთი?
- შენი აზრით, როგორ იმოქმედება მეფე უცხოეთიდან?
- შენი აზრით, რატომ არის ჰებერტის გამოსვლა ასეთი რადიკალური?

Don't copy

- შენი აზრით, რა გავლენას მოახდენდა მეფის წერილი და ზოგადად ვარენის კრიზისი მეფის ავტორიტეტსა და მისი მომხრეების სულისკვეთებაზე?
- როგორ არის დანაწილებული ხელისუფლება კონსტიტუციის მიხედვით?
- სახელმწიფო მმართველობის რა ფორმა ჩამოყალიბდა საფრანგეთში 1791 წლის კონ-სტიტუციის მიხედვით?
- რობესპიერს არ მოსწონს, რომ „კონსტიტუცია“ „მოქალაქეობის საზომად სიმდიდრეს იყენებს“. წარმოიდგინეთ, რომ იმ პერიოდში საფრანგეთში ცხოვრობთ და კლასში მოაწყვეთ დისკუსია, თემაზე: რა დადებითი და რა უარყოფითი მხარეები ჰქონდა
- კონსტიტუციაში ამ მუხლის შემოტანას?
- შენი აზრით, მმართველობის რომელი ფორმა შეიძლებოდა აღდგენილიყო საფრან-გეთში ავსტრიისა და პრუსიის წარმატების შემთხვევაში?
- როგორ ფიქრობ, რა ვალდებულებები დაეკისრებოდა საფრანგეთს და როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი საერთაშორისო სტატუსი ავსტრიასა და პრუსიასთან მარცხის შემთხვევაში?
- შეადარე ერთმანეთს საფრანგეთსა და ინგლისში განვითარებული ისტორიული პრო-ცესები და იმსჯელე, რა აქვთ მათ საერთო და რით განსხვავდება ერთმანეთისგან?
- როგორ უნდა წარმოადგინო ინტერვიუში, რა ისტორიული პროცესები განვითარდა საფრანგეთში რევოლუციის შემდეგ პერიოდში და როგორ ცდილობდა მეფე ძალაუ-ფლების შენარჩუნებას?

კითხვებსა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხ-ის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 325-329, სადაც წარმოდგენილია ინფორ-მაცია რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში ჩამოყალიბებული მმართველობის ფორმე-ბისა და რევოლუციური კალენდრის შესახებ.

- შეფასე რევოლუციის მონაპოვარი საფრანგეთისთვის, ევროპის სხვა სახელმწიფოე-ბისთვის.
- შენი აზრით, როგორ აისახება რევოლუცია ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებაზე? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ გესმის რევოლუციური ლოზუნგი – „თავისუფლება, თანასწორობა და ძმო-ბა“?
- როგორ შეიცვალა კალენდარი? რით განსხვავდებოდა ის გრიგორიანული კალენ-დრისგან?
- შენთვის ნაცნობ რომელ კალენდარს შეადარებ საფრანგეთის ახალ კალენდარს? რაზე მეტყველებს თვეების სახელწოდებები?
- გაიხსენე, რა იყო გრიგორიანული კალენდრის შემოღების მიზეზი და როგორ გავრცელდა ის სხვა ქვეყნებში.
- რა მიზანი ჰქონდა საფრანგეთში ახალი კალენდრის შემოღებას და როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღები იქნებოდა ის სხვა ქვეყნებისთვის?
- გამოთქვი ვარაუდი, გავრცელდებოდა თუ არა ახალი კალენდარი ევროპის სხვა ქვეყნებშიც? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

- რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატები სიკვდილით დასჯის შესახებ? შენი აზრით, რატომ აღასრულებდნენ სასჯელს საჯაროდ? რით განსხვავდება მეფისა და დედოფლის სიკვდილით დასჯის სცენა?

მოსწავლის რვეული – დავ. 78

- რა სახის ორგანოა კონვენტი და რა შედის მის მოვალეობაში?
- რა მეთოდები გამოიყენეს იაკობინელებმა ჟირონდისტებთან დაპირისპირებისას?
- როგორ ფიქრობ, რატომ დასჭირდა რობესპიერს „საეჭვოთა შესახებ“ კანონის მიღება?
- გაიხსენე მუხლები „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციიდან“ და იმსჯელე, მოქალაქის რა უფლებები ირღვევა რობესპიერის მიღებული კანონის ამოქმედებით.
- შენი აზრით, რამდენად საჭირო იყო ასეთი კანონის შემოღება? პასუხი დაასაბუთე.
- რატომ შეიძლებოდა მარტო არისტოკრატების დასჯა არასწორი ყოფილიყო?
- რატომ იქნებოდა ხალხის დამცირება, თუ სიკვდილით დასჯის პრივილეგია მხოლოდ რჩეულ პირებს ერგებოდათ?
- როგორ შეიცვალა იაკობინელთა დამხობის შემდეგ საფრანგეთის პოლიტიკური ინსტიტუტები და როგორ იმართება ქვეყანა?
- შენი აზრით, რას ნიშნავს კანონის უკუქმედების ძალა და დაფიქრდი, რატომ ჩაიდო ეს მუხლი 1795 წლის კონსტიტუციაში?
- გაიხსენე 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“ და შეადარე ის 1795 წლის დეკლარაციას, იპოვე მსგავსი და განსხვავებული მუხლები ამ ორ დეკლარაციაში.
- როგორ უნდა წარმოადგინო ინტერვიუში, რა ცვლილებები განიცადა რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში მმართველობის სისტემამ და როგორ ცდილობდნენ ხელისუფლებაში მყოფნი ძალაუფლების შენარჩუნებას?

ქვეცნება

იმპერია, პერიოდი ომი, ზავი, კონგრესი.

ქვესაკითხი

- ნაპოლეონის ომები;
- იმპერიის პერიოდი;
- ვენის კონგრესი.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 330-345

ნაბიჯი 2

- როგორ იცვლებოდა საფრანგეთის მმართველობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ბურჟუაზიული რევოლუციიდან 1830 წლის ივლისის რევოლუციამდე? **(მ. წ. 1 დრო, 1 და 2 ძალაუფლება)**

Don't copy

- რა ეპოქებს გამოყოფდით მმართველობის ფორმის მიხედვით საფრანგეთში და ვინ ფლობდა ხელისუფლებას სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე? **(მ. წ. 2 დრო და 3 ძალაუფლება)**
- რას ემყარებოდა საფრანგეთში მმართველთა ძალაუფლება და რა რესურსებს, მეთოდებსა და იდეოლოგიას იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში? **(მ. წ. 3 და 5 ძალაუფლება)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 330-338-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ნაპოლეონის ხელისუფლებაში მოსვლისა და მისი მოღვაწეობის საწყისი პერიოდის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალებების დახმარებით.

- რა მნიშვნელობა ექნებოდა ინგლისისთვის ინდოეთს? რატომ უნდოდა საფრანგეთს ინდოეთის დაკავება?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისთვის ეგვიპტის კონტროლს?
- რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ბონაპარტს, რომ ერთპიროვნული ძალაუფლება ჩაეგდო ხელში?
- რაში ადანაშაულებს ნაპოლეონი დეპუტატებს? დეპუტატების წინაშე წარმოთქმული სიტყვის მიხედვით, როგორ შეიძლება დავახასიათოთ ნაპოლეონი?
- როგორ ხსნის ნაპოლეონი საფრანგეთში არსებული რესპუბლიკური მმართველობის შეცვლის აუცილებლობას?
- ნაპოლეონის სიტყვებში მოძებნე ის ადგილი, სადაც მონარქიული მმართველობისთვის დამახასიათებელი ნიშნებია ჩამოთვლილი.
- წყაროს მიხედვით დაახასიათე ნაპოლეონი. გამოხატე შენი პოზიცია, რა მოგწონს და რა არა მის მსჯელობაში.
- შენი აზრით, რატომ დაკომპლექტდა მთავრობა ამგვარად? რამდენად სწორი იყო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე პირების ერთ ხელისუფლებაში ყოფნა?
- ნაპოლეონს უკვე აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდა და იგი, ფაქტობრივად, მხოლოდ თვითონ მართავდა საფრანგეთს, მაშინ რაში დასჭირდა, შენი აზრით, პლებისციტის ჩატარება?
- იმსჯელე, რატომ იყო მნიშვნელოვანი სამოქალაქო კოდექსის მიღება.
- იმსჯელე, როგორ შეხვდებოდა ნაპოლეონის კოდექსს ფრანგული საზოგადოება. შენი აზრით, ყველასთვის იქნებოდა ის მისაღები თუ არა?
- რომელი სოციალური ფენები იქნებოდა ნაპოლეონის ძალაუფლების დასაყრდენი? პასუხი დაასაბუთე.

Draft copy

- რომელ იდეებს ეფუძვნებოდა, 1789 წლის პრინციპები, ისე ნაპოლეონის კოდექსი?
- შენი აზრით, ეწინააღმდეგებოდა თუ არა პრესისადმი დამოკიდებულება „1789 წლის პრინციპებს“, რომლის მთავარ ქვაკუთხედს პიროვნების თავისუფლება წარმოადგენდა?
- რა მნიშვნელობა აქვს პრესას საზოგადოებისთვის?
- იმსჯელე, რამდენად მართებული იყო ნაპოლეონის პრესასთან დაკავშირებული ფრაზა. შესაძლებელია თუ არა, სახელმწიფოს მხრიდან პრესაზე რამე ტიპის ცენზურა არსებობდეს? პასუხი დაასაბუთე.
- იმსჯელე, რატომ არ უნდოდა ნაპოლეონს პაპის ხელიდან გვირგვინის მიღება?
- შენი აზრით, რატომ გადაწყვიტა ნაპოლეონმა მოგვიანებით იმპერატორად კურთხევა? რა პრინციპული განსხვავება შეიძლებოდა ყოფილიყო იმპერატორსა და თუნდაც კონსულს შორის, თუკი ორივე შემთხვევაში იგი იყო მმართველი?
- ნაპოლეონი თავს რელიგიურ ადამიანად არ თვლიდა, მაშინ რაში დასჭირდა უმაღლესი რანგის სასულიერო პირისგან კურთხევა და ფრანგი ხალხის უმრავლესობის რელიგიად კათოლიკობის გამოცხადება?
- ისტორიიდან მოიყვანე საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობის მაგალითები და შეადარე ნაპოლეონის მაგალითს.
- როგორ გესმის ფრაზა: „ხალხის გულისათვის კათოლიკე ვიქნები“?

მოსწავლის რვეული – დავ. 79

კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, კლასს შესთავაზოს დილემა, რომლის განხილვისას მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, განივითარონ კრიტიკული აზროვნება: ისტორიკოსები ნაპოლეონის შესახებ დღესაც დავობენ და სრულიად განსხვავებულად აფასებენ, კითხვას სვამენ: ვინ იყო ნაპოლეონი – დიქტატორი თუ რეფორმატორი? თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ სხვა საკითხებზეც მსჯელობენ: მაგ., ტრადიციული საზოგადოების ტრანსფორმაცია სხვადასხვა გზით მიმდინარეობს: რევოლუციური და ევოლუციური. ზოგან ეს რევოლუციის შედეგად ხდება, ზოგან კი – რეფორმების საშუალებით.

- შეიძლება ნაპოლეონის მმართველობის ძველ (რევოლუციამდელ) რეჟიმთან გაიგივება?
- რა მიზანს ისახავდა ნაპოლეონის რეფორმები? საფრანგეთში რევოლუციის შემდეგ შექმნილი ვითარებიდან ნაპოლეონის რეფორმები ერთადერთი რეალური გამოსავალი იყო?
- ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ალექსის დე ტოკვილმა კი ასე დასვა კითხვა: საფრანგეთის რევოლუციის შედეგად (საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით) წყვეტა არსებობდა თუ უწყვეტობა?
- ნაპოლეონის რეჟიმი შეესატყვისებოდა ტრადიციას თუ პირიქით?
- როგორ უნდა წარმოადგინო ინტერვიუში ნაპოლეონის მოსვლა ხელისუფლებაში და მისი მმართველობის საწყისი პერიოდი?

Don't copy

კითხვებისა და დავალებების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 338-343, სადაც მოცემულია ინფორმაცია ნაპოლეონის ომების შესახებ. საკითხის გააზრების პროცესში პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ისტორიული რუკა, წყაროები და კითხვები.

- რას აშარჟებს ამ კარიკატურით ავტორი? რა ინფორმაციას გვაწვდის კარიკატურა მიმდინარე მოვლენებზე?
- რა მიზანი ჰქონდა „კონტინენტურ ბლოკადას“? რა შემთხვევაში შეეძლო საფრანგეთს ამ მიზნის მიღწევა?
- რა არის გოიას მთავარი სათქმელი?
- რამდენად ეფექტიანი შეიძლება იყოს მხატვრობა, როგორც პროპაგანდა? რამდენად იმოქმედებდა ადამიანებზე მსგავსი ნახატის ხილვა? მოიძიე ნაპოლეონის კარის მხატვრების ნამუშევრები და შეადარე გოიას ნამუშევარს.
- 1810 წლისთვის ასე გამოიყურებოდა ევროპის რუკა. რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოები მოექცა საფრანგეთის გავლენის სფეროში?
- როგორ ფიქრობ, მიაღწია თუ არა ნაპოლეონმა თავის მიზანს? საკმარისი იყო თუ არა მხოლოდ ამ სახელმწიფოების დაპყრობა?
- რატომ მიაჩნდა ნაპოლეონს თავის მთავარ მიღწევად სამოქალაქო კოდექსის გავრცელება?
- როგორ აფასებს ამ ფაქტს ნიკო ნიკოლაძე? როგორ გესმის მისი ნათქვამი: „მან აქ, (გერმანიაში) ძველი უწესობისა და უსამართლობის ნაცვლად საფრანგეთის ახალი კანონები შეიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია“? რა იგულისხმება „უწესობასა და უსამართლობაში“?
- იმსჯელე, რა განსხვავებული განწყობები შეიძლებოდა ჰქონოდათ ადამიანებს სხვადასხვა ქვეყანაში ნაპოლეონის ომების მიმართ.
- როგორ ფიქრობ, ექნებოდა თუ არა სამოქალაქო კოდექსის გავრცელებას რამე მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, თუ ნაპოლეონი დაპყრობილ ტერიტორიებს ვერ შეინარჩუნებდა?
- როგორ უნდა წარმოადგინო ინტერვიუში ნაპოლეონის ომები და მისი მნიშვნელობა?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 343-345-ზე მოცემულია ინფორმაცია ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობის, მისი 100-დღიანი მმართველობის, ვენის კონგრესისა და ბურბონთა რესტავრაციის შესახებ. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში წარმოდგენილი კითხვებისა და დავალებების საშუალებით.

- რა იყო რუსეთში ნაპოლეონის დამარცხების მიზეზები?
- შენი აზრით, რა გზები არსებობდა გამარჯვებისათვის და რა შეცდომები დაუშვა ნაპოლეონმა?
- რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა ბონაპარტი რუსეთში განცდილი მარცხის შემდეგ?
- რა ფაქტორები უშლიდა ხელს საფრანგეთში მონარქის ძალაუფლების რევოლუციამდელი ფორმით აღდგენას?

Don't copy

- რატომ იყვნენ მოკავშირეები დაინტერესებული საფრანგეთში მონარქიის აღდგენით?
- რატომ დადგა ევროპაში ვენის კონგრესის მოწვევის აუცილებლობა? რა წინააღმდეგობები იქნებოდა კონგრესის მონაწილე ევროპულ სახელმწიფოებს შორის?

მოსწავლის რვეული – დავ. 80

- რა არის კარიკატურის ავტორის მთავარი სათქმელი?
- მხარეს, რომელსაც იგი გაჰყურებს, ევროპის კონტინენტი აწერია. რაზე მიანიშნებს მხატვარი?
- რა არის კარიკატურის ავტორის მთავარი სათქმელი?
- კარიკატურის ავტორი ნაპოლეონის მხარდამჭერია თუ მოწინააღმდეგე? დაასაბუთე სურათის მიხედვით.
- რაზე მეტყველებს ნაპოლეონის შესვლა ასე სწრაფად პარიზში?
- შენი აზრით, ჰქონდა თუ არა ნაპოლეონს ძალაუფლების შესანარჩუნებლად საჭირო რესურსი (ადამიანური, მატერიალური)?
- რის გადარჩენას აპირებდა ნაპოლეონი გადადგომით?
- რა დამოკიდებულება ჰქონდა ნაპოლეონს ძალაუფლების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით? რამდენად მისაღები იქნებოდა მოკავშირეებისთვის (იგულისხმება მოწინააღმდეგე სახელმწიფოები) გადადგომის აქტში განცხადებული სურვილი?
- კლასში კიდევ ერთხელ დაუბრუნდით დასმულ დილემას: ვინ იყო ნაპოლეონი: დიქტატორი თუ რეფორმატორი? გამოთქვით მოსაზრებები.
- შენი აზრით, რატომ არ დასაჯეს სიკვდილით ნაპოლეონი და რატომ გადაასახლეს?
- წარმოიდგინე, რომ ომი დასრულდა, ვატერლოოს ბრძოლა წაგებულია, ფრანგული არმია განადგურდა, იმპერატორი ტყვედ ჩავარდა. ხარ ინგლისის წარმომადგენელი. რა პოზიცია გექნებოდა ნაპოლეონის ბედთან დაკავშირებით: შეიწყალებდი, სიკვდილით დასჯას მოითხოვდი თუ გადასახლებას დაუჭერდი მხარს? (მოიფიქრე არგუმენტები).
- წარმოიდგინე, რომ ნაპოლეონმა ვატერლოოს ბრძოლაში გაიმარჯვა. შენი აზრით, ასეთ შემთხვევაში როგორ განვითარდებოდა ევროპის ისტორია?
- ქვემოთ მოყვანილია შეფასებები ნაპოლეონზე. გაეცანი მათ და კლასში გამართეთ დისკუსია, რომელ მათგანს იზიარებთ და რატომ?
- როგორ უნდა წარმოადგინო ინტერვიუში ნაპოლეონის მოღვაწეობის მიწურული, მისი ომები და საფრანგეთში ბურბონთა რესტავრაციის საკითხი?

ქვეცნება

მონარქია, რევოლუცია, ომი, კონგრესი.

ქვესაკითხი

- ბურბონთა რესტავრაცია;
- ივლისის რევოლუცია.

Demo copy

რესურსი: სახელმძღვანელო – გვ. 346-353

ნაბიჯი 3

- როგორ იცვლებოდა საფრანგეთის მმართველობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ბურჟუაზიული რევოლუციიდან 1830 წლის ივლისის რევოლუციამდე? **(მ. წ. 1 დრო, 1 და 2 ძალაუფლება)**
- რა ეპოქებს გამოყოფდით მმართველობის ფორმის მიხედვით საფრანგეთში და ვინ ფლობდა ხელისუფლებას სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე? **(მ. წ. 2 დრო და 3 ძალაუფლება)**
- რას ემყარებოდა საფრანგეთში მმართველთა ძალაუფლება და რა რესურსებს, მეთოდებსა და იდეოლოგიას იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში? **(მ. წ. 3 და 5 ძალაუფლება)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 346-349-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ვენის კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და გააააქტიუროს მოსწავლეები.

- რით იყო გამოწვეული დამარცხებული საფრანგეთის დაშვება ვენის კონგრესზე და რამდენად სწორი პოზიცია დაიკავა მისმა დელეგაციამ კონგრესზე?
- რაში ხედავ საფრანგეთის დიპლომატიის მთავარ წარმატებას კონგრესზე?
- წყაროების მიხედვით დაასკვენი, რომელი სახელმწიფოები წყვეტდნენ მაშინდელი ევროპის ბედს?
- ჩამოთვალე ის სახელმწიფოები, რომლებმაც ვენის კონგრესის შემდეგ: ა) ახალი ტერიტორიები მიიერთეს, ბ) ტერიტორიები დაკარგეს.
- შენი აზრით, რომელმა სახელმწიფოებმა მოიგეს განსაკუთრებით ვენის კონგრესის დასკვნითი აქტით?
- ევროპისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ვენის კონგრესს?
- იმსჯელე ვენის კონგრესის როლზე ევროპის ისტორიისათვის.
- შენი აზრით, რამდენად სამართლიანად განაწილდა ტერიტორიები?
- შენი აზრით, ის „წონასწორობა და ბალანსი“, რომელიც ევროპაში ვენის კონგრესის შემდეგ დამკვიდრდა, იქნებოდა თუ არა იქ მცხოვრები ყველა ხალხისათვის მისაღები? რატომ?
- როგორ ფიქრობ, უზრუნველყოფდა თუ არა მშვიდობას ასეთი განაწილება? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

- როგორ შეაფასებ ვენის კონგრესის შედეგებს საფრანგეთისთვის?
- შენი აზრით, რა არის კარიკატურის მთავარი სათქმელი?
- შენი აზრით, კარიკატურაზე საფრანგეთის წარმომადგენლად რატომ არის გამოყვანილი ნაპოლეონი?
- რა პოზიციას აფიქსირებს კარიკატურის ავტორი ლუი XVIII-თან დაკავშირებით?
- როგორ უნდა წარმოადგინო ინტერვიუში ვენის კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად შეცვლილი პოლიტიკური რეალობა?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის განხილვა და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 349-353, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ბურბონთა რესტავრაციისა და 1830 წლის რევოლუციის შესახებ. საკითხის დამუშავების პროცესში მასწავლებელს შეუძლია, დაეყრდნოს პარაგრაფში მოცემულ კითხვებსა და დავალებებს.

- როგორ გესმის კარიკატურაში „ნაპოლეონის ჩექმების მორგება“?
- რას დასცინის კარიკატურის ავტორი?
- ნახატის მიხედვით, როგორ ხვდება მკვლელებს მარშალი?
- შეიძლება თუ არა გამოვიცნოთ, ვის მხარესაა ნახატის ავტორი? პასუხი დაასაბუთე.
- რატომ ეშინოდათ ბურბონებს ფრანგული არმიის გავლენიანი მარშლების?
- შენი აზრით, რატომ ცდილობდა საფრანგეთი, არ დაეშვა მეზობელ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობები? გამოთქვი ვარაუდი.
- რაზე მეტყველებს არჩევნებში როიალისტების წარუმატებლობა? როგორი იყო ფრანგი ხალხის განწყობა?
- შეადარე ერთმანეთს შარლ X და ლუი XVIII. რომლის მმართველობის ფორმა უფრო მისაღებია შენთვის?
- რა მიგაჩნია თითოეულის მთავარ შეცდომად?
- რა მიგაჩნია ივლისის რევოლუციის მთავარ მონაპოვრად?
- ერთმანეთს შეადარე 1830 და 1789 წლის რევოლუციები და გამოყავი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები.
- როგორ ფიქრობ, ფრანგული საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, რომელ რევოლუციას უფრო დიდი წვლილი მიუძღვის? პასუხი დაასაბუთე.
- რა გავლენა ჰქონდათ ფრანგული საზოგადოების დაბალ ფენებს პოლიტიკურ პროცესებზე?

მოსწავლის რვეული – დავ. 81

- ლექსის მიხედვით, როგირა ბელგიელების განწყობა?
- რა შეიძლება იყოს მთავრობის მიმართ ბელგიელების უკმაყოფილების მიზეზი?
- რით განსხვავდება ბელგიასა და საფრანგეთში განვითარებული რევოლუციები ერთმანეთისგან?

Don't copy

- მოკლედ ჩამოაყალიბე ორივე რევოლუციის ძირითადი მოთხოვნები. იმსჯელე მათ შორის განსხვავების მიზეზებზე. შენი აზრით, მოახდენდა თუ არა გავლენას ეს რევოლუციები ევროპის დანარჩენ ერებზე?
- გამოთქვი ვარაუდი, რომელ სახელმწიფოებში შეიძლებოდა დაწყებულიყო მღელვარება ა) სოციალურ და ბ) ეროვნულ ნიადაგზე?
- რატომ შეიკრიბნენ ლონდონში კონკრეტულად ეს სახელმწიფოები?
- შენი აზრით, რატომ ცნეს ლონდონის კონფერენციაზე ბელგია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ? რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლებოდა ჰქონოდა ამ გადაწყვეტილებას?
- როგორ ახასიათებს, „რევოლუციების ეპოქის" მთვარ საზრუნავს ერიკ ჰობსმაუმი? რა ნიშნის მიხედვით გამოყოფს ამ ეპოქას „ხანგრძლივ XIX საუკუნეში"
- რატომ ეშინოდათ ბრიტანელებს ფრანგული რევოლუციური მოძრაობის?
- რა ფაქტორები უწყობდა ხელს რევოლუციური იდეების სწრაფ გავრცელებას ევროპის სახელმწიფოებსა და ხალხებში?
- იმსჯელე, ა) როგორ განაპირობა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ევროპაში რევოლუციური ტალღის დაწყება? ბ) რა როლი მიუძღვის ამ პროცესებში „ნაპოლეონის ომებს"?
- როგორ უნდა წარმოადგინო ინტერვიუში საფრანგეთში ბურბონთა დინასტიის მმართველობის პერიოდი და ვენის კონგრესის შემდეგ წარმოქმნილი რევოლუციური მოძრაობების მნიშვნელობა?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს ინტერვიუს მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ინტერვიუა?

Don't copy

ახსენი, რატომ შექმენი ინტერვიუ? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?

Don't copy

- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)

ქვეცნება: სახელმწიფო დოკუმენტები, წერილობითი დოკუმენტები, გაზეთები, კინო-, ფოტო- და ფონო(აუდიო)დოკუმენტები, პამფლეტი, პეტიცია.

სამიზნე ცნება – საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)

ქვეცნება: პეტიცია, ადამიანის უფლებები, იდეოლოგიები, საზოგადოებრივი გამოსვლები, გაფიცვები, აბოლიციონიზმი, კონფედერაცია, პროკლამაცია, აშშ-ის კონსტიტუციის მე-13 შესწორება

საკითხი – ევროპა-ამერიკა XIX საუკუნეში

საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა დაწეროს ესე, რომელშიც სხვადასხვა ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით იმსჯელებ XIX საუკუნეში ევროპასა და ამერიკაში მომხდარი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი გარდაქმნების შესახებ?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ სოციოლოგი ხარ და სოციალური ისტორიის საკითხებს იკვლევ. კვლევითმა ორგანიზაციამ, რომელშიც დასაქმებული ხარ, დაგავალა მოამზადო ანალიტიკური ესე, რომელიც XIX საუკუნეში ევროპასა და ამერიკაში მომხდარ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ გარდაქმნებს შეეხება. ეს გარდაქმნები სხვადასხვა ისტორიულ მოვლენასთან (ინდუსტრიალიზაციასთან, საფრანგეთის 1848-49 წწ. რევოლუციასთან, მონობის გაუქმებასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში) არის დაკავშირებული. გადაწყვიტე, რომ შეისწავლო ისტორიული წყაროები და მათზე დაყრდნობით მოამზადო ნაშრომი.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5) • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	**წყარო** • იმსჯელოს, რა ტიპის წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის/მოვლენის/პროცესის შესახებ; • იმსჯელოს, რამდენად სანდოა მოცემული წყარო/წყაროები; • იმსჯელოს, რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროს ინტერპრეტაციისას.	• რა სახის ისტორიული წყაროები გვაქვს ევროპაში ინდუსტრიალიზაციის დაწყების შესახებ და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი იმ ეპოქის საზოგადოების ინტერესების, საზრუნავისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ? **(მ. წ. 1, 2: წყარო და 1: საზოგადოება)** • როგორ იბრძოდა ევროპაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფი (მაგ., „ჩარტისტები“, მუშები, ქალები) უფლებების მოპოვებისა და საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის? **(მ. წ. 3: საზოგადოება)**

Don't copy

სამიზნე ცნება – საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) • ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს საერთო ნიშნები ახასიათებდა: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; • საზოგადოება უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად იყოფა; • პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; • საზოგადოების წევრებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ მრავალფეროვნების მიმართ.	**საზოგადოება** • აღწეროს შესაბამისი პერიოდის ადამიანების იდენტობის საშუალებები; მათი საერთო ინტერესები და საზრუნავი; • აღწეროს, რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შესაბამისი პერიოდის საზოგადოება; • იმსჯელოს, ჰქონდათ თუ არა სტერეოტიპული წარმოდგენები ამ ისტორიულად არსებული საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებების მიმართ.	• რომელი სოციალური ფენები არსებობდნენ სამოქალაქო ომის წინარე ეპოქის ამერიკაში და რა დამოკიდებულება ჰქონდა სრულუფლებინ საზოგადოებას მონობის მიმართ? **(მ. წ. 2 და 4 საზოგადოება)** • რა განსხვავებული წყაროები არსებობს აშშ-ის სამოქალაქო ომის მიზეზებისა და შედეგების შესახებ და როგორ აფასებენ ამ მოვლენებს ისტორიკოსები? **(მ. წ. 3: წყარო)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 353-387

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ესე“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას ესეს შესახებ.

რესურსი.
ესე – ლიტერატურული კრიტიკის, ფილოსოფიის, პუბლიცისტიკისა და მისთ. ჟანრი, რომელსაც ახასიათებს ფორმის თავისუფლება და ავტორის სუბიექტური დამოკიდებულების წარმოჩენა.

რჩევები ესეს დასაწერად:
1. შეარჩიე თემა შენი ესესთვის.
2. აირჩიე თემის მთავარი აზრი ან თეზისი.
3. დაწერე ესე სამ ძირითად ნაწილად: შესავალი, მთავარი ნაწილი და დასკვნა/შეჯამება.
4. შესავალი საინტერესო წინადადებით დაიწყე.
5. პირველი წინადადების შემდეგ ჩამოაყალიბე ესეს მთავარი აზრი. ამ წინადადებამ უნდა განსაზღვროს მთლიანი ტექსტის დედააზრი.

Don't copy

6. ყოველ ახალ აბზაცს წაუმძღვარე წინადადება, რომელიც ამ აბზაცს განსაზღვრავს. ამით შეძლებ პარაგრაფების ერთმანეთთან დაკავშირებას და ესეს სტრუქტურის აწყობას.
7. შესავალი დაასრულე მთავარი აზრის მოკლე შეჯამებით.
8. ესეს შუა ნაწილში მოიყვანე მაგალითები და დამატებითი ინფორმაცია თემაზე.
9. ესეს შუა ნაწილში უნდა განვითარდეს მთავარი იდეა და ბოლოს შეჯამდეს იგი. თითოეულ ასეთ პარაგრაფში ორი მაგალითი ან ფაქტი მაინც უნდა იყოს განხილული მთავარი იდეის დასაცავად.
10. ბოლო, დასკვნითი ნაწილი აჯამებს მთელ ესეს და შესავლის პერიფრაზირებას ახდენს.
11. ბოლოსწინა წინადადებამ უნდა გაიმეოროს თემის მთავარი თეზისი. მაგალითისთვის: ჩვენ ინდუსტრიული რევოლუციიდან ინფორმაციულ რევოლუციაში გადავინაცვლეთ.
12. ბოლო წინადადება მთავარი თეზისის სამომავლო პერსპექტივებს შეეხება.
   - რა არის ესე?
   - რა ნაწილებისგან შედგება ესე?
   - რა უნდა გაითვალისწინო ესეს წერის დროს?
   - რატომ უნდა დაიცვა ესეს წერის სტრუქტურა?
   - რა განასხვავებს ესეს თემისგან?
   - როგორი ტერმინოლოგია უნდა გამოიყენო ესეს წერის დროს?
   - როგორ უნდა დაწერო ესე, რომ ის სრულყოფილად ჩაითვალოს?
   - რა უნდა გაითვალისწინო ესეს წერის დროს?

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვესაკითხი

- ინდუსტრიალიზაცია

ქვეცნება

სახელმწიფო დოკუმენტები, წერილობითი დოკუმენტები, გაზეთები, კინო-, ფოტო- და ფონო(აუდიო)დოკუმენტები, პამფლეტი.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 354-365

ნაბიჯი 1

- რა სახის ისტორიული წყაროები გვაქვს ევროპაში ინდუსტრიალიზაციის დაწყების შესახებ და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი იმ ეპოქის საზოგადოების ინტერესების, საზრუნავისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ? **(მ. წ. 1, 2: წყარო და 1: საზოგადოება)**

Don't copy

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 354-358-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ინდუსტრიული რევოლუციის წინაპირობებისა და ახალი გამოგონებების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- დოკუმენტის მიხედვით დაასახელე ინგლისში არსებული საწარმოო რესურები.
- დაასახელე, რომელი დარგების განვითარებას შეუწყობდა ხელს თუჯის წარმოება.
- შენი აზრით, რას შეიძლება გულისხმობდეს მეფე, როცა თუჯის წარმოებას საყოველთაო კეთილდღეობას უკავშირებს?
- ასეთი სახის პატენტების გაცემა, შენი აზრით, წაახალისებდა თუ არა ახალი ტექნოლოგიების განვითარებას? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, თუჯის წარმოებაზე პატენტის მიღებას მეფის თანხმობა უნდა სჭირდებოდეს? პასუხი დაასაბუთე.
- განმარტე, რატომ მოიხსენიება დოკუმენტში ინგლისი რესპუბლიკად? რა არის, დოკუმენტის მიხედვით, ინგლისში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო? გაიხსენე ინგლისის ისტორიიდან ეს პერიოდი.
- დაახასიათე ამ დოკუმენტის მიხედვით ინგლისის ეკონომიკა.
- რაზე მეტყველებს ეკონომიკასთან დაკავშირებით ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები?
- როგორ ფიქრობ, რა დადებითი ან უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მასობრივ შემოღობვას?
- მოიძიე ამ გამოგონებების ავტორების ბიოგრაფიები, წარმომავლობა, ქალაქები, სადაც დაიბადნენ და იმსჯელე ამის შესახებ.
- როგორც ქეი, ისე ქართრაიდი ინგლისელ მუშახელს მათივე გამოგონებების გამო არ უყვარდა. ქეი იძულებული გახდა, საფრანგეთში გადახვეწილიყო, ქართრაიდს კი სახლი დაუწვეს. როგორ ფიქრობ, ვინ და რატომ? რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?
- როგორ ფიქრობ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო გამოგონებების უარყოფითი მხარე მოსახლეობისთვის? რომელი კატეგორია იქნებოდა მეტად უკმაყოფილო და რატომ?
- იმსჯელე, არსებობს თუ არა დღეს ასეთი მტრული დამოკიდებულება ან იწვევს თუ არა შეშფოთებას ახალი ტექნოლოგიების გამოგონება?
- შენი აზრით, რატომაა ტექსტში ხაზგასმული, რომ მუსლინი ბრიტანული ქსოვილია?
- რატომ ენიჭება, დოკუმენტის მიხედვით, მოდას დიდი მნიშვნელობა საქონლის გასაღებაში?
- შენი აზრით, რატომ ექცეოდა უფრო დიდი ყურადღება მანქანებს ადამიანებთან შედარებით?
- ახსენი, რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის მონაწილეობა ნებისმიერ სამრეწველო პროცესში.

Don't copy

- შენი აზრით, რა შედეგს მოუტანდა მწარმოებელს ფაბრიკაში მის მიერ მუშების მიმართ გამოჩენილი ყურადღება? რატომ?
- როგორ უნდა წარმოადგინო ესეში ინდუსტრიალიზაციის შესახებ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრების წესსა და მის საჭიროებებს შეეხება?

ამ კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განაგრძოს საკითხის განხილვა. გვ. 358-365-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ინდუსტრიალიზაციის პერიოდის საზოგადოების შესახებ. მასწავლებელს შეუძლია, შესასწავლი საკითხი მოსწავლეებს გააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალებების საშუალებით.

- ნახატების მიხედვით იმსჯელე, რა გავლენა მოახდინა ინდუსტრიალიზაციამ ქალაქების იერსახეზე? როგორ ფიქრობ, კიდევ რა ცვლილებებს გამოიწვევდა ქალაქის ცხოვრებაში? მოჰყვებოდა თუ არა ცვლილებები საზოგადოებაში? შენი აზრით, აისახებოდა თუ არა ეს პროცესები ხელოვნებაში? მოვლენების შენეული ხედვა წარმოადგინე მიზეზშედეგობრივი კავშირების სახით.
- როგორ ფიქრობ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ექნებოდა მეწარმეებისთვის სავაჭრო საქონლის სწრაფ გავრცელებასა და ფასების დაცემას?
- შენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო მეწარმე მზარდი კონკურენციის პირობებში?
- შენი აზრით, როგორ ავრცელებდნენ ინფორმაციას მეწარმეები საკუთარი პროდუქციის შესახებ?
- შენი აზრით, როგორ შეიძლებოდა გაზრდილიყო ინდუსტრიულ ეპოქაში საქონლისა და მომსახურების არჩევანი? წარმოიდგინე, რომ XIX საუკუნეში ცხოვრობ და სამეწარმეო ან მომსახურების სფეროში საკუთარი საქმიანობის დაწყება გინდა. რა ახალ მომსახურებას ან პროდუქტს შესთავაზებდი მომხმარებელს?

მოსწავლის რვეული – დავ 82

- რატომ იქნება საინტერესო ისტორიკოსისთვის იმდროინდელი პრესა?
- სურათებიდან გამომდინარე იმსჯელე, კიდევ რა ტიპის ნაბეჭდი პროდუქცია
- გაჩნდებოდა ინდუსტრიულ ეპოქაში და რა მნიშვნელობა ექნებოდა მათ კვლევისას?
- რით განსხვავდება ახალი დროის ისტორიული წყაროები წინა ეპოქის ისტორიული წყაროებისგან?
- დააკვირდი ქვემოთ მოცემულ სურათებს (სურ. 7-9): ა) გამოთქვი ვარაუდი, რა შეიძლება იყოს ომნიბუსის ჭერზე გამოსახული და რა მიზნით? ბ) შენი აზრით, რას შეიძლება აკრავდეს ლონდონის ქუჩაში კედელზე სურათის ცენტრში მდგომი კაცი? რატომ არის ეს კედელი ასე აჭრელებული? გ) როგორ გამოიყურება იმდროინდელი გაზეთების გვერდები? რა ინფორმაციას შეიძლება გვაწვდიდეს ეს იმდროინდელ საზოგადოებაზე?
- იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა საზოგადოებისთვის ფოტოგრაფიის, სინემატოგრაფისა და ხმის ჩამწერი მოწყობილობების გამოგონებას? კიდევ რა სახის მომსახურების სფერო გაჩნდებოდა ბაზარზე?

Don't copy

- ისტორიულ წყაროებში ცალკეა გამოყოფილი კინო-, ფოტო- და ფონო(აუდიო)დოკუმენტები. იმსჯელე, რა შეცვალა ფოტოგრაფიის გამოგონებამ? რამდენად სანდო წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ისინი? მაგ., ფოტოზე აღბეჭდილი ფაქტის ემოციური აღქმა ხომ არ უშლის ხელს მოვლენის ობიექტურად შეფასებას? პასუხი დაასაბუთე.
- რა შესაძლებლობა მისცა კინო-, ფოტო- და ფონოდოკუმენტებმა ისტორიკოსებს?
- XIX საუკუნეში ევროპის ქვეყნებში დაარსდა ისტორიული საზოგადოებები, ჟურნალები. თეორიულ მუშაობასთან ერთად დაიწყო ისტორიული მასალის შენახვის პროცესი. გაიხსნა ახალი მუზეუმები და ხელნაწერთა და დოკუმენტთა შესანახი არქივები. შენი აზრით, კიდევ რა გავლენას მოახდენდა ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე წყაროების გამრავალფეროვნება?
- უნდა ჩამოთვალო ნაბეჭდი პროდუქციის სახეები;
- იმსჯელო, რა ინფორმაციას გვაწვდის ნაბეჭდი პროქუცია, როგორც ისტორიული წყარო?
- როგორ შეიცვალა ისტორიულ წყაროთა ტიპები ახალ დროში?
- შეარჩიო ერთ-ერთი იმდროინდელი რეკლამა და შეადარო დაახლოებით იმავე ტიპის პროდუქციისა თუ მომსახურების თანამედროვე რეკლამას; შედარების შემდეგ იმსჯელო, რით განსხვავდება რეკლამები ერთმანეთისგან; რა თვალსაზრისით განვითარდა ამ ხნის განმავლობაში რეკლამა.
- შეაფასე ისტორიკოსთა შეხედულებები. გამოიყენე როგორც ტექსტი, ისე სამივე წყარო.
- რა ცვლილება განიცადა XIX საუკუნეში ისტორიულმა აზროვნებამ?
- რა ჰქონდა ამ ცვლილებას დადებითი?
- XIX-XX საუკუნის ისტორიკოსებს შორის (წყაროები ა, ბ, გ) რომლის პოზიცია მიგაჩნია უფრო მისაღებად? პასუხი დაასაბუთე.
- გაიხსენე, რა გზა გაიარა ისტორიოგრაფიამ ძველიდან ახალ დრომდე? როგორ იცვლებოდა ისტორიული აზრი ეპოქების მიხედვით და რა იყო ამ ცვლილებების მიზეზი?
- როგორ უნდა წარმოადგინო ესეში ინდუსტრიალიზაციის შესახებ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრების წესსა და მის საჭიროებებს შეეხება?

ქვესაკითხი

- ვიქტორინაული ეპოქის კულტურა;
- ინდუსტრიალიზაცია;
- სოციალური მოძრაობები;
- ახალი პოლიტიკური იდეოლოგიები.

ქვეცნება

სახელმწიფო დოკუმენტები, წერილობითი დოკუმენტები, გაზეთები, კინო-, ფოტო- და ფონო(აუდიო)დოკუმენტები, პამფლეტი, პეტიცია, ადამიანის უფლებები, იდეოლოგიები, საზოგადოებრივი გამოსვლები, გაფიცვები.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 366-380

Don't copy

ნაბიჯი 2

- რა სახის ისტორიული წყაროები გვაქვს ევროპაში ინდუსტრიალიზაციის დაწყების შესახებ და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი იმ ეპოქის საზოგადოების ინტერესების, საზრუნავისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ? **(მ. წ. 1, 2: წყარო და 1: საზოგადოება)**
- როგორ იბრძოდა ევროპაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფი (მაგ., „ჩარტისტები“, მუშები, ქალები) უფლებების მოპოვებისა და საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის? **(მ. წ. 3: საზოგადოება)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 366-369-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ვიქტორინაული ეპოქის კულტურის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, საკითხის სიღრმისეულად დასამუშავებლად გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- XVIII საუკუნის შოტლანდიელი განმანათლებლის ადამ სმითის ნაშრომის მიხედვით, რა გამოწვევების წინაშე იდგა ინგლისის საგანმანათლებლო სისტემა?
- როგორ შეაფასებ ადამ სმითის მიერ დანახულ პრობლემებს და მათ მოსაგვარებლად შემოთავაზებულ გზებს?
- პირველი საყოველთაო განათლების სკოლები ღარიბი ბავშვებისათვის საზოგადოების საქმიანობის შედეგი იყო. როგორ წარმოჩნდება ამ მოვლენით ინგლისის საზოგადოება?
- რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მთავრობამ გადაწყვიტა ღარიბების სკოლების დაფინანსება?
- როგორ შეაფასებ მთავრობის მიერ განხორციელებულ განათლების ექსპერიმენტს?
- დაახასიათე ვიქტორიანული ეპოქის ინგლისი. შეფასებისას გამოიყენე კვლევა. გამოიყენე ქვემოთ მოცემული ელექტრონული მისამართები. შეაფასე დადებითი და უარყოფითი მხარეები და გამოიტანე დასკვნა.

კითხვებისა და დავალებების განხილვის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 370-373, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში მუშათა და ჩარტისტების გამოსვლების შესახებ. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს საკითხი გააზნერებინოს პარაგფში მოცემული კითხვებისა და დავალებების გამოყნებით.

- როგორ ფიქრობ, ურბანიზაციის პროცესის დაჩქარება და ქალაქში მოსახლეობის სწრაფი ზრდა რა საჭიროებების წინაშე დააყენებდა ქალაქს?
- შენი აზრით, რამდენად დაცული შეიძლებოდა ყოფილიყო მუშათა უფლებები?
- რაზე მეტყველებს პამფლეტი? რა ინფორმაცია მოგვაწოდა, როგორც ისტორიულმა წყარომ?

Don't copy

- რა შემთხვევაში იხდიდნენ მუშები ჯარიმას? საით არის მიმართული პამფლეტის სარკაზმი?
- როგორ შეიძლებოდა ეპასუხა ფაბრიკის მფლობელს ამ პამფლეტისთვის?
- ქვემოთ მოცემული ფოტოებით დაახასიათე ინდუსტრიული რევოლუციის დროინდელი მუშა ბავშვების ყოფა.
- მოიყვანე არგუმენტები ლუდიტური მოძრაობის საწინააღმდეგოდ და სასარგებლოდ
- რა განსხვავება იყო ლუდიტურ და ჩარტისტულ მოძრაობებს შორის?
- კლასში იმუშავეთ ჯგუფურად და შექმენით ლუდიტური და ჩარტისტული პლაკატები. დაიტანეთ მათზე ორივე მოძრაობის ძირითადი მოთხოვნები.
- როგორ ფიქრობ, რატომ იქნებოდა მნიშვნელოვანი ისტორიკოსისთვის იმდროინდელი პლაკატები?
- მუშათა მოძრაობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო დაიწყო, თუმცა ჩარტისტების მოთხოვნებს შორის პოლიტიკური მოთხოვნები ჭარბობდა. შენი აზრით, რატომ?
- შენი აზრით, შეძლებდა თუ არა საყოველთაო საარჩევნო უფლების მოპოვება მომუშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას? პასუხი დაასაბუთე.
- წყარო ბ)-ს მიხედვით, ჩარტისტების მოთხოვნებს შორის რომელი მიგაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად?

მოსწავლის რვეული, დავ. 83

- როგორ უნდა წარმოადგინო ესეში, როგორ როგორ იბრძოდა ევროპაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის?

კითხვებისა და დავალებების განხილვის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 374-380, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის, ახალი პოლიტიკური იდეოლოგიების ჩამოყალიბებისა და ქალების უფლებებისთვის ბრძოლის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, საკითხის განხილვისას დაეყრდნოს პარაგრაფში მოცემულ კითხვებსა და დავალებებს.

- როგორ ფიქრობ, შეძლებდა თუ არა დროებითი მთავრობა ერთიანობის შენარჩუნებას და რა მიმართულებით განვითარდებოდა ქვეყანა, თუ დროებითი მთავრობის წევრები ძირითადად ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ?
- წყარო გ)-ს მიხედვით, რა იყო მუშათა მთავარი მოთხოვნები?
- რაზე მეტყველებს, რომ დროებითი მთავრობა ამ ტიპის განცხადებას აკეთებს?
- რა როლი უნდა ჰქონოდა მთავრობას ამ სახელოსნოების მუშაობაში?
- როგორ უნდა შეენარჩუნებინათ ეს სახელოსნოები მათი დაარსების შემდეგ?
- შენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფდა ეკონომიკურ ზრდას კონკურენციის დაძლევა? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო ლუი ბლანის უმუშევრობის დაძლევის სქემა ფაბრიკების მფლობელებისთვის? პასუხი დაასაბუთე.
- მოაწყვეთ კლასში დისკუსია და იმსჯელეთ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაზე.

Don't copy

სადისკუსიო თემა

23 ივნისს პარიზელი მუშების შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. მთავრობამ აჯანყების ჩასახშობად ჯარი გაგზავნა. შეტაკებებს ორივე მხრიდან 10 ათასი ადამიანი შეეწირა, 11 ათასი კი დააკავეს.

- ამ ციტატების წაკითხვის შემდეგ როგორ ახსნით, რას ნიშნავს ლიბერალიზმი?
- კონსერვატორი არის ადამიანი, რომელსაც ორი იდეალური ფეხი აქვს, თუმცა არასოდეს უსწავლია, როგორ წავიდეს წინ“ – ფრანკლინ ელანო რუზველტი (რადიოსაუბარი, 1939 წ.). როგორ აფასებს ამერიკის პრეზიდენტი კონსერვატორულ იდეოლოგიას? ეთანხმები თუ ეწინააღმდეგები მის მოსაზრებას?
- მოცემული იდეოლოგიებიდან გამოყავი ძირითადი მსგავსებები და განსხვავებები.
- როგორ ფიქრობ, რატომ ჩამოყალიბდა ეს იდეოლოგიები სწორედ XIX საუკუნეში?
- იმსჯელე, შენთვის რომელი იდეოლოგიაა საინტერესო, რომელი ნაკლებად –
- საინტერესო.
- გარდა წარმოდგენილი იდეოლოგიებისა, რომელი იდეოლოგიები გაგიგია?

მოსწავლის რვეული – დავ. 84

პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს ჰგუფური ორგანიზების ფორმა და მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება, რომელიც მათ საშუალებას მისცემს საგნობრი საკიტხების შემცნებასთან ერთად განივითარონ ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა კომუნიკაციისა უნარი.

დავალება: დაიყავით 4-5-კაციან ჯგუფებად. შექმენით ჲთქვენი „უტოპიური საზოგადოება“. წარმოადგინეთ დავალება თქვენთვის ხელსაყრელი ნებისმიერი 5-წუთიანი ფორმატით. ეს შეიძლება იყოს პრეზენტაცია, სიტყვა, ტრეილერი...

გაითვალისწინეთ:

- როგორი იქნება ცხოვრება თქვენს უტოპიურ საზოგადოებაში?
- ვინ იცხოვრებს იქ?
- იქნება თუ არა რამე კანონები ან წესები? მოიყვანე მაგალითი (მაგალითები).
- როგორი გარემო იქნება?
- სად იცხოვრებს ხალხი?
- როგორი ურთიერთობა ექნებათ აქ მცხოვრებლებს ერთმანეთთან?
- იქნება თუ არა თავისუფლება?
- წარდგენის შემდეგ განიხილეთ, რომელი „ქვეყანა“ ან „საზოგადოება“ მოგეწონათ და რომელი არა.
- იყო თუ არა წარმოდგენილი ისეთი მაგალითები, რომლებიც რეალურად ვერასოდეს შეისხამდა ხორცს?
- იყო თუ არა თქვენ მიერ წარმოდგენილი უტოპიური საზოგადოებიდან რეალისტური ელემენტები?

მოსწავლის რვეული – დავ. 85

Don't copy

- აღნიშნული დავალებების შემდეგ, მასწავლებელს შეუძლია განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს ინფორმაცია XIX საუკუნეში ქალთა მოძრაობების შესახებ. საკითხის გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია მოსწავლეები გააქტიუროს პარაგრაფში მოცემული კითხვების გამოყენების.
- იმსჯელე, რატომ არ გადაისინჯა ქალთა უფლებები განმანათლებლების მიერ, ვერ პოვა ასახვა „დამოუკიდებლობისა“ და „ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების“ დეკლარაციებში?
- რატომ გააქტიურდა ეს თემა XIX საუკუნეში?
- როგორ ფიქრობ, რომ არ ყოფილიყო განმანათლებლობა, ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ან საფრანგეთის რევოლუცია, დაიწყებოდა თუ არა ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა?
- როგორ უნდა წარმოადგინო ესეში, რა პოლიტიკური იდეოლოგიები ყალიბდება ევროპაში XIX საუკუნეში და როგორ იბრძოდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის?

ქვესაკითხი
- ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომი

ქვეცნება
პეტიცია, ადამიანის უფლებები, აბოლიციონიზმი, კონფედერაცია, პროკლამაცია, აშშ-ის კონსტიტუციის მე-13 შესწორება.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 381-387

ნაბიჯი 3
- რომელი სოციალური ფენები არსებობდნენ სამოქალაქო ომის წინარე ეპოქის ამერიკაში და რა დამოკიდებულება ჰქონდა სრულუფლებინ საზოგადოებას მონობის მიმართ? **(მ. წ. 2 და 4: საზოგადოება)**
- რა განსხვავებული წყაროები არსებობს აშშ-ის სამოქალაქო ომის მიზეზებისა და შედეგების შესახებ და როგორ აფასებენ ამ მოვლენებს ისტორიკოსები? **(მ. წ. 3: წყარო)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 381-387-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია აბოლიციონიზმის შესახებ და ამერიკაში სამოქალაქო ომის წინაპირობების შესახებ. პედაგოგს შეუძლია საკითხის დამუშავების პროცესში დაეყრდნოს პარაგრაფში მოცემულ კითხვებს.
- რატომ იყო თითოეული მხარისთვის ასე მნიშვნელოვანი კონგრესში თანაფარდობის დაცვა?

Don't copy

- რა ინფორმაციას შეიცავს კონფედერაციის ბეჭედი? შენი აზრით, რა მცენარეებია მასზე გამოსახული?
- რას ეფუძნება სენატორ სტივენსის გამოსვლა და რაში ეწინააღმდეგება „ამერიკის დამფუძნებელ მამებს“?
- როგორ ფიქრობ, 1787 წელს, კონსტიტუციის შემუშავებისას, რატომ არ აკრძალეს მონობა?
- საგაზეთო სტატიების ამონარიდების მიხედვით იმსჯელე, როგორია ორივე მხარეს არსებული განწყობა? რაზე მეტყველებს ეს სტატიები?
- იმსჯელე, რა მნიშვნელობა აქვს რომელიმე საკითხის შესწავლისას იმდროინდელი პრესის გაცნობას? როგორ ეხმარება ეს სტატიები ისტორიკოსებს?
- საგაზეთო სტატიების მიხედვით, რაში ადანაშაულებს თითოეული მხარე მოწინააღმდეგეს?
- იმსჯელე, რამდენად გამრავალფეროვნდა ახალ დროში ისტორიული წყაროები. ჩრდილოეთის შტატებმა არ ცნო ახლად შექმნილი კონფედერაცია და სამხრეთელები მეამბოხეებად გამოაცხადეს.
- როგორ უნდა წარმოადგინო ესეში, რა მიზეზებმა განაპირობა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის დაწყება?

კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 382-385, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ამერიკაში მონობის გაუქმებისა და სამოქალაქო ომის დასრულების შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი დაამუშავებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალების გამოყენებით.

- შენი აზრით, რატომ არ აცხადებდნენ თავდაპირველად ომის დაწყების მიზეზად მონობას?
- შენი აზრით, რა მიზნითაა შექმნილი პლაკატი? რის წარმოჩენას ცდილობს?
- რატომ დასჭირდა ამ თემის წინ წამოწევა ავტორს?
- როგორ ფიქრობ, სად არის პლაკატი შექმნილი: ჩრდილოეთში თუ სამხრეთში? პასუხი დაასაბუთე.
- მოკლედ, გზავნილის სახით გადმოეცი პლაკატის მთავარი სათქმელი.
- იმსჯელე: პლაკატი – პროპაგანდისტული საშუალება და იმავდროულად – ისტორიული წყარო.
- 1963 წელს აშშ-ში გეტისბერგის ბრძოლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მარკა გამოუშვეს. ერთი მხრივ, მარკა, როგორც ისტორიული წყარო, გეტისბერგის ბრძოლის შესწავლაში არ გვეხმარება, მაგრამ, შენი აზრით, რით არის ისტორიკოსებისთვის საინტერესო?
- ზემოთ ჩამოთვლილი შედეგებიდან რომელი მიგაჩნია მნიშვნელოვნად?
- როგორც ხედავ, სამოქალაქო ომს მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა მას მსოფლიოსთვის?
- დაასახელე პარაგრაფში გამოყენებული ყველა ისტორიული წყარო და გააგრძელე ჩამოთვლა, კიდევ რა ტიპის ისტორიული წყაროები შეიძლება დაგვეხმაროს საკითხის შესწავლაში.
- წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი ხარ და აშშ-ის სამოქალაქო ომს იკვლევ. შეადგინე სამოქმედო გეგმა: 1) ჩამოწერე, რა ტიპის წყაროების მოძიება დაგჭირდება თემის შესასწავლად; 2) ასევე აღნიშნე, სად უნდა მოიძიო.

Don't copy

მოსწავლის რვეული – დავ. 86

- როგორ უნდა წარმოადგინო ესეში XIX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი ფენები, სამოქალაქო ომისა და მონობის გაუქმების საკითხი?

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს ესეს მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ესეა?

ახსენი, რატომ შექმენი ესსე? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

Don't copy

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

სამიზნე ცნება – სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)

ქვეცნება: სამეფო-სამთავროები, ერი-სახელმწიფო, აპენენის ნახევრაკუნძული, კოლონიები, ბესარაბია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ნეიტრალიტეტი, ზღვები, პროტექტორატი, ურბანიზაცია, „ანტანტა“, „სამთა კავშირი“.

სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6)

ქვეცნება: ომი, ზავი, კონგრესი, სამეფო-სამთავროები, რეფორმა, ნაციონალიზმი, პლებისციტი, ანტისამთავრობო გამოსვლები, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, „ანტანტა“, „სამთა კავშირი“.

საკითხი – ევროპა და ახლო აღმოსავლეთი 1789-1914 წლებში.

საკვანძო შეკითხვა – როგორ უნდა დაწერო რეფერატი, რომელშიც ასახავ XIX საუკუნის ევროპის სახელმწიფოებში განვითარებულ ისტორიულ პროცესებს, ტერიტორიულ ცვლილებებსა და მათ კოლონიურ ინტერესებს?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ უნივერსიტეტის სტუდენტი ხარ. სწავლობ ისტორიის კურსს, რომელიც „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ (1789-1914 წწ.) საკითხებს მოცავს. საგნის სწავლების ფარგლებში დაგევალა რეფერატის მომზადება ამ ეპოქის აქტუალურ საკითხებზე: გერმანიისა და იტალიის ჩამოყალიბება, „აღმოსავლეთის საკითხი“, ევროპის დიდი სახელმწიფოების ბრძოლა ტერიტორიული და კოლონიური ინტერესებისათვის.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.	**სივრცე** • იმსჯელოს, რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის ადამიანებზე; • დაახასიათოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის/პერიოდის ადამიანების გეოგრაფიული ცოდნა; • აღნიშნოს, რა სახელით აღინიშნებოდა ესა თუ ის გეოგრაფიული არეალი შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ ეპოქაში; რა სოციალური/ეკონომიკური/სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას.	• რა მიზეზებმა შეუწყო ხელი გერმანიისა და იტალიის გაერთიანებას და როგორ მოხდა ამ ხალხების ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცეში მოქცევა? (მ. წ. 1: ისტორიული მოვლენა/პროცესი და მ. წ. 2 სივრცე) • რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერისთვის ოსმალეთისა და ირანის აზიურ და ევროპულ სამფლობელოებს და რა საერთაშორისო ფაქტორები ახდენდა გავლენას მის პოლიტიკაზე? (მ. წ. 3: სივრცე და 3 ისტორიული მოვლენა/პროცესი)

Don't copy

ისტორიული მოვლენა/პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6) • ყველა ისტორიულ მოვლენას თავისი მიზეზი/მიზეზები და შედეგი/შედეგები აქვს; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებსა და შედეგებზე; • ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით დაჯგუფდეს.	**ისტორიული მოვლენა/პროცესი** • შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა; • რა გავლენა ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ მოვლენას შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე.	• რატომ და როგორ ახდენდნენ რუსეთი და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ახალი ტერიტორიების კოლონიზაციას და რა მოსაზრებები არსებობს ისტორიკოსებს შორის მათ კოლონიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით? (მ. წ. 1: სივრცე და მ. წ. 2: ისტორიული მოვლენა/პროცესი) • რა ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობები ჰქონდა I მსოფლიო ომს? (მ. წ. 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 388-414

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „რეფერატი“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას რეფერატის შესახებ.

რესურსი.

რეფერატი – მეცნიერული ნაშრომის, წიგნისა და მსგავსი პროდუქტის შინაარსის დებულებების მოკლე გადმოცემა, მიმოხილვა.

რჩევები: 1. დაფიქრდი, რატომ არის შენ მიერ განსახილველი საკითხი მსმენელისთვის მნიშვნელოვანი და რა მიზნის მიღწევა გსურს; 2. შეარჩიე თემა. თუ თემა მოცემული გაქვს, გააანალიზე; 3. მოძებნე საინტერესო და პრაქტიკული მასალა; 4. გამოყავი მთავარი აზრები; 5. მასალა ლოგიკურად განალაგე, მხოლოდ საუკეთესო აზრები დატოვე; 6. მოამზადე დასკვნა, რომელიც მსმენელს სამოქმედოდ აღძრავს.

- რა არის რეფერატი?
- რატომ იწერება რეფერატი?
- როგორ უნდა დაწერო რეფერატო?
- რა უნდა გაითვალისწინო რეფერატის წერის დროს?
- რატომ უნდა დაიცვა რეფერატის წერის დროს გეგმა?

Don't copy

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვესაკითხები

- გერმანიის გაერთიანება;
- იტალიის გაერთიანება.

ქვეცნება

ომი, ზავი, კონგრესი, სამეფო-სამთავროები, რეფორმა, ერი-სახელმწიფო, აპენენის ნახევრაკუნძული, კოლონიები, ნაციონალიზმი, პლებისციტი.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 388-401

ნაბიჯი 1

- რა მიზეზებმა შეუწყო ხელი გერმანიისა და იტალიის გაერთიანებას და როგორ მოხდა ამ ხალხების ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცეში მოქცევა? **(მ. წ. 1: ისტორიული მოვლენა/პროცესი და მ. წ. 2 სივრცე)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 388-392-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია გერმანიის გაერთიანების წინაპირობებისა და ბისმარკის მოღვაწეობის საწყისი პერიოდის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, საკითხის განხილვისას გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები.

- გაიხსენე განვლილი მასალა და იმსჯელე, რა საერთო მახასიათებლები ჰქონდათ გერმანულ სამეფო-სამთავროებში მცხოვრებ ხალხებს და როგორ შეუწყობდა ეს ხელს მათ პოლიტიკურ გაერთიანებას?
- როგორ ფიქრობ, რამდენად გამოხატავდა ვენის კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილება გერმანელი ერის ინტერესებს?
- როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა გერმანიაში სტუდენტური და საბაჟო კავშირების ჩამოყალიბება?
- შენი აზრით, რა იყო ამ გაერთიანებების შექმნის უმთავრესი მიზეზი – ეროვნული თუ ეკონომიკური?
- რატომ გაავლო პარალელი ჯუზეპე მაძინიმ ლომბარდიასა და ავსტრიას შორის?
- რაზე მეტყველებს ეს წერილი? რა ინფორმაციას გვაწვდის 1848 წლის რევოლუციური გამოსვლების შესახებ?
- შენი აზრით, რატომ არ ადარებს წერილის ავტორი ავსტრიისა და იტალიის გამოსვლებს საფრანგეთის რევოლუციას?
- იმსჯელე, რატომ შეიძლება გამხდარიყო რომელიმე ფაქტორი ქვეყნის გაერთიანებისთვის ხელისშემშლელი? მოიყვანე ისტორიიდან ერთი მაგალითი, როცა ეკონომიკურმა ფაქტორმა დაშლას ან გაერთიანებას შეუწყო ხელი?
- რატომ მიიჩნევდა ბისმარკი, რომ გერმანიის გაერთიანება „ზემოდან“ უნდა მომხდარიყო?

Don't copy

- რა პოლიტიკური პროცესები განვითარდებოდა პრუსიის ხელისუფლებაში ბისმარკის მოსვლით და რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მისი გეგმა? რატომ?
- როგორ ფიქრობ, რატომ არ დაამტკიცა პრუსიის პარლამენტმა სამხედრო რეფორმა?
- შეაფასე ბისმარკის გადაწყვეტილება პარლამენტის დათხოვნის შესახებ. მოიყვანე არგუმენტი, რომლითაც ამ გადაწყვეტილებას გაამართლებ/გააკრიტიკებ.
- გამოთქვი ვარაუდი, ბისმარკის რეფორმებიდან გამომდინარე, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი გეგმა გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით?
- რას აშარჟებენ კარიკატურის ავტორები? როგორ გვიხატავენ ბისმარკს? შეეცადე, ახსნა თითოეულის შინაარსი.
- კარიკატურიდან გამომდინარე იმსჯელე: როგორი მმართველი იყო ბისმარკი? რატომ შეიძლება უწოდონ ტრიუმფატორი?
- შენი აზრით, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა კონსერვატორების, ლიბერალებისა და ულტრანაციონალისტების გაძლიერებას?
- რატომ იყო ბისმარკისთვის შლეზვიგისა და ჰოლშტაინის შემოერთება მნიშვნელოვანი?
- რატომ უპირისპირდება ბისმარკი ყოფილ მოკავშირეს?
- როგორ შეაფასებ ავსტრიის მმართველთა საგარეო პოლიტიკას?
- რა საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა პრუსიას ავსტრიის შურისძიების შემთხვევაში?
- ევროპის ისტორიიდან დაასახელე ბისმარკის მსგავსი პოლიტიკური ფიგურა და დაიმოწმე ორი ფაქტი ამ მსგავსების დასასაბუთებლად.
- როგორ უნდა წარმოადგინო რეფერატში გერმანიის გაერთიანების წინაპირობები და ოტო ფონ ბისმარკის მიერ გატარებული რეფორმების მნიშვნელობა?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 392-395, სადაც მოცემულია ინფორმაცია ბისმარკის მიერ განხორციელებული საგარეო პოლიტიკისა და გერმანიის გაერთიანების შესახებ. საკითხის სიღრმისეულად განხილვისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოში წარმომდგენილი კითხვები და დავალებები.

- შენი აზრით, რატომ ცდილობდა ბისმარკი კონსერვატორებთან და ლიბერალებთან თანამშრომლობას?
- როგორ ფიქრობ, რატომ აირჩიეს სახელმწიფოს მმართველობის ფორმად კონსტიტუციური მონაქია და არა, მაგალითად, რესპუბლიკა?
- როგორ ფიქრობ, რატომ დაეხმარნენ პრუსიას სამხრეთგერმანული სახელმწიფოები?
- რა მიმართულებით გაფართოვდა პრუსია?
- რომელ სახელმწიფოებს ესაზღვრებოდა?
- როგორ ფიქრობ, შექმნილ ვითარებაში: ა) არსებობდა თუ არა რამე საფრთხე გერმანიისთვის მეზობლების მხრიდან? ბ) თავად გერმანიის გაერთიანება წარმოადგენდა თუ არა მეზობლებისთვის საფრთხეს?
- შენი აზრით, რა საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა აერჩია გერმანიას გაერთიანების შემდეგ?
- რატომ იყო გერმანიისთვის მნიშვნელოვანი ელზასისა და ლორენის შეერთება?
- ნახატების მიხედვით გადმოეცი ნაპოლეონ III-ის განწყობა. რის თქმა სურს მხატვარს მომხდარის შესახებ?
- მოიფიქრე ნახატებისთვის სათაურები, რომლებშიც სედანის ბრძოლის შეფასება გამოჩნდება.
- დააკვირდი მაჩვენებლებს, გააანალიზე სტატისტიკური მონაცემები და იმსჯელე, წარმოების რომელ მიმართულებებზე აკეთებდნენ გერმანული სახელმწიფოები აქცენტს და რა ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს მოიტანდა მათი განვითარება გერმანიაში.
- რატომ ცდილობს ბისმარკი საგარეო პოლიტიკის წარმოებისას ევროპულ სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას?
- იმსჯელე, რატომ მიისწრაფოდა ყველა ინდუსტრიული სახელმწიფო კოლონიების გაზრდისკენ?
- რატომ მიაჩნდა ბისმარკს, რომ გერმანიის დაინტერესება კოლონიებით მისთვის სარისკო იქნებოდა? რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას?
- შენი აზრით, რომელი სახელმწიფოებისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო კოლონიებით გერმანიის დაინტერესება შემაშფოთებელი?

Do not copy

- როგორ ფიქრობ, რატომ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული ავსტრია და იტალია გერმანიასთან მოკავშირეობით?
- შენი აზრით, რატომ გამოსახა კარიკატურის ავტორმა ეს სახელმწიფოები დენთით სავსე კასრის გარშემო?

მოსწავლის რვეული – დავ. 87

- როგორ უნდა წარმოადგინო რეფერატში ბისმარიკიის მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკის შედეგები და გერმანიის გაერთიანების საკითხი?
-

კითხვებსა და დავალებაზე მუშაობის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განგრძოს კრიტერიუმის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 396-401, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია იტალიის გაერთიანების წინაპირობებისა და კამილო დი კავურის მოღვაწეობის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვების საშუალებით.

- შენი აზრით, რა უპირატესობას აძლევდა ავსტრიასა და საფრანგეთს ის ფაქტი, რომ ისინი პაპის ოლქის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ?
- დეტალურად ჩამოთვალე, რა დაბრკოლების გადალახვა მოუწევდათ იტალიელებს, თუ დღის წესრიგში გაერთიანების საკითხი დადგებოდა.
- რუკის მიხედვით იმსჯელე, რომელ იტალიურ სამეფოს შეიძლებოდა ჰქონოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა იტალიის გაერთიანების პროცესში და რატომ?
- ივარაუდე, ევროპაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იტალიური სამეფო-სამთავროებისთვის რომელ სახელმწიფო/სახელმწიფოებს შეიძლებოდა გაეწია მოკავშირეობა? პასუხი დაასაბუთე.
- მაძინის აზრით, რა იყო ევროპის მთავარი პრობლემა? რატომ?
- მოყვანილი წყაროდან გამოარჩიე სოციალური და ნაციონალური იდეის შემცველი ფრაზები. რომელი ჭარბობს?
- როგორ ცდილობს მაძინი ნაციონალური და სოციალური მოთხოვნების გაერთიანებას? რას უწოდებდი მის იდეოლოგიას?
- შენი აზრით, რატომ შეიძლება სოციალური მოთხოვნები აისახოს და გამოვლინდეს ნაციონალიზმში?
- რას გულისხმობდა მაძინი 1815 წლის გადაწყვეტილებებში? როგორ ფიქრობ, რამდენად ითამაშა ამ გადაწყვეტილებებმა როლი ნაციონალური საკითხების გააქტიურებაში? პასუხი დაასაბუთე.
- ბ) წყაროს მიხედვით, რა იყო იტალიის გაერთიანების მთავარი პრობლემა ქვეყნის შიგნით?
- შენი აზრით, რომელი ფაქტორები წარმოადგენდა იტალიის გაერთიანებისთვის უფრო ძნელად გადასალახავ ბარიერს: საშინაო თუ საგარეო?
- შენი აზრით, რომელი კურსი უფრო მეტად შეუწყობდა ხელს იტალიის გაერთიანებას: რევოლუციური თუ ლიბერალური? რატომ?
- როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა კამილო დი კავურის რეფორმებს და შეიძლებოდა თუ არა ეს იტალიის გაერთიანების წინაპირობა ყოფილიყო? რატომ?
- როგორ უნდა წარმოადგინო რეფერატში იტალიის გაერთიანების წინაპირობები და კამილო დი კავურის მმართველობის პერიოდი?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს შესასწავლ საკითხზე მუშაობა და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 396-399, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია იტალიის გაერთიანების შესახებ. მასწავლებელს შეუძლია პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალებების საშუალებით გააააქტიუროს მოსწავლეები.

- როგორ ფიქრობ, რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა საფრანგეთისთვის ნიცისა და სავოიის ფლობას?

Don't copy

- ივარაუდე, საფრანგეთი მხოლოდ ნიცისა და სავოიის დათმობის სანაცვლოდ დათანხმდა პიემონტ-სარდინიას დახმარებას, თუ სხვა გათვლებიც შეიძლებოდა ჰქონოდა?
- შენი აზრით, რატომ სურს ნაპოლეონ III-ს იმის დაფარვა, რომ იტალიაში რევოლუციურ მოძრაობას ეხმარება?
- იმსჯელე, რატომ შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთისა და ევროპის დიპლომატიისა და მოსახლეობის თვალში მხოლოდ სარდინიისთვის დახმარება სამართლიანად? (ანუ რის მოთხოვნა ჩაითვლებოდა სარდინიისთვის სამართლიანად?)
- იმსჯელე, მართებული იყო თუ არა კავურის გადაწყვეტილება, მიეღო ნაპოლეონ III-ის წინადადება? მოიყვანე ორივე პოზიციის განმამტკიცებელი არგუმენტი.
- შენი აზრით, რას შეიძლებოდა მოეხდინა გავლენა პლებისციტის შედეგებზე? რატომ?
- შენი აზრით, რატომ იყო დაინტერესებული საფრანგეთი იტალიის გაერთიანებით?
- შეადარე ერთმანეთს კავურისა და გარიბალდის მიერ წარმოთქმული სიტყვები. დაახასიათე ისინი, როგორც პოლიტიკოსები.
- გაიხსენე, რა ერქვა ილია ჭავჭავაძის იდეებზე შექმნილ პარტიას საქართველოში და პარალელი გაავლე მაძინის იდოლოგიასთან, რომლის საფუძველი ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული ეროვნული დამოუკიდებლობა იყო.
- როგორ ფიქრობ, რატომ შეიძლებოდა დაწყებულიყო ანტისამთავრობო გამოსვლები სიცილიაში?
- ახსენი კავურისა და გარიბალდის საქციელი. იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ მათგანს იტალიის გაერთიანების საქმეში.

მოსწავლის რვეული, დავ. 88

- როგორ გამოიყენა იტალიამ ვენეციისა და რომის შეერთების საქმეში საერთაშორისო ვითარება? რომელი კონფლიქტებით ისარგებლა?
- იმსჯელე, რამდენად მოახერხებდა იტალია მიზნის მიღწევას: ა) საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და კავშირებში მონაწილეობის გარეშე, ბ) ქვეყნის შიგნით არსებული განწყობების გარეშე.
- რატომ ეწინააღმდეგებოდა პაპი გაერთიანებულ იტალიაში რომის შესვლას?
- ახსენი კარიკატურის შინაარსი.
- შეაფასე იტალიის გაერთიანების ისტორიული პროცესი და გამოთქვი აზრი, რა მნიშვნელობა ექნებოდა მას ევროპისთვის? რა გავლენას მოახდენდა ევროპაში ნაციონალურ განწყობებზე?
- როგორ უნდა წარმოადგინო რეფერატში იტალიის გაერთიანების საკითხი?

ქვესაკითხები
- რუსეთის იმპერია და აღმოსავლური პოლიტიკა;
- რუსეთის კოლონიური პოლიტიკა.

ქვეცნება
ომი, ზავი, კოლონიები, ბესარაბია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ნეიტრალიტეტი, ზღვები, პროტექტორატი.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 402-406

ნაბიჯი 2
- რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიისთვის ოსმალეთისა და ირანის აზიურ და ევროპულ სამფლობელოებს და რა საერთაშორისო ფაქტორები ახდენდა გავლენას მის პოლიტიკაზე? **(მ. წ. 3: სივრცე და 3 ისტორიული მოვლენა/პროცესი)**

Don't copy

- რატომ და როგორ ახდენდნენ რუსეთი და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ახალი ტერიტორიების კოლონიზაციას და რა მოსაზრებები არსებობს ისტორიკოსებს შორის მათ კოლონიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით? **(მ. წ. 1: სივრცე და მ. წ. 2: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. გვ. 402-406-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია რუსეთის იმპერიისა და მის მიერ განხორციელებული აღმოსავლური პოლიტიკის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააააქტიუროს პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალებების საშუალებით.

- როგორ ფიქრობ, რომელი სახელმწიფოებისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო შემაშფოთებელი რუსეთის პოლიტიკური კურსი?
- იმსჯელე, რატომ ითვლებოდა რუსეთის იმპერიისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად ზღვებზე გასასვლელის მოპოვება.
- რა როლი ჰქონდა სამხრეთ კავკასიას რუსეთის მასშტაბურ გეგმებში?
- საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე XIX საუკუნის I მესამედის რუსეთ-ოსმალეთის ომები და მათი შედეგები. როგორ შეიცვალა ამ ომების შედეგად პოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში?
- გაიხსენე, რომელ წლებში და როგორ მოხდა ქართული სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთება. დაუკავშირე ეს მოვლენები რუსეთ-ოსმალეთის ომებს.
- რატომ იყო რუსეთისთვის მნიშვნელოვანი, რომ მის სავაჭრო და სამხედრო გემებს თავისუფლად ეცურათ ბოსფორ-დარდანელის სრუტეებში?
- დააკვირდი რუკაზე იმ სახანოების მდებარეობას, რომლებიც რუსეთმა ირანთან ომის შედეგად მიიერთა. სამხრეთ კავკასიის რა ნაწილი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში? სახანოებიდან რომელს ჰქონდა რუსეთისთვის განსაკუთრებით სტრატეგიული მნიშვნელობა?
- რატომ ცდილობდა ირანი აქტიურად რუსეთის წინსვლის შეჩერებას სამხრეთ კავკასიაში? რატომ იყო წარუმატებელი მისი მცდელობა?
- პოლიტიკურის გარდა, რა ეკონომიკური მნიშვნელობა ექნებოდა 1828 წელს ირანთან დადებულ ზავს?
- რა შედეგი მოჰყვებოდა საქართველოსთვის სამხრეთ კავკასიის სახანოების რუსული ხელისუფლების ქვეშ მოქცევას?
- რა პერსპექტივას უქმნიდა რუსეთის იმპერიის ვაჭრობას კასპიის ზღვაზე ფლოტის ყოლის უფლება?
- შენი აზრით, რა იყო სამხრეთ კავკასიის სამეფო-სამთავროების მარცხის მიზეზი?
- რა შედეგებით დასრულდა რუსეთის იმპერიისთვის „აღმოსავლეთის საკითხის“ პირველი პერიოდი?
- გაიხსენე ვენის კონგრესის დასკვნითი აქტი. რა შედეგები ჰქონდა მას რუსეთისთვის?
- იმსჯელე, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთის იმპერიისთვის როგორც სამხრეთით, ისე დასავლეთით შეერთებულ მიწებს?
- შენი აზრით, რატომ უჭერდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები მხარს ოსმალეთის იმპერიას?
- რას ნიშნავდა შავი ზღვის ნეიტრალურად გამოცხადება? როგორ ზღუდავდა ეს მუხლები რუსეთის იმპერიას? რატომ იყო ისინი ევროპული სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი?
- ომში ვის წარმატებებზე მიუთითებს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება? მოიყვანე ამის დამდასტურებელი ადგილები წყაროდან.
- რატომაა ხელშეკრულებაში ასე გამახვილებული ყურადღება ბალკანეთსა და მის მომიჯნავე ჩრდილოეთის ქვეყნებზე?
- შენი აზრით, რა უპირატესობა ჰქონდა რუსეთს ბალკანეთზე თურქეთთან შედარებით?
- ხელშეკრულების რომელი პუნქტი გამოიწვევდა ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს? რატომ?

Draft copy

- როგორ უნდა წარმოადგინო რეფერატში რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის გამომწვევი მიზეზები და შედგები, რაც მას მოჰყვა?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 402-407, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ბერლინის ტრაქტატისა და რუსული კოლონიზაციის შესახებ. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვებისა და დავალებების საშუალებით.

- ტრაქტატიდან მოიყვანე კონკრეტული ადგილები, რომლებიც რუსეთის მონაპოვრის შემცირებაზე მიუთითებს.
- ვისი უფლებები გაიზარდა რუსეთის მონაპოვრის შემცირების ხარჯზე? მოიყვანე შესაბამისი ადგილები.
- სან-სტეფანოს ზავის რა პირობები დაადასტურა ბერლინის კონგრესმა?
- კიდევ რომელი სახელმწიფოების ინტერესები გამოიხატა ბერლინის ტრაქტატით?
- რა შეიცვალა „აღმოსავლეთის საკითხის“ მეორე პერიოდში?
- გამოთქვი ვარაუდი, ბერლინის ტრაქტატი განმუხტავდა თუ, პირიქით, გაამწვავებდა ბალკანეთში არსებულ დაპირისპირებას? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ განსხვავდებოდა რუსეთის გაფართოების პოლიტიკა ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკისგან?

მოსწავლის რვეული – დავ. 89

- რა საერთო დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება ჰქონდეს სახმელეთო იმპერიებს? შენი აზრით, რატომ ვერ მოახერხა რუსეთმა ალასკის ათვისება?
- რა ტიპის იმპერიები შეიძლება დაუპირისპირდეს თავისი შინაარსით სახმელეთო იმპერიას?
- საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე, როგორი იყო დაპყრობის შემდეგ რუსული იმპერიული მმართველობის სისტემა.
- მოყვანილი წყაროების მიხედვით იმსჯელე კოლონიებში რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებსა და მეთოდებზე.
- რატომ არ არის რუსეთი დაინტერესებული კოლონიაში მანუფაქტურული წარმოების განვითარებით? მოიყვანე ანალოგიური მაგალითი მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობიდან.
- ჰქონდა თუ არა ქართულ ეკონომიკას განვითარების საშუალება რუსული კოლონიური პოლიტიკის წყალობით? რატომ?
- რა უპირატესობა ჰქონდა პროტექტორულ მმართველობას დაპყრობილი ტერიტორიების უშუალო მმართველობასთან შედარებით? რა გართულება შეიძლებოდა მოეტანა მეტროპოლიისთვის როგორც ერთ, ისე მეორე ფორმას?
- რატომ თვლის დალჰუზი აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას ბრიტანეთის ეროვნული უშიშროების საკითხად?
- რა მეთოდებით ითვისებდნენ ინგლისელები სამთავროთა ტერიტორიებს?
- ტერიტორიული გაფართოების რა სარგებელზე ლაპარაკობს დალჰუზი?
- იმის მიუხედავად, რომ ინდოეთში დიდი ბრიტანეთისთვის დამახასიათებელი პროტექტორული მმართველობა არ იყო, მონახე რუსული კოლონიალიზმისგან განსხვავებული როგორც ტერიტორიების მიერთების, ისე კოლონიზაციის ნიშნები.
- რატომ აარსებდნენ ინგლისელები დაპყრობილ ტერიტორიაზე უნივერსიტეტებს? რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლებოდა ჰქონოდა კოლონისტი ქვეყნის მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის?
- იმსჯელე, რამდენად განაპირობა ინდუსტრიულმა რევოლუციამ მოწინავე ქვეყნების მიერ დანარჩენი სამყაროს კოლონიზაცია.

მოსწავლის რვეული – დავ. 90

Draft copy

• როგორ უნდა წარმოადგინო რეფერატში რუსეთის კოლონიზაციური პოლიტიკა და შედეგები, რომლებიც მას მოჰყვა?

ქვესაკითხები

• საერთაშორისო ვითარება XX საუკუნის დასაწყისში

ქვეცნება

კოლონიები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, პროტექტორატი, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, „ანტანტა“, „სამთა კავშირი“.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 410-414

ნაბიჯი 3

რა ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობები ჰქონდა I მსოფლიო ომს? **(მ. წ. 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით წარმართოს საკითხზე მუშაობა. გვ. 410-414-ზე მოცემულია ინფორმაცია პირველი მოსფლიო ომის წინარე პერიოდის შესახებ. პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი გააააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვების დახმარებით.

• როგორ შეიცვალა ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შედეგად ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების წესი?
• სამყაროს რომელი ნაწილები იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ კოლონიზებული?
• რატომ ეძებდა ევროპელი მუშახელი თავშესაფარს და სამუშაოს ამერიკასა და კანადაში?
• იმსჯელე, როგორ მოხდა, რომ დანარჩენი სამყარო ევროპის წამყვან სახელმწიფოებზე გახდა დამოკიდებული.
• რა ძირითადი ტენდენციები ახასიათებდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკას და საზოგადოებრივ ყოფას XX ს.-ის დასაწყისში?
• შენი აზრით, რატომ არ სურდათ დიდ სახელმწიფოებს ურთიერთშორის წინააღმდეგობის მშვიდობიანი გზით მოგვარება?
• ევროპის რომელი რთული რეგიონი შეიძლებოდა გამხდარიყო იმპერიული სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი? რატომ ფიქრობ ასე?
• როგორ ფიქრობ, რატომ გაერთიანდნენ ერთ ბლოკში ისტორიული მეტოქეები?
• პოლიტიკურ რუკაზე დაკვირვებით დააზუსტე „სამთა კავშირისა“ და „ანტანტის“ სახელმწიფოთა მიზნებისა და ინტერესების შეჯახებათა არეალი.
• შენი აზრით, დღევანდელ მსოფლიოში შესაძლებელია თუ არა, ევროპულმა სახელმწიფოებმა ომი გამოუცხადონ ერთმანეთს? დაასაბუთე შენი მოსაზრება.
• შენი აზრით, რამდენად სერიოზული მიზეზები არსებობდა I მსოფლიო ომის დაწყებისთვის?
• როგორ უნდა წარმოადგინო რეფერატში პირველი მოსფლიო ომის წინარე პერიოდი, რომელმაც ეს დაპირისპირება გამოიწვია?

Do not copy

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს რეფერატის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი რეფერატია?

ახსენი, რატომ შექმენი რეფერატი? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?

რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამო-

Draft copy

ხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).

- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო/იყოს?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

სახელმძვანელოში მოცემული საგნობრივი თემების სიღრმისეულად გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს მოსწვლის რვეულში არსებული დამატებითი დავალებები, რომელიც მოცემულია რვეულის ბოლოს ჩანართების სახით. აღნიშნული დავალებები მოიცავს სადისკუსიო საკითხებსა და მსოფლიო ისტორიისა და საქართველოს ისტორიაში მომხარი ისტორიული პროცესების ანალიზს ეპოქების მიხედვით.

Don't copy

სოლოტაქსონომია

<table>
<tr><td colspan="3">პირველი კომპლექსური დავალება – რუკისა და განმარტებითი ბარათების მომზადება ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსა და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისის ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის შესახებ</td></tr>
<tr><td rowspan="4">სოლოტაქსონომიის დონეები</td><td>სამიზნე ცნება</td><td>სამიზნე ცნება</td></tr>
<tr><td>სივრცე</td><td>ისტორიული წყარო</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა</td><td>სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა</td></tr>
<tr><td>• გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;
• კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;
• კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრა-ფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.</td><td>• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;
• წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან;
• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის.
• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშ-ვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.</td></tr>
<tr><td rowspan="2">აბსტრაქტული დონე
მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/ არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექ-სტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.</td><td>ნაშრომის აღწერა</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">მოსწავლის მიერ შექმნილ რუკასა და განმარტებით ბარათებში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი, შეუძლია მიზეზშედეგობრივი მსჯელობა საკითხზე. ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული. მოსწავლე მწყობრად და აზრობრივად გადმოსცემს ეპოქის შესახებ ინფორმაციას. მოსწავლე რუკაზე აკეთებს პირობით აღნიშვნებს და რუკის ლეგენდას, რომლის მიხედვითაც ადვილად შეიძლება თვალი მივადევნოთ დროთა განმავლობაში ტერიტორიულ ცვლილებებს, მაგ., ფრანკთა იმპერიის დაშლის შემდგომ ევროპაში ახლი სახლემწიფოების ჩამოყალბებისა და განვითარების პროცესს. მოსწავლე განმარტებითი ბარათებისა და დავალების პრეზენტაციისას იყენებს სწორ ტერმინოლოგიას და პროდუქტში წარმოადგენს ყველა კრიტერიუმს. ნაშრომში მოსწავლე ასახელებს და აფასებს ისტორიულ წყაროებს, რომლებიც გვეხმარება ისტორიული პროცესის რეკონტრუქციაში. დავალებასა და პრეზენტაციაში გამოიკვეთა, რომ მოსწავლე არა მხოლოდ ცნებებს „სივრცესა“ და „წყაროს“ ამუშავებს, არამედ წარმოადგენს ცნებებსაც „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ და „ძალაუფლება“. პრეზენტაციის პროცესში მოსწავლე განაზოგადებს საკითხის შესახებ ინფორმაციას და უკავშირებს მათ სხვა ეპოქაში მსგავს ისტორიულ პროცესებს, მაგ., თურქ-სელჩუკთა ლაშქრობებს ადარერებს არაბთა დაპყრობით ომებს და მიგრაციას.</td></tr>
</table>

Don't copy

	მასწავლებლის კომენტარი	
	შენ მშვენივრად გაართვი თავი დავალებას. შენი ნაშრომიდან ჩანს, რომ სიღრმისეულად გაიაზრე შესასწავლი საკითხი, დაამუშავე ყველა კრიტერიუმი და გამოყავი ეპოქის მახასიათებლები. შემდეგში, გთხოვ, უფრო მეტად წარმოადგინო შენი თვალთახედვა შესასწავლ საკითხზე და მოსაზრებები არგუმენტებით გაამყარო. მაგ., როგორ იცვლებოდა ბიზანტიის მდგომარეობა არაბებიდან თურქ-სელჩუკების პერიოდში და რატომ იყო ეს პროცესი მნიშვნელოვანი ევროპის სახელმწიფოებისთვის.	
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთ-მიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	**ნაშრომის აღწერა**	
	მოსწავლის მიერ შექმნილ რუკასა და განმარტებით ბარათებში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული სივრცეები, რომლებიც განვითარებული შუა საუკუნეების დამდეგს დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა. ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული გეოგრაფიული სივრცეები, რომლებიც არაბებისა და თურქ-სელჩუკების ინტერესს იწვევდა, შეფასებულია მათი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა. დავალებაში გამოკვეთილია სივრცის ყველა კრიტერიუმი. მოსწავლე ყურადღებას ამახვილებს, რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნა და რატომ შეიძლება, ამ პროცესის შემდეგ ჩამოყალიბებული სახელმწიფოები ერთიანი კულტურული სივრცის ნაწილად მოვიზაროთ. მოსაზრების გასამყარებლად მოსწავლე ლაპარაკობს რომისა და კარლოს დიდის იმპერიაზე და საკითხს იმპერიების საზღვრებს შორის მცხოვრები ხალხების ურთიერთკავშირით ხსნის. ამის მიუხედავად, ნაშრომში ნაკლებად არის განზოგადებული საკითხი, მოსწავლე უფრო მეტად კონკრეტულ ეპოქაზეა ორიენტირებული და ნაკლებად ეხება სხვა ეპოქებს, რომლებიც მსგავსი ისტორიული პროცესებით შეიძლება ხასიათდებოდეს. მაგ., ხალხთა დიდი გადასახლებებები, რომლის დაკავშირებაც შეიძლებოდა სელჩუკების მიგრაციის საკითხთან.	მოსწავლის მიერ შექმნილ რუკასა და განმარტებით ბარათებში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი. ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული, მოსწავლე დავალების პრეზენტაციისას არ უშვებს ფაქტობრივ შეცდომებს. პრეზენტაციის პროცესში დავალება მწყობრად და აზრობრივად არის გადმოცემული. მოსწავლე წყაროებზე დაყრდნობით ახდენს იმ ისტორიული პროცესების რეკონსტრუქციას, რომლებიც მის მიერ შექმნილ რუკაზეა წარმოდგენილი. ნაშრომში და მისი პრეზენტაციისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს მეტწილად გათავისებული აქვს ცნება „წყაროს“ მახასიათებელი, შეუძლია წყაროების კლასიფიცირება და მათ მართებულობაზე მსჯელობა, თუმცა დავალებაში დაშვებულია შეცდომები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეს ბოლომდე არ აქვს გააზრებული ეპოქა და იმდროინდელი ისტორიული პროცესები. ნაშრომში ნაკლებად არის განზოგადებული საკითხი და მხოლოდ კონკრეტული ეპოქით შემოიფარგლება.

DO NOT COPY

<table>
<tr><td rowspan="2"></td><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td colspan="2">შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენს ნაშრომში ჩანს, რომ საკითხი მყარად იცი. ნაშრომში დამუშავებულია დავალების კრიტერიუმები. განსაზღვრავ გეოგრაფიულ სივრცეებს, ადარებ მათ ერთმანეთს და აანალიზებ სივრცეების ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას. რუკის უკეთ წარმოსაჩენად იყენებ რუკის ლეგენდასა და პირობით ნიშნებს, ამასთან ერთად ასახელებ და განიხილავ ისტორიულ წყაროებს, რომლებიც გვეხმარება იმდროინდელი პროცესების რეკონსტრუქციაში.
შემდეგში შეეცადე, საკითხის უფრო სიღმისეულად წარმოდგენისთვის გააკეთო შედარებები და ერთი ეპოქის მოვლენა სხვა ეპოქაში მომხდარ ისტორიულ პროცესს შეადარო. სელჩუკების მიგრაცია აზიაში შეგეძლო, დაგეკავშირებინა ხალხთა დიდ გადასახლებებთან, რაც შენს ნაშრომს უფრო ორიგინალურად წარმოადგენდა</td></tr>
<tr><td rowspan="3">მულტი-სტრუქტურული დონე
მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td>მოსწავლის მიერ შექმნილ რუკასა და განმარტებით ბარათებში ჩანს, რომ მას შეუძლია, დაასახელოს გეოგრაფიული რეგიონები და იქ მცხოვრები ისტორიული ერები. მოსწავლე განასხვავებს რეგიონებს ერთმანეთისგან და განიხილავს გეოგრაფიული სივრცის ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას, თუმცა უჭირს, ახსნას და შეაფასოს, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგ., აბასიანთა სახალიფოს დაშლას ბიზანტიისთვის. მოსწავლე ეხება თურქ-სელჩუკთა იმპერიის ჩამოყალიბების საკითხსაც, თუმცა უჭირს, განსაზღვროს რა მნიშვნელობა ჰქონდა მცირე აზიას ბიზანტიასთან დაპირისპირებისას; ამასთან, ნაკლები ყურადღება ეთმობა გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელობას სოციალურ-კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში.</td><td>მოსწავლემ ზუსტად გაიგო დავალების არსი და დაუკავშირა მას პარაგრაფში წარმოდგენილი მასალა. ნაშრომში მოსწავლემ შეძლო, დაესახელებინა ეპოქის მახასიათებლები და წყაროები, რომლებიც ამ მახასიათებლებზე გვაწვდის ინფორმაციას. თუმცა მოსწავლე განმარტებით ბარათებში და დავალების პრეზენტაციისას არ საუბრობს წყაროს ტიპზე და არ ხსნის, რამდენად მართებულად მიიჩნევს წყაროებში წარმოდგენილ მასალას, მაგ., თურქ-სელჩუკთა იმპერიის ჩამოყალიბების პროცესს. ამ პროცესის უკეთ აღსაქმელად ნაშრომში არ არის შეფასებული ბიზანტიური წყაროები. დავალება უფრო აღწერითი და ზოგადია.</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა შემდეგში დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთე დასამუშავებელი კრიტერიუმები. მაგ., იმსჯელე, რამ გამოიწვია დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნა. ყურადღება მიაქციე, რომ რუკაზე დატანილი ინფორმაცია ლოგიკურად და მართებულად გადმოსცე და შეაფასო წყაროები, რომლებიც იმდროინდელი პოლიტიკური რეალობისა და პოლიტიკური სივრცის წარმოდგენაში გეხმარება. მაგ., თურქ-სელჩუკთა გამოჩენა და ბიზანატიასთან დაპირისპირება.</td></tr>
</table>

Do not copy

<table>
<tr><td rowspan="4">უნისტრუქტურული დონე
მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქ-ტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td>მოსწავლის მიერ შექმნილ რუკასა და განმარტებით ბარათებში ჩანს, რომ მას შეუძლია, დაასახელოს გეოგრაფიული სივრცე, რომელშიც ვითარდება ისტორიული პროცესი. ამასთან ერთად, ნაშრომში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს შეუძლია, ერთმანეთისგან განასხვაოს რეგიონები, ზღვები და გეოგრაფიული სივრცეები, თუმცა არ ჩანს, რა სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს, მაგ., ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის დროს კავკასიას. ნაშრომში ნაკლებად ჩანს, რა მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ გარემოს ერთიანი სოციალურ-კულტურული სივრცის ჩამოყალიბების პროცესში. მაგ., რა მნიშვნელობა ჰქონდა ერთიან გეოგრაფიულ სივრცეს ესპანელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისა და ინტეგრაციის პროცესში.</td><td>მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა რუკა და რუკის განმარტებითი ბარათები, თუმცა მათში ზედაპირულადაა წარმოდგენილი საკითხი. ნაშრომი მეტწილად აღწერითია, ინფორმაცია ზედაპირულადაა გადმოცემული. მაგ., რუკაზე მონიშნული სახელმწიფო საზღვრები, თუმცა მოსწავლე განმარტებით ბარათებში და პრეზენტაციისას არ საუბრობს ამ ეპოქის დასავლეთევროპული სახელმწიფოების ჩამოყალიბების წინაპირობებსა და მიზეზებზე, რის გაანლიზებაც მნიშვნელოვანია საკითხის სრულყოფილად გააზრებისათვის. ნაშრომში კრიტერიუმთა უმეტესობა არ მუშავდება და არ იკვეთება შესასწავლი საკითხის მიმართ სხვა მნიშვნელოვანი ასოციაცია.</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td colspan="2">შენ ძალიან კარგად/სწორად გაიგე დავალების პირობა, მაგრამ ჩანს, რომ არ გაქვს წაკითხული სასწავლო მასალა. გთხოვ, შემდეგში ყურადღებით წაიკითხო და დააკონკრეტო წყაროების ის კატეგორიები, რომლებიც გვეხმარება დასავლეთ ევროპისა სახელმწიფოების ჩამოყალიბების შესწავლაში, ასევე ყურადღება მიაქციე მიგრაციის საკითხს, რატომ და სად გადაადგილდებიან ადამიანები. ყურადღებით გაეცანი იმდროინდელ რუკას და იმსჯელე, რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა შენ მიერ დასახელებულ სივრცეს.</td></tr>
<tr><td rowspan="3">პრესტრუქტურული დონე
მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td colspan="2">მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს/ კომპლექსური დავალების პირობას. შესრულებული დავალება არ შეესაბამება რუკისა და განმარტებითი ბარათების სტრუქტურას, ნაშრომში მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხს.</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td colspan="2">გაიხსენე, რა არის რუკა და რა ინფორმაციაა დატანილი მასზე, მოიძიე თანამედროვე რუკა, იპოვე შემდეგი სახელმწიფოები: გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი და მათი საზღვრები შეადარე შენს სახელმძვანელოში წარმოდგენილ რუკებს. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი ამ სახელმწიფოების წარმოშობის შესახებ. გაიხსენე შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე ამბავს ორი ადამიანი სხვადასხვაგვარად ჰყვება, ეს დაუკავშირე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ჩამოყალიბების შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას და იმსჯელე მართებულობაზე.</td></tr>
</table>

DO NOT COPY

მეორე დავალება – ჩანაწერების მომზადება დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყაროს საზოგადოების შესახებ		
სოლოტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	საზოგადოება (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6)	**დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ. საშ. 1,2,3,4,5,6)**
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**
	• ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს საერთო ნიშნები ახასიათებდა: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; • საზოგადოება უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად იყოფა; • პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; • საზოგადოების წევრებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ მრავალფეროვნების მიმართ.	• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.	**ნაშრომის აღწერა**	
	მოსწავლის მიერ შექმნილ ჩანაწერებში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი. ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული და არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს. მოსწავლე მწყობრად და აზრობრივად გადმოსცემს ინფორმაციას შესასწავლი საკითხის შესახებ. ნაშრომში გამოყენებულია სწორი ტერმინოლოგია და დამუშავებულია ყველა კრიტერიუმი. გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს არა მხოლოდ ცნება „დრო და საზოგადოება“ აქვს გააზრებული, არამედ ნაშრომში წარმოდგენილია ცნება „ისტორიული მოვლენა-პროცესის“ და „სივრცის“ მახასიათებლებიც. ნაშრომში ლოგიკურადაა გადმოცემული ინფორმაცია საკითხის შესახებ. მოსწავლე იცავს ქრონოლოგიურ პრინციპს, გამოყოფს ისტორიულ ფაქტებს და დროის კუთხით აღრიცხავს მათ. ამასთან ერთად, მოსწავლე პროდუქტის პრეზენტაციისას ახასიათებს შუა საუკუნეების საზოგადოებრივ ფენებს და ევროპასა და ბიზანტიაში განვითარებულ ისტორიულ პროცესებს. მოსწავლე დავალებაზე მუშაობის პროცესში ცდილობს, არ შემოისაზღვროს კონკრეტული ეპოქით და პარალელები გაავლოს სხვა ეპოქებთან, რომლებშიც მსგავსი ისტორიული პროცესები შეინიშნება. მაგ., სქიზმაზე ლაპარაკისას მოსწავლე განიხილავს ქრისტიანულ რელიგიაში ადრე არსებულ წინააღმდეგობებს და ამის პარალელურად ხსნის სქიზმის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს.	

Draft copy

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ ჩანაწერებში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი, მოსწავლეს შეუძლია მასზე მსჯელობა. ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული, დასახელებულია და შეფასებულია ისტორიული ფაქტები, მოვლენები, ისტორიული პირების გადაწყვეტილებები. მოსწავლე აღნიშნავს საკუთარ პოზიციას და ამავდროულად იყენებს სწორ ტერმინოლოგიას, არ არღვევს ქრონოლოგიურ ჩარჩოს. მოსწავლე განიხილავს იმდორინდელ საზოგადოებრივ ფენებს და აყალიბებს მათ ინტრესებსა და საზრუნავს. ის კრიტიკულად განიხილავს საზოგადოებრივი ფენების უფლებრივ-მოვალეობით მდგომარეობას; აყალიბებს მოსაზრებებს და ერთმანეთს ადარებს დასავლურ და აღმოსავლურ საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებსა და კანონებს, რომლებიც არეგულირებს სოციალური ფენების ურთიერთობებს. შეფასებულია აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიებში არსებული განსხვავებები და კონფლიქტის მიზეზები, თუმცა ნაშრომში შესასწავლი მასალა განზოგადებული არ არის, მოსწავლე ცნებასთან მიმართებით შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული ეპოქით და ნაკლებად ეხება მისთვის ნაცნობ მსგავს ისტორიულ პროცესს.	მოსწავლის მიერ შექმნილ ჩანაწერებში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაახასიათოს შუა საუკუნეების სამწევროვანი საზოგადოება და სოციალური ფენების პოლიტიკური, უფლებითი და მოვალეობითი მდგომარეობა. ნაშრომში ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა განხილული შესასწავლი საკითხი. ნაშრომის პრეზენტაციისას გამოვლინდა, რომ მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა საკითხის ერთმანეთთან დაკავშირება და ერთიან კონტექსტში განხილვა. ნაშრომში ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილია დასავლური და აღმოსავლური საქრისტიანოს ჩამოყალიბების საკითხი და ცვლილებები, რომლებიც მათ სქიზმის შემდეგ პერიოდში განიცადეს. თუმცა ნაშრომი ნაკლებადაა განზოგადებული და მოსწავლე ძირითადად ერთი ეპოქით შემოიფარგლება.

Do not copy

მულტისტრუქ-ტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ დავალებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს ისტორიული ფაქტები, ისტორიული პირები და იმდროინდელი სოციალური ფენები. ნაშრომში დაცულია ქრონოლოგიური ჩარჩო, გამოიკვეთა, რომ მოსწავლე ახასიათებს სხვადასხვა სოციალური ფენის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ საჭიროებებს, თუმცა ვერ აკავშირებს ამას მმართველობის სტრუქტურებთან და ფენების უფლებრივ მოვალეობით მდგომარეობასთან, რომელიც სახელმწიფოების განვითარების მნიშვნელოვანი საყრდენია. ნაშრომი შედარებით აღწერითია და ნაკლებად გვხდება მსჯელობა; არაა შეფასებული ისტორიული შედეგი, რომელიც ფეოდალურ ურთიერთობებს მოჰყვა.	მოსწავლემ ზუსტად გაიგო დავალების არსი და დაუკავშირა მას პარაგრაფში წარმოდგენილი მასალა. მოსწავლემ შეძლო, განესაზღვრა ეპოქის ქრონოლოგიური ჩარჩო. მოსწავლე ახსენებს დროის აღრიცხვის სისტემას, რომელიც უკავშირდებოდა სამეურნეო საქმიანობასა და რელიგიურ დღესასწაულებს. თუმცა ნაშრომში გამოკვეთილია ფაქტოლოგიური შეცდომები და გარკვეული საკითხის წარმოჩენისას არასწორად არის საკითხი განხილული დროსთან მიმართებით. მოსწავლე ნაკლებად აღნიშნავს საკუთარ მოსაზრებებს ჩანაწერებში და პრეზენტაციის დროს გადმოცემული მასალა უფრო მეტად აღწერითი ხასიათისაა, არ იგრძნობა ლოგიკური კავშირი საკითხებს შორის. მაგ., როგორ და რატომ იცვლებოდა შუა საუკუნების ევროპის საზოგადოების დამოკიდებულება საუნივერსიტეტო წრეების მიმართ?
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქ-ტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ ჩანაწერებში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს იმდროინდელი სოციალური ჯგუფები, გარკვეული ისტორიული ფაქტები და ისტორიული პირები. ამასთან, გამოიკვეთა, რომ ესმის ტერმინ „სამწევროვანი საზოგადოების“ მნიშვნელობა, თუმცა ნაშრომში ნაკლებად მახვილდება ყურადღება ყველა კრიტერიუმზე. ნაშრომი აღწერითია და არ შეიცავს მსჯელობას. ფაქტების დასახელების პროცესში დარღვეულია ქრონოლოგიური ჩარჩო. გარკვეულწილად დარღვეულია სტრუქტურაც და მოსწავლე მხოლოდ ერთი მიმართულებით წარმოაჩენს საკითხს. მაგ., ფეოდალურ საზოგადოებაში ყველაზე დაბალ ფენას გლეხები წარმოადგენდნენ.	მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა „ჩანაწერები“, თუმცა მასში ზედაპირულადაა წარმოდგენილი ეპოქის მახასიათებლები. ნაშრომი მეტწილად აღწერითია, ზედაპირულადაა წარმოდგენილი ეპოქის ქრონოლოგიური მახასიათებელი. მაგ., მოსწავლე პრეზენტაციის პროცესში აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ეკლესიებს შორის ურთიერთობა, შეიძლება, ორ ნაწილად დაიყოს: სქიზმამდე და სქიზმის შემდეგ ეპოქებად, თუმცა არ წარმოადგენს ამ პერიოდების მახასიათებელს და ცვლილებებს, რომლებიც ამ პერიოდში მოხდა სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს/კომპლექსური დავალების პირობას. შესრულებული დავალება არ შეესაბამება ჩანაწერების სტრუქტურას, ნაშრომში მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხს.	

Do not copy

მესამე კომპლექსური დავალება – ისტორიული თხზულების დაწერა ჯვაროსნული ომების გამომწვევი მიზეზების, შედეგებისა და მონღოლთა იმპერიის დაპყრობითი ომების შესახებ		
სოლოტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	ისტორიული მოვლენა/პროცესი (ისტ.საშ. 3,4,5,6)	**ისტორიული წყარო (ისტ.საშ. 1,2,4,5)**
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**
	• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი/მიზეზები და შედეგი/შედეგები; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებსა და შედეგებზე; • ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით დაჯგუფდეს.	• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის. • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.	**ნაშრომის აღწერა**	
	მოსწავლის მიერ შექმნილ ისტორიულ თხზულებაში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი. ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული და არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს. მოსწავლე მწყობრად და აზრობრივად გადმოცემს ეპოქის შესახებ ინფორმაციას და ახასიათებს ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზებს/შედეგებს და მონღოლთა იმპერიის დაპყრობითი ომების შემდეგ განვითარებულ ისტორიულ პროცესებს. ნაშრომში გამოყენებულია სწორი ტერმინოლოგია და დამუშავებულია ყველა კრიტერიუმი. გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს არა მხოლოდ ცნებები „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ და „წყარო“ აქვს გააზრებული, არამედ ნაშრომში წარმოდგენილია ცნებების – „საზოგადოებისა“ და „სივრცის“ – მახასიათებლებიც. მოსწავლე ასახელებს გეოგრაფიულ სივრცეს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ჯვაროსნული ლაშქრობები და ყალიბდება მონღოლთა იმპერია. თხზულებაში განხილულია ტერიტორიული ცვლილებებიც, რომლებიც ამ ისტორიულ პროცესს მოჰყვა. მოსწავლე ნაშრომში აფასებს ისტორიულ წყაროებს და მათი გამოყენებით გამოთქვამს მოსაზრებებს, რომლებსაც არგუმენტირებულად ასაბუთებს.	

Don't copy

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ ისტორიულ თხზულებაში ჩანს, რომ მას გააზრებული აქვს საკითხის მნიშვნელობა, გამოკვეთს ისტორიულ ფაქტებს და შეუძლია, დააჯგუფოს ეს ფაქტები ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კუთხით. ამასთან, ნაშრომში ჩანს მოსწავლის მსჯელობა და საკითხი განხილულია მიზეზშედეგობრივი პრინციპის საფუძველზე. დავალებაში წარმოდგენილია ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზები და მასში მონაწილე თითოეული მხარის მოტივაცია, მოსწავლე ყურადღებას ამახვილებს ამ ომების შედეგებზე, ამასთან ერთად, ამ პროცესის პარალელურად განიხილავს მონღოლთა დაპყრობით ომებსა და ჩინგის-ყაენის იმპერიის შემდეგ წარმოქმნილ მონღოლურ სახელმწიფოთა ურთიერთობას.	მოსწავლე საინტერესოდ და შემოქმედებითად გადმოსცემს ინფორმაციას ეპოქის შესახებ. მის ნამუშევარში ჩანს, რომ მან იცის შესასწავლი საკითხი, შეუძლია მსჯელობა ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზებზე/შედეგებზე და ამის პარალელურად მონღოლური იმპერიის შექმნისა და მისი დაპყრობითი ომების განხილვა. ნაშრომში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს მეტწილად გათავისებული აქვს ცნება „წყაროს“ მახასიათებელი, შეუძლია წყაროების კლასიფიცირება და მათ მართებულობაზე მსჯელობა. ნაშრომში კრიტერიუმების უმეტესობა დამუშავებულია, რაც გამოხატულია სწორი ტერმინოლოგიით. თუმცა დავალებაში დაშვებულია შეცდომები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეს ბოლომდე არ აქვს გააზრებული ეპოქა და იმდროინდელი ისტორიული პროცესები. ნაშრომში საკითხი ნაკლებადაა განზოგადებული და მხოლოდ კონკრეტული ეპოქით შემოიფარგლება.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ ისტორიულ თხზულებაში ჩანს, რომ მას შეუძლია, დაასახელოს ისტორიული ფაქტები, ისტორიული პირები და აღწეროს პროცესის თანამიმდევრული განვითარება. ნაშრომში გამოკვეთილია დაპირისპირებული მხარეები და კონფლიქტში მათი ჩართვის მოტივაცია და ინტერესები, მაგ., ჯვაროსნული ლაშქრობები და მონღოლური დაპყრობები. მიუხედავად ამისა, მოსწავლე ნაკლებ ყურადღებას უთმობს საკითხის განხილვასა და გაანალიზებას, მიზეზშედეგობრივი მსჯელობა არ არის გამოკვეთილი. ნაშრომში განსაზღვრული არ არის, როგორ მიმდინარეობს ისტორიული პროცესები პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, თხზულებაში ნაკლებადაა განხილული, რა ხდება ჯვაროსნული ლაშქრობების პარალელურად ცენტრალურ აზიაში.	მოსწავლემ ზუსტად გაიგო დავალების არსი და დაუკავშირა მას პარაგრაფში წარმოდგენილი მასალა. ნაშრომში მოსწავლემ შეძლო, დაესახელებინა ეპოქის მახასიათებლები და წყაროები, რომლებიც ამ მახასიათებლებზე გვაწვდის ინფორმაციას. თუმცა თხზულებაში არ გამოკვეთილა მოსწავლის დამოუკიდებელი მსჯელობა, დავალება უფრო აღწერითი ხასიათისაა. ნაშრომში დასახელებულია ისტორიული წყაროები, რომლებიც გვეხმარება ეპოქის შესწავლაში, თუმცა წყაროები კლასიფიცირებული არ არის და მოსწავლე ნაკლებად მსჯელობს მათ მართებულობაზე. გამოიკვეთა გარკვეული ფაქტობრივი შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია ეპოქების ქრონოლოგიურ ჩარჩოსთან. ნაშრომი სტრუქტურიზებულია, თუმცა საკითხებს შორის კავშირი ლოგიკური და მწყობრი არ არის.

Do not copy

უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქ-ტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე.	მოსწავლის მიერ შექმნილ თხზუ-ლებაში ჩანს, რომ მას შეუძლია, დაასახელოს იმდროინდელი ის-ტორიული პროცესები, იმპერიები და ისტორიული პირები. ნაშრომ-ში გამოხატულია შესასწავლი საკითხის გარკვეული ცოდნა. მაგ., მოსწავლე ასახელებს ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდს, მოქმედ პირებს და აღებულ ქალაქებს, თუმცა ნაშ-რომი მეტწილად ზედაპირულია. მაგ., პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ ჯვაროსნებ-მა აიღეს იერუსალიმი, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს კი კონსტატინოპოლი. მოსწავლე მხოლოდ ამ ასოციაციებს ეყრდ-ნობა და მრავალმხრივ არ მსჯ-ელობს საკითხზე, არ გამოყოფს მიზეზებსა და შედეგებს, რომ-ლებიც კონკრეტულ ისტორიულ პროცესს მოჰყვა.	მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა „თხზულება“, თუმცა მასში ზედაპირულადაა წარმოდგენილი ეპოქის მახასიათებლები. ნაშრომი მეტწილად აღწერითია, ზედაპირულადაა გად-მოცემული იმდროინდელი ეპოქის მახასიათებლები. ნაშრომში ყურ-ადღება მახვილდება ცნება „წყ-არაზე“, თუმცა არაა წარმოდგენილი ცნების დასამუშავებელი ყველა კრიტე-რიუმი; მასში ძირითადი აქცენტი კეთდება წყაროს ტიპებზე და მუშა-ვდება შემდეგი კრიტერიუმი: „რა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით აღწერ ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და მონღოლთა დაპყრობების შე-დეგად განვითარებულ ისტორიულ პროცესებს?“. მიუხედავად ამისა, ნაშრომში ეს კრიტერიუმი ნაწილო-ბრივაა გამოხატული და წარმოდ-გენილია ერთი ასოციაციით. მაგ., ჯვაროსნული ლაშქრობებისა და მონღოლთა იმპერიის შესახებ ინ-ფორმაცია შეგვიძლია წერილობითი წყაროებისა და მოგზაურთა ჩანაწერ-ების გაცნობის შედეგად მივიღოთ.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხ-ვებს/კომპლექსური დავალების პირობას. შესრულებული დავალება არ შეესაბამება ისტორიული თხზულების სტრუქტურას. ნაშრომში მოცემუ-ლი ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხს.	

Don't copy

მეოთხე კომპლექსური დავალება – სტატიის შექმნა ევროპაში წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს ჩამოყალიბების შესახებ	
სოლოტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**
	ძალაუფლება (ისტ. საშ. 3,4,5,6,7,8)
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა
	• ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსების, ადამიანური რესურსების) ფლობა, სიმბოლოები, იდეოლოგია; • ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის; • დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექ-სტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.	**ნაშრომის აღწერა**
	მოსწავლის მიერ შექმნილ სტატიაში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი, შეუძლია მასზე მიზეზშედეგობრივი მსჯელობა. ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული, დასახელებული და შეფასებულია ისტორიული ფაქტები, მოვლენები, ისტორიული პირების გადაწყვეტილებები. მოსწავლე აღნიშნავს საკუთარ პოზიციას და, ამავდროულად, იყენებს სწორ ტერმინოლოგიას, არ არღვევს ქრონოლოგიურ ჩარჩოს. ნაშრომში შესასწავლი მასალა განზოგადებულია და დაკავშირებულია მსგავს ისტორიულ პროცესებთან, რომლებსაც მოსწავლე იყენებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებისთვის. ნაშრომში მუშავდება ყველა კრიტერიუმი და, ამასთან ერთად, მოსწავლე სხვა ცნებებთან მიმართებითაც განიხილავს საკითხს. საკითხის განზოგადების პროცესში მოსწავლე ავლებს პარალელებს ეპოქებს შორის და განიხილავს, რა ცვლილება მოხდა შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში ძალაუფლების განაწილების მხრივ.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ დავალებაში ჩანს, რომ მას გააზრებული აქვს დავალება, ნაშრომში დაცულია სტრუქტურა და მუშავდება ცნების ყველა კრიტერიუმი. ნაშრომში შეფასებულია ძალაუფლების ფენომენი, ახსნილია, რა პროცესებმა გამოიწვია ძალაუფლების სტრუქტურის ცვლილება და როგორ აისახა, მაგ., ინგლისისა და საფრანგეთის მეფეების ძალაუფლებაზე. ნაშრომში გამოკვეთილია პარლამენტისა და გენერალური შტატების არსი და მნიშვნელობა, როგორ იყო ძალაუფლება განაწილებული მეფესა და წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოებს შორის და რა რესურსებს იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში. ნაშრომში მოსწავლე აყალიბებს მოსაზრებებს და ხსნის მმართველთა ქმედებებსა და მათ მოტივაციას გადაწყვეტილებების მიღებისას, რაც დავალებას ორიგინალურად წარმოადგენს, თუმცა მოსწავლე საკუთარ ნააზრევს არ განაზოგადებს და არ განიხილავს ძალაუფლების ფენომენს სხვა ეპოქების მაგალითზე.

Draft copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთზე.	მოსწავლის მიერ შექმნილ დავალებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს ისტორიული ფაქტები. მოსწავლე ასახელებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და წარმოგვიდგენს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებს, თუმცა ნაშრომი უფრო მეტად აღწერითია და არ ჩანს მსჯელობა და არგუმენტაცია. მაგ., მოსწავლე ვერ მსჯელობს, რა მოტივაცია შეიძლებოდა ჰქონოდა ფილიპე IV ლამაზს, როდესაც გენერალური შტატების მოწვევა გადაწყვიტა. ნაშრომში ახსნილია „თავისუფლების დიდი ქარტიის“ არსი და გამოკვეთილია, როგორ ცდილობენ ბარონები მეფის ხელისუფლების შესუსტებას, თუმცა მოსწავლე არ მსჯელობს, რა შედეგით დასრულდა ეს პროცესი, რა იყო დაპირისპირებული მხარეების მოტივაცია.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქ-ტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე.	მოსწავლის მიერ შექმნილ დოკუმენტში ჩანს, რომ მას შეუძლია დაასახელოს ისტორიული პერიოდი, რომელშიც ვითარდება ისტორიული პროცესი. ამასთან ერთად, ნაშრომში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს გადაწყვეტილების მიმღები პირები და მათ მიერ განხორციელებული ქმედებები. ნაშრომში გამოიკვეთილია საკითხის მხოლოდ ფაქტოლოგიური ცოდნა, გადმოცემული ინფორმაცია უფრო მეტად აღწერითია და არაა გამოკვეთილი არგუმენტირებული მსჯელობა; მოსწავლე მხოლოდ შემოიფარგლება სხვადასხვა ფაქტის დასახელებით. მაგ., ჯონ უმიწაწყლოს მეფობის პერიოდში ინგლისში დაიწყო მეფის ხელისფლების შეზღუდვა.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს/კომპლექსური დავალების პირობას. შესრულებული დავალება არ შეესაბამება სტატიის სტრუქტურას, ნაშრომში მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხს.

Don't copy

განმსაზღვრელი შეფასება

ეროვნული სასწავლო გეგმა ადგენს მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებს:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების შესაფასებლად. იქიდან გამომდინარე, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყველაზე ხელშესახებ სიმიზნე ორიენტირად მოიაზრება საფეხურის საგნობრივი შედეგები და სამიზნე ცნებები, მნიშვნელოვანია, განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლის მიერ ცნების ფლობას ემყარებოდეს. რადგან საგნობრივი თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს, შეგვიძლია, განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები თემის ფარგლებში შევაფასოთ.

შეფასების ეს რუბრიკა იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება, მოსწავლე შეფასდეს სასწავლო თემის ფარგლებში. პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის მუშაობას და იმას, თუ რამდენად შეძლო მან შესასწავლი თემის ფარგლებში ცნებებით ოპერირება.

შეფასების ზოგადი კრიტერიუმები	**მაქსიმალური ქულა**	**კომენტარი**
მოსწავლე აქტიურადაა ჩართული საკლასო აქტივობებში	2	
მოსწავლე დამოუკიდებლად მოიძიებს შესასწავლი საკითხის შესახებ ინფორმაციასა და მასალას, რომელსაც დავალებაზე მუშობის პროცესში იყენებს.	2	
საგნობრივი თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების ფლობა	**მაქსიმალური ქულა**	**კომენტარი**
წყარო: მოსწავლე მსჯელობს და ასახელებს სხვადასხვა ისტორიულ წყაროს, რომლებიც გვეხმარება შუა საუკუნეების შესახებ ინფორმაციის მიღებაში; მას შეუძლია შუა საუკუნეების შესახებ არსებული წყაროების კლასიფიცირება. მოსწავლე განიხილავს ისტორიული წყაროების მართებულობასა და სანდოობას; ამასთან ერთად მოსწავლე კრიტიკულად აფასებს და განიხილავს ისტორიკოსთა შეფასებებს.	1	
სივრცე: მოსწავლე მსჯლეობს, რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო შუა საუკუნეების ადამიანებზე, ახასიათებს შუა საუკუნეების ადამიანების გეოგრაფიულ ცოდნას და განიხილავს კონკრეტული გეოგრაფიული არეალების სოციალურ-ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას.	1	
საზოგადოება: მოსწავლე აღწერს შუა საუკუნეების საზოგადოებას, გამოყოფს საზოგადოებრივ ფენებს, მათ საერთო ინტერესებსა და საზრუნავს. მოსწავლე მსჯელობს, ჰქონდათ თუ არა სტერეოტიპული წარმოდგენები შუა საუკუნეების საზოგადოების წევრებს ერთმანეთის მიმართ და თუ ჰქონდათ, რაში გამოიხატებოდა ეს.	1	

Don't copy

დრო: მოსწავლე აღწერს შუა საუკუნეების მახასიათებლებს და მათ მიმართებას სხვა ისტორიულ ეპოქებთან/პერიოდებთან; მსჯელობს, როგორ აღრიცხავდნენ დროს და აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას შუა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანები.	1	
ისტორიული მოვლენა/პროცესი: მოსწავლე მსჯელობს შუა საუკუნეების პერიოდში განვითარებული მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე. განიხილავს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებმაც გამოიწვია შუა საუკუნეების ეპოქაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები.	1	
ძალაუფლება: მოსწავლე აანალიზებს და მსჯელობს შუა საუკუნეებში დამკვიდრებული მმართველობის ფორმებისა და სტრუქტურების შესახებ, განიხილავს, ვინ და როგორ/რა საშუალებებით იბრძოდა შუა საუკუნეების ეპოქში ძალაუფლებისა და ხელისუფლებისათვის.	1	

სტრატეგიები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა

დისკუსია ფართოდ გამოყენებული მეთოდია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერაქტიურ სწავლებაში. ის პრობლემური, აქტუალური საკითხის ჯგუფურ განხილვას გულისხმობს. დისკუსია ხელს უწყობს მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის, აქტიური მოსმენის, შეფასების, ანალიზის უნარების განვითარებას.

საკლასო ოთახში გამოყენებული დისკუსია, ჩვეულებრივ, სტრუქტურირებულია, რაც ნიშნავს, რომ სადისკუსიო თემა წინასწარაა განსაზღვრული და პროცესის მიმდინარეობა რეგლამენტირებულია.

დისკუსიის ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია წესების დაცვა, რომლებზეც სტრატეგიის მონაწილეები ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე თანხმდებიან.

დისკუსიის ფასილიტატორის როლი, ჩვეულებრივ, პედაგოგს ეკისრება. მან უნდა განსაზღვროს დისკუსიის ფორმა.

დისკუსია შემდეგი სახით წარიმართება:

- დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან წესებზე (ურთიერთმოსმენა, კონსტრუქციულობა და სხვ.).
- ფასილიტატორს შემოაქვს სადისკუსიო თემა, რომელიც, ჩვეულებრივ, პრობლემური საკითხია და გადაჭრის რამდენიმე ალტერნატივა აქვს.
- სადისკუსიო თემები შეიძლება ჯერ მცირე ჯგუფებში განიხილონ, შემდეგ კი საერთო ფორმატში ან მთლიან კლასში და ყველა მონაწილის ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი.
- მონაწილეებს შეუძლიათ, არ დაეთანხმონ ერთმანეთს, დააზუსტონ მოსაზრებები, მხოლოდ კონსტრუქციული ფორმით და წესების შესაბამისად.
- არ არის აუცილებელი, დისკუსიის დასკვნით ეტაპზე ყველა საერთო აზრამდე მივიდეს. პროცესმა შეიძლება ბევრი პასუხი წარმოშვას და მონაწილეები ერთზე ვერ შეჯერდნენ.

Don't copy

დისკუსიის სხვადასხვა ფორმა არსებობს:

პანელური დისკუსია – მონაწილეები მცირე ჯგუფების სახით არიან წარმოდგენილი, რომლებიც ლიდერის ხელმძღვანელობით ჯერ ჯგუფში განიხილავენ საკითხს, შემდეგ კი საერთოდ განსახილველად გამოაქვთ.

დებატები – კამათი ორი მხარითაა წარმოდგენილი, რომლებიც საპირისპირო შეხედულებებს იცავენ.

სასამართლო – წარმოადგენს სასამართლოში საქმის განხილვის იმიტაციას და სხვ. („უხმო დისკუსია“, „ბარომეტრი“...).

მნიშვნელოვანია შემდეგი რჩევების გათვალისწინება:

- დიკუსიის მონაწილეები აკრიტიკებენ იდეებს, ფაქტებს და არა ადამიანებს (იგულისხმება უშუალოდ ჩართული მოსწავლეები);
- მიზანი გამარჯვება კი არა, ისაა, რომ პრობლემის, სადისკუსიო თემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა მოინახოს;
- დისკუსიაში ჩართვის, აზრის გამოხატვის საშუალება პროცესის ყველა მონაწილეს ეძლევა;
- ყველა ისმენს განსხვავებულ აზრს, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მას.

მინილექცია მცირე ლექციაა, რომელსაც პედაგოგი, ჩვეულებრივ, მოსწავლეებისათვის ახალი ინფორმაციის მისაწოდებლად მიმართავს. მისი ხანგრძლივობა დაახლოებით 10-15 წუთია. პედაგოგი ცდილობს, მოკლე დროში მოსწავლეებს საინტერესო ინფორმაცია მიაწოდოს საკითხის შესახებ. აუდიტორიის განლაგება საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ პედაგოგს მხედველობითი კონტაქტი მოსწავლეებთან ჰქონდეს. მას შეუძლია, მოსწავლის დასაინტერესებლად სხვადასხვა რესურსი გამოიყენოს, მაგალითად, PowerPoint-ში მომზადებული პრეზენტაცია, ვიზუალური მასალა ნაამბობში მეტ სიცხადეს შეიტანს და მოსწავლეთა დაინტერესებას გაზრდის.

მინილექციის ნაკლად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოსწავლე პასიურ როლშია. ამიტომ პედაგოგმა უნდა იზრუნოს, რომ მოსწავლე მთელი პროცესის აქტიური მსმენელი იყოს. მასწავლებელს პერიოდულად შეუძლია, ინტერაქტიური შეკითხვებით მიიღოს უკუკავშირი.

მინილექციის დადებითი მხარე ის არის, რომ პედაგოგს მოსწავლეებისათვის მოკლე დროში შეუძლია დიდი ინფორმაციის გადაცემა.

ექსკურსია შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომლის მიზანიცაა, მოსწავლეებს რეალურ გარემოში განუმტკიცოს წიგნებიდან მიღებული ცოდნა. ექსკურსია კოლექტიური ხასიათის ღონისძიებაა და სათანადოდ ორგანიზებას მოითხოვს. ისტორიის საგანში ექსკურსიის ფარგლებში მოსწავლეებს შეუძლიათ, ეწვიონ მუზეუმებს, ეკლესია-მონასტრებს, ციხესიმაგრეებს და ა. შ.

ჩვეულებრივ, პედაგოგები ექსკურსიას სასწავლო წლის ბოლოს გეგმავენ, თუმცა მისი მოწყობა ნებისმიერ დროს შეიძლება, მთავარია, ღონისძიება მიზნობრივი იყოს და ხელს უწყობდეს ესგ-ით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

ღონისძიების მოსამზადებელ ეტაპზე პედაგოგმა წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოსანახულებელი ობიექტის შესახებ, კარგი იქნება, თუ მოსწავლეები თავადაც მოიძიებენ და

Don't copy

გაეცნობიან საჭირო მასალებს. სასურველია, ერთად შეადგინონ ექსკურსიის გეგმა, მარშრუტი. პედაგოგსა და მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთად შეიმუშაონ ექსკურსიის გეგმა, ხოლო ღონისძიების დასრულების შემდეგ პრეზენტაციის სახით ან სხვა ფორმით შეაჯამონ ღონისძიება.

ექსკურსია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული რეალობის ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა,

ექსკურსიის ორგანიზებისას მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინება, ვალდებულებებისა და რეკომენდაციების დაცვა.

გონებრივი იერიში არის სტრატეგია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, საგაკვეთილო პროცესში მოხდეს იდეების გენერირება. ის ხელს უწყობს მოსწავლეების შემოქმედებითი, ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

გონებრივი იერიში რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

პირველ ეტაპზე პედაგოგი მოსწავლეებს პრობლემურ შეკითხვას დაუსვამს, მოსწავლეები იწყებენ იდეების ჩამოყალიბებას, სასურველია, რაც შეიძლება მეტი იდეა იქნეს წარმოდგენილი. იდეების გენერირებისათვის დრო წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

მეორე ეტაპზე ფასდება იდეები. პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმები, ქულები და ა. შ.

საბოლოოდ იდეები იფილტრება და რჩება რამდენიმე იდეა, რომლებიც ყველაზე ნათლად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს ან ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.

გონებრივი იერიშის გამოყენება სკოლის ყველა საფეხურზეა შესაძლებელი.

T დიაგრამა საშუალებას იძლევა, რომ ერთმანეთს შევუპირისპიროთ ერთსა და იმავე ფაქტთან და მოვლენასთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებები. სქემა ვიზუალურად მარტივია და პრაქტიკული. პირობითად შეიძლება ავიღოთ რომელიმე ისტორიული პირი და სქემის გამოყენებით გამოვკვეთოთ მისი მოღვაწეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ან ამა თუ იმ მოვლენის შედეგები ურთიერთსაპირისპირო კუთხით დავახარისხოთ. დიაგრამა ამარტივებს ინფორმაციის დახარისხებას. ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას.



როლური თამაში წარმოადგენს ჯგუფურ აქტივობას, რომლის დროსაც მოსწავლეები საკუთარ თავზე ირგებენ ამა თუ იმ ისტორიული პირის როლს. ისინი არა მხოლოდ ფაქტებს გაეცნობიან, არამედ ეპოქის თვალთახედვით, ემოციურად გაიაზრებენ და შეიგრძნობენ მათ გრძნობებს, ქცევებს, მოტივებს და ა. შ.

როლური თამაში შეიძლება იყოს სპონტანური ხასიათის, ან წინასწარ განსაზღვრული წესების შესაბამისად წარიმართოს.

როლურ თამაშს რამდენიმე ეტაპი აქვს:

- მოსამზადებელი ეტაპი;
- თამაშის ეტაპი;
- შეჯამება/ რეფლექსია.

Don't copy

პირველ ეტაპზე პედაგოგი კლასს ყოფს ჯგუფებად, ინდივიდებად და ანაწილებს როლებს. მოსწავლეებს აცნობს მასალას შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, ასევე აძლევს მკაფიო ინსტრუქციებს.

მეორე ეტაპზე მოსწავლეები ასრულებენ მათთვის დაკისრებულ როლებს. მნიშვნელოვანია თამაშის ინსტრუქციის შესაბამისად წარმართვა და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნება.

დასკვნით ეტაპზე მოსწავლეები კრიტიკულად განიხილავენ მათ მიერ შესრულებელ როლს, ლაპარაკობენ ემოციებზე, რომლებიც დაეუფლათ ამ როლების შესრულების დროს.

როლური თამაშის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებით უნარების განვითარებას, საკითხის ემოციურ დონეზე გაცნობიერებას.

სტრატეგიის ნაკლოვანებად შეიძლება ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ სპეციფიკურ უნარებს მოთხოვს და ყველა მოსწავლეს უჭირს შესაბამისი შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. მისი ნაკლია ისიც, როლურ თამაშში მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია.

პრეზენტაცია გულისხმობს აუდიტორიის წინაშე განსაზღვრული მასალის წარდგენას, თეორიული მასალის ან პრაქტიკულად შესრულებული სამუშაოს შედეგების გაზიარებას.

პრეზენტაცია ხელს უწყობს მოსწავლეების ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის, არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარებას, თავდაჯერების ზრდას და ა. შ.

ჩვეულებრივ, პრეზენტაცია შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1. შესავალი ნაწილი – მისი მიზანია წარსადგენი საკითხის გაცნობა და კონტაქტის დამყარება.
2. ძირითადი ნაწილი – აუდიტორიას მიეწოდება ძირითადი ინფორმაცია. ეფექტიანობისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვალსაჩინოებები.
3. დასკვნა – ჯამდება წარდგენილი მასალა.

თვალსაჩინოებისათვის, შეიძლება, გამოყენებულ იქნეს პრეზენტაცია PowerPoint-ში, რომლის მომზადება სხვადასხვა წესით შეიძლება. საინტერესოა **10, 20, 30 მეთოდი** (კავასაკი), რაც გულისხმობს:

10 სლაიდი – სლაიდების ეს რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ აუდიტორია მნიშვნელოვან დეტალებზე იყოს ორიენტირებული და სათქმელი გაუგებარი არ აღმოჩნდეს. სლაიდებზე ძირითადი ინფორმაცია უნდა იყოს დატანილი, ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ ტექსტის მოცულობა დიდი არ იყოს. პრეზენტატორმა ძირითადი სათქმელი ვერბალურად უნდა გადმოსცეს.

20 წუთი – ეს დრო საკმარისია, რომ აუდიტორიას ძირითადი სათქმელი გადაეცეს და მსმენელი არ გადაიღალოს. მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტატორმა წინასწარ გათვალოს, რა დრო დასჭირდება თითოეული სლაიდისთვის. ამ დროში არ იგულისხმება კითხვა-პასუხისათვის დათმობილი დრო, რაც ასევე აუცილებელია, რათა მსმენელებს შეკითხვები არ დარჩეთ საკითხთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, პრეზენტატორს შეუძლია, განსაზღვროს დროის სხვადასხვა ხანგრძლივობა, საჭიროების მიხედვით.

Don't copy

30 ზომა შრიფტი – პრეზენტაციაზე გამოყენებული შრიფტი ზომით არანაკლებ 30 უნდა იყოს. ტექსტი აუდიტორიის ყველა წევრმა ადვილად უნდა აღიქვას. გარდა ამისა, თუკი სლაიდებზე ასახული ინფორმაცია მცირე მოცულობისაა და იოლად აღქმადი, დამსწრე საზოგადოება სწრაფად გაეცნობა მას და პრეზენტატორის საუბარზე იქნება კონცენტრირებული.

სოკრატესეული მეთოდი – პრობლემური შეკითხვების დასმას გულისხმობს. ეს ინფორმაციის გადაცემის მეთოდი არ არის, პედაგოგი არც ერთ მხარეს არ წარმოადგენს, მოსწავლეები პროცესის პასიური მონაწილეები არ არიან.

სოკრატესეული მეთოდი ერთგვარი დიალოგია, რომელიც მოსწავლეებისა და პედაგოგის მონაწილეობით მიმდინარეობს. მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, მოსწავლეები მსჯელობენ ამ შეკითხვებზე, მოსწავლეები თავად სვამენ შეკითხვებს. მსჯელობა ხან წინ მიდის, ხანაც საწყისი ნიშნულისკენ ბრუნდება.

მნიშვნელოვანია, რომ კლასში კომფორტული გარემო იყოს შექმნილი, რომელიც ყველა მოსწავლეს მისცემს ჩართულობის საშუალებას. დიალოგის მიზანი კონკრეტულ შედეგამდე მისვლა კი არ არის, არამედ მრავალფეროვანი არგუმენტების, ვარაუდების გამოთქმა. ზოგჯერ, როდესაც მოსწავლეები განსაზღვრულ დებულებას უარყოფენ, პედაგოგი მის მტკიცებას იწყებს, ან პირიქით, ეთანხმებიან, მასწავლებელი ცდილობს, საწინააღმდეგო არგუმენტები მოიყვანოს; არა იმიტომ, რომ საკუთარი პოზიცია აღნიშნოს, არამედ მოსწავლეებში უფრო მეტი ჰიპოთეზის გაჩენის მიზნით.

კეთებით სწავლება – კეთებით სწავლების მიზანია მოსწავლეებში ცოდნის ან ჩვევის ფორმირება განსაზღვრული პრაქტიკული ქმედებების შესრულებით.

კეთებით სწავლების პროცესში მოსწავლეებმა, შეიძლება, შექმნან რუკა, სხვადასხვა თვალსაჩინოება, მოდელი და ა. შ. პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა მისცეს შესაქმნელი პროდუქტის შესახებ მკაფიო ინსტრუქცია, შესთავაზოს კონკრეტული მაგალითები, განუმარტოს შესაქმნელი პროდუქტის მიზნობრიობა და მისი კავშირი შესასწავლ თემასთან, ასევე მიიღოს უკუკავშირი.

კეთებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში პრაქტიკული, ექსპერიმენტული უნარების განვითარებას.

თვალსაჩინოებებზე მუშაობა – ისტორიის გაკვეთილზე მრავალფეროვანი თვალსაჩინოებების გამოყენებაა შესაძლებელი: რუკა, ფოტო, ილუსტრაცია და ა. შ. მნიშვნელოვანია, მისი შერჩევისას გავითვალისწინოთ, რა დახმარებას გაგვიწევს ის საგაკვეთილო პროცესის შედეგის მიღწევაში, რამდენად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას და აქვთ თუ არა მოსწავლეებს საჭირო უნარები, რომ რესურსი მიზნობრივად გამოიყენონ.

თვალსაჩინოებებზე მუშაობისას პედაგოგმა ნათელი ინსტრუქცია უნდა მისცეს მოსწავლეებს. მეთოდი დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს ანალიზის უნარის განვითარებაში. ისინი შეძლებენ ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროებიდან მიღებას.

Don't copy

ტექსტზე მუშაობა – ისტორიული ტექსტის დამუშავება აუცილებელი და მნიშვნელოვანი მეთოდია. ამისთვის რამდენიმე განსხვავებული მიდგომა შეიძლება იქნეს გამოყენებული:

1. მოსწავლეებს, შეიძლება, დავავალოთ დასამუშავებელი ტექსტის ზედაპირული დათვალიერება. ისინი ტექსტში მათთვის უცხო სიტყვას იპოვიან, შემდეგ კი შესაბამის განმარტებას მოძებნიან. ამის შემდეგ ტექსტი რთულად აღარ მოეჩვენებათ.
2. მოსწავლეები კითხულობენ წინასწარ განსაზღვრული ტექსტის პირველ და ბოლო აბზაცებს, რაც დაეხმარებათ დანიშნულების გააზრებაში, შემდეგ კითხულობენ პირველ და ბოლო წინადადებებს ყველა აბზაცში ავტორის ძირითადი მტკიცებულებების გასააზრებლად; ხოლო ბოლოს ყურადღებით ეცნობიან აბზაცებში გადმოცემულ ინფორმაციას.
3. ყოველი გვერდიდან ამოიწერენ ხუთ სიტყვას ან იდეას, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეჩვენებათ. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, დაფიქრდნენ ტექსტში გადმოცემულ პრიორიტეტულ საკითხებზე.

დაუსრულებელი წინადადება – მეთოდის გამოყენება ეფექტიანია გაკვეთილის დასკვნით ეტაპზე მოსაზრებების შესაჯამებლად და შესაჯერებლად, თუმცა მისი გამოყენება ნებისმიერ დროს შეიძლება.

1. პედაგოგი დაფაზე წერს დაუსრულებელ წინადადებას (მაგ., „მისი საქციელის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ...“ ან „ეს შედეგი იმან მოიტანა, რომ...“). მოსწავლეებს განსაზღვრული დრო ეძლევათ წინადადების დასასრულებლად, შემდეგ კი კლასის წინაშე წარადგენენ თავის მოსაზრებას.
2. მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ეხმარება მათ აზრის თავისუფლად ჩამოყალიბებაში ამა თუ იმ საკითხზე, ეფექტიანი გზაა მოსწავლეთა დამოკიდებულებების გასარკვევად.

ვენის დიაგრამა – წარმოდგენილია ორი წრით, რომლებიც ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს. გვეხმარება ორი საკითხის ერთმანეთთან შედარებაში, რომლებსაც საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ. იმ ნაწილში, რომელშიც წრეები ერთმანეთს კვეთს, ჩაიწერება ცნებებისა და მოვლენების საერთო მახასიათებლები, დამოუკიდებელ ნაწილებში კი – განსხვავებული. მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეების ანალიზის უნარის განვითარებას.



ვიცი – მინდა, ვიცოდე – გავიგე – სტრატეგია გვეხმარება ტექსტის დამუშავებასა და სიღრმისეულ გაგებაში. ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას.

ვიცი	მინდა, ვიცოდე	გავიგე

Don't copy

- პედაგოგი დაფაზე ხაზავს სამსვეტიან ცხრილს;
- მოსწავლეებს აცნობს საკითხს და სვამს შეკითხვას, რა იციან მასთან დაკავშირებით. პასუხებს ჩამოწერს პირველ სვეტში („ვიცი“);
- შემდეგ პედაგოგი ეკითხება მოსწავლეებს, რა აინტერესებთ შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით და მათი შეკითხვების საფუძველზე ავსებს მეორე სვეტს („მინდა, ვიცოდე“);
- მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და მის საფუძველზე ავსებენ მესამე სვეტს („გავიგე“);
- პედაგოგის დავალებით, მოსწავლეები თავიანთ დამუშავებულ ტექსტს ადარებენ პირველ და მეორე სვეტს (იყო თუ არა მათი წინარე ცოდნა რეალურად საკითხთან დაკავშირებული ან დაკმაყოფილდა თუ არა მათი ინტერესი).

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური – ორსვეტიანი ცხრილია, რომლის ერთ სვეტშიც მოსწავლე წერს მომხდარ ამბებს, ფაქტებს, ხოლო მეორე სვეტში გამოხატავს თავის დამოკიდებულებას.

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური რეფლექსიის ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

ფაქტი, ტერმინი, ციტატა ამბების მოკლე რეზიუმე	**ჩემი დამოკიდებულება, მოსაზრება, კომენტარი**

დაფიქრდი – დაწყვილდი – გაუზიარე – მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა ინდივიდუალურად და მეწყვილესთან ერთად ჩამოაყალიბონ თავისი მოსაზრება, გაუზიარონ ერთმანეთს. მეთოდი რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

დაფიქრდი *– პირველ ეტაპზე პედაგოგი მოსწავლეების უსვამს შეკითხვას და ავალებს მათ, ინდივიდუალურად იფიქრონ ამ საკითხზე.*

დაწყვილდი *– მოსწავლეები წყვილდებიან, ერთად განიხილავენ შეკითხვას, შეაჯერებენ თავიანთ მოსაზრებებს.*

გაუზიარე *– მოსწავლეები შეჯერებულ მოსაზრებას უზიარებენ კლასს და უპასუხებენ შეკითხვებს.*

მეთოდი ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას, ასევე ვითარდება თანამშრომლობითი, არგუმენტირებული მსჯელობის, კომუნიკაციის უნარები.

Don't copy

გაჩერებებით სწავლა – საინტერესო მეთოდია, რომელიც გულისხმობს დაგეგმილი აქტივობების ერთობლიობას კონკრეტული მიზნების მიღწევად. მეთოდის გამოყენებამდე მნიშვნელოვანია საკლასო გარემოს ორგანიზება საჭიროებების შესაბამისად. მოეწყობა გაჩერებები (მერხები, მაგიდები), რომლებიც შესაბამისი მასალებითა და ბანერით (გაჩერების სახელწოდება) იქნება აღჭურვილი.

მოსწავლეები დაიყოფიან წყვილებად ან ჯგუფებად და მოძრაობენ ერთი „გაჩერებიდან" მეორემდე.

პირობითად ერთ გაჩერებაზე შეიძლება დასამუშავებელი იყოს ნარატიული ისტორიული წყაროები, განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, რაც ამ აქტივობისთვისაა გათვალისწინებული, მოსწავლები შემდეგ გაჩერებაზე გადაინაცვლებენ, სადაც შესაძლოა ფილმის, ვიდეომასალის ყურება იყოს გამიზნული, მომდევნო მაგიდაზე, შეიძლება, თვალსაჩინოებაზე მუშაობა მოუხდეთ და ა. შ. მნიშვნელოვანია რესურსებისა და დაგეგმილი აქტივობების მრავალფეროვნება.

დასკვნით ეტაპზე პედაგოგი მოსწავლეთა წყვილებს/ჯგუფებს გააკეთებინებს შეჯამებას. ამისათვის ისინი წარმოადგენენ წინასწარ შეთანხმებულ პროდუქტს (მაგ., PPT-პრეზენტაცია და სხვ.). უშუალოდ მიმდინარეობის პროცესში, ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს დავავალოთ, თითოეულ გაჩერებასთან წინასწარ მომზადებულ ფორმაში ასახონ მუშაობის შედეგები.

მეთოდის გამოყენება სასურველია როგორც ახალი მასალის ახსნის პროცესში, ისე არსებული ცოდნის გასაღრმავებლად.

ჯიგსოუს მეთოდი (jigsow) ხელს უწყობს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის უნარების განვითარებას. ის შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს თემას, შემდეგ ანაწილებს მათ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში 6 ბავშვზე მეტი არ უნდა იყოს. ყველა ჯგუფი ერთსა და იმავე თემაზე მუშაობს. ჯგუფში თემა ნაწილდება: თითოეული წევრი ცალკეულ ნაწილზე მუშაობს.
- მოსწავლეები სხვადასხვა ჯგუფიდან, რომლებსაც თემის ერთი და იგივე ნაწილი შეხვდათ, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს, სადაც სიღრმისეულად განიხილავენ საკითხს.
- მოსწავლეები კვლავ უბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებს და ექსპერტთა ჯგუფებში გაფართოებულ ცოდნას უზიარებენ.
- დასკვნით ეტაპზე თითოეული მოსწავლე წარმოაჩენს, რამდენად არის გარკვეული სამიზნე საკითხში.

არსებობს ჯიგსოუს მეთოდის განსხვავებული ინტერპრეტაციები.

სტრატეგია 3-2-1 – ეფექტიანია ახალი მასალის ახსნის პროცესში. ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობის ზრდას საგაკვეთილო პროცესში, აძლიერებს კრიტიკულ აზროვნებას, ეხმარება წაკითხულის შეჯამებაში.

პედაგოგი მოსწავლეებს თავიდან სთხოვს ტექსტის წაკითხვას, შემდეგ კი ისინი პასუხს სცემენ შემდეგ მოთხოვნებს:

Dont copy

- 3 რამ, რაც მნიშვნელოვანი იყო;
- 2 რამ, რაზეც მეტი მინდა, გავიგო;
- 1 რამ, რაზეც თანაკლასელებთან ერთად ვიმსჯელებდი.

SWOT-ანალიზი – უნივერსალური ინსტრუმენტია, რომელიც მრავალ სფეროში გამოიყენება. მისი გამოყენება შესაძლებელია ისტორიული მასალების ანალიზის პროცესში.

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
_____ _____ _____ _____	_____ _____ _____ _____
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
_____ _____ _____ _____	_____ _____ _____ _____

სქემა გამოდგება, როგორც ინფორმაციის ორგანიზების, ანალიზის ინსტრუმენტი. პირობითად ისტორიაში, შეიძლება, შევაფასოთ რომელიმე სახელმწიფოს მდგომარეობა განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, მისი ძლიერი მხარები, სისუსტეები, მოსალოდნელი საფრთხეები და შესაძლებლობები. შქემა, შეიძლება, სახლში სამუშაოდ მივცეთ. ასევე ეფექტიანი იქნება, თუ ოთხ ჯგუფს გამოვყოფთ (კლასის რაოდენობის გათვალისწინებით), რომლებიც თითოეულ ეტაპზე იმუშავებენ, ბოლოს კი გაკეთდება პრეზენტაცია.

PACED – გადაწყვეტილებების მიღების მოდელია, რომელიც შესაძლოა გამოვიყენოთ სასაწავლო მიზნებით. ის რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- **ნაბიჯი 1. პრობლემის განსაზღვრა.** პედაგოგი მოსწავლეებთან ერთად მოახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას.
- **ნაბიჯი 2. ალტერნატივების წარმოდგენა.** ჩამოთვლილი იქნება ალტერნატივები, რომლებიც პრობლემასთან მიმართებაში არსებობს.
- **ნაბიჯი 3. კრიტერიუმების განსაზღვრა**. შემუშავდება თითოეული ალტერნატივის კრიტერიუმები.
- **ნაბიჯი 4. ალტერნატივების შეფასება.** ალტერნატივები შეფასდება წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით.
- **ნაბიჯი 5. გადაწყვეტილების მიღება**. განისაზღვრება, რომელი ალტერნატივაა პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა.

მეთოდი, შეიძლება, გამოვიყენოთ, როგორც საშუალება მნიშვნელოვანი პრობლემების შეფასებისათვის, რომლის წინაშეც სახელმწიფოები, მმართველები იდგნენ, სხვა მიზნობრივი დანიშნულებით.

Don't copy

შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები – გულისხმობს საკითხთან დაკავშირებით მასწავლებლის მიერ შემუშავებულ მოკლე კითხვას ან დავალებას, რომლის შესრულებასაც დაახლოებით 5-10 წუთი სჭირდება.

შესასვლელი ბილეთების საშუალებით მოწმდება შესასწავლ საკითხთან მიმართებაში არსებული წინარე ცოდნა და დამოკიდებულებები, ხოლო გასასვლელი ბილეთების გამოყენებით – მოსწავლეების მიერ უკვე შეძენილი ცოდნა და საკითხის გაგება-გააზრება.

მოსამზადებელი სამუშაო რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს ბილეთების ფორმატი, რომელიც მისი მოსწავლეებისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება, განსაზღვროს დრო;
- მოამზადოს კითხვები ბილეთებისათვის;
- მოსწავლეებს მისცეს მკაფიო და მიზნობრივი ინსტრუქციები;
- გააანალიზოს პასუხები.

მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებისაგან მოკლე დროში მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას. არ არის აუცილებელი, ერთ გაკვეთილზე შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები ერთდროულად იქნეს გამოყენებული.

„უხმო დისკუსია“ – მისი მთავარი ინსტრუმენტებია წერითი უნარები და სიჩუმე, რომლებიც მოსწავლეებს საკითხის სიღრმისეულად შესწავლასა და გააზრებაში დაეხმარება. სტრატეგიის გამოყენებისას მოსწავლეები წერილობით აყალიბებენ თავიანთ პასუხებს, ე. წ. „სტიმულზე“. სტიმული შეიძლება იყოს ციტატა, ისტორიული დოკუმენტი, ფოტო და ა. შ.

ის რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- **„სტიმულის“ შერჩევა.** საწყის ეტაპზე აუცილებელია ისეთი „სტიმულის“ შერჩევა, რომელზეც მოსწავლეები მოახდენენ რეაგირებას. სტიმული შეიძლება იყოს შეკითხვა, პრობლემა, ციტატა და სხვ. სტრატეგია ეფექტიანად მუშაობს წყვილებსა და ჯგუფებში.
- **მოსწავლეები თავიანთი ჯგუფის წევრებთან ერთად აკეთებენ ფლიპჩარტზე კომენტარს.** ჯგუფის წევრები წერილობით აკეთებენ კომენტარებს „სტიმულზე“ და ერთმანეთს შეკითხვებს უსვამენ. ისინი სხვადასხვა ფერის მარკერებით მუშაობენ, რათა დისკუსიის მიმდინარეობა უფრო თვალსაჩინო გახდეს (დრო – დაახლოებით 15 წუთი).
- **მოსწავლეები სხვა ჯგუფის ქაღალდზე აკეთებენ კომენტარებს.** მასწავლებლის მითითების შემდეგ მოსწავლეები, სიჩუმის დაურღვევლად, ტოვებენ თავიანთ ადგილებს და სხვა ჯგუფის ფლიპჩარტებთან ინაცვლებენ. მათ თან მიაქვთ თავიანთი მარკერები, ეცნობიან სხვა მოსწავლეთა მოსაზრებებს, წერენ კომენტარებსა და შეკითხვებს.
- **მოსწავლეები ბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებში და არღვევენ სიჩუმეს.** ჯგუფის წევრები ისევ თავიანთ ფლიპჩარტთან ბრუნდებიან, მათ კვლავ შეუძლიათ წერილობითი კომენტარის გაკეთება. ამის შემდეგ კი თავიანთ ჯგუფში თავისუფალი ვერბალური კომუნიკაციის საშუალება ეძლევათ.
- **დისკუსია კლასთან.** დასკვნით ეტაპზე იმართება საერთო საკლასო მსჯელობა.

მეთოდი ხელს უწყობს წერითი უნარების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას, ასევე გაუბედავი მოსწავლეების პროცესში ჩართულობას.

Don't copy

სტრატეგია „ბარომეტრი“ – მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გამოხატონ პრობლემასთან თავიანთი დამოკიდებულება არა მარტო ვერბალურად, არამედ ფიზიკური განლაგებით. ისინი პრობლემასთან საკუთარი დამოკიდებულების მიხედვით დაიკავებენ პოზიციებს და შემდეგ არგუმენტირებულად დაიცავენ მას.

სტრატეგია შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- **საკითხის შერჩევა** – სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის სწორად შერჩევას. განსახილველი პრობლემა გულმოდგინედ უნდა იყოს შერჩეული და განსხვავებული, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების გამოხატვის შესაძლებლობას იძლეოდეს.
- **სივრცის ორგანიზება** – საკლასო ოთახში წინასწარ უნდა განისაზღვროს ადგილი, სადაც მოსწავლეებს U-ს მსგავსად განლაგების საშუალება ექნებათ. U-ს დაბოლოებები ორ დაპირისპირებულ პოზიციას გამოხატავს: ერთი ბოლო ნიშნავს „სრულად ვეთანხმები“, მეორე კი – „კატეგორიულად ვეწინააღმდეგები“. გარდა ამისა, საჭიროების შესაბამისად, ერთ ბოლოში შეიძლება განვათავსოთ ნებისმიერი განაცხადი, რომელიც თანხვდება პრობლემას, მეორეში კი – მისი საპირისპირო.
- **წესების შემუშავება** – პედაგოგი წინასწარ უთანხმებს მოსწავლეებს ქცევის ისეთ წესებს, რომლებიც განამტკიცებს ურთიერთპატივისცემას, უზრუნველყოფს განსხვავებული აზრის მოსმენასა და კონსტრუქციულ თანამშრომლობას.
- **აზრების ფორმულირება** – მოსწავლეებს უნდა მივცეთ რამდენიმე წუთი, რომ ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრება საკითხზე და დააფიქსირონ თავიანთ პოზიცია (ეთანხმებიან თუ არა წინასწარ მომზადებულ განაცხადს).
- **პოზიციების დაკავება** – პედაგოგი მოსწავლეებს სთხოვს, დაიკავონ თავიანთი პოზიცია წინასწარ მომზადებული ხაზის (U) გასწვრივ. ისინი ხაზზე დგებიან საკითხთან მათი დამოკიდებულების გათვალისწინებით. რაც უფრო უკიდურეს პოზიციებს იკავებენ საპირისპირო მხარეებზე, მით უფრო მკვეთრად ეთანხმებიან ან ეწინააღმდეგებიან მტკიცებას.
- **პოზიციების დასაბუთება** – მას შემდეგ, რაც ხაზის გასწვრივ ადგილებს დაიკავებენ, პედაგოგი სთხოვს მოსწავლეებს, დაასაბუთონ, რატომ დაიკავეს ესა თუ ის პოზიცია, მოუწოდებს მოიყვანონ მაგალითები და სხვა სახის მტკიცებულებები.
- **შედეგების შეჯამება** – შედეგების შეჯამების მრავალი გზა არსებობს. პედაგოგს შეუძლია, „მომხრეთა“ და „მოწინააღმდეგეთა“ არგუმენტები დაფაზე ჩამოწეროს და მთელ კლასთან ერთად განიხილოს.

სტრატეგია ხელს უწყობს შეფასების, არგუმენტირებული მსჯელობის, კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

Don't copy

მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა
და მისი გამოყენების წესი

მასწავლებლის წიგნი შეიცავს მოსწავლის სახელმძღვანელოს მიზნებს, სტანდარტის შედეგებთან თითოეული ქვეთავის/პარაგრაფის შესაბამისობას, იმ მეთოდოლოგიას, რომელიც გამოყენებულია სახელმძღვანელოს ავტორების მიერ, ასევე, ზოგიერთი მეთოდის განმარტებას. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა სახე და ტიპი, მათი რუბრიკები. ჩვენი სახელმძღვანელო გაძლევთ საშუალებას, რომ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოთ გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების დროს. მასწავლებლის წიგნში ასევე მოცემულია იმ სარეკომენდაციო რესურსებისა და ლიტერატურის სია, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების
სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში

კონკრეტული ქვეთავები/გაკვეთილები წარმოდგენილია ზემოთ, მიზნების, შედეგების, ინდიკატორებისა და მკვიდრი წარმოდგენების მატრიცაში, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №1248-ში (09. 10. 2019) წარმოდგენილ შინაარსობრივ კრიტერიუმებს. შემდგომ ქვეთავებში მხოლოდ თეორიული საკითხებია გადმოცემული. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამ საკითხების მასწავლებლის წიგნში შეტანა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დამწყები მასწავლებლისთვის, არამედ გამოცდილისთვისაც. არ გვაქვს პრეტენზია, რომ ამ საკითხებს სრულყოფილად განვიხილავთ. ამიტომ წიგნის ბოლოს მითითებულია სპეციალური ლიტერატურა, სადაც შეგიძლიათ დაწვრილებით გაეცნოთ ბევრ საკითხს. რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითებს, უფრო ქვემოთ ზოგიერთ თეორიულ მასალასთან ერთად განვიხილავთ.

ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს განუვითაროს/ჩამოუყალიბოს: კულტურული მემკვიდრეობის დაფასებისა და მასზე ზრუნვის უნარი; თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრებისა და ინტერპრეტირების უნარი; ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; ინფორმაციის სხვადასხვა სიმბოლური ნიშნით გამოხატვის უნარი; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კვლევის უნარები; ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი; საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების საფუძველზე არჩევანის გაკეთების უნარი; დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი; პროფესიული არჩევანის გაკეთებისა და კარიერის დაგეგმვის უნარი; გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის უნარი რისკების გაცნობიერებით; ახალ სიტუაციებთან, ცვლად მოთხოვნებთან ადაპტირების უნარი; საზოგადოე-

Demo copy

ბაში თვითდამკვიდრების უნარი; საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების, ასევე, სხვათა ქმედების გაგებისა და გათვალისწინების უნარი; ეთიკური ნორმების დაცვის უნარი; კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვის უნარი; სწავლის სტრატეგიების ადეკვატურად შერჩევისა და მათი ეფექტიანად გამოყენების უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი. თუმცა ეს უნარები მოსწავლეს უვითარდება სწავლების ყველა საფეხურის გავლის შემდეგ, მაგ., საკუთარი კარიერის დაგეგმვის უნარი უფრო საშუალო საფეხურზე უვითარდება და არამც და არამც დაწყებით კლასებში. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ ასაკის მოსწავლე ახალი გადმოსულია დაწყებითი საფეხურიდან. ვიცით, რომ დაწყებითი საფეხურის მისიაა: ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; ბ) საბაზისო უნარების – წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა; გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საშუალო საფეხურისთვის. ამიტომ ჩვენს სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია XI კლასის მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები. საშუალო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის. საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს და შემდგომში მომზადებული იქნება გამოწვევებისათვის. ეს გამოწვევები კი შემდეგში მდგომარეობს: მოსწავლემ უნდა შეძლოს ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება; ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

Do not copy

მეთოდიკური ორიენტირები

ჩვენი სახელმძღვანელო ეფუძნება ესგ-ს მიერ გაცხადებულ შემდეგ ცნებებს: 1. ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს. 2. სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე დაფასებულია, აღიარებულია და პასუხისმგებელია საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. 3. სწავლა ცოდნის აგების პროცესია, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის ცოდნას, გამოცდილებასა და შეხედულებებს. ამ სახელმძღვანელოს მეთოდიკური ორიენტირები ასეთია: ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას; ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას; დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას); ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს. დეკლარატიული ცოდნა გულისხმობს თეორიების, წესების, ფაქტების, კანონებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნას. ის პასუხობს კითხვას: რა ვიცი? პროცედურული გულისხმობს ქმედებათა თანამიმდევრობის ცოდნას და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას ოპერაციების/პროცედურების დონეზე. ის პასუხობს კითხვებს: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო? პირობისეული ცოდნა დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებაა. ის გულისხმობს მოვლენების ან სიტუაციის არსებითი ასპექტების გააზრების, კატეგორიზაციის უნარს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსწავლეს დაეხმარება ჩვენი საგნის, ისტორიის ცოდნის სხვა ასპექტში გადატანაში, ანუ ტრანსფერში. ის პასუხობს კითხვებს: რატომ? რა შემთხვევაში? დისციპლინის წვდომისათვის სასწავლო პროცესში აქცენტი, პირველ რიგში, უნდა კეთდებოდეს ისტორიული მოვლენის ანალიზზე, წარსულში მომხდარი ფაქტის დღევანდელობასთან დაკავშირებასა და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაზე. საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

Don't copy

პრობლემების გადაჭრა	პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტიანის შერჩევა.
შემოქმედებითი აზროვნება	ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძებნა; სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესრულებისთვის (მაგ., ლიდერის); განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
კომუნიკაცია	განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.
ეთიკა	ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; სოლიდარობის განცდა; სხვებისადმი ემპათია; პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; განსხვავებულობის მიმღებლობა; საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.

Don't copy

სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა	აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა – მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; აქტივობის/დავალების დაგეგმვა – (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; სწავლის პროცესის მონიტორინგი – დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობებისა და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; სოციოემოციური მართვა – ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	საძიებო სისტემაში (მაგ.: ებსკო, ელსევიარი) პერიოდიკის მოძიება; Google Map-ში ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ონლაინრუკების შექმნა და მათი ინტერნეტის საშუალებით გავრცელება. საძიებო სისტემაში (მაგ.: გუგლი) სხვადასხვა ტიპის (მაგ.: ინტერაქტიული და ა. შ.) თემატური ელექტრონული რუკების მოძიება; ისტორიული შინაარსის ელექტრონული ტექსტების (მაგ., ვიკიტექსტების) შექმნა და ატვირთვა; სპეციფიკური შინაარსის დიაგრამებთან და გრაფიკებთან მუშაობა (მაგ.: ტერიტორიული, დემოგრაფიული, საზოგადოებრივი განწყობების ზრდა-კლების და ა. შ.) ექსელის საშუალებით. ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, Power Point) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

ამავე დროს, გათვალისწინებულია, რომ ყველა მოსწავლე უნიკალურია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში – სსსმ მოსწავლე), რომელსაც,

Draft copy

თანატოლებთან შედარებით, აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რომლებიც შესაძლებელია, გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას ან გაზრდას, გამარტივებას ან გართულებას. ჩვენს სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ეს საკითხი. სახელმძღვანელოს დავალებები ამის საშუალებას იძლევა. მასწავლებლის წიგნში დაგეგმილ რამდენიმე გაკვეთილში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და მოცემულია შესაბამისი დავალებები.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს" იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანმხლები მასალა და მისთ). წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც თითოეულ ეტაპზე გამოიყენებენ. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე. შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად, მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზა და ხერხი არსებობს, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

ნებისმიერი ინტერაქტიული გაკვეთილის ჩატარებისას, მნიშვნელოვანია, რა კითხვით სტრატეგიებს იყენებს მასწავლებელი. მოსწავლის სახელმძღვანელოში, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანი დავალებები და კითხვებია მოცემული; თუმცა მასწავლებელმა, კლასის

Don't copy

საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სტრატეგია უნდა გამოიყენოს. აუცილებელია მრავალფეროვანი დავალებების მიცემა, რაც ბავშვს ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას მისცემს. ახალი სტრატეგიები მოითხოვს ისეთ აქტივობებს, რომელთა დროსაც მოსწავლე აქტიურია, რაც კითხვებითა და დავალებებით მიიღწევა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მასწავლებელს, რომელიც ახალი მოთხოვნების შესაბამისად ასწავლის, უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის უნარი; უნდა უზრუნველყოფდეს ცოდნის ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისთვის; ის უნდა აცნობიერებდეს და ითვალისწინებდეს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურობას, ნიჭს, შესაძლებლობებს და ამის მიხედვით უნდა წარმართოს საგაკვეთილო პროცესი. მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს სწავლების პროცესს, აქტივობები ისე ააგოს, რომ მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, გააკეთოს არჩევანი, იაზროვნოს და გააანალიზოს საკითხი, გამოთქვას საკუთარი შეხედულებები. ეს ყველაფერი კი, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელია მრავალფეროვანი კითხვითი სტრატეგიების გამოყენების გარეშე. კითხვების დასმა საგაკვეთილო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მასწავლებელი კითხვების საშუალებით არკვევს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა კონკრეტული გაკვეთილი? ხელმეორედაა საჭირო მისი ახსნა თუ არა? გაიაზრეს მათ ეს საკითხი თუ მხოლოდ მასალის გადმოცემა შეუძლიათ? რამდენად არიან მზად მოსწავლეები, გააანალიზონ, შეაფასონ კონკრეტული საკითხი, მოვლენა? კითხვები განსხვავდება შინაარსობრივი თვალსაზრისით – ისინი შეიძლება იყოს ინფორმაციული ან სააზროვნო. მაგალითად, ინფორმაციულია ასეთი ტიპის შეკითხვა: ***როდის მიმდინარეობდა I ჯვაროსნული ლაშქრობა?*** ამ შემთხვევაში შემოწმდება მოსწავლის ცოდნა. თუმცა თუ ამ კითხვას მოვაყოლებთ შემდეგ კითხვას: ***რატომ დაიწყო I ჯვაროსნული ლაშქრობა?***– ხელს შევუწყობთ მოსწავლის მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. ამ კითხვას პასუხი რომ გასცეს, მოსწავლემ საკითხი კარგად, საფუძვლიანად უნდა იცოდეს და საკუთარი მოსაზრების გამოთქმის დროს შესაბამისი არგუმენტები წარმოადგინოს.

მრავალფეროვანი კითხვების დასმა აუცილებელია დიფერენცირებული სწავლების პროცესის დროსაც. ცნობილია, რომ დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს თითოეული დავალებისა და სავარჯიშოს შესატყვისობას მოსწავლეთა მოთხოვნილებებთან, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში დიფერენცირების სტრატეგიები შეიძლება სხვადასხვა გზით გამოვლინდეს. მაგალითად, შესაძლებელია როგორც დავალების, ისე შედეგის მიხედვით დიფერენციაცია. თუ მასწავლებელი დავალების მიხედვით ახდენს დიფერენცირებას, ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა ჯგუფს, მოსწავლეებს განსხვავებული სავარჯიშოები, დავალებები, კითხვები მიეცემათ, ანუ ეს დავალებები შესაძლებლობების მიხედვით განაწილდება; ამავე დროს, ყველა ერთი მიზნის, შედეგის მიღწევისკენ მიდის. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია დავალებების მიცემის დროს კითხვების მრავალფეროვნება, რაც დიფერენცირებას შეუწყობს ხელს. თუ მასწავლებელი შედეგის მიხედვით ახდენს დიფერენცირებას, მაშინ მან, შესაძლოა, ყველა მოსწავლეს იდენტური დავალება, სავარჯიშო მისცეს, ხოლო გაკვეთილის მიზანი/მიზნები თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს. მისაღწევი შედეგები შეიძლება ასე განისაზღვროს: ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს... ზოგიერთმა მოსწავლემ უნდა გააანალიზოს, იმსჯელოს... და ა. შ. ამ შემთხვევაშიც უმ-

ნიშვნელოვანესია ის კითხვები, რომლებსაც ყველა მოსწავლეს დავუსვამთ, შემდეგ კი – მხოლოდ ზოგიერთს. ქვემოთ კიდევ უფრო დაწვრილებით შევეხებით სხვადასხვა კითხვით სტრატეგიას, რაც საშუალებას მოგცემთ, ისინი გაკვეთილებზე გამოიყენოთ.

რეკომენდაციები სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსების შესახებ სწავლების მიზნის მიღწევის ეფექტიანობისათვის

მრავალფეროვანი რესურსების მოძიება-გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენს სახელმძღვანელოში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის რესურსები: პირველადი და მეორეული წერილობითი წყაროები, რუკები, ფოტოები, მითითებულია ელრესურსები. ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენ რა ტიპის სასწავლო რესურსს იცნობთ ან იყენებთ პრაქტიკაში: ელექტრონულ რესურსებს, მატერიალურ თვალსაჩინოებებსა და პროფესიულ დამხმარე ლიტერატურას?! ამაზე იმიტომ ვაკეთებთ აქცენტს, რომ სახელმძღვანელოში გამოყენებული ან მასწავლებლის წიგნში მითითებული რესურსები (თვალსაჩინოებები, პროფესიული ლიტერატურა, ელრესურსები), რა თქმა უნდა, სრულყოფილი და ყოვლისმომცველი არ არის და არც შეიძლება ამის პრეტენზია გვქონდეს. აუცილებელია, თქვენც მოიძიოთ/შექმნათ თქვენთვის, თქვენი მოსწავლეთა საჭიროებებისთვის მნიშვნელოვანი რესურსები. ამასთანავე, არ დაგავიწყდეთ, რომ ყველა ტიპის რესურსს უნდა ახლდეს გამოყენების მკაფიო ინსტრუქცია, რომელშიც ახსნილი იქნება, რა მიზნით შექმენით რესურსი, როგორ გამოიყენება ის სასწავლო პროცესში, რათა თქვენმა სხვა კოლეგებმა, გარკვეული მოდიფიცირების შემდეგ, შეძლონ მისი გამოყენება.

შეგახსენებთ, რომ აუცილებელია კოლეგებთან თანამშრომლობა როგორც კათედრის შიგნით, ისე მის გარეთაც. ასევე, რესურსის რეფლექსიაში მიუთითეთ, რა შედეგს მიაღწიეთ მოსწავლეებთან ამ რესურსის გამოყენებით. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ, გარდა ელექტრონული რესურსებისა, მასწავლებლები ძალიან ხშირად იყენებენ მატერიალურ თვალსაჩინოებებს (სქემებს, პლაკატებს, რუკებს, დანადგარებს, მაკეტებს, კოლექციებსა და ა. შ.). ხშირად ტარდება მასწავლებლების მიერ საკუთარი ხელით (შესაძლოა, მეორადი ნივთებითაც) შექმნილი რესურსების გამოფენა, კონფერენციებზე წარდგენა. ასეთი რესურსები (სქემები, დიაგრამები, ისტორიული კროსვორდები ან ლოტოები, პლაკატები და ა. შ.) თქვენც შეიძლება შექმნათ. ფაქტია, რომ სასწავლო რესურსი იწვევს მოსწავლეების დაინტერესებას, ვინაიდან რესურსი ინტერაქტიულია, ანუ მოითხოვს მოცემული თვალსაჩინოებების გაანალიზებას, შეკითხვებზე პასუხის გაცემას, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას, პრაქტიკულ სამუშაოს. ამიტომ გაკვეთილზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სწავლების პროცესში. რესურსი ორიენტირებულია მოსწავლეთა უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ეს არის გაანალიზების, შედარებისა და დასკვნების გაკეთების უნარი; ისინი რესურსის დახმარებით შეძლებენ დაინახონ, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში ორიენტირება, ასევე, მოცემული დავალებების მიხედვით შეძლებენ, იმუშაონ ჯგუფებში და რესურსიდან მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებენ პრაქტიკული მუშაობის დროს; გახსოვდეთ, რომ სასწავლო რესურსში გამოყენებული მასალა დაფუძნებული უნდა იყოს სანდო წყაროებზე, უსაფრთხო უნდა იყოს და არ ავნოს მოსწავლეებს, მაგალითად, მათ მხედვე-

Do not copy

ლობას. თქვენ მიერ შექმნილი რესურსის შემთხვევაში, გაკვეთილზე მუშაობის პროცესში აუცილებელია, წინასწარ მომზადებული გქონდეთ ცალკე დაბეჭდილი დავალებებიცა და კითხვებიც. თუ რესურსი Power Point-შია შექმნილი, აუცილებელია, ვაჩვენოთ მოსწავლეებს სლაიდრეჟიმში და, კითხვების გამოჩენის შემდეგ, ჯერ დაველოდოთ მოსწავლეების პასუხს, შემდეგ კი შევთავაზოთ სწორი ვარიანტები, რომლებიც კითხვის შემდეგ ჩნდება სლაიდზე. რესურსში არის თვალსაჩინოებები, რომელთა განხილვა მოსწავლეებთან ერთად აუცილებელია და არის პრაქტიკული სამუშაოც, რომელსაც მოსწავლეები ჯგუფური მუშაობის დროს ასრულებენ; ეს სასწავლო რესურსი იწვევს მოსწავლეების დაინტერესებასა და მთელი კლასის აქტიურ ჩართვას სწავლების პროცესში. გაკვეთილის ჩატარებამდე აუცილებელია, მას კარგად გაეცნოთ, რათა შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმი არ დაირღვეს. ასევე, შესაძლებელია, პარალელურად გამოიყენოთ დაფა, ცარცი, ქაღალდები და პასუხები წერილობითაც გააცემინოთ, გაკვეთილის შემდეგ კი ამ ნამუშევრების საშუალებით გააკეთოთ შეფასება თქვენ მიერ შემნილი შეფასების რუბრიკის დახმარებით. რესურსებთან დაკავშირებით რეკომენდაციები მოცემული იქნება ქვემოთ, კონკრეტულ დაგეგმილ გაკვეთილებთან, ასევე, მიგითითებთ ელექტრონული რესურსების სარეკომენდაციო მისამართებს.

მოსწავლის შეფასების პრინციპები

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება

Don't copy

წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით – რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) დამოუკიდებელი სამუშაო;

ბ) საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

დამოუკიდებელ სამუშაოსა და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია კომპლექსური დავალების შესრულება, რომელიც ფასდება ქულით და აუცილებლად განმავითარებელი კომენტარით.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების დროს მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ საჭიროა ესგ-ის მიხედვით კომპლექსური დავალების ადაპტირება. მნიშვნელოვანია, ადაპტირდეს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და აქვე გასათვალისწინებელია, რომ გარკვეულწილად შესაძლებელია, მოდიფიცირებულმა კომპლექსურმა დავალებამ ყველა მკვიდრი წარმოდგენა არ მოიცვას.

აქტივობების, ღონისძიებების, პროექტების, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები

სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი პირობაა. გეგმა საკმაოდ მოქნილი და შემოქმედებითი უნდა იყოს, რათა მასწავლებელმა სასწავლო პროცესის მუდმივი განვითარება შეძლოს. სწორად დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მრავალფეროვანი აქტივობები გაკვეთილს ინტერაქტიულს გახდის, მოსწავლის მოტივაცია და ინტერესი გაიზრდება. ამის მიღწევა სხვადასხვა სტრატეგიით შეიძლება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მრავალფეროვანი კითხვითი აქტივობების გამოყენება ერთ-ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ გაკვეთილი უფრო საინტერესო გავხადოთ. მაგალითად, ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებლის მიზანი ძალიან კონკრეტულია: მოსწავლემ უნდა შეძლოს გარკვეულ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრიობის გარკვევა. როგორ უნდა გააკეთოს ეს მასწავლებელმა? დავუშვათ, კონკრეტული ისტორიული წყაროების ტექსტის ანალიზის საშუალებით. რა სა-

Don't copy

შუალებებით მოახერხებს ამას? პირველ რიგში, რელევანტური კითხვების დასმით, რომლებზეც პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლე შეძლებს, დაინახოს გარკვეულ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი. როგორ მიხვდება მასწავლებელი, მიაღწია თუ არა გაკვეთილის მიზანს? აქაც ერთ-ერთი მეთოდია სხვადასხვა ტიპის კითხვების საშუალებით გარკვევა, დაინახა თუ არა მოსწავლემ მიზეზშედეგობრივი კავშირი. ეს კარგად ჩანს გაკვეთილის ბოლოს, როდესაც გარკვეულ რეფლექსიას ვაკეთებთ და ვსვამთ კითხვებს: რა იყო მოსწავლეებისთვის მარტივი და რა – რთული? რა ისწავლეს მათ? შევძელი ყველა მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში? იყო თუ არა ჩემ მიერ დასმული კითხვები, მიცემული დავალებები და ინსტრუქციები გასაგები? იძლეოდა კი ეს კითხვები და დავალებები ინტერესის შენარჩუნების საშუალებას? და, რა უნდა გავითვალისწინო მომავალში, რათა გაკვეთილი კიდევ უფრო ინტერაქტიული და საინტერესო გავხადო? ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვინდა, კიდევ აღვნიშნოთ: გაკვეთილის დაგეგმვის დროს აუცილებელია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მიგვიყვანს იმ მიზნამდე, შედეგებამდე, რაც წინასწარ დავისახეთ მიზნად. ამ პროცესის დროს, აქტივობებში მრავალფეროვანი კითხვების გამოყენება ხელს შეუწყობს ყველა ემოციური მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში; ეს კი თავისთავად გამოიწვევს ყველა მოსწავლის მიერ იმ სასწავლო შედეგზე (თუნდაც სხვადასხვა დოზით) გასვლას, რაც თავიდანვე დავისახეთ მიზნად. რელევანტური შეკითხვების დასმა აზროვნების ამოქმედების ერთ-ერთი გზაა, რითაც მოსწავლეები საკითხს ღრმად, საფუძვლიანად შეისწავლიან. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს მხოლოდ მრავალფეროვანი კითხვითი სტრატეგიებითაა შესაძლებელი – ამას სხვა მეთოდებით თუ სტრატეგიებითაც მივაღწევთ; მაგრამ მრავალფეროვანი კითხვითი სტრატეგიების გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პროდუქტიული და რელევანტური საშუალებაა, რომ გაკვეთილის/გაკვეთილების მიზანი მიღწეულ იქნას.

ინფორმაცია მოსწავლის წიგნის/რვეულის შესახებ

მოსწავლის წიგნი შედგება 3 თემისა და 58 პარაგრაფისგან. სახელმძღვანელოს პარაგრაფებს დართული აქვს მდიდარი ვიზუალური მასალა (რუკები, ფოტოები). მოსწავლეს ეძლევა დავალებები, სადაც მან უნდა გააანალიზოს რუკები თუ სხვა ვიზუალური მასალა. ასევე პარაგრაფებში მოცემულია პირველადი და მეორეული წყაროები. მოსწავლემ უნდა წაიკითხოს და გააანალიზოს ისინი. თითოეულ ქვეთავს დართული აქვს შემაჯამებელი კომპლექსური სამუშაოები, რომელთა შესასრულებლად გათვალისწინებულია რამდენიმე დღე. ჩვენ მიერ გამოყენებული პირობითი ნიშნები განმარტებულია მოსწავლის წიგნში, ამიტომ აქ მათი ხელმეორედ განმარტება ზედმეტად მიგვაჩნია. მოსწავლის რვეულში განთავსებულია სხვადასხვა ტიპის დავალება: აქ არის კონტურული რუკები, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეავსონ; შესავსები ცხრილები, სადაც სხვადასხვა ტიპის წყაროდან (რუკა ან წერილობითი წყარო) მოპოვებული ინფორმაცია უნდა გადაიტანონ ან დააჯგუფონ.

Don't copy

საფეხურის გზამკვლევი

https://mes.gov.ge/uploads/files/2022/gzamkvlevi.pdf mes.gov.ge

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ლ. ახვლედიანი.** ვიზუალური წყაროს ანალიზი. მასტსავლებელი.გე, 23 იანვარი, 2017 წ.
2. **ლ. ახვლედიანი.** სასწავლო სტრატეგიების გამოყენება ისტორიის სწავლებაში. მასტსავლებელი.გე, 11. სექტემბერი, 2017 წ.
3. **ლ. ახვლედიანი.** სასწავლო სტრატეგიების გამოყენება ისტორიის სწავლებაში. (მეორე ნაწილი). მასტსავლებელი.გე, 19 მაისი, 2017 წ.
4. **მ. ბოჭორიშვილი,** ნ. ნამიჭეიშვილი, ნ. ნაბულიშვილი. ინტერაქტიული მეთოდები, 2014 წ.
5. **ჯ. დიუი.** როგორ ვაზროვნებთ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2013 წ.
6. **ჯ. დიუი.** სკოლა და საზოგადოება. ბავშვი და ცოდნის სტანდარტი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2013.
7. **მ. ს. დონოვანი, კ. დ. ბრენსფორდი.** როგორ ვსწავლობთ: ისტორია, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. განათლება გონიერებისთვის. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წ.
8. **ისტორიის შესახებ.** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010 წ.
9. **ს. ლობჟანიძე.** როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი? მასწავლებლის წიგნი. ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016 წ.
10. **მ. მაისურაძე.** თანამშრომლობითი სწავლების ზოგიერთი საკითხი. მასტსავლებელი.გე, 16 იანვარი, 2019 წ.
11. **რ. ჯ. მარზანო, ი. ს. მარზანო, დ. ჯ. ფიქერინგი.** კლასის მართვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016 წ.
12. **მ. მელიქიშვილი.** კონსტრუქტივიზმი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012 წ.
13. **მ. მელიქიშვილი.** ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012 წ.
14. **რობერტ სტრადლინგი.** ისტორიის სწავლება. სხვადასხვაგვარი ხედვის გამოყენებით: სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, 2003 წ.
15. **დ. უზნაძე.** ბავშვის ფსიქოლოგია. 1947 წ.
16. **დ. უზნაძე.** განწყობის ფსიქოლოგია. shorturl.at/bhswX
17. **ლ. ფხოველიშვილი.** დისკუსია – სწავლების ეფექტური მეთოდი. მასტსავლებელი.გე, 5 ივნისი, 2019 წ.
18. **ჯ. ქარფიზი.** კოგნიტური პროცესები კრიტიკულ აზროვნებაში. განათლება გონიერებისთვის. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წ.
19. **დ. ჩივაძე.** საკლასო ოთახის ეკრანი ყველა პედაგოგისათვის. მასტსავლებელი.გე, 4 ოქტომბერი, 2019 წ.
20. **დ. ჩივაძე.** როგორ დავწეროთ ხუთაბზაციანი ესე. მასტსავლებელი.გე, 1 მაისი, 2019 წ.
21. **თ. ჭანტურია.** მრავალმხრივი ინტელექტის თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012.
22. **თ. ჭყოიძე.** აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ. მასტსავლებელი.გე, 11 ოქტომბერი, 2013 წ.
23. **ს. ჯანაშია.** როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007 წ.
24. **ე. ჰარგრივსი.** სწავლება ცოდნის საზოგადოებაში: განათლება გონიერებისთვის. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წ.
25. **თ. ქარჩავა. ნ. სილაგაძე ნ. ფირცხალავა,** „ისტორია X-XII კლასები, საშუალო საფეხურის გზამკვლევი მასწავლებლებისთვის“, თბ. 2013 წ.
26. http://www.learner.org/re sources /discipline-social-science.html ამ გვერდზე ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდებით დაინტერესებული მასწავლებელი საინტერესო რესურსებს, მულტიმედიამასალებს და სადისკუსიო თემებს იხილავს.

Don't copy

27. shorturl.at/clrt8 – ამ გვერდზე ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდებით დაინტერესებული მასწავ-ლებელი საინტერესო რესურსებს, მულტიმედიამასალებს და სადისკუსიო თემებს იხილავს.
28. PACED Decision Making | MyMnCareers | CAREERwise Education (minnstate.edu)
29. თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები – ჯიგსოუს ტექნიკა – mastsavlebeli.ge
30. გაჩერებებით სწავლა – mastsavlebeli.ge
31. http://mastsavlebeli.ge/?p=4093
32. https://www.how-to-study.com/study-skills-articles/strategies-for-reading-history-textbooks.asp
33. კეთებით სწავლება – Google Zebna
34. http://mastsavlebeli.ge/?p=17988
35. https://blog.hubspot.com/blog/tabid/6307/bid/1056/steve-jobs-guy-kawasa,ki-powerpoint-best-practices.aspx
36. http://mastsavlebeli.ge/?p=17988 36. http://ncp.ge/ge/activities/aqtivoba-1-diskusia?resid=166
37. „ბარომეტრი“ – მსჯელობის მარტივი, საინტერესო ხერხი – mastsavlebeli.ge
38. განმავითარებელი-შეფასება-და-დიფერენცირებული-სწავლება.pdf (ganatldi.ge)
39. ორი სტრატეგია სამოდელო გაკვეთილებისათვის – Don’t mastsavlebeli.ge

სარეკომენდაციო ლიტერატურა

შუა საუკუნეები

შუა საუკუნეების ისტორია, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის, თბ., 2005
ტივაძე გ.,შუა საუკუნეების ისტორია, ტ. II, თბ., 1970
შუა საუკუნეების სამართალი, შეადგინა და კომენტარები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1962
ქრისტიანული ეკლესიის ისტორია I-XI ს. I მეოთხ., შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, თბ., 2007
გაჩეჩილაძე რ., დიდი ბრიტანეთის ისტორია, თბ., 1984
ასათიანი ვალერი, ბიზანტიური ცივილიზაცია, თბ., 2006
დილი შ., ბიზანტიის იმპერიის ისტორია, თბ, 1998

გვიან შუა საუკუნეები ადრეული ახალი დრო

კიღურაძე გივი, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია (1603-1642), ნაწ. 1, 1979
კიღურაძე გივი, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია (1642-1689), ნაწ. 2, 1983
„ამერიკის ისტორიის ესკიზები“, შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, თბ., 2004

„ხანგრძლივი XIX საუკუნე“

ანთაძე კ. „ნარკვევები საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან”, თბ. 1978 წ.
მიქაბერიძე ა. და სხვ. „ნაპოლეონის მარშლები”, თბ. 2022
კიღურაძე გივი, ახალი ისტორია (1870-1900), ნაწ. 1, თბ., 1973
კიღურაძე გივი, ახალი ისტორია (1900-1918), ნაწ. 2, თბ., 1975
კალანდაძე მერაბ, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005
კალანდაძე მერაბ, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2008
კალანდაძე მერაბ, გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2010

სამეცნიერო ლიტერატურა უცხოურ ენებზე

1. John Patrick Balfour. Ottoman centuries. The Rise and fall of the Turkish Empire. Edinburgh. 1977
2. Roger Crowly. City of Fortune. How Venice won and lost a naval empire. London. 2011
3. Mircea Eliade. History of Religious Ideas Paperback. Vol. 3: From Muhammad to the Age of Reforms. Chicago. 1988

Don't copy

4. Jonathan Harris Lost World of Byzantium, New Haven and London: Yale University Press, 2015.
5. Judith Herrin. Byzantium: The Surprising Life of a Medieval Empire . Princeton University Pres. 2009
6. Anthony Kaldellis. The Byzantine Republic: People and Power in New Rome. Harvard University Press. 2015
7. Joshua Prawer. The Latin Kingdom of Jerusalem: European Colonialism in the Middle Ages. London. 1972
8. Jean-Paul Roux. Histoire de L,Iran et des Iraniens. Paris. 2006
9. Edith Saunders. Hundred Days. W W Norton & Co Inc. 1964
10. John Spencer Trimingham.The Sufi orders in Islam.Oxford. 1971

მხატრული ლიტერატურა

ალექსანდრე დიუმა „დედოფალი მარგო“, „სამი მუშკეტერი“, „ოცი წლის შემდეგ“, „ვიკონტ დე ბრაჟელონი ან ათი წლის შემდეგ“
პროსპერ მერიმე. „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა“
მიგელ დე სერვანტესი „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი“ ორ წიგნად.
უოლტერ სკოტი „აივენჰო“, „რობ როი“
ლევ ტოლსტოი „ომი და მშვიდობა“
შტეფან ცვაიგი „მარიამ სტიუარტი“, „ჟოზეფ ფუშე“
ვიქტორ ჰიუგო „93 წელი“
ჰენრიკ სენკევიჩი „ჯვაროსნები“
პროსპერ მერიმეს, შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა

სასარგებლო ბმულები:

https://dspace.nplg.gov.ge/
https://elibrary.sou.edu.ge/
https://spartacus-educational.com/
BBC - History
History | DW
https://besthistorysites.net/
ტელესკოლა

Don't copy